



70/2
998/99

საისტორიო მოამბე

71-72

თბილისი



საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი

Архивный Государственный Департамент Грузии

საისტორიო მოამბე

Исторический вестник

№ 71-72

96

*

თბილისი
1998-1999

*

სარედაქციო კოლეგია:

ზურაბ მახარაძე (მთავარი რედაქტორი),
ანრი ბოგვერაძე, ფელიქს დანელია,
მარლენ კიტია, პავლე კოხრეიძე,
მარიაშ ლორთქიფანიძე, ილია ტაბაგუა,
ზურაბ შვანია, ედიშერ სოშტარია-ბროსე, გურამ შარაძე,
რეზო ხუციშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე).

Редакционная коллегия:

Зураб Махарадзе (Главный редактор),
Анри Богверадзе, Феликс Данелия,
Марлен Кития, Павле Кохреидзе,
Мариам Лорткипанидзе, Илья Табагуа,
Зураб Жвания, Эдишер Хоштария-Броссе, Гурам Шарадзе,
Резо Хуцишвили (Заместитель главного редактора).

*

რედაქციის მისამართი:

380060, თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი №1.
საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი. ტელეფონი: 37-39-13.

პირველი განყოფილება

საქართველოს არქივისათა
დღესასწაული.

წერილები და სტატიები

დოკუმენტები მთავრობისათვის

საარქივო დარგის
სელექციონალთა
შეკრება მოსკოვში

საარქივო სასელექციონო
დეპარტამენტში

ჩვენნი იუბილარები

გამოსათხოვარი

საქართველოს
არქივისტთა
დღესასწაული

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

№ 19

1999 წლის 19 იანვარი
ქ. თბილისი

საქართველოში საარჩევო დარგის მუშაკის
პროფესიული დღესასწაულის დაწესების
უბსახებ

დაწესდეს საარჩევო დარგის მუშაკის
პროფესიული დღესასწაული – საარჩევო დარგის
მუშაკის დღე და აღინიშნოს იგი მარტის ყოველ
პირველ კვირა დღეს.

ე. შიგარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს საარქივო დარგის მუშაკებს

გულითადად გილოცავთ თქვენს პროფესიულ დღესასწაულს, რომელიც წელს პირველად აღინიშნება.

საარქივო დარგის მუშაკის პროფესიული დღესასწაულის დაწესებით დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ ღირსეული პატივი მიაგო ჩვენი ერის ისტორიული მემკვიდრეების ერთგული მცველებისა და მკვლევარების თავდადებულ შრომას.

ამ პატივს თქვენ დიდი ხანია იმსახურებთ. იგი დიდი ხანია დაიმსახურეს თქვენმა წინამორბედებმა და იმის იმედიც მაქვს, რომ მათი და თქვენი ტრადიციებიც ღირსეულად გაგრძელდება.

ჩვენი ეროვნული საარქივო ფონდი ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის განუყოფელი ნაწილია. მასში თავმოყრილია სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ისტორიის მქონე ერის უმდიდრესი მატერიალური და კულტურული მემკვიდრეობა, თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლის ისტორიის ბრწყინვალე ფურცლები, მისი მიღწევები ხელოვნებაში, მეცნიერებაში, განათლებაში, მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებაში.

ამ საუნჯის მოვლასა და გამომზეურებას სწორედ ისეთი მაღალი პროფესიონალიზმი და ერთგულება სჭირდება, როგორსაც თითოეული თქვენგანი ავლენს იმ უბანზე, რომელიც მინდობილი აქვს.

მადლობა მინდა გითხრათ ამ შრომისათვის, ამ ერთგულებისა და თავდადებისათვის.

მივესალმები თქვენი დარგის შემდგომი განვითარებისათვის გადადგმულ ყოველ ნაბიჯს, თქვენი საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოების ყოველ კონკრეტულ ფაქტს და ვისურვებთ შემდგომ წარმატებებს!

მღუბარე შემვარდნაძე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

საქართველოს საარქივო დარგის მუშაკებს

ქმირფასო მემობრებო!

საქართველოს პარლამენტის სახელით სულითა და გულით გილოცავთ თქვენს პროფესიულ დღესასწაულს. წელს ჩვენი ქვეყანა პირველად აღნიშნავს საარქივო დარგის მუშაკის დღეს, რაც უჭველად იმ საქმის უდიდესი მნიშვნელობის აღიარებაა, რომელსაც თქვენ ასე თავდაუზოგავად ემსახურებით.

მთელი ჩვენი საზოგადოება დიდად აფასებს თქვენს შრომას და საქმის სიყვარულს. თქვენს მაღალ პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნება. მაღლობას გიხდით საქმის უანგარო სიყვარულისთვის, თავდაუზოგავი შრომის, დიდი მოთმინებისა და შეუპოვრობისათვის.

ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ ყველა თაობის საარქივო დარგის მუშაკს მოგილოცოთ პროფესიული დღესასწაული და გისურვოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება პირად ცხოვრებაში და წარმატებები თქვენს საქმიანობაში!

საუკეთესო სურვილებით

ჯურაბ შანია

თბილისი, 2 მარტი, 1999 წელი.

საქართველოს
პარლამენტი
თბილისი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შეაღწევის საბჭოს თავმჯდომარე საარქივო დაწესებულებათა მუშაკებს

პიროფასო მებობრეპო!

დღეს ქვეყანაში პირველად აღინიშნება საარქივო დარგის მუშაკის პროფესიული დღესასწაული. საარქივო დარგის მუშაკის დღის შემოღება ღირსეული დაფასება და ზაზგასმამა იმ დიდი, კეთილშობილური შრომისა, რასაც ქვეყნის არქივისტიები ეწვეიან ისტორიული მემკვიდრეობის ამსახველი დოკუმენტური მასალის საიმედოდ დასაცავად და მომავალ თაობამდე უკლებლივ მისატანად.

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა აჭარის საარქივო დაწესებულებათა საქმიანობაში. დღეიანად იხვეწება მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები, მაღლდება არქივისტთა პროფესიული დონე, რის შედეგადაც მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები.

ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება პრაქტიკულად გამოხატავს თავის თანადგომას და მხარდაჭერას სისტემის მუშაკებისადმი. ქმედით დონისძიებებს ახორციელებს საარქივო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად და სახელმწიფო არქივებში დაცული დოკუმენტების მოვლა-პატრონობის გასაუმჯობესებლად.

ამის დასტურია ისიც, რომ ქვეყნის უშიშესი შეჭირვების უამს - 1992 წელს საქსპლოატაციოდ გადაეცა ცენტრალური სახელმწიფო არქივის შენობა 800 ათას საქმეთა ერთეულზე. ბოლო ექვს წელიწადში სახელმწიფო შენახვავ მიღებულია 279 ათასი საარქივო საქმე, პრაქტიკულად იმდენივე, რამდენიც განთავსებული იყო 1923 -იდან 1990 წლამდე. ახლა მთავარ ამოცანად ვთვლით უზრუნველყოთ სახელმწიფო არქივები თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი აღჭურვილობითა და საშუალებებით.

მიზანმიმართული მუშაობა გაიშალა საზღვარგარეთის არქივებში დაცული საქართველოს, კერძოდ აჭარის, ისტორიის ამსახველი მასალების მოსაკვლევად და შემოსატანად.

ხელისუფლების მუდმივი ყურადღების საგანია საარქივო დარგის შემდგომი განვითარების თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1998 წლის 22 იანვრის დადგენილებით დასახული დონისძიებების პრაქტიკული რეალიზაცია. ამ დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განხორციელება საარქივო სისტემის მუშაკთა ყოველდღიური საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებაა.

ღარწმუნებული ვართ, სახელმწიფო არქივის ხელმძღვანელები, მეცნიერები, სპეციალისტიები კვლავ იდგებიან მოწოდების სიმაღლეზე, მთელ ცოდნასა და ენერგიას უშურველად მოახმარენ უაღრესად პასუხსავებ მოვალეობას - ჩვენი სახელოვანი ისტორიის გადარჩენას, ერთგულად ემსახურებიან მეტად საპატიო, საშეიშვილო საქმეს, ზოლო ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო დარგი თავისი მუშაობის ხარისხითა და შედეგიანობით ქვეყანაში საუკეთესო იქნება.

გავილიან ათწლეულები, ასწლეულები, მემატინანე რუდუნებით გადაშლის თქვენს მიერ სათუთად შენახულ საარქივო მასალებს, თავისი ეპოქის თვალსაწიერიდან მაღლიერებით შეაფასებს აღმშენებლობისა და დემოკრატიული გარდაქმნების უმნიშვნელოვანეს პროცესებს, რომლებიც ახლა აჭარაში მიმდინარეობს.

გულითადად ვულოცავთ პროფესიულ დღესასწაულს ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სისტემის ყველა მუშაკს, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, უდიდეს ბედნიერებას, ახალ წარმატებებს კეთილშობილურ საქმიანობაში.

ასლან აბაშიძე

ქ. ბათუმი, 1999 წლის 7 მარტი.

**საქართველოს საარქივო
სახელმწიფო დეპარტამენტის
თავმჯდომარეს**

ბატონ ზ. მახარაძეს

გთხოვთ მიიღოთ ჩემი საუკეთესო სურვილები საქართველოს საარქივო დარგის მუშაკის დღესთან დაკავშირებით.

ვიმედოვნებ, რომ ურთიერთთანამშრომლობა საქართველოს არქივებსა და არქივისტთა საერთაშორისო საბჭოს შორის იქნება ნაყოფიერი და ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს არქივისტთა საერთაშორისო ფორუმზე.

უაღრესი პატივისცემით

შოან ვან ალბადა.

არქივისტთა საერთაშორისო საბჭოს
გენერალური მდივანი.

**ПРЕДСЕДАТЕЛЮ АРХИВНОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
ДЕПАРТАМЕНТА ГРУЗИИ**

Г-ну З. МАХАРАДЗЕ

Уважаемый Зураб Павлович!

От имени сотрудников Росархива и российских архивных учреждений поздравляю наших грузинских коллег с Днём работника архивной отрасли – профессиональным праздником архивных работников Грузии!

Желаю руководителям и всем работникам архивной отрасли Грузии новых достижений и дальнейшей плодотворной работы в деле повышения роли архивов, как важных научных и культурных центров страны.

Уверен в том, что сотрудничество и дружеские отношения архивистов России и Грузии будут успешно развиваться и впредь станут всё более заметным фактором в гуманитарных и культурных отношениях между обоими государствами.

С пожеланиями всем грузинским архивистам большого счастья, благополучия и доброго здоровья.

**Руководитель Федеративной
архивной службы России
В. П. Козлов**

**ПРЕДСЕДАТЕЛЮ АРХИВНОГО
ГОСУДАРСТВЕННОГО ДЕПАРТАМЕНТА
ГРУЗИИ**

Г-ну З. МАХАРАДЗЕ

Уважаемые коллеги!

Примите искренние поздравления от архивистов Беларуси в связи с учреждением вашего профессионального праздника – Дня работника архивной отрасли.

Учреждение этого праздника говорит о признании руководством страны заслуг работников архивной отрасли перед обществом в области сохранения историко-культурного наследия народа Грузии.

От всей души желаем вам успехов в работе, личного счастья и выражаем надежду, что сотрудничество архивистов Грузии и Беларуси будет и дальше плодотворно развиваться.

С уважением

Председатель Госкомитета
Республики Беларусь
А. Н. Михальченко

*** * ***

**ПРЕДСЕДАТЕЛЮ АРХИВНОГО
ГОСУДАРСТВЕННОГО ДЕПАРТАМЕНТА
ГРУЗИИ**

Г-ну З. МАХАРАДЗЕ

Дорогие друзья!

Поздравляем с днём профессионального праздника. Радуемся вашим успехам, разделяем чувство законной гордости, удовлетворения, которое вы испытываете. Давние узы дружбы, братства, связывающие Азербайджанский и Грузинский народы. Об этом говорят многочисленные документальные источники, которые бережно, с любовью хранятся в архивах наших стран. Наше поколение счастливо – являемся свидетелями особого размаха смысла этой дружбы, братства. Желаем дорогим коллегам успехов в деле обогащения источниковой базы истории вашей страны.

От имени архивистов Азербайджана **А. Пашаев**

**ПРЕДСЕДАТЕЛЮ АРХИВНОГО
ГОСУДАРСТВЕННОГО
ДЕПАРТАМЕНТА ГРУЗИИ
Г-ну З. МАХАРАДЗЕ**

УВАЖАЕМЫЙ ЗУРАБ ПАВЛОВИЧ!

Архивисты Республики Армения поздравляют архивистов Грузии с профессиональным праздником - Днём работника архивной отрасли. Желаем Вам и архивистам Грузии больших творческих успехов.

С уважением

Начальник управления по архивному делу
При правительстве
Республики Армения **А. А. Фелекян.**

**Председателю архивного государственного
Департамента Грузии
г-ну З. Махарадзе**

Дорогие коллеги!

Горячо и сердечно поздравляем вас с большим событием в истории архивного строительства Грузии – учреждением Указом Президента Грузии “Дня работников архивной отрасли Грузии”. Учреждение профессионального праздника несомненно будет способствовать повышению престижа скромных тружеников архивного дела, а именно всех тех архивистов, которые искренне служат на благо сохранения истории Отечества.

Мы искренне понимаем, что архивисты Грузии выполняют огромную работу по сбору и сохранению бесценного документального богатства, представляющего собой многовековую историческую память грузинского народа и поставляет ее на службу современного общества.

Мы знаем, что в государственных архивах Грузии хранятся документы с дореволюционного периода и по настоящее время, в которых освещено этническое, социально-экономическое и культурное наследие Грузии. Все это – живая память вашего народа о светлых и трагических событиях, пережитых им за прошедшие столетия. И использование этого архивного наследия жизненно необходимо для развития общества, гуманитарных наук, обеспечения деятельности современных органов управления, решения ряда социально-правовых и гуманных вопросов граждан братского грузинского народа.

Мы знаем, что в условиях обретения и становления государственной независимости Грузии и всесторонней демократизации общества усилился интерес людей к прошлому, идет интенсивный процесс оживления исторического самосознания народа, возрождение его лучших традиций. Исходя из своих задач и функций, архивные учреждения Грузии в этом процессе принимают очень активное участие. И мы рады за ваши успехи. Наша дружба и взаимоотношения связаны с заключением с вами соглашения о сотрудничестве между архивной службой Кыргызстана и Грузии, подписанного в феврале 1996 года.

В рамках этого Соглашения архивисты Кыргызстана выражают свою лобезность и дружеское понимание в области развития архивного дела двух стран.

В день замечательного праздника примите, дорогие коллеги – архивисты, нашу дружескую признательность за ваш самоотверженный и благородный труд на благо народа Грузии и пожелания успехов, крепкого здоровья и большого человеческого счастья.

С уважением

Директор Департамента по архивному делу
Кыргызской Республики **С. Р. Джумалиев**
Заместитель директора **Т. А. Абдакаров**

საქართველოს საარჩევნო სისტემის დეკლარაციის თარგმანის ბატონ ზ. მახარაძის

ბატონო ზურაბი

გულთადად გილოცავთ თქვენ და საარჩევნო სისტემის ყველა თანამშრომელს საქართველოს საარჩევნო დარგის მუშაის დღეს. არჩევნებისთვის ღვაწლი, უმწიკვლო შრომა და მაღალი პროფესიონალიზმი დამსახურებულად არის აღინიშნული სახელმწიფო ვიდეოებით.

ბედნიერი ვარ, რომ მრავალი წლის განმავლობაში თქვენთან ერთად ვმოღვაწეობდი. ბევრი სასიკეთო საქმე განხორციელდა საქართველოში საარჩევნო დარგის განვითარებისათვის. ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ის ადამიანები, რომლებსაც უდიდესი წვლილი აქვთ შეტანილი ამ საქმეში. პირველ რიგში ბატონები სერგო მაღლაკელიძე, შალვა ჩხეტია და აბესალომ იოვიძე.

დღევანდელ თქვენს ზეიმს ავადმყოფობის გამო, სამწუხაროდ, ვერ ვესწრები. მინდა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადაგიხადოთ ჩემი მოწვევისათვის. გილოცავთ საქართველოს სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებასა და წახალისებას.

ვისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ახალ-ახალ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

პატივისცემით

გიორგი თაყაიშვილი

*

საქართველოს საარჩევნო სისტემის დეკლარაციის თარგმანის ბატონ ზ. მახარაძის საქართველოს არჩევნების თანამშრომლებს

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლექტივის, სამეცნიერო საბჭოსა და რექტორატის სახელით მოგესალმებით და გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს, რომელიც ოფიციალურად პირველად აღინიშნება დამოუკიდებელ საქართველოში.

საკუთრება მანიბლზე ქართულმა საისტორიო საბუთებმა არაერთი დარბევა განიცადა, მაგრამ ვერც თემურლენგის, ალა მაჰმად-ხანისა და ვერც ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში გაფანტულმა საარჩევნო დოკუმენტებმა ვერ გააფერმკრთალა ის დიდი საუწყე, რომელიც დავანებულა ჩვენს არქივებსა და წიგნსაცავებს. თქვენი თანამშრომლები ხომ ამ ისტორიული განძის მოვლა-პატრონობით თავიანთ მოქალაქეობრივ ვალს იხდიან სამშობლოს წინაშე.

ჩვენს უნივერსიტეტსა და საარჩევნო სახელმწიფო დეპარტამენტს შორის მჭიდრო შემოქმედებით ურთიერთობაა, რაც კიდევ უფრო განმტკიცდა 1998 წელს, როცა ჩვენმა უნივერსიტეტმა იკისრა შეტად საპატიო მისია – საქართველოს საარჩევნო სისტემას მოუმზადოს მომავალი კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც არქივთმცოდნეობასთან ერთად დაეუფლებიან უცხო ენებს და ფართო ასპარეზი მიეცემათ ცხოვრების გზაზე.

მიხარია, რომ შესაძლებლობა მომეცა მადლობა მოგახსენოთ ჩვენი სტუდენტების, თანამშრომლების მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებისა და ყურადღებისათვის.

ვისურვებთ ჯანმრთელობას, დღევანდელობასა და თქვენი შრომის ღირსეულ დაფასებას!

პატივისცემით,

უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მანუჩარე სარდიანი**

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 26 თებერვალი

დ. თბილისი

საარქივო დარგის მუშაკთა ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში საარქივო დარგის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ საარქივო დარგის მუშაკები:

თაყარ სახოკია – დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკური ლაბორატორიის დირექტორი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი;

შოთა ღირცხელაძე – ჩხოროწყუს რაიონული სახელმწიფო არქივის დირექტორი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი;

მანანა შინგაია – საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

მ. შივარდნაძე

*

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 2 აპრილი

დ. თბილისი

ფ. დანელიას, მ. კილაძის, უ. ლაცუშვიანისა და მ. ღვალაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალური საკითხების მაღალპროფესიულ დონეზე გაშუქებისათვის დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით:

ფელიქს დანელია – საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი;

მანია კილაძე – საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი;

უიო ლაცუშვიანი – საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი;

მარატ ღვალაძე – საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის განყოფილების გამგე, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

მ. შივარდნაძე

ღვაწლის ღაფასება

საქართველოში საბრძოლო ღირსების განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისა და მაღალი გროფსიონალიზმისათვის საქართველოს პრეზიდენტის განაპარგულაბით ღირსების მადლით დაჯილდოვდნენ საბრძოლო ღირსების მუშაკები:

მერე ნანდაშვილი - საქართველოს საარტილ სახელმწიფო დეპარტამენტის განყოფილების უფროსი, **სერგო მუხომბიძე** - სიღნაღის რაიონული სახელმწიფო არტილის დირექტორი, **მამა შაბნოძე** - საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, **პარინა თომარხანიძე** - ახალგაზრდა რაიონული სახელმწიფო არტილის მეთრე კატეგორიის არტილისტი, **პარნო თიბაშვილი** - ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არტილის დირექტორის მოადგილე, **ნაზო თომარხანიძე** - ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არტილის დირექტორის მოადგილე, **ლინდა ქალანდაიშვილი** - თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არტილის დირექტორის მოადგილე, **ნარან მანდაშვილი** - თერჯოლის რაიონული სახელმწიფო არტილის დირექტორი, **მარგარიტა მანდაშვილი** - ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არტილის დირექტორის მოადგილე, **მანან ნანდაშვილი** - გორის რაიონული სახელმწიფო არტილის დირექტორი, **ნაზო ნოზაშვილი** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარტილ სახელმწიფო დეპარტამენტის მოვარის სპეციალისტი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, **ნინო მინაშვილი** - აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არტილის განყოფილების უფროსი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, **ნოზო მინაშვილი** - ფოთის საქალაქო სახელმწიფო არტილის დირექტორი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, **მთარ ნანდაშვილი** - საქართველოს საარტილ სახელმწიფო დეპარტამენტის განყოფილების უფროსი, **მანან ნანდაშვილი** - სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის ცენტრალური სახელმწიფო არტილის დირექტორის მოადგილე, **მინა ნანდაშვილი** - უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არტილის მოვარის არტილისტი, **პარინა მინაშვილი** - ვარდახის რაიონული სახელმწიფო არტილის დირექტორი, **ნინო ნინდაშვილი** - კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არტილის დირექტორის მოადგილე.



მადლობა დამსახურებს

საქართველოში საბრძოლო ღირსების განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისა და მაღალი გროფსიონალიზმისათვის საქართველოს პრეზიდენტის განაპარგულაბით მადლობა გავთუხვავთ საბრძოლო ღირსების მუშაკებს:

მერე ბაშკინი - კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არტილის ფირის გამგეაუნებელს, **ლარა ნორმაშვილი** - თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არტილის განყოფილების გამგეს, **მანან ნინდაშვილი** - ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არტილის ფონდების მოვარ მცველს, **მარინა მუხომბიძე** - სენაკის რაიონული სახელმწიფო არტილის დირექტორს, **ნინო ნანდაშვილი** - საქართველოს საარტილ სახელმწიფო დეპარტამენტის წამგან სპეციალისტს, **ნინო ნანდაშვილი** - საქართველოს საარტილ სახელმწიფო დეპარტამენტის მოვარ სპეციალისტს, **მთარ ნანდაშვილი** - ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არტილის პირველი კატეგორიის არტილისტი, **მარინა მინდაშვილი** - უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არტილის არტილსაკავის გამგეს, **მარინა მინდაშვილი** - თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არტილის წამგან არტილისტი, **მთარ ნანდაშვილი** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის სპეციალური ფონდების ქვეანყოფილების უფროსი, **პარინა მინდაშვილი** - ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არტილის განყოფილების გამგეს, **ლინდა ქალანდაიშვილი** - საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის არტილის რეგენტს, **მერე მინდაშვილი** - საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის გეოლოგიური ფონდის სამმართველოს უფროსი, **მთარ ნინდაშვილი** - ხელვაჩაურის რაიონული სახელმწიფო არტილის დირექტორს, **მანან მინდაშვილი** - სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის ცენტრალური სახელმწიფო არტილის განყოფილების გამგეს, **მთარ მინდაშვილი** - ონის რაიონული სახელმწიფო არტილის დირექტორს, **ნინო მინდაშვილი** - კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არტილის განყოფილების გამგეს, **მთარ მინდაშვილი** - ხარაგაულის რაიონული სახელმწიფო არტილის დირექტორს, **მთარ მინდაშვილი** - ქარელის რაიონული სახელმწიფო არტილის დირექტორს, **მარინა მინდაშვილი** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარტილ სახელმწიფო დეპარტამენტის მოვარ სპეციალისტი, **მანან მინდაშვილი** - საქართველოს საარტილ სახელმწიფო დეპარტამენტის მთავარს, **მთარ მინდაშვილი** - უწყებათა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სამსახურის მოვარ არტილისტი, **მთარ მინდაშვილი** - საქართველოს საარტილ სახელმწიფო დეპარტამენტის სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკის მოვარ ბიბლიოთეკარს, **მთარ მთარმინდაშვილი** - რუსთავის საქალაქო სახელმწიფო არტილის მეთრე კატეგორიის არტილისტი, **მარგარიტა მინდაშვილი** - ვანის რაიონული სახელმწიფო არტილის დირექტორს, **ნინო ნინდაშვილი** - ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არტილის განყოფილების გამგეს, **მთარ მინდაშვილი** - საქართველოს საარტილ სახელმწიფო დეპარტამენტის მოვარ სპეციალისტი, **მთარ**



სოსიანი - კინოფოტოფონოლოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის განყოფილების გამგეობის
ტაბუნაშვილი - კასპის რაიონული სახელმწიფო არქივის დირექტორს, **გიორგი პარძიაშვილი** - ახალციხის
 რაიონული სახელმწიფო არქივის მეორე კატეგორიის არქივისტს, **ნანა შიქიძე** - ლიტერატურისა და ხელოვნების
 ცენტრალური სახელმწიფო არქივის განყოფილების გამგეობის, **მზია ქაბინაშვილი** - კინოფოტოფონოლოკუმენტების
 ცენტრალური სახელმწიფო არქივის განყოფილების გამგეობის, **თაბარ შათირიაშვილი** - საქართველოს სახელმწიფო
 კანცელარიის არქივის საქმის მწარმოებელს, **ვიქტორ ნიკოლაძე** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
 სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივის გამგეობის, **ლილი ნიხაძე** - საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის
 სამინისტროს არქივის გამგეობის, **მამუკაძე ქაბახიანი** - დოკუმენტების რესტავრაციისა და მკერფოვლობის რესპუბლიკური
 ლაბორატორიის პირველი კატეგორიის მხატვარ-რესტავრატორს, **მისია ხარაბაშვილი** - ყვარლის რაიონული
 სახელმწიფო არქივის დირექტორს, **პალაშვილი ნიკოლაშვილი** - შუაგვის რაიონული სახელმწიფო არქივის არქივისტს,
თინათინ ჯაბაძე - უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მთავარ არქივისტს.



წლებულს პირველად საქართველოში

საბარძიშვილი დარბის მუშაობის დღის აღსანიშნავი
საზეიმო შიქიძე

21607

1999 წლის 5 მარტს გაიმართა საარქივო დარგის მუშაობის დღის აღსანიშნავი საზეიმო შიქიძე. ესწრებოდნენ
 საარქივო საქმის მუშაკები, ვეტერანი არქივისტები, მოწვეული სტუმრები - საქართველოს პარლამენტისა და სახელმწიფო
 კანცელარიის წარმომადგენლები.

პირველი სიტყვა მიეცა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის კულტურის, მეცნიერებისა და განათლების
 განყოფილების გამგეობის **მამუკაძე ნიკოლაშვილი**, რომელმაც წაითხა საქართველოს პრეზიდენტის ელვარდ შევარდნაძის
 მისამართა საარქივო დარგის მუშაკებისადმი. საქართველოს პარლამენტის კულტურის, მეცნიერებისა და განათლების
 კომიტეტის თავმჯდომარემ **ნოდარ პაპიაშვილი** დაამსწრებებს გააცნო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
 ზურაბ ჟვანიას მისალმება არქივისტებისადმი. გამოსვლებმა ილაპარაკეს საარქივო საქმის დიდ მნიშვნელობაზე და
 დარბაზში მყოფთ მიულოცეს დღესასწაული.

საქართველოში საარქივო საქმის განვითარებაზე, ამ დარგში გაწეული საქმიანობისა და მის დღევანდელ მდგომარეობაზე
 მოხსენება გააკეთა საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ **ზურაბ მახარაძემ**.

მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი
ანდრეა პაპიაშვილი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი
გიორგი მატყაშვილი, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი **მამუკაძე ნიკოლაშვილი**,
 თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
მამუკაძე ნიკოლაშვილი, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, პროფესორი **მამუკაძე ტაბაშვილი**,
 კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ზურაბ პაპიაშვილი, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის განყოფილების გამგეობის **ანდრეა პაპიაშვილი**, თბილისის
 სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის
 არქივმომცოდნეობის სპეციალისტის სტუდენტი **ლევან მამუკაშვილი**, ანსამბლ "რუსთავის" სამხატვრო ხელმძღვანელი
ანდრეა პარძიაშვილი, პოეტი **მისია ნიხაძე**, საქართველოს საარქივო დარგის ყოფილი ხელმძღვანელი, ნიკო
 ბერძენიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი **მამუკაძე მამუკაშვილი**, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე
მამუკაძე ნიკოლაშვილი.


დასასრულს გაიმართა კონცერტი ანსამბლების "რუსთავისა" და "თაიგულის" მონაწილეობით.

გაქვეყნებთ გამოშლელითა სიტყვებსა და დეპარტამენტის თავმჯდომარის ზურაბ მახარაძის მოხსენებას.

მამუკაძე ნიკოლაშვილი:

- ნება მიბოძეთ, წაგიკითხოთ საქართველოს პრეზიდენტის მილოცვა დღევანდელ დღესთან დაკავშირებით. ჩემ-
 თვის დიდი პატივია როგორც ამ მილოცვის წაითხვა, ისე თქვენთან ყოფნა დღეს, აი, აქ დღეში და მისალმება.

2. საისტორიო მუშაობა, №71-72



კითხულობს მისალმების ტექსტს და შემდეგ განაგრძობს:

- ნება მიბოძეთ ამ სიტყვებს მეც შევერთოდე და გითხრათ ისიც, რომ პირადად ჩემთვის საარქივო მასალებთან ურთიერთობა, შეძობლა თუქვას, ჩემი ბავშვების ყველაზე საუკეთესო მოვრებაა. ბავშობისას იმიტომ ვამბობ, რომ იოსებ იმედაშვილის არქივში ქვეყა იყო ჩემთვის უჩვეულო სიამოვნება და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების უდიდესი ფაქტი. ეს დღე მართლაც მტკაღ მნიშვნელოვანია. ჩვენ ამით ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ერის მემკვიდრეობის მოვლა არის სახელმწიფოსათვის უპირველესი საზრუნავი, წლების, პოლიტიკური სიტუაციისა და ამა თუ იმ ხელისუფლების მოსვლა-წასვლის მიუხედავად. აი, თქვენ ხართ ის ხალხი, ვინც ამ მემკვიდრეობას ინახავთ. დიდი მადლობა ამისათვის!

ნოდარ ამაღლობაში:

-ქალბატონებო და ბატონებო!

ნება მიბოძეთ, მოვილოცოთ ერისათვის ეს ფრიად მნიშვნელოვანი დღესასწაული - საარქივო დარგის მუშაკთა დღე. თქვენ ბრძანდებით ერის მემკვიდრეობის შენახავი და განმსაზღვრელი ძირითადი მექანიზმი, რაც დღეისათვის ესოდენ გვეპირდება და ესოდენ რთულ მდგომარეობაშია. გვაქვს ყველა ბევრი რამ, რაც არცთუ ისე შორეულ წარსულში განმსაზღვრავდა ჩვენს მომავალს. ნება მიბოძეთ, გადმოვცეთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოლოცვა და წაგიკითხოთ იგი.

კითხულობს ტექსტს.

შემდეგ ნოდარ ამაღლობაში მიმართა არქივის მუშაკებს:

- ერთხელ კიდევ გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს და ვისურვებთ დიდ წარმატებებს ჩვენი ერის სასიკეთოდ!
გამადლობთ!

ზურაბ მახარაბიძე:

-ქალბატონებო და ბატონებო! ძვირფასო სტუმრებო!

უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, უდიდესი მადლობა მოვახსენო საქართველოს პრეზიდენტს, ბ-ნ ევჟარდ შევარდნაძეს და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბ-ნ ზურაბ ფუჩაიას თბილისი მისალმებისათვის, რომლებიც დღეს ჩვენმა საპატიო სტუმრებმა გავაცანეს. ბატონები კობა იმედაშვილი და ნოდარ ამაღლობი არა მარტო ჩვენი ხშირი სტუმრები არიან, არამედ გვეხმარებიან კიდევ ყოველდღიურ საქმიანობაში. იმედოვნებ, რომ ეს დახმარება და ყურადღება ჩვენი დარგის მიმართ მომავალში უფრო მეტი იქნება.

წლებულ საქართველოში პირველად აღინიშნება საარქივო დარგის მუშაკის პროფესიული დღესასწაული, რომელიც დაწესებულია საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ევჟარდ შევარდნაძის 1999 წლის 19 იანვრის ბრძანებულებით. ამ დღის დაწესებით საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი პატივისცემა და ყურადღება საარქივო დაწესებულებებისადმი და გაითვალისწინა ქვეყნის არქივების ისტორიული მნიშვნელობა, ჩვენი არქივისტების უნაგარი, ჭეშმარიტად თავგანწირული შრომა, რომლებიც ქვეყანაში შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, როცა თვითონ არ რიგდება ზღვრისა და ისიც მინიმალურ ზღვრას არ აღემატება, მაღალი პროფესიონალიზმით, ერთგულად ვისაზრებებიან ერის საგანძურის მოვლა-პატრონობის საქმეს.

ესარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ გულწრფელად მადლობას მოვახსენებთ თქვენი უმრეტი ენერჯის, მინდობილი საქმისადმი უსოში სიყვარულისა და ერთგულების, დრამა ცოდნისა და ჩვეული თავდადებას გამო. ვისურვებთ ახალ წარმატებებს ეროვნულ, პატრიოტულ საქმიანობაში, რომელსაც ეწვეთ ერის სულიერი საგანძურის მოვლა-პატრონობას და გამოხეხურებაში. ბედნიერებას და სიხარულს პირად ცხოვრებაში. შევანჩია, რომ არქივისტის დღესასწაულის დაწესება და მისი ღირსეულად აღინიშნება დიდად შეუწყობს ზელს საარქივო დარგის მუშაკთა პრესტიჟისა და სასუბისმგებლობის ამაღლებას.

საქართველოში საარქივო საქმის განვითარების ისტორიის საწყის თარიღად ბოლო დრომდე მიიჩნეოდნენ 1921 წლის 1 ივლისის, როცა საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოაცხადა დეკრეტი "საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ". იგი ცერდნობდა რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ 1918 წლის 1 ივლისის მიღებულ საარქივო საქმის რეორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის დეკრეტის ბირითად დებულებებს. ეს საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის თითქმის 70 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი იყო ამ მიმართულებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 1920 წლის დეკლარაციულ-პროგრესული დოკუმენტები, რომლებიც უპირატესად გადაწვეტილ საბჭოთა-საბურთალოს მნიშვნელობის დოკუმენტების მომავალი ბედი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 1920 წლის 1 მარტს ქ. თბილისში რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსება. აი, რატომ დაწესდა საქართველოს პრეზიდენტმა არქივისტთა დღესასწაული სწორედ მარტის პირველ კვირას.

არქივის სამართლიანად უწოდებენ ერის სულიერი კულტურის საგანძურს. აქ დაცული მრავალფეროვანი დოკუმენტები - ეტრატზე, პერგამენტზე დაწერილი უძველესი სიგელ-გუჯრები, ხელნაწერი წიგნები, წერილობითი, კინო, ფოტო თუ ფონოლოკუმენტები მისტორიო მეცნიერების პირუთუნელი წყარო, ჩვენი ხალხის უმდიდრესი მატარეა, კულტურული საუნჯეა, რომლის შენახვა და გამოყენება უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

სამწუხაროდ, სახელგანთქმ კარგად არ იცის, რისი მფლობელიც ვართ, რა ფასდაუდებელი საგანძურია დაუნჯებული საქართველოს სახელმწიფო არქივებში! საქმიანისა ითქვას, რომ ჩვენი დეპარტამენტის სისტემის 80 დაწესებულებაში დაცული 5 მილიონამდე შეხანახი ერთეული (საქმე) ჭეშმარიტად ერის დიდი საგანძურია.

ძველი ქართული ხელნაწერი წიგნებისა და ისტორიული საბუთების დიდი რაოდენობა თავმოყრილია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდებში. ეს უდიდესი ფონდები ერთბაშად არ შექმნილა. ვერ კიდევ ძველად არსებობდა სამეფო არქივები და მბაბლიოთეკები, ცალკეულ ფეოდალურ საგვარეულოთა და სამონასტრო წიგნსაცემები. უბრაუბი დაცული იყო თითქმის ყველა ოჯახში, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მიერ გადაბანდილი ქართველების, ათასგვარი სპეციის მტრების შემოსევითა და წგრევა-აოხრების შედეგად ბევრი რამე დაიღუპა და ისტორიისთვის საუფაშოდ დაიკარგა.

მტერი არა მარტო ბაღ-ვენახებს ანადგურებდა, არამედ სულიერი კულტურის ძეგლებსაც იტაცებდა და სპობდა, მაგრამ ყველაფრის განადგურება ვერ შეძლო. ჩვენს წინაპრებს თავიანთი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით არაერთი მფრავი ხელნაწერი წიგნი თუ სიგელ-გუჯარი ცნახლიდან "ტყვეობიდან" დაუხსნიათ.

ძველი ქართული კულტურის ძეგლების, მათ შორის ხელნაწერთა და ისტორიული დოკუმენტების შეგროვებისა და დაცვის საქმეს დიდი დეაწლი დასდეს გამოჩინილმა ქართველმა მამულიშვილებმა ილია ჭავჭავაძემ, დიმიტრი ყოფინმა, თედო ფორდანიამ, ექვთიმე თყაიფიელმა, დავით კარიჭაშვილმა, დიმიტრი ბაქრაძემ, მოსე ჯანაშვილმა და სხვებმა.

დღეს დირხეულ პატივის მივაგებთ ჩვენს სახელოვან მეცნიერებსა და მამულშვილებს, რომლებიც საარქივო საქმის ორგანიზაციის სათავეებთან იდგნენ: ივანე ჯავახიშვილს, პავლე ინგოროვილს, სარგის კაკაბაძეს, ნიკოლოზ ბერძენიშვილს, სიმონ ჯანაშიას, ვუკოლ ბერიძეს, სიმონ ესაძეს, შალვა ჩხეტას, იასე ცინცაძეს, გიორგი გოზალიშვილს, მიხეილ პოლიციკოვს, ვიქტორ ბროსის და სხვა მრავალ მოღვაწეს, რომლებმაც თავიანთი მეცნიერული გამოკვლევებითა და სასუბიეკაციო საქმიანობით აამაღლეს არქივების როლი და მნიშვნელობა ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის შესწავლაში.

სხვადასხვა დროს ჩვენში საარქივო დარგს ხელმძღვანელობდნენ სარგის კაკაბაძე, ალექსანდრე წერეთელი, იმხილ იოვიძე, გრიგოლ გაბისონია, მიხეილ გაბრიძე, შალვა ცაგარეიშვილი, გიორგი თავამიშვილი, ვილი კაჭარავა და ალექსანდრე მანღლაშვილი.

გიორგი თავამიშვილმა და ვილი კაჭარავამ ძალიან ბევრი რამ გააკეთეს საარქივო დარგის წინსვლა-განვითარებისათვის. ჩვენმა არქივისტებმა მათი დიდი დეაწლი აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიით აღინიშნეს. სულითა და გულით მივესალმებით ამ ამბავად აღამიანებს, მწერობას, ბედნიერებას და სიციეთს ვუსურვებთ.

დღეს ჩვენს სიხარულს ინაწილებენ საარქივო დარგის დეაწლოშილი დამამიანე ნინო თედორაძე, ქეთევან ჭიჭინაძე, მერი მელიქიძე, თამარ რუსიშვილი, ბეგისა ამამუკელი, ვაჟამლ შამიშელაშვილი, ანზორ კალმახელიძე, ვალენტინა ცომაია, ბონდო ჩიკვაძე, თამარ ზამანოვა, გალინა წერეთელი, ვიგი თავაძე, ნანა კვალაშვილი, ნოდარ მინდიაშვილი, დავით ხომტარია და სხვები, რომლებმაც თავიანთი ცხოვრების დიდი ნაწილი ერთეულ არქივებში გაატარეს და ენერგიული მუშაობით დიდი სამსახური გაუწიეს ჩვენს დარგს.

სამუშაოდ, ბევრი ამამოსილი არქივისტი წავიდა ამ საწუთროდან. გულისტკივილით ვისვენებთ და დიდ პატივს მივაგებთ მათ უანგარო მოღვაწეობას. ესენი იყვნენ სერგო მაღლაკელიძე, დიმიდ დათუაშვილი, ვლადიმერ ბაბოლა, აბესალომ იოვიძე, თამარ ტაბალიაშვილი, ვლენე ჯაყელი, დავით ომიანი, ბესარიონ ტაბიძე, შალვა ბერუაშვილი, ვიორგი ჩიჭოვაძე, შალვა გულუა, ბორის პირადოვი, ლეონ მელიქიშვილი, ბიძინა დვინიაშვილი, კასიანე ჯორბენაძე, ანტო ხალიშვილი, მერი თოფურია, შალვა თოფურია, თინა ჩხენკელი, ვლადიმერ გაბელია, მარიამ გურგენიძე, ალექსანდრე უკლაინიკოვი, დომან პეტრაევა, რუსუდან ოსმანაშვილი, ნინო სანოვა, იზოლდა დეალი, ავთანდილ ზაქარია, სოლომონ ლეკიშვილი, შუმანა მგალობლიშვილი, შალვა ასათიანი, ვიგი მტკვარანი, ლინა უკლება, თამარ კალანდარიშვილი, ქეთევან ქეჯავა, ტარიელი გრიგოლია, ვახტანგ გურგენიძე, აფხაზეთში ძვირფულად დაღუპული ვლადიმერ კალატოზიშვილი და მრავალი სხვა. მათი სხონეა და ამავი ყველა ჩვენგანისათვის ეძიერფათა.

გთხოვთ ფეხზე ადგომით მივაგათო პატივი მათ ნათელ სხონებს.

ნათქვამია, მეტობის მეტობი არ დაიღუპო და, ალბათ, შეუძლებელია ჩვენი ყველა თავგამოჩინილი კოლეგის მოხსენება. თითოეული თქვენგანი თავდადებით ემსახურებოთ მინდობილ საქმეს და მოელ ნიჭს, უნარსა და ძალისხმევას ამბართ დიდ ერთეულ საქმეს. ბევრი თქვენგანის დეაწლი სახელმწიფო ჯილდოებით აღინიშნა. ჩვენი ხელისუფლება და საზოგადოება მომავალშიც დირხეულად დააფასებენ თქვენს გარჯასა და ამავს.

საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის და მის საქვეყნეო დაწესებულებათა საქმიანობის მთავარი მმართველბა კანონის "ერთეული საარქივო ფონდის შესახებ" მოთხოვნათა პრაქტიკული რეალიზაცია, სრული ამოქმედება და ამის საფუძველზე საარქივო საქმის შემდგომი განვითარება. საარქივო დარგის წინაშე მდგარ ამოცანათა შესასრულებლად უკანასკნელი ორი წლის მანძილზე განხორციელდა მთელი რიგი საორგანიზაციო, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ღონისძიებები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ყურადღება საარქივო დარგისა და სახელმწიფო არქივების მუშაობა მიმართ. 1997 წელს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტს მიეცა საარქივო უწყებისათვის იმუათი შესაძლებლობა - გამოსულიყო ქვეყნის მთავრობის წინაშე თვისი პრობლემებით და საარქივო სისტემის დაწესებულებათა მიერ ვაწეული მუშაობის ვრცელი ანგარიშით, რომლის დროსაც დეპარტამენტის ხელმძღვანელებამ ყურადღება გაამახვილა მუშაობის სიძნელეებზე და გადასაწევეტ საკითხებზე. ამის შედეგად 1997 წლის 18 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა გამოცემა განკარგულება "საქართველოში საარქივო დარგის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ".

პრეზიდენტის ეს განკარგულება მნიშვნელოვანი ეტაპია "ერთეული საარქივო ფონდის შესახებ" კანონის სამოქმედოდ



შეზღუდვისა და მის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაში, ხელს უწყობს საარქივო დარგში შექმნილ პრობლემათა გადაჭრას საარქივო დაწესებულებათა საქმიანობის შემდგომ სრულყოფას. საქმარისა გავიხსენოთ, რომ პრეზიდენტის ამ განკარგულების შესახებ შეხვედრებზე მომზადდა და გასული წლის თებერვალში პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა "საქართველოს სახელმწიფო არქივების მშენებლობის, არსებული შენობების რეკონსტრუქციისა და აღჭურვის 1999-2003 წლების კომპლექსური პროგრამა". გათვალისწინებულია სახელმწიფო არქივებისათვის ახალი შენობების მშენებლობა (კინოფოტოფონოლოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ამბროლაურის, მარტვილის, საგარეჯოს, სიღნაღის, მესტიის, ჩხორიწყის რაიონული სახელმწიფო არქივები), დეუმოკრატული შენობების დასრულება (თიანეთისა და ასპინძის რაიონული სახელმწიფო არქივები), მთელი რიგი საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივების შენობათა კაპიტალური შეკეთება, ცენტრალური სახელმწიფო არქივების უახლესი ტექნიკით აღჭურვა.

საშუაზაროდ, ადგილებზე ვერ ვაღწეროთ ძალზე ცოტა ვაკეობული ამ ბრძანებულების შესასრულებლად. ნელი ტეშით მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ახალი მშენებლობების დასაწყებად კომპლექსური პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში. ადგილობრივმა გამგებლებმა ვერ უზრუნველვეს ნაკვეთების გამოყოფა და სხვა. ჩვენს დეპარტამენტს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან, ადგილობრივ გამგებებთან ერთად მოუწევს დაბაძული მუშაობა, რომ პრაქტიკულად განხორციელდეს ეს ბრძანებულება.

საშუაზაროდ, ადგილებზე ვერ ვაღწეროთ მრავალი გადაუჭრელი პრობლემა და ზარეზი ჩვენი საარქივო დაწესებულებების საქმიანობაში. ისინი გამოწვეულია როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზებით. ყოვლად შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული საგარეჯოს, გარდაბნის, ქარელის, მესტიის, ლანჩხუთისა და რაივი სხვა რაიონების არქივები. დოკუმენტების აზიანების ნესტი.

სერიოზული დახმარება ესაჭიროებათ მცხეთის, სენაკის, მარტვილის, აბაშის, ასპინძისა და სხვა რაიონების არქივებს.

საქართველოს პრეზიდენტი დიდად აფასებს სახელმწიფო არქივების მუშაობა თვითწარმოებულ პროფესიულ საქმიანობას. ამ დაფასებისა და პატივისცემის დასტურია საარქივო დაწესებულებების თანამშრომელთა დიდი ჯგუფის ორჯერ ზედიზედ საქართველოს ორდენებითა და მედალებით დაჯილდოება, არქივებისათვის პრეზიდენტის მაღლობის გამოცხადება. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ჩვენი არქივისტები ამ ზრუნვასა და ყურადღებას ენერგიული შრომით უპასუხებენ. ამადლდა დისციპლინა, გაუმჯობესდა შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვა, აღრიცხვა, სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შედგენა.

განვიღო პერიოდში გრძობდა მუშაობა საარქივო კანონის ამოქმედებისათვის აუცილებელ ნორმატიულ-მეთოდოლოგიკ აქტებზე. მომზადდა "ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების მუდმივად შენახვის უფლების მქონე ორგანიზაციის-დაწესებულებებში დოკუმენტების დაცვის წესები", "ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ცენტრალიზებული აღრიცხვის წესები", "ერთიანი საქმისწარმოების წესები სამინისტროების, უწყებებისა და დაწესებულებებისათვის", "საუწყებო არქივებში დოკუმენტების შეფასებელი ექსპერტის ჩატარების, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შერჩევისა და დამუშავების, ვადაგასული დროებით შესანახი დოკუმენტების გასანადგურებლად გამოყოფისა და გაფორმების წესები", "ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების საუწყებო შენახვის ზღვრული ვადების დაწესების შესახებ" და სხვა დოკუმენტები.

უკანასკნელ წლებში შექმნილი მრავალი ხიზნის მიუხედავად, შევძელით შეგვესრულებინა დოკუმენტების დაცვისათვის ვალდებულები მთელი რიგი სამუშაოები: ცენტრალური საისტორიო არქივის საცავისა და კომპიუტერიზაციის შენობაზე ბრტყელი გადახურვა; შევცვაღეთ უფანგავი თუნუქის ქანობიანი გადახურვით. კინოფოტოფონოლოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის საცავების ერთსართოლიან შენობაზე მიღიანად ახლეთ შეიცვალა მწობრიდან ამოსული ბრტყელი გადახურვის საფარი. დაწყებულია და უსახსრობის გამო ვერ ვერობით შექრებულია უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ავარიული შენობის საძირკვლის გასამაგრებელი სამუშაოები.

გამაგრებითი სამუშაოები შესრულდა კინოფოტოფონოლოკუმენტების ოთხსართოლიან და საცავების ერთსართოლიან ავარიულ შენობებში.

შეკვლია ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის სამკითხველო დარბაზი. აღდგინლია სახანძრო აუზი, საცენტრალური და საკონდიციონერო სისტემები, კაპიტალურად შეკვლია ლიფტები, მოწყობი შენობების ავტონომიური გათბობის სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს გათბობის უკანასკნელი ორი სეზონის მანძილზე. შენობების პირველი სართლის ფანჯრები და კარები გამაგრდა გისოსებით. საისტორიო, უახლესი ისტორიის, კინოფოტოფონოლოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივები და საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტში აღიჭურვა კომპიუტერული და ასლგამამარველებელი ტექნიკით. შექმნილია საჭირო ინვენტარი - კარადები, სკამები, მტვერსასრუტები და ა.შ.

რეგულარულად არ გამოდიოდა დეპარტამენტის პერიოდული ორგანო - "საისტორიო მოამბე". დავალიანება ოთხი წელი იყო. გამოიბეზდა საჭირო თანხა, პოლიგრაფიული ბაზა, დაიფარა დავალიანება და შეიძლება ითქვას, რომ მტკიცე ნადავზე დადგა "საისტორიო მოამბის" რეგულარული გამოცემის საქმე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 8 წლის მანძილზე შეწყვეტილი იყო და 1992 წლიდან განახლდა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახლობის პრემია მიუთუნება. ამჟამად თოვლი არ წელიწადში ერთხელ დიდი ქართველი მეცნიერი-ისტორიკოსის სახლობის პრემია ენიჭება ცალკეულ ავტორებს ან ავტორთა კოლექტივებს არქივმცოდნეობის, დოკუმენტმცოდნეობისა და არქეოგრაფიის დარგებში შექმნილი მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მქონე შრომებისათვის. ამ პრემიით აღინიშნება დეაწლამოსილი ადამიანების განსაკუთრებული დამსახურებაც საარქივო დარგის წინაშე.

ეროვნული საარქივო ფონდი მდიდრდება გამოჩენილი ადამიანების პირადი ფონდებით. საკმარისია ითქვას, რომ ბოლო წლებში ცენტრალურმა სახელმწიფო არქივებმა მუდმივად შეინახა და მიიღეს მეცნიერების ლენო მელიქიძის, დიმიტრი ტაბიძის, მწერლების კიტა ბუაჩიძის, ბესარიონ ფლენტის, მიხეილ ქვიციანიძის, კომპოზიტორ შალვა შავლაძის, მომღერლების ზურაბ ანჯაფარიძის, ანზორ ერქომაიშვილის, დირიჟორ ლილე კილაძის, ფოტოხელოვან იური მჭითივისა და სხვათა პირადი ფონდები.

ერთი შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობის მიუხედავად, ეპიზოდურად მაინც ვახერხებთ ექსპედიციების მოწყობას ადგილებზე ახალი ინტერესის მასალების მოძიებისა და არქივების დაკომპლექტების მიზნით. ყოველგვარ მძივად გადსაჭარბა შარშანწინ ამბეტის რაიონში მოწყობილია ექსპედიცია. იკაური მკვიდრის ანა არაბულის პირად არქივად დაცული იყო უნიკალური ფოტოლოკუმენტები: გასულ საუკუნეში ამბეტის რაიონში მოქმედი ეკლესიების ჩანაწერები, 1913 წელს კახეთში რევოლუციური მოძრაობის წინაფრთხის ხარებასა და გუგასა დახვრეტის ეპიზოდები, ტყის მჭების ფოტოსურათები, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთი ლიდერის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ოჯახის შიგნით ანა არაბულისათვის შემოწივლილი ნივთები და სხვა საყურადღებო მასალები.

უნიკალური დოკუმენტების ძიება საქართველოს რეგიონებში გრძელდება. ერთობ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ქუთაისიდან, ონიდან, ახალკორიდან, ნურგეთიდან, სენაკიდან და სხვა რაიონებიდან. როგორც კი საშუალება მოგვეცემა, ამ რაიონებში მივაგვლით კომპლექსურ ვგუფებს.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საარქივო დაწესებულებებს აქვთ სერიოზული ხარვეზები და გადაუწყვეტილი საკითხები დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფისა და აღრიცხვის, სამეცნიერო-საცნობარო აპარატის სისტემების სრულყოფა-განვითარების დარგში, დაკომპლექტების საქმეში.

ხატუნად რომ ვთქვათ, საარქივო დაწესებულება სამ "ვეშაბზე" დგას – რას ვინახავთ, როგორ ვინახავთ და როგორ ვიყენებთ არქივებს დაუნჯებულ ეროვნულ სიმდიდრეს. საქართველოს სახელმწიფო არქივები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან "ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ" კანონის მოთხოვნათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

საქართველოს ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების გამოყენება და პუბლიკაცია მეცნიერული მუშაობის სახეობა, მიზნად ისახავს საარქივო ფონდების საფუძველზე საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა უზრუნველყოფას საჭირო რეზონანსკეტულ ინფორმაციით. სახელმწიფო არქივებში დაცულ დოკუმენტებს იყენებენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო და სოციალურ-კულტურული მიზნით, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დამაყოფილების უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფო არქივები დაინტერესებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აწვდიან საინიციატივო დოკუმენტებს აქტუალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე, ასრულებენ მათ მოთხოვნებს, დადგენილი წესით ამღვევენ დოკუმენტთა პირებს, ხოლო მოქალაქებს – სოციალურ-სამართლებრივი ხასიათის ცნობებს დოკუმენტების მიხედვით, დოკუმენტებს ან მათ პირებს შესასწავლად გასცემენ არქივების სამკითხველო დარბაზებში, აწვდიან თემატურ გამოკვლევებს, სამეცნიერო კონფერენციებს, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ექსკურსიებს, ლექცია-მოსმენებებს, დოკუმენტებისა და მათი შინაარსის გასაფრცხვლებლად იყენებენ პრესას, ტელევიზიას, კინოს, რადიოაუწყებლობას.

ყოველ ადამიანურ საზოგადოებას თავისი ისტორია აქვს. მას სპეციალურად როდი ქნიათ. ისტორია ყოველივე ის, რითაც კაცობრიობას დღემდე უცხოვრია, რაც განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მატერიალური თუ სულიერი ცხოვრების დარგებში შეუქმნია.

აღსანიშნავია, რომ მუხსიერების მნიშვნელობა სხვადასხვა ცივილიზაციის წარმომადგენელთათვის ერთნაირი არ არის. იგი დამოკიდებულია ხელისუფლების სისტემებისა თუ სოციალური ორგანიზაციის ფორმებზე, დამწერლობის არსებობასა თუ არარსებობაზე, გაბატონებული რელიგიის ხასიათისა და სხვა მრავალ ფაქტორზე.

ამაგანდ ისტორიოგრაფია ნამდვილ ბუმს განიცდის. დღეს ადამიანებს იზიდავს არა მარტო მეფეების, ერებისა და სახლების, არამედ ცალკეული სოციალური ვგუფებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ისტორია. ამის გარდა, ამ ბოლო დროს იზრდება ინტერესი თანამედროვე ისტორიისადმი. წინათ ისტორიკოსი მუშაობას იწყებდა მას შემდეგ, რცა მოუღებდა თავსებობდნენ ვაკეული ლოგიკის ჩარჩოებში. წვენი დროში რადიოს, ტელევიზიისა და ფუნანალ-გახვთების მეშვეობით ისტორია იქნება სახელდახვლოდ, იშლება შვადი წარსულისა და თანამედროვეობას შორის.

თანამედროვე სამყაროში იზრდება ინტერესი წარსულისადმი. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაყრებთ წარსული საუკუნეების მივიწველულ წერილობით დოკუმენტებს, რომლებიც წვენი არქივთსაცავებში ინახება.

ისტორია, მართალია, ფართოა და ყოველისმომცველი, მაგრამ ამასთან ზუსტად მეცნიერება და თავისი კანონები აქვს. შეუძლებელია ამ კანონების გააზრება საარქივო დოკუმენტების გამოყენებლად. მაშასადამე, ისტორიის შესწავლაში ყველაზე საიმედო დამხმარე სწორედ საარქივო დოკუმენტებია, რომელთა გამოიღვნა და საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანა საისტორიო მეცნიერების უპირველესი ამოცანაა. გავიხსენით წვენი სასწილოანი წინაპრის – XIV საუკუნის ანონიმი ქართული ისტორიკოსის სიტყვები: - "ვაშთაღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყუელება არს და არა თუალაზმა ვისიშე".

როცა წარსულისადმი ადამიანების დამოკიდებულებაზე ვმსჯელობთ, საერთო კონტექსტში განვიხილავთ გამაერთიანებელ საერთო თემს – ისტორიას და მუხსიერებას. სახელდობ, ისინი გვაძლვენ საშუალებას დავამარცხოთ დრო და დავიწყებისაგან ვიხსნათ ჩვენი წარსული.

როგორც ვხედავთ, არქივებს დიდი როლი აკისრიათ იმ დოკუმენტური სიმდიდრის გამოყენებაში, რომელსაც ფლობენ და თავის მხრივ, კეთილ სამსახურს უწევენ თანამედროვეობას ყველა მნიშვნელოვანი და საჭიროებო საკითხის



გადაწყვეტაში. წინაპართა მიერ შედგენილი საბუთები საუკუნეების შემდეგ გვახსენებენ წარსული ეპოქების მრავალფეროვნებას, ინტერესებს, პრობლემებს, ვაჟმწიფეებზე საუკეთესო მაგალითებით და ვაჟთაზივლებზე ისტორიის მწარე გამოცდილებებით. ისინი საშუალებას გვაძლევენ დღევანდელი თვალათხედვით ვაგაანალიზოთ სხვათა შეცდომები, ობიექტურად შევაფასოთ მიწვევები და მათგან გამოტანილი სწორი დასკვნები გამოვიყენოთ დღევანდლობის განსაზღვრვაში. ამიტომაც თითოეული ფასივლილი დოკუმენტის ობერტული მოხებნა და გამოქვეყნება საარქივო მუშაობის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ამოცანაა.

არქივებში დაცულ დოკუმენტებს ყაბია სელა აძლევს ისტორიულ მნიშვნელობას, რაც უაღრესად ფასეულია მომავალი თაობებისათვის. წარსულის გათვალისწინებლად შეუბუღებელია აწმკოს შეყვანება, მომავლის განჭვრეტა, ადამიანების სოციალური, ისტორიული გამოცდილების შესწავლა.

ათეულობით წლით არქივებში დაცული ბევრი დოკუმენტის განსაიდუმლოებამ ფართო ასპარეზი გაუხსნა საქართველოს ისტორიის საკითხების მეცნიერული კვლევით დაინტერესებულ პირებს. ამ საქმეში არქივისტებს ეცხსებათ დიდი მისია – ვეღლაფერი იღონოს, რომ ნათელი მივიწინოს ჩვენი წარსულის გერ კიდევ ბუნდოვნებით მოცულ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს.

წლებანდელ მისში საარქივო დეპარტამენტში გაიმართება სამეცნიერო კონფერენცია თემაზე “ისტორიკოსებისა და არქივისტების თანამშრომლობა წარსულის შემკვიდრების გამოყენებაში”, რომლის ძირითადი მიზანია განიხილოს ისტორიკოსებისა და არქივისტების როლი თანამდროვე სამყაროში, მათი ზოგადი და განსაკუთრებული თავისებურებები, ამ პროფესიების წარმომადგენელთა ობიექტური და სუბიექტური ზემოქმედება პროცესებზე, რომლებიც დაკავშირებულია რეტროსპექტული დოკუმენტური ინფორმაციის დაცვასთან და ისტორიულ გამოკვლევებში გამოყენებასთან, კონფერენციის მუშაობაში არქივისტებთან ერთად მონაწილეობის მიიღებენ მეცნიერ-ისტორიკოსები ივ. ვაჯახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტიდან, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტიდან და სხვა პროფესიული დაწესებულებებიდან. ვიმედოვნებთ, რომ ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ისტორიკოსებსა და არქივისტებს შორის თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას და რეკომენდებული შემკვიდრების დაცვაში. შესწავლასა და გამოყენებაში, ახალი იდეებით და აზრებით გაამდიდრებს ამ ორი პროფესიის წარმომადგენელთა თანამშრომლობას.

ჩვენი ქვეყნის სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მყარი და მრავალმხრივი კონტაქტები საზღვარგარეთის ქვეყნებთან. სამწუხაროდ, ისტორიული ბედკუღმართობის გამო საქართველო დიდი ხნის მანძილზე მოკლებული იყო შესაძლებლობას – დამოუკიდებლად ჩამოეყალიბებინა საყაროს კულტურულ ცხოვრებაში: 1990 წლამდე საქართველოს საარქივო სამსახური შედიოდა საკავშირო ორგანოს გამგებლობაში და საზღვარგარეთულ კოლექციებთან ქართველი არქივისტების ურთიერთობა მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარი საარქივო სამმართველოს მეშვეობით ხორციელდებოდა. ამის მიუხედავად, საქართველოს არქივისტები აქტიურად თანამშრომლობდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების საარქივო დაწესებულებების სპეციალისტებთან. საქართველოს საარქივო სამსახურს ვიზიტი ეწვევნენ საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთისა და სხვა ქვეყნების საარქივო სამსახურების მესვეურები. საქართველოს მთავარი საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ არქივების საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში.

უცხოელ კოლექციებთან კონტაქტებმა სისტემატური ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყნამ მოიპოვა ეკონომიკური, პოლიტიკური დამოუკიდებლობა, და საქართველოს საარქივო სამსახური გამოიღო საკავშირო ორგანოს გამგებლობიდან, ხოლო საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ”. ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს საარქივო დეპარტამენტი ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა უცხოეთის ქვეყნების საარქივო დაწესებულებებსა და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთან კონტაქტების დამყარების, მათთან დაცული საქართველოს ისტორიის ამსახველი დოკუმენტების მოკვლევისა და სამშობლოში ჩამოტანის მიზნით. ჩვენმა დეპარტამენტმა ურთიერთთანამშრომლობისა და ტექნიკური გაცემის ხელშეკრულებები გააფორმა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამდგომლობის თითქმის ყველა ქვეყნისა და უცხოეთის სახელმწიფოთა ერთი ნაწილის საარქივო დაწესებულებებთან. მხარეები ერთმანეთს გაუცვლიან ინფორმაციას საარქივო საქმის პრობლემებზე, საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებს, საარქივო დოკუმენტების ასლებს.

მოპოვებული საბუთებისა და სხვა მასალების საფუძველზე ეწეება გამოყენები, მზადდება და გამოიცემა ერთობლივი დოკუმენტური კრებულები, რაც საშუალებას მისცემს მკვლევარებს შეისწავლიონ ამ ქვეყნის ხალხის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების დღემდე უცნობი მრავალი საკითხი. გამოცდილების გაზარტებისა და სტაჟირების მიზნით მხარეები გაცვლიან სპეციალისტებს. საარქივო საქმის განვითარებაში მათ დიდ სარგებლობას მოუტანს არქივმცოდნეობის დარგში თეორიულ საკითხებზე მოუშუავე სტუდენტების, ასპირანტებისა და მძიებულების სამეცნიერო მივლინებები.

ჩვენს საზოგადოებრიობას პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ეცნობა, რომ ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს საქველმოქმედო ასოციაცია – საქართველოს ეროვნული არქივების მეგობრები. უკვე პრაქტიკულად ხორციელდება მათ მიერ შედგენილი პირველი პროექტი – მზადდება ცენტრალური დასაღმწიფო საისტორიო არქივის ელექტრონული ვებ-საღმწიფო, რომელიც შეტანილი იქნება ინტერნეტის გლობალური კომპიუტერული ქსელის მონაცემთა საერთაშორისო ბაზებში. საამისოდ 15 ათასი დოლარია გამოყოფილი. მომავალში მსგავსი პროექტების განხორციელებას ჩვენი უცხოელი მეგობრები აპირებენ სხვა ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.


ოღია, რომელიც ამ ბანკეტს ვერ დაესწრო, შემდეგ თანამემამულეებს მოუწოდებდა: "აბა, ქართველობა, ახლა მენ იგი, როგორ დანახებე ქვეყანას მამა-პაპათა ანდრძის: "მმა მისითვისა, შავი დღისითვისა".³⁵

ქართველმა ხალხმა აჭარის მოსახლეობას დახმარების ხელი გაუწოდდა. ეს კი აუცილებლად სჭირდებოდა საუკუნეების მანძილზე თურქეთის ბატონობის ქვეშ მგმინავ მოსახლეობას, რომელიც ახალი ომის შემდეგ კიდევ უფრო უარს დღეში ჩავარდა. სულთნის ჯარებმა წასვლის წინ გადაბეგეს ყველაფერი. ტყიდან დაბრუნებულ ხალხს არც სახლი დახვდა, არც პირუტყვი, არც სხვა რამ საჩიო. ი. ჭავჭავაძის, გ. წერეთლის, ს. მუსხის და სხვათა ინიციატივით საქართველოში დიდძალი შემოწირულობა შეგროვდა და ვალატაკებულ აჭარის მოსახლეობას დაურიგდა. რა საკვირველია, რომ ეს დახმარება ყველას ვერ გასწვდებოდა, მაგრამ ამ დღისისებამ საგრძნობლად შეანელა მუჰაჯირობის ტალღა. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ ბათუმში რუსული მმართველობა დამყარდა. აჭარის ცენტრალური არქივის ფონდებში მინშენლოვანი და საყვარდღეო ცნობების დაცვისათვის ოლქის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის შესახებ.³⁶

ახლად შემოერთებული მხარისათვის ჯერ კიდევ 1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა ბორჯომში ხელი მოაწერა ბათუმის ოლქში ახალი ადმინისტრაციული მმართველობის დამყარების დროებითი წესდებები.

საარქივო დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ცარიზმის გვეგის მიხედვით, ბათუმი პირველი ხარისხის სამხედრო ნავსადგურად და ციხესიმაგრედ უნდა გადაქცეულიყო. სამხედრო უწყებამ სწრაფად დაიწყო ბათუმის საზღვაო ციხესიმაგრისა და საწყობის მშენებლობა.³⁷

ბათუმის ნავსადგურის უფროსად დანიშნეს კონტრადმირალი გრევე. რომელიც ოლქის შტაბის უფროსთან ერთად აქტიურად იბრძოდა ბათუმის სამხედრო-საზღვაო ბაზად და ნავსადგურად გადაქცევისათვის. 1878 წლის 20 ოქტომბერს ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა გენერალ-მაიორმა კ. კომაროვმა ბათუმის ოლქისათვის შექმნა სამოქალაქო მმართველობის ახალი შტაბი: ბათუმის ოლქის უფროსად დანიშნა პოლკოვნიკი გურიელი, მოადგილედ - ამილახვარი. კომაროვის რეზიდენცია იყო ბათუმში.³⁷

ომის დამთავრების შემდეგ ცარიზმმა ყველა დაიბრუნა უკან წაიღო და ახლად შემოერთებული მხარის მიმართ ეკონომიკური და პოლიტიკური რეპრესიების გზას დაადგა. მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ კავკასიის მეფისნაცვალმა

სპეციალური მოხელე გაგზავნა შექმნილი ვითარების შესასწავლად. მეფინაცვლისადმი წარდგენილ მოხსენებაში მასწავლებლის თანამდებობის პირები იძულებული იყვნენ განცხადებინათ, რომ "ქალაქის მოსახლეობა აშკარად უკმაყოფილოა რუსების მიერ ოსმალთა განადგენის დღიდან დაწყებული რეჟიმით. მოსახლეობის მოჩვენებითი თავზაანთა ნაკლებ საიმედოა. პირიქით, პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენები უპატივცემლად ეკიდებიან ახლად შექმნილი მხარის მოსახლეობას, მის ზნე-ჩვეულებებს. ამ მხრივ რუსი ჩინიფიკაციის მოქმედება ძალიან ვაკავონებს ამ მხარის ძველი მმართველების მოქმედებას."³⁸

რუსული რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრებული მოსახლეობის დასამშვიდებლად განახორციელეს ახალი ღონისძიებები: ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად კომაროვის მაგივრად დაინიშნა გენერალ-მაიორი სპეკალოვი. 1883 წლის 12 ივნისს სახელმწიფო საბჭოს დადგინებით, ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა.³⁹

როგორც აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული მასალები გვაჩვენებენ, ვიდრე საქალაქო მმართველობა შეიქმნებოდა, ბათუმს პოლიციისტიკური მართავდა. 1903 წლის 17 მარტს ნიკოლოზ II-ის დადგინებით ბათუმის ოლქისაგან შეიქმნა გუბერნია, რომლის ცენტრი იყო ბათუმი. აქვე დაინიშნა სამხედრო გუბერნატორი. ბათუმის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის საინტერესო მასალები დაცულია აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.⁴⁰

1888 წლის 28 აპრილს დაწესდა ბათუმის სამოქალაქო თვითმმართველობა. 1903 წლამდე იგი ქუთაისის გუბერნატორის ემორჩილებოდა. სახვათა შარის, ბათუმის აფაგება-გამაშენიერებაში გადაწყვეტილი როლი სწორედ ქალაქის თვითმმართველობამ ითამაშა. მხოლოდ პირველ წლებში იყო ქალაქის თავად არაქათიელი, შემდეგ კი ამ თანამდებობაზე ყოველთვის იყვნენ ქართველები – ლ. ასათიანი, ა. ანდრონიკაშვილი, დრახაველიძე, სახატარაშვილი და სხვები.

რუსული მმართველობის ყველა ეს ღონისძიება მიმართული იყო მხარის რუსიფიკაციისაკენ. მეფის მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა ახლად შემოერთებული მხარის ეკონომიკურ ათვისებას. 1879 წლის 3 თებერვალს კავკასიის არმიის საადმირალის, გენერალ-ადიუტანტ სვიატოპოლკ-მირსკის ხელმოწერით გამოვიდა მხარის მოწყობის ინსტრუქცია. იგი ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას კოლონისტების მეშვეობით, რომელთაც უფლება ეძლეოდათ ყოველგვარი ნებათაღებების გარეშე დასახლებულიყვნენ ბათუმის ოლქში.⁴²

ბათუმში დასახლების მსურველი ბევრი აღმოჩნდა. ისინი მასობრივად მოედინებოდნენ კავკასიიდან, რუსეთის შიდა გუბერნიებიდან და იჭერდნენ ადგილობრივი "არასაიმედო ელემენტების" მიერ დატოვებულ მიწებს.

ცარიზმის კოლონიური სისტემის მსჯევართაგან ყველაზე თავსატეხი იყო ბათუმის გუბერნიამ მიწათსარგებლობის წესის მოგაგება. ამ მიზნით მთავრობამ 1879 წელს სპეციალურად შექმნა "სადელომამულო კომისია", რომელსაც სათავეში ეწინამდებოდა ისტორიკოსი დ. ბაქრაძე ჩაუყენა. კომისიამ დიდი მუშაობა გასწია, შეისწავლა ადგილობრივი მიწათსარგებლობის წესები. დოკუმენტები და თავისი დასკვნები მთავრობას წარუდგინა. მაგრამ 1884 წელს გამოვიდა ალექსანდრე III-ის ხელმოწერილი კანონი, რომლითაც ბათუმის ოლქის მცხოვრებლებს ერთმეოდათ მიწაზე სრული საკუთრების უფლება იმ შემთხვევაში, თუ მათ ოსმალთა დაპყრობამდე არსებული დოკუმენტარ არ აღმოაჩნდებოდათ (ასეთი დოკუმენტი მაშინ აჭარაში არავის ჰქონდა შემორჩენილი). იმპერატორის კანონით გამწვევებულმა ხელისუფლებამ ადგილობრივმა ორგანიზებმა გააძლიერეს მოსახლეობის შევიწროება და უკარგისად გამოაცხადეს ის მცირერიცხოვანი საბუთები, რომლებიც "სადელომამულო კომისიამ" თურთიულ დოკუმენტებად ჩათვალა.

ამ მხრივ საყურადღებოა აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტები. მოვიყვანთ ერთ-ერთ მაგალითს: პოლკოვნიკმა იასონ იოსელიანმა 1880 წლის 11 სექტემბერს ბათუმში მცხოვრები აბაშიძეებისაგან ბათუმის გარეუბანში იფილა მიწის ნაკვეთი. ეს ყიდვა-გაყიდვა დაამტკიცა ქუთაისის საოლქო სასამართლოს უფროსმა ნორტაროუსმა, მაგრამ გააუქმა თბილისის სასამართლო პალატამ იმ მოტივით, რომ თურქული დოკუმენტების თანახმად ეს საბუთი წარმოადგენს "თაფუს", რომელიც ვაკეშვილია "ერაზმიძის" მიწაზე და ამგვარად არის სახელმწიფო საკუთრება.⁴³

რუსეთის მთავრობისათვის ძალზე ხელსაყრელი იყო მიწაზე სახაზინო საკუთრების დაცვა და ამ საქმეში იგი თურქულ ფორმალურ კანონმდებლობას იყენებდა.

ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ბათუმი პორტო ფრანკოდ (თავისუფალი ვაჭრობის ქალაქი) გამოცხადდა. ასეთ შემთხვევაში იგი ვახლად დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმის დია ბაზარი. ევროპულ საქონელთან კი რუსულს კონკურენციის გარეშე არ შეეძლო. პორტო ფრანკოს სახლებრივი იწყობოდა მდინარე სარი-სუდან (ბარცხანისწყალი) და მთავრდებოდა მდინარე ანგისასთან.⁴⁴

უნდა ითქვას, რომ პორტო ფრანკოს რეჟიმს თავიდანვე დიდი სიროულეები შეექმნა. მის წინააღმდეგ განიწყო საზოგადოებრივი აზრიც, რადგან პორტო ფრანკომ მრავალი ცხოვრებისეული სიმახინჯე წარმოშვა. ამიტომ რუსეთმა 1886 წლის 23 ივლისს ცალმხრივ გააუქმა რეჟიმი.⁴⁵

ამის შემდეგ დაიწყო ბათუმის ოლქის რამდენადმე დამოუკიდებელი სამრეწველო-ეკონომიკური განვითარება. ბათუმი პირველხარისხოვანი ნავსადგურად და განვითარებული წარმოების ინარჩუნებდა კავკასიის ერთ-ერთი მთავარი სატრანზიტო და სამრეწველო ცენტრის მნიშვნელობას.

აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებში საყურადღებო მასალებია დაცული ბათუმის ნავსადგურის ტერიტორიების,⁴⁶ საგარეო ვაჭრობის, სანაოსნო კომპანიების, მიმოსვლის, უცხოური ფირმების საქმიანობის საკითხებზე.⁴⁷ ქალაქის თვითმმართველობის ფონდში დაცულია ქალაქის განაშენიანების, მისი უბნების, ქუჩების, ტერიტორიული გაფართოების ამ სახეული საინტერესო მასალები.⁴⁸

ბათუმში თურქეთის ბატონობის დროს ითიქვის არავითარი საირიფაციო მუშაობა არ წარმოებდა, ახლა კი სათანადო ყურადღება მიექცა ჭაობების დაშრობას.⁴⁹

ასევე საინტერესოა 1889 წლის ქალაქის საკრებულოს დადგენილება ქ. ბათუმში ზღვისპირა პარკის დაარსებაზე⁵⁰ და სხდომის ოქმი ბათუმის ახალი წყალსადენის მშენებლობის საკითხებზე⁵¹

ყურადღებურია იქცევა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოწერილება ბათუმის "წერილ გელის" ტიპის სანაპიროზე სამხედრო ხომალდების ნავსადგურის მშენებლობის და ამ ტიპის ზღვაოსანი შეერთებასთან დაკავშირებით.⁵²

ბათუმის ოლქის საკრებულო და საქალაქო თვითმმართველობაც დიდ ყურადღებას უმობდნენ ქალაქის კულტურულ აღორძინებას, განათლების ცენტრების გახსნას, სამედიცინო საქმის ორგანიზაციას. საარქივო დოკუმენტებით დასტურდება, რომ 1902 წლის მარტში გამოიტანეს დადგენილება საჯარო ბიბლიოთეკის,⁵³ ქალთა გიმნაზიის და სასულიერო სკოლების გახსნის,⁵⁴ ბათუმში საავადმყოფოს აგების საკითხებზე.⁵⁵

1896 წელს ქალაქის საკრებულოს განასხილველად წარედგინა ქალაქში ვაჭოა გიმნაზიის გახსნის წინადადება. დამტკიცდა შინაის პროექტი. ამ შინაშეში დღეს განთავსებულია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსი (ძველი კორპუსი).⁵⁶

ასეთი მაგალითების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება. ქალაქის თვითმმართველობაში ქართველ მოღვაწეთა ბირთვის გაძლიერებისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერიკელი, დ. კლდიაშვილი, გ. უოსსი, ლ. ასათიანი და სხვები. მათ გვერდით იყვნენ აჭარელი პატრიოტები: იბრაჰიმ ხანჯაყ-ბეგ აბაშიძე, გულო-აღა კაკაციაშვილი, დედე-აღა ნიგარაძე, თუფან-ბეგ შერვაშიძე, ახმედ-ბეგ ბეგინიძე და სხვები.

ქართველი საზოგადოება თავის უპირველეს მოვალეობად თვლიდა ახლად შემოერთებულ მხარეში გაეხსნა ქართული სკოლები. ამ მხრივ განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ი. ჭავჭავაძეს, ი. ვიგვანაშვილს, ნ. ცხვედაძეს და სხვებს. ისინი საქმროდ თვლიდნენ, რომ "აჭარასა და ქობულეთში რაც შეიძლება მომეტებული შრომები გაეხსნათ. ეს შრომები სხვა ყოველს საშუალებაზე მეტად სულია და გულით შემოგვიერთებენ აჭარისა და ქობულეთის ერსა და ისევე და სხვა მურს სიყვარულს ჩამოაღებს ჩვენში."⁵⁷ სხვათა შორის, ახლად შემოერთებულ აჭარაში, პირველ რიგში, ქართული სკოლების გახსნის აუცილებლობაზე მართობდა შრომე ბონძიაშვილი 1878 წელს თბილისში ს. მელიქიშვილიან შუგეფდრის დროს: "...განათლება ცვირებათ, ბატონო, იმთ (აჭარელს). ამდენი ახალგაზრდა კაცები ხართ, განათლებულები. წაიით, კაცანით, ზოგი აქ მოვიყვანეთ, სკოლა გამართო, ასწავლეთ და ასე უნდა ... აბა, რა მძები ხართ, თუ ასე აბღღურად დატოვებთ."⁵⁸

როგორც საარქივო მასალები ვეაფსობინებენ, თითონ ილია ჭავჭავაძე დაინტერესებული იყო ბათუმში ქართული სკოლის გახსნით. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ არაერთი სხდომა მიუძღვნა ამ საკითხს.⁵⁹

საქმის გაკონარების გამო ნ. ცხვედაძე შეინძავდა: "ჩვენ, ქართველ საზოგადოებას ბევრი აღთქმა მივციცია ამ ახლად შემოერთებულ ჩვენი თვისტოსათვის, მაგრამ საქმით კი ჯერ არა გაგვიყვებოდა რა". ბოლოს და ბოლოს ბათუმში საზოგადოების დაეხმარება ნ. ცხვედაძე. იგი შეხვდა ვერნალ-გუბერნატორ კომაროვს, მოავარა მთავარიცხოვანი ადმინისტრაციული საკითხები, დაიქირავა შერვა სკოლისათვის. ილიას მიათებოთ, ქართული სკოლის მასწავლებლად დაინიშნა ა. ნანიშვილი. შემდგომში ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. ბათუმის ქართულ სკოლას თავიდანვე უნდა ჩაენერგა იქარო მემორებომა გულში ის აზრი, რომ ისინი და ჩვენ ერთი მიწის შვილები ვართ, ერთმანეთსა ერთი ისტორიული ბედით დაკავშირებული.

შემუშავებული იქნა სასწავლო გეგმა, პროგრამა, შეირჩნენ მოსწავლეები და 1881 წლის 23 მარტს გაიხსნა პირველი ქართული სკოლა. მის გახსნას დაესწრო ი. ჭავჭავაძე, სწავლა დაიწყო 30-მა ბავშვმა. მათ შორის 13-მა მაჰმადიანმა ქართველმა. სწორედ ამ ქართულ სკოლაში მიიღო განათლება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეროვნულ-კანმათავისუფლებელი მოძრაობის ბრწყინვალე ლიდერმა მემედ-ბეგ აბაშიძემ. მისი მასწავლებელი იყო ცნობილი პედაგოგი მისე ნათაძე, რომელიც 1882-91 წლებში მუშაობდა ბათუმის ქართულ სკოლაში და დიდი ამაგი დასდო მას.

საერთოდ ერთი იყო ქართული სკოლის დაარსება და მეორე - მასში მაჰმადიანი მოსწავლეების მოზიდვა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბათუმის ხანჯაყ-ბეგების აბაშიძეების პოზიცია, რადგან აფგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა ეჭვის თვალთი უყურებდა ქართულ სკოლას და შეილებსაც არ აძარბდნენ იქ. იბრაჰიმ აბაშიძემ პირველმა მოაწერა ხელი "ქ. ბათუმის ქართველ მაჰმადიანთა განიშინებას". "გადავიწყებელი მიეცეთ სასწავლებლად ჩვენი შვილები... ბათუმში დაარსებულ ქართულ სკოლაში!"⁶⁰ მართლაც, იბრაჰიმ აბაშიძემ თავისი 4 ვაჟი - მემელი, ასლანი, ჰასანი და მამული მობარა ბათუმის სკოლაში.

იბრაჰიმ აბაშიძის ასეთ ეროვნულ პოზიციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დეაწლის ნიშნად, როგორც ახლად გამოუღწეული საარქივო დოკუმენტებით დასტურდება, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განკოვმამ იბრაჰიმ აბაშიძე ქართული სკოლის მზრუნველად დანიშნა.⁶¹

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში (ფონ. 481) დაცული მასალების მიხედვით, 1882 წლის 18 თებერვლის წერილით ქართული სკოლის მზრუნველი იბრაჰიმ-ბეგ ხანჯაყ-ბეგ-ზადე აბაშიძე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინაშე აცხენს ქართული სკოლის შენობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის საკითხს და წერს: "აფერუმ, ბატონებო, თქვენს გამჭირაობას, რომ წინათვე მიხვდით, თუ რა სიკეთეს მოუტანს ჩვენს ერთად დაკავშირების ის სკოლა, რომელიც ჩვენ გაეხსენით ბათუმში. ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიკანით განმაცხოვრებელი ძალა ამ სკოლისა, რაც ჩვენი სავეარული ბაღნები ამ სასწავლებელში წერენ და კითხულობენ ჩვენს დაიწყებულ და დავრდომოდ დავიწახუნდ. ახლა კი ყველა ჩვენგანი ამპარტანობს ამ სკოლით, ყველას უნდა მოიყვანოს აქ შვილი, მაგრამ სად გინდა, რომ დაატო ამდენი ბაღნები. დღეს ჩვენს მასწავლებელს მ. ნათაძეს ორმოცდაათხუთმეტი ბაღანი ჰყავს და იმთვან

ნახევარს დილით და ნახევარს შუადღისას ასწავლის. ჩვენი გულისათვის რომ ქრისტიანი ბაღნები დაითხოვონ სკოლიდან, ეს ჯერ წინააღმდეგა უზენაეს სიძარბოსთან, რომ ჩვენი გულისათვის მათ დაუხურთ კარი განათლების ტაძრისა, სადაც ყველას აქვს ნება ისწავლოს, და მეორე, ჩვენი შევლები და ქრისტიანების ერთად სწავლა არის დასაწყისი იმ მომავალი ურთიერთდაკავშირებისა, რომელიც უწინადა აღაპმა მოგვანიჭა ჩვენ, ჩვენდა სასიკეთოდ“.

ახალდინამული შრომელების თაოსნობით და გარკვეულ შედეგად ბათუმის ქართულმა სკოლამ 1895 წლის 19 ნოემბერს საკუთარ შენობაში დაიწყო მუშაობა. ი. აბაშიძე ილიას რეკომენდაციით 1895 წლის 15 მაისს აურჩევიათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად.

ბათუმის ქართულმა სკოლამ დიდი მუშაობა გასწავლა მამამადიან და ქრისტიან ქართველთა შორის ჩატეხილი ხილის გამოღიანებისათვის.

900-იანი წლებიდან ამ დღემდისწევლივან საქმეს სათავეში ჩაუდგა მემუდ აბაშიძე, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა პატრიოტი ახალგაზრდები - ზია, მაიღარ, აბაშიძეები, ყაღარ შერვაშიძე, ასლან-ბეგ აბაშიძე და სხვები. მამულიშვილთა ამ ჯგუფმა ენერგიული ბრძოლა გააჩაღა მამამადიან ქართველთა გათვითცნობიერებისა და საქართველოს მოღიანობის აღდგენისათვის.

მემუდ აბაშიძე თავის ბიოგრაფიაში გადმოგვცემს: “მოელი ჩემი წარსული ცხოვრება და მოღვაწეობა ორგანულად დავეკავშირე სამუსლიმანო საქართველის ბელ-იბაღს. საღი გონება და ჩვენი ერის ისტორიული წარსული ყოველთვის მიკარნახებდა, რომ სამუსლიმანო საქართველო დარჩნულიყო თავის დედა საქრისტიანო საქართველოსთან“.⁶²

ჩვენ აქ არ შევედგებით მემუდ აბაშიძის მამულიშვილური მოღვაწეობის დაწვევებით განხილვას, მაგრამ ყურადღებას გვაგამახილებთ მისი დასის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაზე 1917-1921 წლებში, რადგან სწორედ მაშინ, კიდევ ერთხელ მივიწვიეთ დიდი საქართველოს ერთიანობის, მისი ეროვნული ორგანიზმის გამოღიანების საკითხი და ამ პრობლემის გადაჭრაში დიდწილად მისი შეარსებულ ქართველ პროგრესულ მოაზროვნეთა ჯგუფმა, რომელსაც სათავეში მემუდ აბაშიძე იდგა. ამასთან დაკავშირებით სადღეისოდ გამოუქმნილია ბევრი საინტერესო საარქივო დოკუმენტი.

1878 წლიდან კვლავ დაბრუნებული სამამადიანო საქართველო ორი ძალის შიდილის ასაპრეზს წარმოადგენდა და საჭირო იყო უზოთარეს საბედისწერო მომენტებში ორ ფრონტზე - ოსმალეთის ბნელი ზრახვებისა და რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან როგორც ოსმალეთს, ასევე მეფის რუსეთს ძილს უყრთხობდა გავრთიანებული საქართველოს დედა.⁶³

პირველი მსოფლიო ომის ბოლოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გააქტიურდნენ ოსმალეთილიური ორგანიზაციები. აჭარაში აღმოჩნდნენ ძალები, რომლებმაც სწორად შეაფასეს შექმნილი ვითარება და გადაწყვიტეს შეექმნათ ისეთი ორგანო, რომელიც თავის გარშემო გაავრცელებდა ბათუმის ოლქის მოსახლეობას და მტკიცე ბრძოლას გამოუცხადებდა უცხო ქვეყნის დაპყრობელ აგენტებს.

1917 წლის თებერვალში ბათუმში გაიმართა მოსახლეობის წარმომადგენელთა კრება, სადაც აირჩიეს ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი, მასში შევიდნენ მემუდ აბაშიძე (თავმჯდომარე), პ. აბაშიძე, ზ. და ყ. შერვაშიძეები, ს. დიასამიძე, ჯ. ქიკვა, ჯ. ვარშნიძე და სხვები.⁶⁴ რომლებსაც მიზნად ქონდათ დასახული, გავრცელებინათ თვითშეფასების შტანა სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობაში, ფართოდ გაეშუქებინათ მასების წინაშე სამუსლიმანო საქართველოს ისტორიული წარსული, განმტკიცებინათ მათში მოღიან საქართველოს დედა.⁶⁵

განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა აჭარაში მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა ბრესტის ზავით ბათუმის, ყარსის, არტაანის ოლქები ოსმალეთის კუთვნილებად ცნო. ამ უკანასკნელმა ისარგებლა შექმნილი პოლიტიკური სიტუაციით და 1918 წლის მარტ-აპრილში იარაღით დაიკავა ბათუმი და სხვა ქართული ტერიტორია, რომელიც 1878 წლის ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ჩამოერთვა.

ბათუმის ოლქის ოკუპაციის შემდეგ აქ მტკიცედ დამკვიდრების მიზნით საოკუპაციო ხელისუფლებამ ამ რეგიონისათვის ოსმალეთის შემადგენლობაში ავტონომიის მიცემა მიიწინააღმდეგა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად აჭარაში აქტიურ მუშაობას ეწეოდა პროთურქული რეაქციული ორგანიზაცია “სედაი მილივი”.⁶⁶

მისამისტილის პროუკაციულ განცხადებებს სასტიკი პროტესტით შეხვდა პ. აბაშიძე, რომელიც წერდა: “ჩვენი ხალხს ოსმალეთის ავტონომია არ ესაჭიროება... ჩვენი ვართ გურჯები-ქართველები, შევადგენთ საქართველოს განუყოფელ ნაწილს და ამიტომ ვეწამებ ჩვენი მომავალი, რომელიც გამოიხატება სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს ეროვნულად და ტერიტორიულად შედუღებაში“.⁶⁷

აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებში დაცულია საყურადღებო მასალები ბათუმის ოლქის ოკუპაციის, საოკუპაციო რეჟიმის, ქალაქის ეკონომიკური მდგომარეობის საკითხებზე.⁶⁸

1918 წლის 5 აპრილს ბათუმში ჩაივინდნენ ოსმალეთის სამხედრო მინისტრი ენერ-ფაშა და თურქთა ჯარების სარდალი ვეჰი-ფაშა. საპატიო სტუმრებისათვის გამართულ მიტინგზე ბათუმის საზოგადოების დეალებით დედაგაციას მ. აბაშიძე შემდეგი სიტყვებით მიესალმა: “კეთილი იყვეს თქვენი ჩვენი სტუმრად მიზანძრა. ჩვენი ქართველები სტუმართმოყვარენი ვართ, ვიცით სტუმრის მიღება და პატივისცემა, მაგრამ მიზნად ისიც იცოდეთ, რომ სტუმარს უფლებას არ მივცემთ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაერიოს... თქვენ ბატონ-პატრონად ნუ იგულებით თავს ჩვენს მიწა-წყალზე“.⁶⁹

ეს ოსმალეთის ხელისუფლებისათვის ვახდა იმის საბაბი, რომ მ. აბაშიძე რამდენიმე თანამებრძოლიან ერთად დააპატიმრეს და ტრაპიზონის ციხეში ჩასვეს. ქართველ პატრიოტთა ჯგუფმა კი თავი შეაფარა თბილისის, სადაც 1918 წლის მაისში პ. და ზ. აბაშიძეების, ს. დიასამიძის, ყ. შერვაშიძის, ქ. ნორდიალის, ხ. თხილაშვილის თაოსნობით შეიქმნა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი. თავმჯდომარედ დაუსწრებლად აირჩიეს მემუდ აბაშიძე,

მათივედ – პ. აბაშიძე, დროებითი თავმჯდომარეობა დაეკისრა ზ. აბაშიძეს.⁷⁰

1997 წლის ზაფხულში ქ. სტამბულში მცხოვრების, ცნობილი ქართველი მეცნიერის ს. ზაზაძის ბიბლიოთეკის ქართულ წიგნსაცემში გამოვლინდა პროგრამა და ინსტრუქცია სამუსლიმანო საქართველოს განმთავისუფლებელი კომიტეტისა⁷¹, რომელიც ამჟამად ჩვენთან არის დაცული.

სამუსლიმანო კომიტეტს თავისი განყოფილებები ჰქონდა ოზურგეთისა და ახალციხეში (ხელმძღვანელები ზ. აბაშიძე და ე. შერვაშიძე). მისი ბეჭდვითი ორგანო იყო გაზეთი "სამუსლიმანო საქართველო" (რედაქტორი მ. აბაშიძე), რომელიც 1919-21 წლებში გამოდიოდა და ფართო ასენა-ვანამარტებით მუშაობას ეწეოდა რეგიონის მოსახლეობაში. კომიტეტმა შექმნა შეიარაღებული რაზმი – მუსლიმან ქართველთა ბატალიონი, რომელიც ასევე აბაშიძის მეთაურობით დიპლომატიური იყო ოზურგეთში და ე.წ. შერვაში რაზმი, რომელიც თ. თხილაშვილის ხელმძღვანელობით მოქმედებდა ოკუპირებული ქობულეთის ტერიტორიაზე. საოკუპაციო ხელისუფლების მხრივ დევნისა და შევიწროების მოსულებად, კომიტეტმა უშუალო ბათუმის ოლქის მაჰმადიან მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების ამაღლება და განმტკიცება.⁷²

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ბათუმის ოლქში პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაცია ძალიან რთული იყო. ბათუმი კვლავ გახდა ევროპის იმპერიალისტური ქვეყნების საცილობელი ობიექტი. პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული ოსმალეთი მდგრადი პერიოდის (1918.30.10.) აიძულდა ვარჯიშ გაეყენა ბათუმთან და სხვა ოკუპირებული რაიონებიდან. ოსმალთა ადგილი ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ დაიკავა. ამ მოვლენაზე საყურადღებო მასალებია დაცული აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდები.⁷³

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ იმთავითვე მოითხოვა ინგლისელებს ბათუმის ოლქის დაცვა. ეს საკითხი პარიზის კონფერენციებზე დაიწყო, მაგრამ 1919 წელს მოკავშირეები "ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" აღდგენას უჭერდნენ მხარს და საქართველოს კანონიერი უფლებები ანგარიშში არ მიიღეს. პარიზით, რევიონში დღითიღვ მზარდი ქართული ორიენტაციის საბირთვირად, "გათიშე და იბატონეს" პოლიტიკიდან გამოქმდნარე, ბათუმის ოლქის ინგლისური გუბერნატორი კუკ-კოლისი ყოველნაირად ხელს უწყობდა დენიკინელებისა და უკანასკნელთა გელენაში მყოფი "სედაი მილეთელების" ანტიქართულ საქმიანობას.⁷⁴

შეშინილ ვითარებაში საჭირო გახდა ეროვნულ ძალებს განეზოციელებინათ ენერგიული დინისიბეები. მართლაც, მათი უშუალო ძალისხმევით 1919 წლის 30 აგვისტოს ბათუმში მოწვეული იქნა ქართველ მაჰმადიანთა ყრილობა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ბათუმის ოლქის მომავალი. ყრილობას ესწრებოდა 100-მდე დელეგატი. იგი გახსნა სამუსლიმანო საქართველოს განმთავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარემ შემდეგ აბაშიძემ. მან მოსახალხებულ სიტყვაში აღნიშნა: "ასეთი გაჭირვების დროში არავის ვხედავთ ჩვენს მშველეს, გარდა საქართველოს, რომელიც, როგორც ყოველთვის, უანგარისოდ და თავგანწირულად ცდილობს ჩვენი დაღუპისაგან გადარჩენას. ჩვენ უნდა დაგვფასოთ ეს და დავეყაროთ მის ძალასა და გამოცდილებას, რადგან ქართველმა ხალხმა უკვე დაანახვა ქვეყანას, რომ ის დღისა მოხან მოიპოვებოდა დამოუკიდებლობისა... ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ გარდა საქართველოს, ჩვენი ხსნა არ არის... გასოფიეთ, რომ თქვენ ხართ პასუხისმგებელი ისტორიისა და შამომადლობის წინაშე".⁷⁴

ქართველ მაჰმადიანთა ყრილობამ მოსახალხებელი დებუებში გაუზაფანა საქართველოს დამოუზნებელი კრებისა და შთავრების თავმჯდომარეს.

ყრილობამ 1919 წლის 31 აგვისტოს მიიღო ისტორიული ხასიათის რეზოლუცია:

1. ბათუმის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიით, სისხლით და ზოცით, ენით, კულტურით, აღათობით ქართველები ვართ... ტერიტორიულად და ეკონომიკურად ყოველთვის ჩვენი მხარე დედასამშობლო საქართველოს განურღვი ნაწილს შეადგენდა.

2. ბათუმის ოლქის აწინდელი მდგომარეობა აუტანელ პირობებში აყენებს ხალხს, ართმევს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღების უფლებას და საშუალებას, აძლიერებს უპასუხისმგებლო ვგუფების პოლიტიკურ თარეშ...

3. ბათუმის ოლქის მკვიდრთა პოლიტიკური და კულტურული საჭიროებანი, ამერკავკასიის კეთილმზობოლური ურთიერთობანი და დიდ სახელმწიფოთა დრისება თხოულობს, რომ ბოლო მიეღოს ოლქის დედანდელ მდგომარეობას, სახელმწიფოებრივი წესიერება დამყარდეს და ხალხმა მშვიდობიანი კეთილდღეობით ცხოვრება მოიპოვოს.

4. ვინაიდან ეს შესაძლებელია მხოლოდ მუსლიმან ქართველების განათავისუფლებით და საქართველოს რესპუბლიკისთან შერეობით, ამიტომ გამოიქვამთ შეურყვეველ ნებისყოფას და მტკიცე გადაწყვეტილებას:

ამიერდინ და სამარადისოდ ბათუმი და ბათუმის ოლქი შეურთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს საქართველოს რესპუბლიკას, სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომიის ფარგლებში. ეროვნულ უმცირესობებს მიენიჭოთ ჩვენთან თანასწორი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება. ეს დადგინდება ეცნობოს პარიზის საზოგადო კონფერენციას და ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, მიიღოს ყოველზე ზომა ჩვენი დადგინების განსახორციელებლად.⁷⁵ ეს გადაწყვეტილება იმავე წლის 5 სექტემბერს 20 კაცისაგან შემდგარმა დელეგაციამ თვით მ. აბაშიძის მეთაურობით წარუდგინა საქართველოს დამოუზნებელ კრებას.

ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია ცერდნობდა სამუსლიმანო საქართველოს განმთავისუფლებელი კომიტეტის პროგრამით აღიარებულ მიზანს, რომ "სამუსლიმანო საქართველო შეურთდეს დედა საქართველოს ფართო ავტონომიურ ნადავზე და მით საქართველოს პოლიტიკური მოღიანობა განმტკიცებული იქნას".⁷⁶

სამუსლიმანო საქართველოს განმთავისუფლებელი კომიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლების ამ შტაბს მ. აბაშიძე მესწავროდა 1919 წლის 31 აგვისტომდე. ამ დღეს სამუსლიმანო საქართველოს პირველმა ყრილობამ აირჩია მეგლისი, რომელიც პრაქტიკულად კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს განაგრძობდა.

სამუსლიმანო საქართველოს პირველმა ყრილობამ და მის მიერ არჩეულმა მეგლისმა თავისი ისტორიული მისია დრისეულად შესარულა სრულიად საქართველოს წინაშე. ყრილობის შემდგომ განვითარებული მოვლენების დრის მან

რომელ პირობებში შეძლო საქართველოს მოღიანობის დაცვა. ამის ხაილუსტრაციოდ საკმარისია გავისწინოთ ორი მაგალითი:

პირველი – მეჯლისმა და მისმა ლიდერმა დიდი წვლილი შეიტანეს ბათუმის ოლქიდან ანტიანტის ჯარების გაყვანასა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. მართალია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარების შემოსვლისას ცალკეული ექსცესების თავიდან აცილება შეუძლებელი გახდა, მაგრამ მისი მასშტაბები უფრო დიდი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების აქტიური ჩარევა. მით უმეტეს, თუ გათვითვალისწინებთ, რომ ოსმალეთიფიქური და რუსიფიქური ძალების წინააღმდეგობის გარდა, არსებობდა ბოლშევიკური გადატრიალების საშიშროება. სარწმუნო წყაროებით ცნობილია, რომ რუსეთის ბოლშევიკების ბათუმის კომიტეტი მოსკოვთან შეთანხმებული იყო, რომ ინგლისელთა ჯარების გაყვანის დღესვე ბათუმის ოლქში საბჭოთა ხელისუფლება გამოეცხადებინათ.⁷⁷

საქართველოს მტრული ძალების მოქმედება ქართველმა პატრიოტებმა ამხილეს და ამით ბათუმის ოლქის ქართველობამ თავიდან აიცილა კიდევ ერთი ავანტიურა. 1920 წლის 7 ივლისს ქართული ჯარი გენერალ გ. კვინიტაძის მეთაურობით ბათუმში შევიდა. ხადაამოს 6 საათზე გაიმართა ანტიანტის სარდლობის მიერ საქართველოს მთავრობისადმი ბათუმის გადაცემის ცერემონიალი.

მეორე მაგალითი: დედამამშობლოსთან დაბრუნებული ბათუმის ოლქის ბედი ერთი წლის შემდეგ კვლავ ყოფნა-აწყობის ხელგარე დადგა. 1921 წლის მარტში, როცა თბილისში დამყარებული იყო საბჭოთა ხელისუფლება, ბათუმში ჩამოვიდა ანგორის დელეგაცია. მას დაგალებული ჰქონდა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისთან მოლაპარაკება, რომ მეჯლისის გამოეტანა დადგენილება – ბათუმის ოლქი ავტონომიური სტატუსით გადასცემოდა ანგორის მთავრობას.⁷⁸

მ. აბაშიძემ სასწრაფოდ შეკრიბა მეჯლისის ქართული ორიენტაციის წევრები: ზოა აბაშიძე, რეჯებ ნიგარაძე, ჯემალ ქიქვა, ჰაიბარ აბაშიძე, სულიქან დიასამიძე, ისკანდერ ცივაძე და ვაიკუნო ანგორის დელეგაციის მოთხოვნები. მეჯლისის წევრებმა შეიმუშავეს ოპერატიული მოქმედების გეგმა, რომლის შემდეგაც მიიღეს “საპატიო სტუმრები”. “შე განუშარტე მათ”, ივრებს მ. აბაშიძე, – რომ ქუთუხის არჩეულია ცხოვრებაში ავტონომიის შესატარებლად და მას არა ექვს უფლება თვით ოლქი მეორე სახელმწიფოს გადასცეს. თანაც ბოდიში მოვითხოვე, რომ მეჯლისს არ შეეძლო მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება. იმათ დაინებით მოითხოვეს და ამტკიცეს, რომ მეჯლისს სწორედ ჰქონდა ამის უფლება... რაც ფორმალურად საშუალებას მისცემს ანგორს, ერთი მხრივ, თავიდან აიცილოს ბოლშევიკების შემოჭრა ბათუმის ოლქში, მეორე მხრივ, შენარჩუნოს ტერიტორია და მისცეს მოსახლეობას ფართო ავტონომია. დელეგაციის ამ უკანასკნელ მოსაზრებას მოჰყვა ჩვენი კონტრამოსაზრებები. კამათმა გამწვავებული ხასიათი მიიღო და და ბოლოს დამთავრდა იმით, რომ ზრდილობიანად თავი დაუკაროთ და საშუალოდ გამოვეშვიდობეთ ერთმანეთს... მეჯლისი არ წამოვიცო პროუკაციის ანექსის, არ მიიღო მათი წინადადება.”⁷⁹

ბათუმი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, რომ დღეს დედამამშობლოს განუყოფელი ნაწილია, ეს სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის პატრიოტული შემაფერხლობისა და მისი თავკაცის დიდი დამსახურებაა. საკმარისი იყო გამოეჩინათ ორჭიფობა, ან თავიანთი პრინციპები ბოლომდე არ დაეკეთათ და ბათუმის, მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბედი სხვაგვარად დატრიალდებოდა.

ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, 1919 წლის 25 დეკემბერს, აჭარის ოლქი ბათუმითურთ გამოცხადდა საქართველოს კუთვნილებად და აღიჭურვა ავტონომიის უფლებებით.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული მასალების მიხედვით ცნობილია, რომ 1920 წლის 14 იანვარს გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა: “თანხმად მთელის საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა და პარლამენტის დადგენილებისა და ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გადასდებს აცხადებს, რომ სამუსლიმანო საქართველოს ანიჭებს ავტონომიას”.⁸⁰

*

1878 წლის 25 აგვისტოს აჭარა დაუბრუნდა დედამამშობლოს, ახდა ქართველ მამულიშვილთა საუკუნოვანი ოცნება. ამ ფაქტს დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მას შემდეგ 120 წელმა განვლო და აჭარა დედამამშობლოსთან ერთად მტკიცედ მაბაიჯებს ისტორიულ ქართველბუნში, აქტიურად იზიარებს ქვეყნის საერთო ჭირსა და ლხინს.

როგორც საქართველოს განუყოფელი კუთხე, იგი 7-8 ათეული წლის მანძილზე გამოქვეყნდებოდა დაწინარდდა: აღმოიფხვრა წერა-კითხვის უცოდინარობა, ამაღლდა განათლებისა და კულტურის დონე, ეკონომიკურმა მიღწევებმა გააუმჯობესეს ხალხის ყოფა-ცხოვრება.

ერთი ეკონომიკური ფორმაციის მეორეთი შეცვლას ყოველთვის ახლავს სიძნელეები და ხირთულებები. 1991 წლიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოჰყვა ეკონომიკური კავშირების მოშლა, შინა-აშლილობა, რამაც გაართობა მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

დღეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას მემკვიდრე აბაშიძის ღირსეული შიამომავალი ხელმძღვანელობს. ერთი თვალის გადავლებაც ეს საკმარისია იმის დასანახად და შესაფასებლად, თუ როგორი აღმშენებლობითი პროცესები მიმდინარეობს აჭარაში. ეს ჩვენი ხალხის ძალისხმევით, მისი ლიდერის, ავტონომიური რესპუბლიკის აღიარებული პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის – ასლან აბაშიძის გამიზნული პოლიტიკური მართვის შედეგია.

აჭარამ დღემდე მოიტანა საქართველოს ერთიანობის უღიფესი სურვილი და დაუცხრომლად იცავს ძლიერი, დემოკრატიული, გამთლიანებული საქართველოს ასაღორძინებლად. როგორც ასლან აბაშიძე ამბობს: “აჭარაში სრულიად საქართველოს აღმშენებლობის ბალკანი მტკიცედ ჩაედით და დღითიდღე კიდევ უფრო გამტკიცებთ მას. აჭარა თავამოღებული ერთეულია საქართველოს ერთიანობისა”.⁸¹

ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის, სამოქალაქო დაპირისპირების, კონფლიქტებისა და უკანონო შეარადებულ ფორმირებათა თარეშის, მოსახლეობის ცხოვრების დაქვეითების პრობლემაში, აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ შეინარჩუნა სტაბილური ვითარება, დაიწყო აღმშენებლობისა და აღორძინების პროცესი. ენერგიულად ხორციელდება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერჯეტიკის, მეცხოვერების, განათლების, კულტურის, ზელოვნების, სპორტის განვითარების მიზანმიმართული და ფართო მასშტაბიანი ღონისძიებები.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემების გადაწყვეტას, ხელფასების, პენსიების, დახმარებების დროზე გაცემას, მოზარდ თაობაზე ზრუნვას.

ეროვნული ეკონომიკის, კულტურის, ზელოვნების, ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიის განვითარებაში მღწეულმა წარმატებებმა განაპირობეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარება, ევროპის რეგიონთა ასამბლეაში გაწევრიანება და ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის არჩევა ასამბლეის ბიუროს წევრად.

აშენდა 114 ხიდი, ორი წისქვილიკომბინატი, საქართველოს საზღვაო ბანკი და ახლახან გაიხსნა დიდი ბანკი, შენდა 47 მეგავატი სიმპლავრის ბათუმის თბოელექტროსადგური, ამოქმედდა თანამედროვე ტიპის ელექტრონული-თიორული სატელეფონო სადგური, ხორციელდება ზღვისპირა პარკის ფართომასშტაბიანი რეკონსტრუქცია-განაშენიანება. აღებულია უსახური, ბარაკის ტიპის 214 შენობა-ნაგებობა და საცხოვრებელი სახლი, ახალმოსახლეობა იხვამს 6 400 ოჯახს. აშენდა 16 საშუალო და რვაწლიანი სკოლა, აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის შენობა 800 ათას ტრულზე დაარსდა ახალი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები, მუზეუმები, შეიქმნა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, საინფორმაციო სააგენტო "აღორძინება" და "აჭარა", მოქმედებს 18 ეკლესია-ტაძარი, აშენდა, განახლდა და ამოქმედდა 11 ეკლესია, დამთავრდა ქ. ბათუმის სამშობლო სახლის რეკონსტრუქცია და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაყვავიანს.

აჭარაში საარქივო დარგის განვითარების თაობაზე მიღებული უზენაესი საბჭოს 1998 წლის იანვრის დადგენილება, სრულად ახალ პერსპექტივებს სახავს ჩვენი წინსვლისათვის. ბატონმა ასლან აბაშიძემ შეხვდა რა თურქეთის და საქართველოს საარქივო სამსახურების ხელმძღვანელებს, საზვასშით აღნიშნა თავისი ხალხის ისტორიის ცოდნის უდიდესი მნიშვნელობა, თქვა, რომ საქართველოსა და თურქეთის არქივების თანამშრომლობა, ისტორიული მასალების უთიორთგაცნობა ხელს შეუწყობს საქართველო-თურქეთის ურთიერთობის განმტკიცებას და განვითარებას. საქართველოს ისტორია, აჭარის 300-წლიანი ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია თურქეთის წარსულთან. როდესაც ოსმალეთის იმერიაში შემაგალი ქვეყნები დღეს დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან, მათი წარსულის ცოდნა შეუძლებელია თურქეთის არქივებში დაყოფილი დოკუმენტების შესწავლევად.

ქვეყნის ისტორიული მემკვიდრეობის ამსახველი დოკუმენტების დაცვა საიმედო ხელშია. არქივისტების კალია სიმართლით ვიკვლიოთ და ეთიშუოთ, რომ კეთილსინდისიერებამ და სამშობლოსათვის ზრუნვით ავსებულმა საქმემ გაიმარჯვოს. აჭარის გამარჯვება კი, ქვეყნის სხვა მხარეებთან ერთად ჩვენი განუყოფელი სამშობლოს – საქართველოს გამარჯვებაა.

წყაროები და ლიტერატურა

1. მჭერლაძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ. 1963, გვ.13.
2. ა. კელიანი, მწიკთაშობილობის ფორმები აჭარაში, ბათ. 1960, გვ. 29.
3. ახელდინაძე, სასალო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათ. 1957, გვ. 33.
5. ზ. ჭიჭინაძე, ქართველების გამამადადნება, თბ. 1907, გვ. 16,17.
6. ჭიჭინაძე, არქეოლოგიური მუგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ. 1987, გვ.25.
9. ზ. ლომაძე, საშეხე-ვაივანეთი, თბ. 1975, გვ. 145-146.
10. ა. სურგულაძე, სელიმ ხიმშიაშვილი, ბათ. 1986, გვ. 60-61.
11. ა. ახელდინაძე, სასალო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათ. 1957, გვ. 94.
12. ა. სურგულაძე, განმანათლებელი მოძრაობის ისტორიიდან აჭარაში, ბათ. 1978, გვ. 16.
13. მჭერლაძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ. 1963, გვ. 46.
14. ბათუმი და მისი ვარეულები (რუს.) ბათ. 1906, გვ. 153.
15. ვ. წერეთელი, გაზ. "დროება", 1979, № 24.
16. ზ. ჭიჭინაძე, თხზულებები, თბ. 1960, გვ.16.
17. ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ოსმალეთის მუსლიმან ქართველებისა, ბათ. 1911, გვ. 229-230.
18. ა. ახელდინაძე, სასალო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათ. 1957, გვ. 130.
19. ვ. სიქინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ. 1958, გვ. 57.
20. სესსა, ფონ. 521, აღწ. 10, საქ. 23, ფურ. 71-76.
21. ვ. სიქინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ. 1958, გვ. 64.
22. ვ. პორტო, რუსეთის მმართველობის დამცვლდება კავკასიაში (რუს.) თბ. 1914, გვ. 445.
23. ა. სურგულაძე, მ. სიორიძე, პორტო ფრანკო ბათუმში, ბათ. 1996, გვ. 21.
24. სესსა, ფონ.521, აღწ. 10, საქ. 23, ფურ. 57-58.
25. სესსა, ფონ. 416 აღწ. 3, საქ. 819, ფურ. 1-4.

- 26 სცხსა, ფონ. 545, საქ. 1677, ფურ. 17.
- 27 სცხსა, ფონ. 521, აღწ. 10, საქ. 21, ფურ. 19-22.
- 28 სცხსა, ფონ. 521, აღწ. 10, საქ. 23, ფურ. 64-65.
- 29 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 5. თბ. 1955, გვ. 18.
- 30 გაზ. "ღროება", № 182, 1878.
- 31 ე. შარაძე, ლეღასამშობლოსიან ღადრენკა, ვან. "საქართველოს რესპუბლიკა", №129, 1988. 23. 5.
- 32 გაზ. "ღროება", № 239, 1878.
- 33 გაზ. "ფერია", № 9, 1879.
- 34 აჭარის ცსა, ფონ. ი-6, ი-7, ი-16, ი-17.
- 35 სცხსა, ფონ. 229, აღწ. 1, საქ. 140, ფურ. 20-24.
- 36 აჭარის ცსა, ფონ. 16, საქ. 39, ფურ. 43.
- 37 სცხსა, ფონ. 229, აღწ. 1, საქ. 140, ფურ. 54.
- 38 სცხსა, ფონ. 19, აღწ. 4, საქ. 131, ფურ. 1.
- 39 სცხსა, ფონ. 416, საქ. 820. აღწ. 3. ფურ. 17.
- 40 აჭარის ცსა, ფონ. ი-1.
- 41 აჭარის ცსა, ფონ. ი-6, აღწ. 1, საქ. 11.
- 42 სცხსა, ფონ. 5, საქ. 4006, ფურ. 3-4.
- 43 აჭარის ცსა, ფონ. ი-6, აღწ. 1, საქ. 41.
- 44 ა. სურგულაძე, მ. სიითიძე, პორტო ფრანკო ბათუმში, ბათ. 1996, გვ. 25.
- 45 სცხსა, ფონ. 1438, საქ. 447, ფურ. 9.
- 46 აჭარის ცსა, ფონ. ი-16, აღწ. 1, საქ. 42, ფურ. 6.
- 47 აჭარის ცსა, ფონ. რ-12, აღწ. 1, საქ. 18, ფურ. 127.
- 48 აჭარის ცსა, ფონ. ი-6, აღწ. 1, საქ. 289, ფურ. 18-23.
- 49 აჭარის ცსა, ფონ. ი-6, აღწ. 1, საქ. 289, ფურ. 16.
- 50 აჭარის ცსა, ფონ. ი-7, აღწ. 1, საქ. 37, ფურ. 20.
- 51 აჭარის ცსა, ფონ. ი-6, აღწ. 1, საქ. 48.
- 52 აჭარის ცსა, ფონ. ი-6, აღწ. 1, საქ. 99, ფურ. 32.
- 53 აჭარის ცსა, ფონ. ი-7, აღწ. 1, საქ. 235, ფურ. 1-6.
- 54 აჭარის ცსა, ფონ. ი-7, აღწ. 1, საქ. 200, ფურ. 30.
- 55 აჭარის ცსა, ფონ. ი-7, აღწ. 1, საქ. 220, ფურ. 19.
- 56 აჭარის ცსა, ფონ. ი-6, აღწ. 1, საქ. 102, ფურ. 147.
- 57 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 5. თბ. 1955, გვ. 46.
- 58 გაზ. "ღროება", № 126, 1878.
- 59 სცხსა, ფონ. 481, საქ. 2, ფურ. 33.
- 60 სცხსა, ფონ. 481, საქ. 2, ფურ. 114-115.
- 61 სცხსა, ფონ. 481, საქ. 2, ფურ. 113.
- 62 აჭარის ცსა, მ. ამაზიძის ფონდი.
- 63 მ. ამაზიძე, რჩეული ნაწერები, თბ. 1961, გვ. 71.
- 64 ბათუმის მუზეუმის არქივი, ფონ. 5, საქ. 2-3.
- 65 ბათუმის მუზეუმის არქივი, ფონ. 5, საქ. 3.
- 66 ე. მესხია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათ. 1997.
- 67 გაზ. "ეროობა", №239, 1918.
- 68 აჭარის ცსა, ფონ. ი-67, აღწ. 1, საქ. 1, ფურ. 1-8.
- 69 თ. კომახიძე, მეჭედ ამაზიძე, ბათ. 1993, გვ. 21.
- 70 მ. ამაზიძე, რჩეული ნაწერები, ბათ. 1973, გვ. 124.
- 71 ნ. ზოსიძე, პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათ. 1995.
- 72 აჭარის ცსა, ფონ. ი-67, აღწ. 1, საქ. 13.
- 73 აჭარის ცსა, მსლევის მფონებში.
- 74 გაზ. "ეროობა", №199, 1918.
- 75 სცხსა, ფონ. 1861, აღწ. 2, საქ. 2, ფურ. 1-3.
- 76 სამუხლადნო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის პროგრამა და ინსტრუქცია (ქართულ და არაბულ ენებზე), ბათ. 1919.
- 77 თ. კომახიძე, მეჭედ ამაზიძე, ბათ. 1993, გვ. 105.
- 78 გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", №149, 1920.
- 79 საქართველოს ეროვნული მოძრაობის ბათუმის მუზეუმის არქივი, ფონ. 5, საქ. 2-3, ფურ. 12.
- 80 სცხსა, ფონ. 1833, აღწ. 1, საქ. 907.

*

ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის სრძელვადიანი

პაპ ანთია.

ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ლექტორი

დიპლომატიური კავშირი გერმანიის სახელმწიფო მოღვაწეებთან

როგორც ცნობილია, პირველი მსოფლიო ომის სამზადისის ხელი შეუწევს სხვადასხვა ხასიათის სოციალურმა, პოლიტიკურმა, ეროვნულმა, ეთნიკურმა და განსაკუთრებით ეკონომიკურმა მოვლენებმა, რომელთა შორის უმთავრესი ეროვნული საკითხი იყო. ამ ომით უნდა ესარგებლა საქართველოს და თავისი ეროვნული ინტერესები წინ წაიწია.

ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი ვარაუდობდა ესარგებლა ომით და გარეშე ძალების, სახელმძღვანელო და გერმანიის შემწევობით მიღწეა საქართველოს ავტონომიის მიღებისათვის. ამ საქმეში სხვებთან შედარებით შტრუველი ინტელიგენციის წარმომადგენლები უნდა იყოს. ამ ომით უნდა ესარგებლა საქართველოს და თავისი ეროვნული ინტერესები წინ წაიწია.

ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი ვარაუდობდა ესარგებლა ომით და გარეშე ძალების, სახელმძღვანელო და გერმანიის შემწევობით მიღწეა საქართველოს ავტონომიის მიღებისათვის. ამ საქმეში სხვებთან შედარებით შტრუველი ინტელიგენციის წარმომადგენლები უნდა იყოს. ამ ომით უნდა ესარგებლა საქართველოს და თავისი ეროვნული ინტერესები წინ წაიწია.

აგერტურული წყაროების მონაცემებით, ქალაქ ქუთაისში ფედერალისტთა ჯგუფის წევრთა რიცხვს, რომლებმაც გადაწყვიტეს თურქეთის მხარეზე დადგომა, მიეკუთვნებოდა ნაფიცი ვეკილის თანამშრომელი - გრიგოლ ერმალონი ძე ლაღიძე, პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი შოთა პლატონის ძე დადიანი. ამ ჯგუფის აშკარა მომხრეები არიან თბილისელი ფრანკლისტი სამსონ ფირცხალავა და პეტროგრადის სასოფლო-სამეურნეო კურსების მსმენელი დავით ჩიჭოვანი. დასახლებულ პირებს, აგერტურის მონაცემებით, აქვთ ურთიერთობა კონსტანტინოპოლში მცხოვრებ ემიგრანტებთან - მხელე გიორგის ძე წერეთელთან და ვარლამ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილთან. დასახლებულ პირთა გარდა, თურქეთიდან იღვწის პროპაგანდაში და ამ მოძრაობის ორგანიზაციაში აქტიურ მონაწილეობას იღებს საზღვარგარეთ დიდი ხნით მცხოვრები ინჟინერი, თავად, გიორგი ვასილის ძე მანაშელი.¹

ფედერალისტები პირველი მსოფლიო ომის დროს ვარაუდობდნენ აქტიური საგაიტაციო მუშაობის გაშლას ქართულ ტყვეთა შორის მათი რუსეთის წინააღმდეგ გამაყენების მიზნით. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა შეადგინა სპეციალური მიმართულება, რომლითაც მოუწოდებდა ქართველ სამხედრო ტყვეებს ქართულ რაზმებში გაერთიანებას გერმანიის ჯარებთან ერთად, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად. ამ მიმართვის სათაურია "ქართველებო". იგი გაუცრულებლიათ ავსტრია-უნგრეთში, რუსეთის არმიის ტყვეებში, რომელთა შორის ბევრი ქართველი იყო. მიმართვაში ვკითხულობთ: "გერმანია გვაძლევს იარაღს და ფულსაფურს აუცილებლად ომისათვის და ჩვენ თურქეთის ჯარებთან ერთად, რომლებიც ამჟამად ებრძვიან რუსეთს საქართველოს საზღვრებთან და აპირებენ საქართველოში შემოსვლას, როგორც მგლობრები და არა მტრები, უნდა მამაცურად ვიბრძოლო საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისათვის... ქართველებო, იმის მაგიერ, რომ ხელში გექვიროს მახვილი და ვემსახუროთ სახელმწიფოს - ჩვენი და მთელი კაცობრიობის მტერს, ისარგებლოთ შემთხვევით და ჩაეწიეთ ქართულ რაზმებში... ზეობს, სამარცხენო სიცოცხლეს ტყვეობაში, ამჯობინეთ მშობლიურ ევლებზე სიკვდილი".²

საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ფხიზლად ადევნებდა თვალს ემიგრაციაში მყოფი ჩვენი ინტელიგენცია. საინტერესოა გერმანიაში მცხოვრები გიორგი კერესელიძის მიმხრობა ქართველ მოღვაწეებთან. 1916 წლის 13 იანვარს პეტრე სურგულაძისადმი გაგზავნილ წერილში იგი იღუწივად მიიწვევს საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლას მსოფლიო გარედან დახმარების იმედით. იგი წერს: "პეტრე, შენ დიდ იმედებს ნუ აყარებ სხვის დახმარებაზე. იცილდე, ჩვენ ნამდვილი მეგობრები არაიან არ ვყავს. მე ამაში წინათაც ვიყავი დარწმუნებული და ახლა ზომ საბოლოოდ დავრწმუნდი. მთელი ჩვენი იმედები ჩვენს საკუთარ ძალ-ღონეზე და საკუთარ გამჭირაობაზე უნდა დაყრდნობილი იყოს".³

ომის დასაწყისში საინტერესოა გიორგი მანაშელის ფიქურა, რომელიც ბელგიაში იმყოფებოდა. 1914 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში იგი სასწრაფოდ ჩავიდა პიდელბერგში და შეხვდა მხაკა წერეთელს, რომელსაც აცნობა, რომ ქართველებს სამ ადგილას დაეყენეს საქართველოს საკითხი რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა წინაშე: პირველი ქარცხიძემ ოსმალეთში, რომელსაც უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ომი რუსეთთან, პეტრე სურგულაძემ და ლეო კერესელიძემ - ფრანგებში, გერმანიის საკონსულოს საშუალებით, ხოლო გიორგი მანაშელმა - გერმანიაში.

ლეო კერესელიძე საკონსულოში იმითომ მისულა, რომ ბერლინისათვის მატერიალური რესურსები ეთხოვა საქართველოში განმარტვისთვის მოძრაობის ხელშეწყობად. მერე გერმანიის საგარეო სამინისტროს დახმარებით თურქეთს გაემგზავრა. სტამბულში გერმანიის ღონს ვანგენჰაიმს უკვე 3 აგვისტოს ჰქონდა მიღებული ინსტრუქცია - მოეწოდებინა ანტრუსული აჯანყება კავკასიაში. კონსტანტინოპოლში ორ ქართველ კათოლიკე სასულიერო პირს მისთვის წარდგინდა ჰქონდა თხოვნა - მიეწოდებინათ იარაღი და მიეცათ საქართველოს მომავალი სტატუსის გარანტია. ელი

წერილობით იძლეოდა დაბრუნებას; თუ ქართველები უარს არ იტყვიან მაშინდა კავკასიელეთთან თანამშრომლობაზე და არც თურქეთის მთავრობა იჩენება წინააღმდეგ, რაში "გერმანიის მთავრობა ვალდებული უნდა იყოს - შეძლებისდაგვარად შეასრულოს ქართველი ბუნების სურვილები, თუ, ცხადია გერმანიას ომის შემდეგ საშუალება ექნება ომის მონაწილეებს თავისი ნება უკარნახოს".³

გ. მაჩაბელს, თავის მხრივ, მოლაპარაკება უწარმოებია გერმანელების მიერ ოკუპირებული ბელგიის ვერვალ-გუბერნატორ ფონ დი-ვოლკთან, რომლის გაცხადებული ვერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის შედგენილი მემორანდუმი მასში აღინიშნული იყო, რაი დაგვა ქართველთა შიშალები ინტერესების აღდგენის დრო. სწორედ მისი რეკომენდაციით წვაილენ ბერლინიში მიჰყო წერეთელი და გიორგი მაჩაბელი, რომ ზელშეკრულებისათვის მიეცათ რეალური სახე. ამის შემდეგ ისინი მიემყვანებოდნენ ვერ სტამბოლს, შემდეგ ტრაპიზონს, სადაც იყვნენ მ. ქარცივაძე, მძევი კერესელიძეები და სხვები. აქ წუერთიდან დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ელემენტები და საბოლოოდ დააარსეს საქართველოს დამოუკიდებლობის გაერთიანებული დიდი კომიტეტი, რომელიც საქართველოს რევოლუციურ მთავრობად ითვლებოდა. კომიტეტი შეუდგა ქართული ლეგიონის შედგენას, რომ აქტიური მონაწილეობა მიეღო ომში ოსმალეთთან ერთად. თავდაპირველად მას ენათაურობდა ლეო კერესელიძე, ხოლო შემდეგ გრაფი ფ. შულენბურგი.⁴

დამოუკიდებლობის კომიტეტის კავშირი დამუყარებია გერმანიის სახელმწიფო და სამხედრო უწყებებთან, არმიის მაღალი თანამდებობის პირებთან.

1915 წელს, გ. მაჩაბელი ზელს აწერს გერმანელებისათვის გადაცემულ "კავკასიური კომიტეტის მემორანდუმს", რომელშიც კავკასიელ ერთა დამოუკიდებლობისა და რუსეთის ბატონობისაგან მათი განთავისუფლების მოთხოვნა იყო წამოყენებული.

პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველოს მდგომარეობა მეტად თავისებური გახდა და ამიტომ დამოუკიდებლობის კომიტეტს აინტერესებდა, თუ რას ფიქრობდა ამ სახელისწირო ვაშს ქვეყანა. შეიძლება ითქვას, რომ ამის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ჯუშობას რამე პერსპექტივა ჰქონდა. ამისათვის გ. მაჩაბელი გამოემგზავრა საქართველოში ბულგარეთ-რუმინეთის კზით და ფინეთ-შვედეთის კზით დაბრუნდა ბერლინიში. მეტად საყურადღებო ცნობები მიჰწვია კომიტეტს, რომლებიც საჭირო იყო მისი შემდგომი მუშაობისათვის.⁵

საქართველოს პოლიტიკური პარტიებიდან ერთგულ-დემოკრატიული პარტია და სხვა ნაციონალისტური წრეები ხოლიდართან უცხადებდნენ ვეროპანი მოქმედ დამოუკიდებლობის კომიტეტს.

1915 წელს გ. მაჩაბელი პეტრიტრადში შეხვედრია თავის ძველ მეგობარს - ვასო დუშაძეს, რომელიც დაიყოლია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მასაღწევაზე ზელი შეეწყო ომში რუსეთის დამარცხებისათვის. აღჭურვილობაზე ველა შეგვეთა ხომ მის ზელში იყო: გ. მაჩაბელმა ვასო დუშაძესთან ერთად შეიმუშავა მზაკრული გეგმა, რომლის განხორციელების შემდეგ ველა ჭურჭ, მის მიერ შეკეთილი და დამზადებული რუსეთის არმიის გენერალური შტაბისათვის, სხვა კალბრის აღმოჩნდა და არ მოეყო ქვეშეებს. ფრინტზე სამინილი კატასტროფა მოხდა, არმია გენერალური შტაბის წინ უჭურველი დარჩა. დიწყო კარასტებიდან რუსეთის არმიის კატასტროფული უკანდახვეა.

1916 წლისათვის რუსეთი უკვე დამარცხებული და განადგურებული იყო. ამისათვის საქართველოში შექმნილი ახალი სულისკვეების გასკონობდა. გ. მაჩაბელი სტამბოლიდან აწყობს პირველ დიდ ექსპედიციას წყალქვეშა ნავით. ეს საქმე მზაკრვა გერმანიის სამხედრო-სახელად შტაბთან შეთანხმებით. თან მზაკვს აარადი. საქართველოში არადგეალური პოლიტიკური მუშაობისათვის შექმნილი მძიმე პირობების მიუხედავად, გ. მაჩაბელი რამდენიმე ქართველი შემოღის საქართველოში, აგროებს საქირი ცნობებს და პეტერბურგით, ციმბირით, ააბონით და ამერიკით ბრუნდება ბერლინიში. ამის შემდეგ კიდევ ორი ექსპედიცია მოეყო საქართველოში: 1917 წელს სტოკოლმიდან წყალქვეშა ნავით გამოემგზავრნენ მზაკო წერეთელი და მელიტონ ქარცივაძე ვიორგი მაჩაბლის დავალებით, ხოლო 1918 წელს, გაზაფხულზე იგი კვლავ გზავნის ექსპედიციას წყალქვეშა ნავით, მზაკო წერეთლისა და მელიტონ ქარცივაძის ზელმძღვანელობით.

1915-1916 წლისათვის შექმნილ ქართულ ლეგიონს, რომელიც თურქეთში იბრძოდა, უერთდება გერმანელებთან განზრახ ტვედ ნავარდნილი ახალგაზრდა ქართველი ოფიცრების ნაწილი. შემდეგთ თურქეთის დაქინებული მოთხოვნით, გერმანელებმა ლეგიონი, რომელიც მათი თანხმობით ჩამოყალიბდა, დაშალეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ თურქეთი ეკით უჭურვდა საქართველო-გერმანიის ურთიერთობას. ქართველ ტვეთა შირის დიწყო გერმანელებთან თანამშრომლობის მსურველთა ძიება. საამისო პროპაგანდას ემსახურებოდა გაზეთი "კავკასია". ომის დაწყებებიდანვე გერმანიისა და ავსტრიის უნგრეთის ტერიტორიაზე, ტვეთა ბანაკებში გამოდიდა ზელნაწერი ვერნალ-გაზეთები. გერმანიის დახმარებით და მისი ინტერესების შესაბამისად 1915 წლის 5 მარტს ტვეთათვის გამოიცა "კავკასიის" პირველი ნომერი, ხოლო 1916 წლის მარტიდან გერმანიის მთავრობისგან დახმარებით "ქართული გაზეთი". მისთვის ქართველ ემგრანტებს სტამბა ეწყვიდნენ ჩამოუტანიით. რედაქტორი ყოფილა გ. კერესელიძე.

"ქართული გაზეთი" მუშაობდა "ეროვნული აზროვნების გასაძლიერებლად. ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ნატურის გასაღვივებლად".⁶ უფრო გვიან, 1918 წლისათვის, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, სწორედ ამ გაზეთის საშუალებით მიმართავდა გ. მაჩაბელი ქართველ ტვეტებს და ჰპირდებოდა სამშობლოში დაბრუნებას. ამ საკითხზე იგი ვენაში მუშაობდა, ხოლო გ. კერესელიძე - ბერლინიში.

ბრიტოლა ეროვნული უფლებების აღდგენისათვის

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მსოფლიო ომის კვანძი გაისკვნა საქართველოს გარეშე. მისი მიზნები და ძიებანი აქ არაფერ შუაში იყო. საქართველო მხოლოდ ჩააბეს უცხოთა ბრიტოლაში. რასაკვირველია, ეს დიდი ტკივილი გახდა

რისთვის. საქართველოში არ იყო ომის ეროვნული განცდა. ბრძოლას ეწირებოდა ჩვენი სისხლი და ხორცი, ათასობით ჯარღონით საგვ ახალგაზრდა შორეულ უცხოეთში დებდა თავს უცხო ქვეყნისათვის, ხოლო საქართველო ისევ უომრად ცხოვრობდა, მაგრამ ადვოკა უსასტიკესი დრო და ომის მძინვარებამ შესხვთვა გადამინაცვლა, შეიქნა საქართველოს ამ დიდებულ კუთხის დაკარგვის საშიშროება. დაისვა ჯერ ქართველი მამადაინების, ხოლო შემდეგ მთელი საქართველოს გადარჩენის საკითხი. "ახლა კი ნამდვილად დაიბადა ჩვენში ეროვნული დემოთი, ეროვნული იდეალი, რაც იმაში გამოხატა, რომ საქართველოს მიწის არც ერთი ნაწილი არც ერთი გოჯი არ მიგვეცა მტრისათვის საჯიჯვანად. ომი ყველა ქართველში გაეროვნულდა. „არსებობს მიზნები, არსებობს ომის ეროვნული განცდა და ლტოლვა“ – წერდა ს. კვლა.

ქართველი ერი მრავალი საუკუნის განმავლობაში ეწეოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. მხოლოდ 1783 წელს გეორგიევსკის ხელშეკრულებით მიიღო რუსეთის მფარველობა (პროტექტორატი). მისი ძალით საქართველოს უნდა დარჩენილია საკუთარი კანონმდებლობა და მთავრობა, ხაზინა, ჯარი, სამართალი, ეკლესია, მაგრამ 1801 წელს რუსეთმა დაარღვია ხელშეკრულება და სრულიად გააუქმა ქართველი ერის სახელმწიფოებრივი უფლებანი. ამიტომ როგორც მატერიალურად, ისე უფლებრივად საქართველოს ავტონომია აუცილებელი გახდა.

"საქონლა გავითვალისწინებთ საქართველოს პოლიტიკური უფლებანი. საქართველო ახლა განიცდის რევოლუციას რუსეთში და სამნივლი მსოფლიო ომის მოწყობები ვართ. ასეთ ხანაში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება მატერიალურ ძალას, ჯარსა და ზარბაზნებს, მაგრამ რევოლუცია და ომი არ არის მუდმივი მოვლენა. ბოლოს ერთიც და მეორეც უნდა შეწყდეს უნდა ჩამოვარდეს ზავი და დატყარდეს ისეც უფლებრივი განწყობილება ერთა შორის. მაშინ ჩვენს ხელშეკრულებასაც მიეცა შესაფერი მნიშვნელობა. მაშინ ისიც წარმოადგენს თავისებურ ძალას, რომელსაც ყველგან ახგარიში უნდა გაეწიოს."

ფი დიდებული იყო ორ თავისუფალ სახელმწიფოს შორის და წარმოადგენდა იურიდიულად ნამდვილ საქონლაშორისო კტეს. საქართველო მიიღო რუსეთის მფარველობა და დაპირდა, საერთაშორისო განწყობილება მიეცია რუსეთის კონტროლის ქვეშ, რომ ომის დროს მათ შეეძლებოდა ჯარს. ამრიგად, შეზღუდული იყო მხოლოდ საერთაშორისო უფლება, ხოლო ყველა დანარჩენი პოლიტიკური უფლება საქართველოს ხელში რჩებოდა. ასეთი უფლებრივი განწყობილება წარმოადგენს მთელს ავტონომიას. თუ ეს პოლიტიკური უფლებანი აღდგენილ იქნება, მაშინ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება მიიღებს შემდეგ სახეს: მოკლედ მან უნდა მიიღოს დემოკრატიული სახე და სასიათი.

ა. ეროვნული კრება, რომელიც გამოხატავს ხალხის უფლებამოსილებას. არჩევნის მოწყობა საყვიველთაო, პარლამენტი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით. დეპუტატები – 140-240 კაცამდე. ეროვნულ კრებას ექნება სრული კანონმდებლობის უფლება.

1. მუდმივი ჯარის ცოლა;
2. ადგილობრივი თვითმმართველობა სოფლებსა და ქალაქებსში;
3. მოწყობა სამართალის, ადმინისტრაციისა და ხალხის განათლებისა;
4. სამკვლავლო და სოციალური კანონმდებლობა;
5. საფინანსო პოლიტიკა;
6. განხილვა ყოველწლიური შემოსავალ-გასავლისა და დამტკიცება საავტონომიო ხარჯთაღრიცხვისა;
7. კრების უფლება-თვალეფური ადენური აღმასრულებელ ძალთა მოქმედებას.¹⁰

ეროვნულ-დემოკრატიების აზრით, რუსეთის უფლებანი შედის საგარეო პოლიტიკა, ომისა და ზავის საკითხი და საერთო ბიუჯეტი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ საქართველოს არ ჰქონდეს საგარეო მოქმედების, თავისი ეკონომიკის მოწყობის უფლება. მათ დიდი იმედი აქვთ, რომ რუსეთის დიდმა რევოლუციამ და საერთაშორისო განწყობილებამ წამოაყენა ერთა განთავისუფლების ლოზუნგი და ამიტომ დარწმუნებული არიან, რომ საქართველოს ეღირსება განთავისუფლება.

1917 წლის ივლისში მიხაკო წერეთელი გახვო "საქართველოს" სტოკჰოლმიდან სწერს წერილს "საქართველოს საკითხები". ჩვენ, საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთ არ გვესმის სრულიად მოქმედება ქართველი საზოგადოებისა ამ დიდი რევოლუციის დროს: რუსეთის რევოლუცია მარტო რუსის ერს კი არ მოუზღვინია, არამედ ყველა ერმა, რომელნიც ცხოვრობდნენ რუსეთის სახელმწიფოში და, მათსადაც, ყოველ ერს აქვს უფლება, თანასწორი ეროვნული უფლებანი მიითხოვოს. ასე მოქმედებენ ფინები, უკრაინელები და სხვანი, ხოლო ქართველები კი ეზორილებიან უკანონო ბრძანებას და იმის თქმასაც კი ვერ დაუვან, რომ ბრძანებანი ეწინააღმდეგებან დროებითი მთავრობისვე მიერ გამოცემული აუთოუფლების მანიფესტსა.¹¹

მანიფესტის ის მუხლი, რომელიც აცხადებდა ეროვნულ შეზღუდვათა მოხსობას, ნიშნავს ქართველთათვის მხოლოდ ერთს – ჩვენს უფლებათა აღდგენას.

1. აღდგენას საქართველოს ავტონომიისა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ, როგორც ეს განსაზღვრული იყო 1783 წლის ხელშეკრულებაში.
2. უფლებას ქართველთა დამფუძნებელი კრების მოწყვეტისა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ქართული კონსტიტუცია, განსაზღვროს ფორმა საქართველოში შემოსადები მმართველობისა და გადასინჯოს ხელშეკრულება 1783 წლისა და შეკრას ახალი ტრაქტატი რუსეთთან, შესაფერი ახალი პირობებისა, ანდა საზოგადოდ განსაღვროს დამოკიდებულება საქართველოსი რუსეთთან.
3. უფლებას საქართველოს ტერიტორიის განსაზღვრისას – ვერც ქართველმა ერმა შეეგნო ეს თავისი უფლება და მისი აღდგენის მაგიერ ემორჩილება ძველი წესის შესაფერ განკარგულებათა. ვერც დროებითი მთავრობა მოქმედებს კანონიერად, რომელიც განანატყობებს ძველს უსამართლობას და საქართველოს ამ უფლებებს არ სცნობს.¹²

მანიფესტის ის მუხლი, რომელიც აცხადებდა სარწმუნოებრივ შეზღუდვათა მოსპობას, ნიშნავს ქართველთათვის: 1. დაუყოვნებელი მოსპობას საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობისა და ეგზარქოსის ვასალთა თბილისიდან.

2. დაუყოვნებელი არჩევას საქართველოს კათალიკოსისა ერისა და სამღვდელთების მიერ, ხოლო ქართველთა არ ამიერიანა კათალიკოსი. არ ვიცით, რა მიზეზით ატყობინებს აქტს ავტოკეფალიის აღდგენის სურვილისას რუსეთის დროებით მთავრობას, რომელსაც ეს საკითხი სრულიად არ ენება საეკლესიო სამართლის ძალით და დროებით მთავრობაც რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე სდებს ამ საკითხს, თითქოს ეს კრება შესსლბდეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადაწყვეტას, ამ მას ესებოდეს იგი.

ძველ ქართველთა ძალით, საქართველოს ჯარი საქართველოს სახლვრებში უნდა მდგარიყო და დაეცვა საქართველოს სახლვრები ნამდვილ მტერთაგან. დღეს კი, 300 000 ქართველი ჯარისკაცი, განწყული რუსის ჯარში, ებრძვის რუსის მტერს და იმის მაგიერ, რომ დასავლეთის ფრონტიდან ჩვენი ჯარისკაცები გადმოგვანათ საქართველოში, შედგენათ ქართული ჯარი (ან მილიცია) და დაეყენებინათ იგი იმ ფრონტზე, საიდანაც საქართველოს ბოლის შემოსევა. არაუ ქართველებს გერმანელებისა და ავსტრიელების წინააღმდეგ საბრძოლველად ავიცებენ, არამედ იმ მიერ ქართულ მილიციასაც კი სპობენ საქართველოში, რომელიც ძველმა მთავრობამაც კი შეიწყნარა. ამის მიზეზად სასახლვრებ არბის ერთფეროვნების საჭიროებას, თითქოს ქართული მილიცია ამ ერთფეროვნებას ხელს უშლიდეს. უკრანინლებს ნებას აძლევენ, საკუთარი ბრძოლები იფილიონ, ჩვენ კი კანონისა და სამართლის წინააღმდეგ ვიშლით საკუთარი მილიციის შედგენას. ყოველივე ეს ცუდის მომასწავებელია, იმისი, რომ ახალი მთავრობა ძველის გზით მიდის; არც საკუთარი დამფუძნებელი კრება, არც ავტოკეფალია, არც მილიცია. ავტონომიაზე ზომ სულ არავინ ლაპარაკობს და საქართველოს ტერიტორიის განსაზღვრის დროს კი უპქველად მართო ორიოდ მახრა უნდა მოგვევიღონ, თუ საზოგადოდ იქნა ასეთი განსაზღვრა. აი, რასა ვხვდებით ამ რევოლუციის დროს.

ყოველივე ამას ვიცილთ მხედველობაში სახლვრებრივ მცხოვრებნი ქართველნი და ვცდილობთ ავიძალოთ ხმა ჩვენ უფლებათა დასაცველად, ხოლო ქართველნი საქართველოში უნდა ეცადნენ, ჩვენი ფიქრით, რაც შეიძლება მაკაფიოდ განსაზღვრონ თავიანთი უფლებანი და დაცვან ისინი, სანამ დროა, თორემ რევოლუციის ცეცხლის ჩანებლისას გვიანდა იქნება ვეცლაფერი.

აქაურ ქართველთა მონდობილობით — **მის. შირაშიაძე**.⁴¹³

1917 წლის ივლისში რუსეთის რევოლუციაც და ომიც დასასრულეს უახლოვდებოდა. გერმანიის კანცლერმა მიხალევს რაისტაგში აღნიშნა, რომ კავკასიის ფრონტზე ბრძოლის შეჩერება ზაფხულის ბრალი იყო და აქ მალე რუსები შეეჭრობდნენ ძლიერი ოსმალეთის ჯარს. სამხლერ მოქმედება-სტრატეგია ყოველთვის პოლიტიკური და ეკონომიკური გასაღებით არის მომართული. რას უკადდა გერმანიის საომარი გეგმა საქართველოს?

საგარეო საქმეთა მინისტრის თანამშრომის, დოქტორ ლეჟისუის თქმით, "მთავარი მიზანი გერმანელთა ამ ომში ის არის, რომ სულ თუ არა, დიდი ხნით მაინც აიძვროს თავიდან ევება რუსეთის საფრთხე".¹⁴

გერმანელებმა იციან, ამ ომში რუსეთი რომ დამარცხდეს, მაინც წამოდგება ფეხზე და ამიტომ ისინი ფიქრობენ, რომ, თუ რუსების და გერმანელების, რუსების და ოსმალ-სარასილების შუა მყოფი ერები განთავისუფლებდნენ რუსეთის სახელმწიფოსაგან და დაუკავშირდებინან გერმანიას, ამით რუსეთი მოწყდება ბალტიისა და შავ ზღვებს, სკანდინავიიდან ჩინეთამდე მას გარს შემოერტყმება ახალ სახელმწიფოთა რკინის ყორე. დასავლეთის ფრონტისათვის გერმანელთა გეგმა გულისხმობდა პოლონეთის, ლიტვისა და ფინლანდიის აღდგენას.

კავკასიის ფრონტზე კი გერმანიას ხელი უნდა შეეწყო მამამლიან ეროვნებათა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის და ამით მთელი აზიის გერმანიასთან დაკავშირებისათვის.

ოსმალეთის სახელმწიფოს, თურქ-თათრების გარდა, ესაზღვრებინან არამამამლიანი სომხები და ქართველები.

სომხებმა ომის დაწყებისთანავე თავიანთი ბედი რუსეთს დაუკავშირეს. კავკასიის შეტევის მარცხი ოსმალელებმა სომხებს დადარალეს. გერმანიასთან შეთანხმებით აჰყურეს ისინი და მქსოპტკამაში გადასახლეს, სომხები კი ბალკანეთიდან გადმოხვეწილი სომხების ჩასახლება დაიწყეს. ოსმალეთს ზომ საქართველოს საკითხიც ჰქონდა გადასაწყვეტი. ამასთან დაკავშირებით ლეჟისუი ამბობს: "გერმანიის კავშირისა და ოსმალეთის ბედი რუსეთ-გერმანიის ფრონტზე უნდა გადაწყვეტეს. თუ გავიმარჯვებთ, ამიერკავკასიას ოსმალეთს შეეერთებთ და ავტონომიურ საქართველოს შექმნით ოსმალეთს სუვერენიტეტის ქვეშ".¹⁵ ის აღნიშნავს, რომ ქართველები და თათრები კეთილდუნაწილობაში არიან ერთმანეთთან. მისივე აზრით, ჩრდილო კავკასიამდე უკრანია, სამამამლიანი ამიერკავკასია ოსმალეთს ეკუთვნის და ავტონომიური საქართველო იმავე ოსმალეთის პროტექტორატის ქვეშ იქნება. აძენდა საქართველო ძალზე რთულ პირობებში იმყოფებოდა. მართალია, რუსეთის რევოლუციამ გამოავსადა ერთა თვითგამორკვევა, მაგრამ ეს არ განხორციელდა და კვლავ საფრთხე დაეჭურა თავისუფლებას.

რევოლუციის მიერ გამოცხადებული თვითგამორკვევის პრინციპით ისარგებლეს ქართველებმა და კავკასიელებმა. საქართველოში დაარსდა ეროვნული მთავრობა, ამიერკავკასიის კომისარიატი, სადაც შევიდნენ ქართველთა, თათართა, სომხთა ეროვნული მთავრობები. ეს იყო პირველი დიდი ნაბიჯი თვითგამორკვევისაკენ, პოლიტიკური თავისუფლებისაკენ.

"ქართველობა და კავკასია უციდნენ, როლის წაიციდოდა ოსმალეთის ფრონტიდან რუსის ჯარი რუსეთისაკენ, რომ ოფიციალურად გამოცხადებინათ თავიანთი დამოუკიდებლობა. მდგომარეობა გაართულა ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა. ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაზე ჩვენი წარმომადგენლები ვერ დაესრულნენ, რადგან ეს მამზნდელ პირობებში შეუძლებელი იყო. ამის შედეგი იყო კონფლიქტი ჩვენსა და ჩვენს მოსაზღვრე სახელმწიფოთა შორის. რით ვთავადებთ ეს კონფლიქტი, არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში ეს ცხადია, რომ ჩვენ თავისუფლნი ვართ. ეს თავისუფლება საქვეყნოდ არის განცხადებული და შეიძლება ზავეზე ვილაპარაკოთ დამოუკიდებლად უცხო სახელმწიფოებისა. ერთი ნაბიჯი და უცხო სახელმწიფოები

თი გაკლარტენ დამოუკიდებლად. ყველა ქართველის მოვალეობაა, ხელი შეუწყოს ამ ახლად მოპოვებული თავისუფლების განმტკიცებას".¹⁶ – წერდა მიხაკო წერეთელი.

განმომხმენებელი წყაროები და ლიტერატურა

1. გ. შენგელია, ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, 1907-1917, თბ. 1971, გვ. 108.
2. სცსსა, ფონ.13, აღწ. 27, საქ. 3167, ფურ. 6.
3. სცსსა, ფონ.13, აღწ. 27, საქ. 4342, ფურ. 2-3.
4. სცსსა, ფონ.13, აღწ. 27, საქ. 5439, ფურ. 16-17.
5. ლ. ბაქრაძე, "კავკასია" და "ქართული გაზეთი", გაზ. "7 დღე", 1991, 29, III.
6. გ. შარაძე, პრინცი მახაბელი, გაზ. "თბილისი", 1990, 19 VI.
7. გ. კობახიძე, იყო ერთი თავადი, გაზ. "თბილისი", 1990, 6 X.
8. ლ. ბაქრაძე, "კავკასია" და "ქართული გაზეთი", გაზ. "7 დღე", თბილისი, 1991, 29 III.
9. ს. კედია, საქართველო 915-ისა და 916-ის საზღვარზე, გაზ. "საქართველო" 1916, 1, I.
10. გ. გვაზაფა, საქართველოს ავტონომიით, გაზ. "საქართველო", 1917, №144.
11. მ. წერეთელი, საქართველოს საკითხები, გაზ. "საქართველო". 1917, №152.
12. იქვე.
13. იქვე.
14. გ. ვეშაპელი, გერმანია, ოსმალეთი და საქართველოს საკითხი. გაზ. "საქართველო", 1917, №160.
15. მ. წერეთელი, ეროვნების პრინციპი და საქართველოს ბედი, "ქართული გაზეთი", 1918, №10.
16. იქვე.

*

დიდი კულტურული და პატრიოტული საქმის სამსახურში

მ. ჭაქვიანი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორი.

მ. ცხიხლაძე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივის განყოფილების გამგე.

მთელი ქართველი ხალხი, მათ შორის აჭარის მოსახლეობა, ზემოთა და სიხარულით აღნიშნავს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 120 წლისთავს.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება და მისი საქმიანობა იყო XIX საუკუნის 60-იანი წლების ახალგაზრდა ქართველი მოწინავე, რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის დაუღალავი შრომის შედეგი. მისი მოღვაწეობა იჭეჭეკავამის წერილებით დაიწყო. ამას მოჰყვა გამოცემა ჟურნალი "ცისკარში" და გაზეთი "დროების" გამოცემა. 70-იანი წლების დასასრულს დაარსდა ქართული თეატრი, გიმნაზია და ბოლოს "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება".

საჭირო იყო ამ საქველმოქმედო ორგანიზაციას იურიდიული ძალა ჰქონოდა და თავი დაეღწიათ ქართველი მწერლების, მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების აზრთა ურთიერთგაზიარებისათვის მართლდენ ოჯახებში, სალონებსა და ლიტერატურულ წრეებში. ამ ამოცანის გადასაჭრელად 1862 წელს ქართველმა ინტელიგენციამ იჭეჭეკავამის მეთაურობით გადაწყვიტა დაარსებინა ლიტერატურული საზოგადოება, რომლის მიზანი იქნებოდა საქართველოში ქართული წერა-კითხვის შესწავლა, წიგნების გამოცემა და გავრცელება, სკოლებისა და სამკითხველოების გახსნა. შემუშავებული იქნა წესდებაც, რომლის დამტკიცებაზე იზრუნა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა გ. ორბელიანმა, მაგრამ მეფისნაცვალმა უარი უთხრა. ამის შემდეგ წესდება შესწორდა, დაემატა ახალი მუხლი: საზოგადოება დაწვევით სწავლებას წარმართავს დაეძინაზე, ბავშვებისათვის გასაცემი ენაზე და ეხმარება რუსული ენის შესწავლას.

დიდი ბრძოლის შემდეგ 1878 წლის 3 იანვარს საზოგადოების დამფუძნებელი კრების დაავალებით იჭეჭეკავამ, დ. ყიფიანმა და ბ. ლოლობრიძემ წესდება წარუდგინეს მთავრობას. მეფის მოხელეებმა მოითხოვეს შეეცვალათ პროექტის მესამე მუხლი. დ. ყიფიანმა 1878 წლის 26 მარტს მთავრობას გრცელი განმარტება მისცა ამ მუხლთან დაკავშირებით და 14 აპრილს თბილისის გუბერნატორმა მას აცნობა წესდების დამტკიცება, რამაც ქართველ ინტელიგენციამ დიდი სიხარული გამოიწვია. ამერიიდან საზოგადოება უფლებამოსილი იყო გაეხსნა ისეთი დაწყებითი სკოლები, სადაც სწავლება დედაენაზე იქნებოდა დაფუძნებული და რუსული ენის სწავლებაც მყარ ნიადაგზე დაედგობოდა, ამასთან გაეხსნათ სამკითხველოები და გამოეცათ წიგნები.

გაზეთ "დროებაში" კეთილშობილი, რომ 1879 წლის 5 მაისს თბილისის საადგილმამულო ბანკის დარბაზში გაიმართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხსენება. ხსენობაზე გ. ორბელიანის უარის თქმის გამო გამკეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დ. ყიფიანი. კენჭისყრის შემდეგ გამკეობის წევრებად არჩეულ იქნენ ი. ჭავჭავაძე, ნ. ცხედაძე, ი. გოგებაშვილი, ი. მაჩაბელი, რ. ერისთავი, ა. სარაჯიშვილი, ნ. ქანანოვი, დ. ავალიშვილი, დ. უთურგაული. პირველი გვესი - წევრად, უკანასკნელი სამი - კანდიდატად. თავმჯდომარის თანაშემწედ აირჩიეს ი. ჭავჭავაძე, მდივანად - ა. სარაჯიშვილი, ხაზინადრად - რ. ერისთავი.

ამ მოვლენით აღტაცებული დიდი ილია ჭავჭავაძე ამბობდა: "ერთმანეთს დამორებული ქართველები, აქამდე ცალკე ცალკე მოსიარულენი, დაუკავშირდნენ ერთმანეთს, მხარში ამოუდგნენ ქონებით და გონებით, ერთ კვალში ჩადგნენ და საყოველთაო საქმისათვის ამოქმედდნენ".

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდება მიღებულ იქნა 1879 წლის 17 მაისს, ხოლო შეტყობილი სახით - 1907 წელს.

ი. ჭავჭავაძე თავის ბუბლიცისტურ წერილებში ხშირად ეხებოდა საზოგადოების დიდ მნიშვნელობას. აღნიშნავდა: "თუ მან აღასრულა ყველაფერი ის, რაც წესდებაში აქვს, ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაადგამს ფეხს, გავრცელებდა სწავლა-განათლება სამშობლო ენაზე და მიეცემა ჩვენს გვეყნას ის უსაქიროუსი ნიადაგი, ურობლისოდაც საკავრტომოდ და თვითმოქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია, მოჰყენს ნათელს ყველა კუთხეს ჩვენი კვეთისა, რომელიც კი აქამდე თვალწუწმენულ სიბნელეში იმყოფებოდა".

ფასდაუდებელია ი. გოგებაშვილის დავალი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდების ჩამოყალიბებამ, მატერიალური სახსრების დაგროვებამ, სკოლების გახსნასა და სახელმძღვანელოების შექმნაში, სამკითხველოების ქსელის გაშლამ, მასწავლებლების დაგროვებამ და ა. შ.

პირველ წლებში განხლებდა მუშაობის გაშლა. ყანდარმერია მას აღმაცერად და უნდობლად უყურებდა. რის გამოც ჭინარებოდა სკოლების გახსნის ნებართვის მიღება. ამის მიუხედავად, 1914 წელს საზოგადოებას ჰქონდა 19 სახალხო სკოლა, სადაც 26 763 მოსწავლე სწავლობდა, და 84 ბიბლიოთეკა-სამკითხველო. საზოგადოების სიძველისაკაცე მუშეუბნში აღრიცხული იყო 12 ათასამდე ძეგლი, გამოიცა 108 სახელწოდების წიგნი. დახმარება გაეწია ბევრ ღარიბ ნიჭურ მოსწავლესა და სტუდენტს.



ამ საზოგადოების ნამდვილი პირში იყო ქუთაისში სათავადაზნაურო სკოლა, რომელიც 1880 წლის თებერვალში დაიწყო. იმავე წლის ოქტომბერში თბილისში, ხოლო ერთი წლის შემდეგ ბათუმში არსდება ქართული სკოლა.

საზოგადოებას სხვადასხვა დროს თავმჯდომარეობდნენ დ. ყიფიანი, ი. მუხრან-ბატონი, ი. ჭავჭავაძე და გ. ყაზბეგი. 1922 წელს მოხდა მისი რეორგანიზაცია და გადაკვიდა წიგნების გამომცემლ-გამავრცელებელ ქართველ საზოგადოებად, შეინარჩუნა ამის მიხედვით შეიკავია წესდება. 1927 წელს მოხდა ამ ორგანიზაციის ლიკვიდაცია.

1981 წელს თბილისში ერთ-ერთ მივლიანზე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 100 წლის აღსანიშნავად აღიმართა სტეტი-სტელა "ცოდნა", რომელიც ასახავს XIX საუკუნის 60-იანი წლებისა და XX საუკუნის 30-იანი წლებამდე ქართველი ინტელიგენციის იმ დიდ ღვაწლს და ამაგს, რაც მან გასწავა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განათლების, კულტურის, მეცნიერების აღორძინებასა და განვითარებაში.

*

აჭარის დაპყრობის შემდეგ ოსმალები ცცხლებითა და მახვილით ნერვავდნენ ისლამს, თურქულ ენას. ადგილობრივი მოსახლეობა თავდაპირველად იცავდა თავის კულტურას, მშობლიურ ენას, ზნე-ჩვეულებებს, ქრისტიანობას და შეძლო მათ შეინარჩუნა.

ოსმალთა ბატონობის პერიოდში, 1869 წელს ქართველთაგან აჭარაში პირველად სხალთის ხეობამდე იმოგზაურა ჟურნალ "ცისკის" რედაქტორმა ი. კერესელიძემ. 4 წლის შემდეგ, 1873 წელს დ. ბაქრაძემ მის ნაშრომში "არქეოლოგიური მოგზაურობა ვურაჩისა და აჭარაში" ვკითხულობთ: ენის ერთიანობა აბსკეთისა და აბსკეთის, რომ ჩვენც და აჭარალებიც ერთ სახლი ვართ. ძველი ქრისტიანული ჩვეულებებიდან ზოგი რამ დღემდე შემორჩენილია. მაგალითად, კვერცხის შეღებვა საადგილობრად. აქ ახსოვთ წინანდელი ქრისტიანული დღესასწაულებიც: აქაური ქორწილის წეს-ჩვეულება წინა ქართულია. დღეების სახელწოდებები, ერთის გარდა, ქართულია, ასევე ითქმის თვეებზეც.

აჭარაში ბევრი ადგილობრივი მცხოვრები, განსაკუთრებით მოუცეხები, თავიანთ ძველ ხატებზე ლოცულობენ, ანთებენ ცვილის სანთლებს. ისინი ახლაც ჰყვებიან, თუ ხად და რომელი წმინდანის პატივსაცემად იყო აგებული ეკლესია, ვინ და რომელი გვარიდან იყო მღვდელი, სად წაიღეს ხატები.

"აჭარალებს რომ ეკავიერები, ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ გურულებისა და აჭარალების ფიზიონომიაში, აგებულება და ხასიათში. ყველა გურულად იცეამს," - ასკენის დ. ბაქრაძე.

გ. ყაზბეგმა 1884 წელს აჭარაში მოგზაურობა ხულოს რაიონის სოფელ დორჯომიდან დაიწყო. აღტაცებაში მყოფი გადმოგვცემს: "აჭარალები პირველად ენაზე ... დმურთო ჩემო, თურქთ ისევე ქართველები ყოფილან. ბაღლები ქართულად დღანდობოდნენ ... ერთია და ჩვეულებით აჭარალები ნამდვილი ქართველები არიან: მაღალი ტანი, სახის სწორი ნაკეთობი, აწიფისებური ცხვირი, ამაყი გამობეჭვდა, გრძელი სქელი თმა ... ხანდაზმულთა პატივისცემა, სტუმართმოყვარება, თანამოგზაობა და შრომისმოყვარება - ასეთია აჭარელი მამაკაცის ტიპი. შინ ყველა ქართულად ლაპარაკობს, მაგრამ მოზარდობაში თურქულად ენაც იციან ... ამ თხუთმეტოდე წლის წინათ მოხუცებმა, ქალებმა და ბავშვებმა სულ არ იცოდნენ თურქული ენა".

თურქული ენის სწრაფად გავრცელების ძირითადი მიზეზი აჭარაში XIX ს. 40-60-იან წლებში იყო თანზიმათის რეორგანიზების განხორციელება.

ა. ავალიანის გამოკვლევით, ზემო აჭარაში პირველი მწეითი და მდგრადი 1839 წელს ააგეს. ქ. ბათუმში 1863 წელს თურქეთის სულთნის მფარველობით აშენდა აზიზიის მწეითი.

რუსეთ-თურქეთის ომამდე, 1877 წლამდე აჭარაში 113 ჯამე და 145 მდგრადი იყო. მათ შორის, ბათუმსა და მის გარეუბნებში 27 ჯამე 31 მდგრადი.

ქედინდ ბათუმისკენ მიმავალ თელე სახოკიას დამზავრება იოთხი აჭარელი ახალგაზრდა. მათ შორის ერთი ყადრი შერვაშიძე ყოფილა. ამ მზავრებაზე თ. სახოკია წერს: "მათის ქართული ლაპარაკის სქენას არა სჯობდა-რა, ... ქედის ბოლოში შემოგვიკვირდებოდა ბათუმელი ახალგაზრდა ბები აბაშიძე. მეტად კობხა ... ქართულს წმინდად ლაპარაკობდა. აღმონდა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლაში უსწავლია ბათუმში, განსვენებულ მოხე ნათაბის ხელში. სასოებითაც იხსენებდა თავის დაუფიყარ მასწავლებელს... რაც ვიცი, სულ ჩვენმა მოხემ მასწავლია... რომ კესამოგზინინეთ, მომიყავ აკაცი, გ. ჭალადიდელის, მ. გურიელის ლექსის, თანაც იმდერა "სამშობლო ხესურისა". ა. სურგულაძის წიგნი - "ყადრი შერვაშიძე - თამარის ორდენის რაინდი" ვკითხულობთ, რომ "ის თავადი აბაშიძე მეტად აბაშიძე ყოფილა".

1894 წლის 7 ივლისს ზ. ჭიჭინაძემ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომას მოახსენა: "სამი წლის განმავლობაში მე დავიარე კომპლუტის სოფლები. აჭარის, ლივანას, მაჭაბლოს და ზეგნის ახლობსლო 350-ზე მეტი სოფელი აღმოჩნდა. ყველგან ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ. მათი საჭირო სახმარებელი ენა ქართული ენაა, სიმღერა, ტიპილი, თამაში და სხვანი სულ ქართულია".

გ. ყაზბეგის გადმოცემით, 300 წლის განმავლობაში აჭარაში არც ერთი სახის წიგნი და ჟურნალ-გაზეთი არ გამოცემულა. ამიტომ ქართული წერა-კითხვის მეტად იშვიათი იყო.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და ადრეც, პროგრესულად მოაზროვნე აჭარალები, რომლებსაც სწავლა-განათლება ოსმალთა ხელისუფლების დროს ჰქონდათ მიღებული, აქტიურ პროპაგანდას ეწეოდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში ქართული ენის შენარჩუნება-დამკვიდრებისათვის. მათ რიგს მიეკუთვნება აჭარის მუფთი ახმედ ეფენდი ხალფაშვილი. იგი ჯამეში (მწეითი) ქართულად ჯადაგებდა და ყურანსაც ქართულად უხსნიდა მსმენელებს, რის გამოც სტამბოლში გაიწვიეს და სამართალში მისცეს. იქ თავი იმართლა და ხელისუფალი უთხრა, რომ ქართველები ვართ და ჩვენი ენა ქართულია.

შეიძლება მრავალი ანალოგიური მაგალითის მოყვანა.

რუსთა მხედრობისა და ქართველი ძმების დახმარებით 1878 წელს აჭარა სამუდამოდ დაუბრუნდა დელასამშობლო საქართველოს. იმავე წლის 20 ნოემბერს კ. თბილისში ქართველმა ინტელიგენციამ დ. ყოფიანის ინიციატივით მუხრან-ბატონის სასახლეში ნადიმი გაუმართა აჭარის დელეგაციას. მასპინძელთა შორის იყვნენ გ. ორბელიანი, დ. ყოფიანი, ა. წერეთელი, ჯ. უმიკაშვილი, ნ. მესხი, ვ. წერეთელი და სხვები. სტუმართა შორის შერეულ ბუნებაში იმყოფებოდნენ ბევრი აბაშიძე, პუსენი ბეგ და მასან ბეგ ბეჟან წოდებით, სული ბეგ ზაფე მაკაშვილი, ახმეტ ეფენდი ხალვაში (მარადილელი), ნური ბეგ ხიმშიაშვილი (შავშეთიდან), ოსმან აბა მაკრიალელი (გრილიდან), ემინ ეფენდი მუფთი-ზაფე (არტანუჯიდან), მუთუი ეფენდი სურმანიძე (ქედიდან), მუთუი ეფენდი, საღბი ეფენდი-ზაფე და სხვები.

სიტყვით გამოვიდა ა. წერეთელი, მან თქვა: “დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიღო ჩვენი წინაპრების საფლავებთან და დავძახო, რომ მათი ანდობით ვერ კიდევ არ ვაგვიფუჭებია! და რა იყო ეს ანდობი: დედაც და ვაჟიც... აპირველი, ე.ი. ენა ისე მდიდრულად შეუკაზმავთ და ისეთი გემოც მიუციათ, რომ ვერ კიდევ ვერ მოგიხიზრებთა მისი დავიწყება და არათუ ჩვენ, იმ ჩვენ მოძიებებსაც, რომლებიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დაშორებულები ვყავდნენ, იმითაც კი შერჩენიათ დედაცნა ტკბილად სასაუბროდ. ამით ჩანს, რომ ჩვენს შორის მძური კავშირი არასოდეს არ ყოფილა მოშლილი”.

საასპეზო სიტყვებით შერეულ ბუნებაში იმყოფებოდა წინ წამოწია აჭარაში სწავლა-განათლების საქმე და აღნიშნა: “განათლება ეჭირებოდა, ბატონობა, იმით. ამდენი ახალგაზრდა კაცები ხართ, განათლებულები. წადით, გაიცანით, ზოგი აქ მოიგვანეთ, სკოლა გააშენეთ, ასწავლეთ და ასე უნდა ... აბა, რა მძებთ ხართ, თუ ისე ახლურად დატოვებთ ... ნადიმზე აჭარის დელეგაციის უსუესმა წევრმა პუსენი ბეჟანძემ შემდეგი სიტყვებით მიმართა ქართულ ინტელიგენციას: “უფროსი ძმები ხართ. დაკარგულები დაგბირებდით, მოგვხედი და გვიპატრონეთ, გვიმეო და სწავლა-განათლება ჩვენშიც გააგრძელოთ, ერთგულებას კი მომავალში დაგიმტკიცებთ”.

ი. ჭავჭავაძე, მართალია, შეხვედრას არ დასწრებია სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგრამ იგი მოუწოდებდა თანამემამულეებს: “აბა, ქართველობა, ახლა შენ იცი, როგორ დაიანახებ თავს შენს ახლად შემოერთებულ ძმებს, ახლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყნის მამა-პაპათა ანდობს: “ მამა მშობის და შვიი დღისთვის”.

ანტონ ფურცელაძე მოითხოვდა: “ათი რომ ჩვენ დავზარდოთ, ათი იმერეთის თავადაზნაურთა სასწავლებელმა ... ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში ამ გამოზრდილთ პირთ შექმნებათ გაადვილონ და გააძლიერონ მძური სიყვარული და ურთიერთობა ჩვენსა და იმით შორის”.

წიგნში “პირველი ქართული სკოლა აჭარაში” ვკითხულობთ: “აჭარის განათავისუფლებამდეც და განსაკუთრებით მის შემდეგ თვალსაზრისით, იქნებ კრეფილობით, გიორგი ყაზბეგი, ზაქარია და კონსტანტინე ჭიჭინაძეები, ვაჟა-ფშაველა და ბგერი სხვა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და მწერალი სტუმრებიან აჭარას, ფეხით მოუვლიათ მისი მითანეთი, ქართული წიგნი შეუტანიათ იქ, პირადად დარწმუნებულან, თუ როგორ კარგად შეუნახათ აჭარა ქართველ ქართულ ენა და ზნე-ჩვეულებანი”.

ვახუტი “დროება” 1878 წელს (№182) წერდა: “აჭარის მოსახლეობას არავითარად გამოუთქვამს მადლობა ვახუტი “ივერისი” ფურცლებზე: “ჩვენ, ქართველ მამასდიანებს, ჩვენმა ძმებმა ქართველმა ქრისტიანებმა ყურადღება მოგვაქციეს და ჩვენთვის წიგნები დაბეჭდეს. ჩვენი საყვარელი ქვეყანა საქართველოა, ჩვენი სამშობლო ენა ქართულია. ამდენ ხანს ტანჯვა-წამებაში მყოფნი თქვენთან დავბრუნდით”.

აპოლონ წულაძე გადმოგვცემს, რომ პეტრე უმიკაშვილი ყველა ქართველს სულ იმას ეხებუებოდა, განათლება შეიტანეთ სამუხლიმანო საქართველოში.

1896 წელს კ. მაჭავარიანის თაოსნობით ბათუმში გაიხსნა საკვირაო სკოლა. მეორე სკოლა დაარსდა ბარცხანაშიც, მაგრამ ორივემ მალე შეწყვიტა მუშაობა.

სიმბოლურია, რომ ოსმალეთი დამპყრობთაგან აჭარის განათავისუფლებას დაემთხვა ი.გაგაბაშვილის “დედაენის”, “პუნების კარის”, “კონას”, “რუსეთი სლოვოს”, გამოცემა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება.

1880 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გადაწყვიტა აჭარაში, კერძოდ, ბათუმში ქართული სკოლის გახსნა. საამისო ნიადაგის მოსამზადებლად ბათუმს ეწვია ს. მესხი, რომელმაც 240 მანეთად დაიქირავა სამთიანური სახლი ეზოთი მამინდელ ახმეტის ქუჩაზე.

სკოლის გახსნაზე ბათუმში ჩამოსულმა ი. ჭავჭავაძემ ნ. ხიმშიაშვილის სახლში სპეციალური თათბირი გამართა. მოწვეულნი იყვნენ პუსენი აბაშიძე, პუსენი ბეჟანძე, ბათუმის ქალაქის თავი ლუკა ასათიანი და სხვები.

დ. კლდიაშვილი გადმოგვცემს: “1881 წლის 23 მარტს ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა. დავისწრო და სიტყვა წარმოთქვა ი. ჭავჭავაძემ. ... ეს იყო ერთკლასიანი სახალხო სკოლა ოთხწლიანი კურსით. მიიღეს 25 მოსწავლე. მათ შორის 13 მამასდიანი ქართველის შვილი. ერთი აჭარელი გოგოც იყო.

პირველი ქართული სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ ქალაქის თავი ლუკა ასათიანი, პუსენი და იბრაჰიმ აბაშიძეები, გრიგოლ ვოლკი და სხვები.

პირველი მასწავლებელი იყო ა. ნანიშვილი.

1882 წლის ზაფხულში ბათუმის სკოლა ჩაიბარა მ. ნათაძემ, რომელმაც შეცვალა სკოლის შენობა და იმავე წლის ოქტომბრიდან გადაიტანა “სურიეს უბანში”. აქ იგი მოთავსებული იყო ძველ შეუყვარებელ სახლში და საჭირო გახდა ახალი შენობის აგება. დღის წესრიგში დადგა მიწის ნაკვეთის გამოჩახვა. ამ საქმის მოსაგვარებლად ი. ჭავჭავაძემ ბათუმში გამოგზავნა ს. მესხი, მასვე დაევალა პუსენი აბაშიძისა და ნურკი ხიმშიაშვილის მიერ ილიასადმი გაგზავნილი

პირად ბარათების საფუძველზე ადგილზე მისვლით შეესწავლა სკოლის გახსნის პირობები.

დიდი ბრძოლისა და დაცვის შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიადგინა, რომ ბათუმის თეთრობრძოლვამ დაიწყო და სკოლას დაუმტკიცა მიწის ნაკვეთი ახალი სკოლის ასაგებად პ. აბაშიძის მამულში, იქ, სადა ახლა ბათუმის I საშუალო სკოლაა.

სკოლის ამშენისათვის მთელი მთავარი ამოცანა იყო ფულადი სახსრების შეგროვება. ამ საქმის მოგვარებაში იაფანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ღირსეულმა მოქალაქეებმა. ყველა მათგანის ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ ზოგიერთზე მინც გავამახვილებთ ყურადღებას, მაგალითად: ქართველმა საზოგადოებამ ბათუმისა - 6 ათას მანეთი, ნაწილი გაიღო ქართველითა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, მოაუქმელმა ქართველობამ - 1816 მანეთი, რუსულმა საოპერო დასმა - 436 მანეთი. დ. კლდიაშვილისა და მ. ლლორტის ინიციატივით 1888 წლის 25 დეკემბერს გამართული წარმოდგენის თანხა - 160 მანეთი და 75 კაპიკო გადაეცა სკოლას მშენებლობისათვის. 1894 წლის 14 იანვარს პ. ბათუმში გამოწვეული ა. წერეთლის, ა. მესხიშვილის, კ. მესხისა და სხვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა მიერ გამართული საღამოზე შემოსული 3 000 მანეთიც გადაეცა სკოლას.

მშენებლობა დაიწყო 1893 წლის იანვარში და დამთავრდა 1895 წელს. განკუთვნილი იყო 200 მოსწავლისათვის. ჰქონდა მასწავლებელთა საერთო საცხოვრებელიც.

ფართო ვასპანის იღებდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. 80-იან წლებში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მარტო კობულეთში 2 000-მდე ქართული წიგნი გაავრცელა.

გ. ბაბილოვი აღნიშნავდა: "შემდეგ აბაშიძე იყო პირველი ქართველი მამამდიანი, რომელმაც 900-იან წლებში სწორად შეცნო შრომათა კუთხისა და თანამშობეთა აუტანელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, მის წინააღმდეგ ბრძოლის გარდაუვალობა, ჰუმანიტარული გზები და საშუალებები. იგი შრომათა ბრძოლის გაპირვებას საკუთარ გაპირვებად თვლიდა. მისი თავისუფლებისა და ბედნიერების მერძისათვის ბრძოლა საკუთარი ცხოვრების უმთავრესი მიზნად და ამიტანად მართლაც ... კარგად ესმოდა ჩნის უდიდესი ეროვნული და შექცეულიანი მნიშვნელობა. ამიტომ მალევე შეფასებას აძლევდა ქართულ ენას და წერდა: "იგი ჩვენი შემტყნების, შეგნების, ხელიგნებისა და შემოქმედების წმინდა საწარგეა".

პ. აბაშიძის თაოსნობით 1917 წელს შეიქმნა ბათუმის ოლქის მუსლიმანთა საექვლმოქმედო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარე თეთრონევი აირჩიეს. ამიტანად ჰქონდათ დასახული ბრძოლა ბაქოს თათრული საექვლმოქმედო საზოგადოების წინააღმდეგ, რომელიც პროპაგანდას ეწეოდა თურქოფილური შეხედულების დასაწარგად ადგილობრივ მოსახლეობაში.

ორი წლის შემდეგ, 1919 წლის 30 იანვარს ბათუმში არსებული ქართული საექვლმოქმედო და ქართველ მუსლიმანთა საექვლმოქმედო საზოგადოებები შეერთდნენ და ეწოდათ "სამუსლიმანო საქართველოს საექვლმოქმედო საზოგადოება", რომლის თავმჯდომარე კვლავ პ. აბაშიძე გახდა.

საზოგადოების ძირითადი პროგრამა იყო სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობაში თეთროვნების შეტანა, ქართველი ერის კონსოლიდაცია, სამუსლიმანო საქართველოს ისტორიული წარსულის საფუძვლიანად შესწავლა და გაფშქება.

ქართულ მუსლიმანთა აქტიური საექვლმოქმედო მუშაობის შედეგად საგრძნობლად შესუსტდა ბაქოს თათრული საექვლმოქმედო საზოგადოების განყოფილება.

საზოგადოების გამგეობა პირველ რიგში აჭარაში განათლების საქმეს ჩაუდგა სათავეში.

პ. აბაშიძე არა მარტო თავისი სამშობლოსა და კუთხისათვის ზრუნავდა, არამედ დიდ დანიტრებისას იჩენდა და პრაქტიკულ დახმარებას უწევდა თურქეთში გზავნიდა ქართულ წიგნებს. იღვწოდა ქართული სკოლების გახსნისათვის. მისი ერთ-ერთი დიდი დამსახურება ისიც იყო, რომ თურქულ ენაზე თარგმნა "ვეფხისტყაოსანი". ქართულად გადმოთარგმნა მრავალი ნაწარმოები. თურქი მოხელეების კითხვაზე - რატომ აკეთებ ამას? უპასუხია: "ვეფხისტყაოსანი ხელი შეეწყო ქართველ და თურქ ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობის დამყარებას".

ა. ჭავჭავაძის მსგავსად, პ. აბაშიძემ განიზრახა მამამდიანური რელიგია გამოყენებისა ხალხში ეროვნული შეგნების შეტანის ერთ-ერთი საშუალებად. მისი ინიციატივით პ. მირიანაშვილმა თარგმნა ყურანი. გამოსაცემი თანხა გაიღო პ. აბაშიძემ. დაბეჭდა 1906 წელს 1 200 ცალი. აქედან 500 ცალი თვით გამოცემებმა წაიღო და უფასოდ დაურთვა ქართულ მამამდიანებს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის ადგილობრივმა ბიუროკრატმა აჭარაში მასობრივად დაიწყო სკოლების გახსნა. მათში სწავლება მხოლოდ რუსულ და თურქულ ენებზე მიმდინარეობდა. ამის საწინააღმდეგოდ პ. აბაშიძე აბრძოდა: "ჩვენ, ქართველი მამამდიანები არავის მიეცემთ ნებას, ჩვენს საყვარელ დედაენაზე იერიში მიიტანოს. ვაშა ისეთ მტკიცე შეგნებას და ქებათა ქება იმ შეგნებულ ჩვენს მოძემ ქართველ მუსლიმანებს, რომელთა ბუნება განმტკიცებულია ამ დღიად ეროვნული შეგნებით".

პირად აბაშიძე მედღერად იცავდა აჭარაში კულტურის ტრადიციებს. თავის ესმოდა იმ თურქოფილ კალმონებს, რომლებიც ბათუმში გადმოტანილ ბაქოს ვაჭრი "იენი იბაღის" თანამშრომლები ვასივ ეფენდი, რიზა ბეგი და სხვები იყვნენ. პანისლამისტური საქმიანობის აღკვეთის მიზნით 1917 წელს უფრად "ცისკარში" (№-4) გამოცემულა სტატია: "ღია წერილი ჩვენს ერთმორწმუნე კავკასიის თურქებს", სადაც აღნიშნულია: "ჩვენ კარგად ვგეგმის, ვის გულისხმობს ის "თანამოძემ" მუსლიმანებად, ვისთვის უნდა "თათრული თეატრი", "ეროვნული სასწავლებელი", "ეროვნული წიგნი"... აჭარი მუსლიმანების დიდ უმრავლესობას კარგა ხანია აქვს ეროვნული სასწავლებელი, ჰყავს ეროვნული ქართული დრამატული საზოგადოება და რასი, მოუკლავს სამშობლო ენაზე გამოცემული ქართული წიგნები. ამასთან გვიკორს, ვასივ ეფენდი, თეთრონე ტომით არაბი, ოსმალოფილისა და სპარსოფილის როლიმ მტრად ყალბ პოზიციაზე დგას.

ვიზოთ ნუ გვიშლით ხელს. ჩვენ გვინდა და გვეწერია ეროვნული სული და ვინც გადაუღობება ამ ჩვენს ქართველ მამამდიანთა წმინდა-წმინდა გრძნობას, ის ჩვენი მეგობარი არ იქნება".

რიზა ბეგს კერაგული ზრახვები თავის დროზე გაუგო ქართველმა საზოგადოებამ და აიძულა აპირდნენ წასულიყო. 1915 წლის დეკემბრის ბოლოს, - ვკითხულობთ ვაზეთ "აჭარის" 1995 წლის 12 აპრილის ნომერში: ქ. ბათუმში ჩამოვიდა ცნობილი ჰედაგოგი ივრემია გულისაშვილი. იგი შეხვდა მაიადარ აბაშიძეს და სიხარულით აუწყა, აჭარაში მშობლიური სკოლების გახსნის საკითხზე ვარ გამოგზავნილიო. ამის გაგონებზე, - ივონებს მაიადარ აბაშიძე, - სიხარულით აღფრთოვანებული მივედარი მას და დიდი მადლობის მინაზე გადავიკონცნეო.

ი. გულისაშვილმა ქართული დარბაზისლური, მამულიშვილური მიდგომით გადალახა ცველა სინძელე, გვერდში ამოიყენა აჭარაში პროგრესული მოღვაწენი და მალე აჭარაში ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების ხარჯზე გახსნა ექვსი სკოლა აღმაშენებელი, ყოროლისთავში, ჩხუტუნეთში, ქვედა ავარასა და ხულოს ავარაში.

1916 წელს ყოროლისთავში ქართული სკოლის გახსნამ დიდი წვლილი მიუძღვის ქ. აბაშიძეს. მისი ინიციატივით სკოლამ მუშაობა დაიწყო თავისი დედის სახლში და საზეიმო გახსნაზე მისასალმებელი სიტყვითაც გამოვიდა.

ბ. აბაშიძის დეაწილი მინდა დავასრულო ხ. ახვლედიანის სიტყვებით: "ჰაიადარ აბაშიძემ დიდი საქმე გააკეთა. ბევრი საინტერესო ფურცელი შემასტა საქართველოს ისტორიას თავისი შინაარსიანი წერილებით, რომლებიც აჭარის იმდროინდელი ცხოვრების ცალკეული მოვლენების შესწავლისათვის საუკეთესო საბუთებს წარმოადგენენ".

გ. კაიკაცივიძელი ზრუნავდა აჭარაში ქართული სკოლების გახსნაზე და სკოლებში ქართველი მამამადანი ბავშვების მიზიდვისათვის. მისი ინიციატივით 1887 წელს ქობულეთელებმა მოითხოვეს ქართული სკოლის გახსნა.

გული ალა კაიკაცივიძელი, - ვკითხულობთ ნ. გუგუნიანის წიგნში - "მემდე აბაშიძე - გამანათლებელი", განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა აჭარისათვის ისეთ მუტად როულ და სპეციალურ საქმეს, როგორიც ქალთა აღზრდა და განათლებაა. იგი არ უშინდებოდა ხოჯა-მოულების, აღაბეგების დამინებასა და მუქარას, აყენებდა განათლებისა და სწავლა-აღზრდის აუცილებლობის საკითხს.

1916 წელს გ. კაიკაცივიძელმა ვაზეთ "სახალხო ფურცელში" (№-687), გამოაქვეყნა ვრცელი სტატია, სადაც წერდა: "ჩვენი ქალების აღზრდა წავაგებს ნაპერწკალს, რომლიდანაც შეიძლება აღინთოს სინათლის ლამაზი მთელს ქართულ სამამადიანოში. ქალს თავისი სინათლი, სიკეთით, დედობრივი სიყვარულით იმოდენა შეუძლია გააკეთოს, რასაც ვერ შესძლებს მამაკაცი თავისი უხეი ძალით".

გ. კაიკაცივიძელმა ქობულეთის სკოლას უსასყიდლოდ გადასცა ორი ქვეყანაზევარი მიწის ნაკვეთი, რომელიც არამდინერე ათასი მანეთის ღირებულების იყო, იმ პირობით, რომ ქობულეთელებს სკოლაში ქართულად ესწავლათ.

სახლისადმი ზუნგარო სამსახურზე მოითხოვს ისიც, რომ გ. კაიკაცივიძელმა უსასყიდლოდ თთავა ქობულეთში ბიბლიოთეკის გამგეობა და კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ადგილობრივ მოსახლეობას.

ზემო აჭარის მადლობითან სოფელ ოლადაურში 1915 წლის ოქტომბერში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა. ამის ინიციატორები იყვნენ ხულოს ორკლასიანი რუსული სკოლის გამგე-მასწავლებლები ოსტე მელიქიშვილი და ხულოს მარზის იმ დროს მოსამართლედ მყოფი, სოფელ ოლადაურის მცხოვრები ნური ბერიძე. მანვე გამოუყო სკოლას თავისი საცხოვრებელ სახლში ერთი ოთახი. პირველ წელს 17 მოსწავლე სწავლობდა. მასწავლებლად მივლინებული იყო ილიკო ნაცვალაძე. სკოლა დაიხურა 1917 წელს. შემდეგ, 1924 წელს კვლავ გაიხსნა ოთხკლასიანი სკოლა. მასწავლებლად მუშაობდა ამბერკო ვირობანიძე.

1916 წლის ოქტომბერში ასეთი სკოლები გაიხსნა თხილვანაში, ფანაში, დიოჩინსში, ადაძებსა და ჭვანაში.

სოფელ თხილვანის სკოლას შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის ქვრივმა მუსუნდ-ხანუმმა ორი ოთახი, შემდეგ მილიანად სახლი უსასყიდლოდ გადასცა. მისი შვილი თემურ ბეგ ხიმშიაშვილი გლეხობას არწმუნებდა სწავლის აუცილებლობაში და მოუწოდებდა შვილები მიეყვანათ ქართულ სკოლაში.

რ. სურმანიძის მონაკვეთე მასალებში ვკითხულობთ: "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება აჭარაში წერა-კითხვის გავრცელების, სკოლების გახსნის საფუძველზე მთელი სფეროსილია და შენიღბული მეთოდით ადგილობრივ მოსახლეობაში საერთო ეროვნული თვითმყოფადობის, კონსოლიდაციისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროპაგანდის წარმოებისათვის ეფრდნობდა ადგილობრივ პატრიოტულ ძალებს. მათ შორის შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის, ჰუსეინ ბეგ აბაშიძის, იბრაჰიმ ბეგ აბაშიძის, მემედ ბეგ აბაშიძის, გენერალ აღსლან აბაშიძის, ჰაიადარ ბეგ აბაშიძის, ზოა ბეგ აბაშიძის, ნური ბეგ ხიმშიაშვილის, გული ალა კაიკაცივიძელის, აბდულ მიქელაძის, ჰასან ცივაძის, დედე ალა ნივარაძის, თუფან ბეგ შერვაშიძის, ასხედ ბეგ ბეგანიძის, სულიმან ბეგ ბეგანიძის, ჰუსეინ ქათამაძის, ჰასან თხილაიშვილის, ყადარ შერვაშიძის, ქემალ ნოლაიდელის, თანუს წულუკიძის, ოუსუფ ქათამაძის, ჰასან ლორთქიფანიძის, ჯემალ ქიქავას, ისკანდერ ცივაძის და სხვებს.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ის ღირსეული მამულიშვილები, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ აჭარაში ქართული ენის შენარჩუნებისა და დედებანზე სწავლა-განათლებისათვის. ესენი არიან აბდულ მიქელაძე, ქობულეთელი ზოჯა ცივაძე, ზაფიზ ეფენდი მეხეშიძე, ყვილი ალა ზაქარაძე, ოუსუფ კაიკაცივიძელი, სულიმან დაისამიძე, თუფან, შაქირ, ყადარ შერვაშიძეები, ჰასან ცივაძე და სხვა მრავალი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოწოდების საპასუხოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან აჭარაში მოხალისე ჩამოვიდნენ ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც თავიანთი ცოდნისა და გამოცდილების წყალობით დაუღალავი შრომისა და ენერჯის დაუზოგავად ზრდიდნენ აჭარულ ბავშვებს. მათ შორის აღსანიშნავია ა. ვიგინიშვილი, მ. ნათაძე, მ. შარაშიძე, ი. გოგოლიშვილი, ა. მგელაძე, პ. წულაძე, ს. ბერბენიშვილი, ს. ბერიკაშვილი, რ. ჩხეიძე, ბ. მარგველაშვილი, გ. ლომიძე, ი. რამიშვილი, რ. თოდრაძე, ე. ქუშნაძე, ე. ვინჭარაძე, ა. ქინქლაძე, ი. სიხარულიძე, მ. ოსიძე, ა. გიორგაძე, გ. ჩანავა, ე. ჩხენკელი, ი. მელიქიშვილი, თ. დილიძე, ი. ნაცვალაძე, ა. ვირობანიძე, ს. კალანდარიშვილი, შ. ჭვანიანი, შ. შაქირიშვილი და სხვა მრავალი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება საქართველოში მარტო წერა-კითხვის გავრცელებითა და სკოლების გახსნით არ შემოიფარგლებოდა. მისი ძირითადი ამოცანა იყო საერთო ქართული ეროვნული პოლიტიკის მარწმუნებელი დაყენება, მეფის თვითმპყრობელური უღლის გადაგდება და დამოუკიდებლობის აღდგენა. ამის დამადასტურებელ ფაქტებს სხვა ისტორიულ წყაროებთან ერთად ვხვდებით წიგნში "საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1910 წლებში": "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთელი მოღვაწეობა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში უდიდესი მოვლენა იყო ... იმავერამ ვერ შესძლო თავისი პოლიტიკის გატარება აჭარაში და არა მარტო აჭარაში. ამაში საზოგადოებას დიდი წვლილი მიუძღვის".



როდის დაიწერა უიოპლიმისადმი დავით აღმაშენებლის ანდერძი?

ანნო ბობხვაიაძე.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

შოიშვილის - ამ მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლის დაწერის თარიღზე ერთი საბოლოო აზრი ჯერ კიდევ შემუშავებული არ არის. მართალია, ადრე ისტორიკოსების საერთო შეხედულებით (თ. ფორდანია, ს. კაკაბაძე, ნ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე) ის 1123 წლით იყო დათარიღებული, მაგრამ ბოლო ხანებში ეს თარიღი რამდენიმე მკვლევარმა გადასინჯა. 1984 წელს გამოცემულ "ქართული ისტორიული საბუთების" I კორპუსის შემდგენელთა აზრით, რადგან ანდერძი დაცული ცნობის მიხედვით დაწერილია დავით აღმაშენებლის მიერ შარვანში ლაშქრობის წინ, ის ერთნაირად შეიძლება დაწერილი იყოს როგორც 1123 წლის მაისის და ივნისის ლაშქრობების, ისე 1124 წლის სექტემბრის დასაწყისის ლაშქრობამდე. ამიტომ ეს ანდერძი კორპუსში 1123/1124 წლებით არის დათარიღებული. 1990 წელს ვ. სილოგავამ მის თარიღად 1124 წლის სექტემბერი მიუთითა, ხოლო იმავე წელს გამოქვეყნებულ რ. მეტრეველის მონოგრაფიაში "დავით IV აღმაშენებელი" სათანადო არგუმენტაციით ასევე 1124 წლის სექტემბერ-ოქტომბრით არის ის დათარიღებული.

მართალია, ამ ორი მიჯრითი თარიღიდან თითქოს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელს მიეწიება მნიშვნელობა, მაგრამ ისტორიას სიზუსტე უყვარს და რაკი არის კიდევ მისი დადგენის საშუალება, საჭიროდ მივიჩნევ ამ საკითხზე საკანგებოდ შეწერება.

დავით აღმაშენებლის "ანდერძი" იწყება იმის აღნიშვნით, რომ შარვანს სალაშქროდ მიმავალმა მეფემ ("ყამსა ჩემსა შარვანსა ზედა განმართვისასა...") მონახულა შოიშვილის ლავრა და შეეცდრა წმ. მამა შიოს შუწევას ამ მძიმე საქმეში. ამ დროისათვის მეფემ დასრულებულად იხილა მის მიერ აშენებული ეკლესია (საშუალო ეკლესია), რომელსაც მისი "სასი და განმანათლებელი" არსენ ბერის მოთხოვნით ანდერძი დაუწერა. დავითი პატიებას ითხოვს იმის გამო, რომ ამ ანდერძის ნაკლი ("დაკლებული") "სისწრაფისაი არს" და იგი მას "უშუაბესად შეკვლის", თუ დღერთი ინებებს მის "შეშოქცეას", ხოლო თუ არა, როგორც ამ სახით არის, ასე დარჩესო. ამავე დროს ირკვევა, რომ თვით ტაძრის მიმართაც ზოგიერთი საშუალო ჯერ კიდევ შესასრულებელი რჩებოდა: კალაპოტი ჰქონდა გამოსაყრელი ანუ ხარაჩოები ნამოსხსნელი. იგი გასალესიც და მოსახატიც, რომლის შემდეგ მისი კურთხევა ანუ ენკენობა უნდა მომხდარიყო. ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ არ იყო საიმისო დრო, რომ ეს ანდერძი დაწერილიყო, მაგრამ მეფეს მოეცა დრო არ აქვს. ის სასწრაფოდ შარვანს მიემუხრება, სადაც მძიმე ომი უნდა გადაიხადოს.

როგორც ითქვა, დავითი დარწმუნებული არ არის, რომ ბრძოლის ველიდან უვნებელი დაბრუნდება, რისი ვეცვიც "ანდერძის" მთელ ტექსტს ვაძვებს ("თუ იტროს დღერთმან ჩემი შემოქცევაი"; "თუ მე ღირს-შეოს დღერთმან, ენკენობაი მისი ვიხილო"; "უკუეთუ ყამი მომეცს დღერთმან და სხუაი უახლესი ანდერძი დავეწერო"; "თუ სხვასა დავეწრად ყამი აღარ მომხუდეს, თვით ესე დაამტკიცეთ"). მეფის ამ მძიმე სულიერი განწყობილების გათავისუფლებით შარვანს მოწოდებდა მის რომელ ლაშქრობაზე შეიძლება ყურადღება შევამართო? შარვანი დავითს ადრევე დაუღალაშქრავს, მაგრამ ანდერძის ტექსტიდან ჩანს, რომ საკმე ქებას თბილისის ადების შემდეგ ანუ 1122 წლის პირველ მოწოდებულ ლაშქრობას: "ქალაქს ტფილისს, რომელი სპარსთა ერებასა ჰქონებია და რომელი აწ უყვიდია... ყველა უსაჟოდ და უსუსრად ყოველისა სასუფიო სა გამოსაყლისაგან ჰქონდეს". ხოლო 1123 და 1124 წლებში დავითი მეფემ ორ-ორჯერ ილაშქრა შარვანში. მისი ისტორიკოსის თანახმად, 1123 წლის პირველი, მაისის ლაშქრობა თავისი ხასიათით სამი დანარჩენისაგან აშკარად განსხვავდება.

1123 წლის გაზაფხულზე დარუბანდისა და შარვანის მამკადანთა მოწოდებით ერაცისა და დასავლეთი ირანის მამკანდელი, სულთანა მამკედ მუჰამედის ძე შარვანში შემოიჭრა. სულთანამ აიღო შარვანსა და დაატყვევა შარვან-შაი,

რომელიც დაეთვის მოკავშირე ჩანს. ასე რომ არ ყოფილიყო, შარვან-შაჰი თვითონვე მიუვიდოდა სულთანს დაეთვის სამშროდ. ის ფაქტი, რომ შარვან-შაჰის შეყვარობას სულთანი საკართველოს მეფეს თავის გამარჯვებად ამცნობს, ამაზე უნდა მეტყველებდეს.

სულთნის გამოლაშქრების მიზეზი გასაკვება. მისი თაოსნობით⁴ მოწყობილი კოალიციური ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ სრული მარცხით დასრულდა დიდგორის ველზე. დაეთიმამ ამ გამარჯვებით თბილისის აღება უზრუნველყო მიმდევრო 1122 წელს (შამაღიანური კოალიციის უშთაგონი მიზანი იყო სწორედ თბილისის თვალდაცივსუნარიანობის განმტკიცება და შესაბამისად საქართველოს ძლიერების დაცემა) ქვეყნდროშების თვალში ამ შუაზე მარცხის განსაზღვრულად სულთანმა რაღაც გადამსრულ ზომებს უნდა მიმართოს. მის მიერ შარვანის დალაშქრა ასეთ ღონისძიებად უნდა განეხილათ. ამასთან სულთანი ფრთხილობს და უშუალოდ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას თავს არიდებს: შარვანში მოუხმობს დაეთის შესამხმელად. კიდევ უფრო მოხარული იქნება, თუ დაეთი მეფეს "ჯეროვანი ბევრნი" გამოეზავნებინა დაითანხმებს (შარვან-შაჰისგან კი ხარაჯას ითხოვს⁵). ერთი სიტყვით, სულთანი შარვანში იმიტომ შემოიჭრა, რომ იქაური შამაღიანების იმედი აქვს, ვიდრე ქრისტიანული საქართველოს დამარცხებისა. დაეთის თავმოყვარეობაზე სურს თავის თავგანდობი წერილით იმოქმედოს და "ტყვადან" "ველზე" საბრძოლველად გამოიყვანოს (ჩანს, რომ დიდგორში დამარცხებულნი თავს იმით იმარჯობდნენ, რომ დაეთთან არ მისცა მათ საშუალება მთელი ძალის სისრულით გაშლისა ანუ ფართო ველზე არ მიადებინა გადამწყვეტი ბრძოლა).

დაეთი მეფეს ის კაცი არ იყო, რომ სულთნის შეტევას შემძლედა. სასწრაფოდ შეკრება "ყოველინი სამეფოსა მისისანი"⁶ და მტრის წინააღმდეგ დაობა. შამაჰის მისადგომებთან ქართველთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის გამოჩენამ სულთანს თავზარი დასცა და თავის გადასარჩენად შამაჰის სქელ კლდეებს შეეფარა. მეფე არ ელოდა ბრძოლის დიდებულებას, დაეხმო მიწაზე და ღმერთს მადლობა შექნია. დაეთის საქმეთა თვითმხილველი ისტორიკოსის ცნობით, მეფის ასეთი განსაკუთრებული სისარული არც ერთი სხვა ბრძოლის შემდეგ არ გამოუსატყავს, რადგან ასეთ დიდ სელჩუკიან მბრძანებელთან უშუალო დაპირისპირება მანამდე არც ჰქონია. დაეთის ლაშქრით ვარშემორტყმულმა, მრავალდღიანი შიმშილითა და წყურვილით შეწყუბულმა სულთანმა "არდარა ბევრნი ანუ ომი ითხოვნა, არამედ გზა სამღალთოვარო, ფრიად რამე სიმდაბლით და არა სულტანურად".

მეფე მაინც არ ჩქარობდა შამაჰის გამოშვედვული მტრის გაშუბაზე, ვიდრე მან თვითონ არ უშეგლა თავს გაქცევილი⁷. როცა სულთნის დასახმარებლად წამოსული ირანის ათაბაგის ლაშქარი ერთიანად გაანადგურეს მეფის ჯარებმა, ხოლო ლტოლვილი ათაბაგი ქართლს წარუდგა სულთანს. თავზარდაცემული შამაჰი დაეთის ლაშქრთანად იმედგამეცა გაიპარა (მაგრამ შარვანში მისი ნაწილი ქალაქის გარნიზონის სახით, როგორც ირკვევა, დარჩა) ქალაქის საკანალიზაციო ხვრელით და თავის ქვეყანას მიამურა.

არამ ისტორიკოსებს იმის გამო, რომ დაპირისპირებული მხარეები შამაჰიდან საბოლოოდ უბრძოლველად გაიყარნენ, გამარჯვებულად სულთანი სურთ წარმოადგინონ, რაც, ცხადია, სიმართლეს არ შეეფერება⁸. ჯერ ერთი, რომ ამ ამბების მომსწრე ქართველი ისტორიკოსი თანამედროვეთაგანს წერდა და თუნდაც ამ მიზეზით ტყუილს ვერ იკადრებდა, მაგრამ, რაც მთავარია, მოუღწათა შემდგომი განვითარება ცხადად მოწმობს მის პირთუქნელობას.

შამაჰიდან გამობრუნების შემდეგ დაეთი მეფემ მცირე ხნით დაასვენა ლაშქარი და უკვე იფინისში კვლავ გაილაშქრა შარვანში. აიღო ვულსიტანი – "სახლი თავადი შარვანისა... მორიო შარვანი და ალაქანა კეთილთა ყოველი მორიონი ბრძანებათა მისიანი"⁹. ასე რომ, 1123 წლის იფინისის ლაშქრობა შარვანში უკვე მოპოვებული გამარჯვების ბოლომდე მისაყვანად არის მოწყობილი. შარვანში მეფეს რამე სერიოზული ძალა უკვე აღარ დახვდებოდა, რაც მან წინასწარ იცოდა. თვით შამაჰი გაცილილია მთლიანად აღმოსავლეთ ამიერკავკასიას (უგზავნის დაეთის ბევრს და ყოველნაირად ცდილობს მასთან შვედობიანი ურთიერთობის დამყარებას) და სამოქმედო ასპარეზი ამ რეგიონში დაეთი მეფეს აქვს მთლიანად დათმობილი.

1124 წლის აპრილში ქართველთა მეფე დარუბანდის მმართველს დაესხა თავს. მოსპო ქურდნი, ლეკნი და ვიფაყნი დარუბანდელისანი. აიღო შარვანის ციხეები და "მათი მიმდგომი ქუეყანა". ეს ლაშქრობა ფაქტობრივად მიმართულია დარუბანდელის წინააღმდეგ, რომლებსაც ბევლი მტრობა ჰქონდათ შარვანდელთან. შარვან-შაჰი ფარდენ I, დაეთი მეფის მძახალი, მათთან ბრძოლას შეწყვიტა 1120 წლის მაისში. ამ ძლიერპოსილი ლაშქრობით დაეთიმს ჩრდილოეთის მხრიდან მტერი გაუნადგურა შარვანს და მის საბოლოო დასაპყრობად ხელ-ფეხი გაითავისუფლა.

1124 წლის შემოდგომაზე ლაშქრობით დაეთიმს საბოლოოდ დაასრულა შარვანის დაპყრობა: "აიღო ქალაქი შამახია .. და სრულად ყოველი შარვანი". ციხეებსა და ქალაქებში ჩააყენა პერთა და კახთა დიდი ლაშქარი. 1124 წლის შემოდგომაზე ლაშქრობა, რომელიც შარვანის სრული შემოერთებით დასრულდა¹⁰, შემზადებული იყო საფუძვლიანად წინა წლების ლაშქრობებით.

როგორც ვხედავთ, ბოლო სამი ლაშქრობა თავისი ხასიათით სრულიად განსხვავებულია 1123 წლის მაისის ლაშქრობისგან, როცა ქართველთა მეფეს სელჩუკიან თურქთა დიდ მბრძანებელთან მიხე იმი ელოდა და მასზე გამარჯვება სათუოდ მაინცა. ამიტომ, საკვირო არ უნდა იყოს, რომ დაეთი მეფის შიომღვიმისადმი ანდერძი სწორედ შარვანში 1123 წლის მაისის ლაშქრობის წინ არის დაწერილი. ეს ფაქტი ნაბერძენიშვილს შეუქმნეველი არ დარჩენია¹¹, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ეს მოსახრება შემდგომში გაუთვალისწინებელი დარჩა.

ახლა ერთ კონკრეტულ ფაქტსაც მივუთითებთ ამ აზრის განსამტკიცებლად: დაეთის ბოლო 1124 წლის ლაშქრობა შარვანში, რომელიც ამ ქვეყნის სრული შემოერთებით დასრულდა, გამოისატყავს იმით, რომ მეფემ "განმეგებლად და ხედაზნდევლად ყოველი საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართუხუცევი თვისი სვიდარ ჭყარდილელი მთავარეპისკოპოსს. მამინ ბედიელ-ალავერდელი."¹²

ცხადია, სვიმონ შვინგობართუხუცესი დაეთის თან ჰყავს წაყვანილი, რომ შარვანში "განმგებლად და ზედამხედველად" დატოვოს, რადგან ამ ქვეყნის ბელი მეფეს უკვე გადაწყვეტილი აქვს. 1123 წლის მიხის ლაშქრობის წინ კი მეფე მას ვერ წაიყვანდა. ვერ ერთი, სახელმწიფოს შიგნით პირს ამ გაურკვეველ ვითარებაში ზოფთაში არ ჩააგდებდა და მეორედ დაეთის ანდრეძის თანხმად, შიომღვიმის დეიონსშობლის ტაძრის განსრულების შემდეგ მისი კურთხევა უნდა მომხდარიყო სწორედ "თანადგომითა კურთხეულისა შვინგობართ-უხუცესისა". დაეთით თავის "ანდერძში" მას აძლევს საგანგებო დაულება:

"აწ სვიმონ ბედიელ-ალავერდელისა იყოს შევიდრებულ. რაცა საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იყოფოდის, რომელსა ჩუენ ვერ მივიწინეთ."² "რომელსა ჩუენ ვერ მივიწინეთ" ანუ რომელსა ჩვენ ვერ მივაღწიეთო – ამ სიტყვებში ცალ იმის შიში მგლანდება , რომ თვითონ მეფეს შეიძლება არ დასცალდეს იმის გაკეთება, რომელსაც ის შვინგობართუხუცესს აძლევს.

ერთი სიტყვით, ამ დავალებას მეფე სვიმონ ბედიელ-ალავერდელს აძლევს 1123 წლის ლაშქრობის წინ და არა 1124 წლის შემოდგომაზე. ამ ბოლო დროს კი, ჩანს, შიომღვიმის ტაძარი განსრულებულია და ნაკურთხიც. ასე რომ, ამ ტაძრის მიმართ მოვალეობისგან სვიმონი უკვე თავისუფალია.

მინდა კიდევ ერთ საკითხს შევეხო. მართალია, მას ზემოხსენებული ძველის დათარიღებასთან უშუალო კავშირი არ აქვს, მაგრამ უკავშირდება შიომღვიმის დეიონსშობლის ცკლესიის მშენებლობის დაწყებას, რომლის დამთავრების შემდეგ დაიწერა "ანდერძი".

საქმე ენება ძველში მოხსენებულ დიდგვარაულების ძეგანისა და მისი ძმის, ეპისკოპოს მოდისტოსის დანაშაულებრივი საქმიანობის დათარიღებას. "ანდერძში" დაეთი აღმაშენებელი იგონებს იმ ფაქტს, თუ რა ვითარებაში დაიწყო მისი ბრძანებით ზემოხსენებული ტაძრის მშენებლობა.

ზედაზნის ციხისა და მუხრანის მფლობელმა ძეგანმა და მოდისტოსმა "პატრონთა თვისთა წყალობიან მათ ზედა სასრულად აღძახუა". სანაცვლოდ მათ დაეთის სიტყვით, დაატყდათ შესაფერი სასჯელი: "შწყეხი უკაროი ჭეშმარიტთა მწყემსთა მიერ დაეწახუა. და ძეგანი, მღვიმეს შულტრეფელი, შიშიცა დღერთან, რომელსა შინა არამცირელი ერთგულთა ძეგნის ჩუენდა მომართ მამათა მეღვთიეთა". თავის მტრებზე გამარჯვების შემდეგ დაეთი შიომღვიმეში მივიდა და "საშალო მონასტრისა" ცკლესიის მშენებლობის დაწყება ბრძანა.

"ანდერძში" დაკული ეს ცნობა საკარტოვლოში მიმდინარე შინაპოლიტიკურ ბრძოლაზე იმდენად დიდ ინტერესს იწვევს, რომ მან კარგა ხანია არაერთი მკვლევრის ყურადღება მიიქცია.

ზედაზნის ციხის მფლობელი ძეგანი კახთა მეფის კვირიკე IV-ის ემს იყო. 1104 წელს დაეთიმა კვირიკეს წართვა ზედაზნი. რომელსაც ძეგანის სახლი მეპყვიდრობით ფლობდა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მუხრან-ზედაზნი ძეგანს გიორგი II-სგან ჰქონდა ბოძებული, როცა ის ამ ობიექტებით კახთ მეფის ყმბაში შევიდა ჯერ კიდევ დაეთის გამეფებამდე (თეოდორეანის აზრით, 1086-1087 წლებში, ზოლო რამეტრეველის აზრით - 1085-1089 წლებში).

აგოვლობდა ფიქრის, რომ ძეგანის დალატვა ადვილი უნდა ჰქონოდა არა გიორგი II-ის მეფობისა, არამედ დაეთის მართლებლობის დასაწყისში. რამდენადაც განსხვავებული აზრი გამოითქვა იანოვლევამ: როდესაც დაეთიმა კვირიკე IV-ს ზედაზნი წართვა, ამ ციხეს ძეგანი ფლობდა, კახეთის მეფის მოხელე და ვასალი. დაეთის უცდია მისთვის ციხის ჩამორთვა, მაგრამ გიორგი II-ს ისევ ძეგანისათვის დაუტოვებია ციხე. ძეგანი კი კვლავ კვირიკე IV-სა და აღსართანს მუხრანში და მითრაც შიომღვიმის, მცხეთისა და წიფენის მამულები. როდესაც იმავე წელს აღსართან II შეიპყრეს, ეპისკოპოსობიდან გადაყენებული იქნა მოდისტოსი (რუს-ურბნისის კრებაზე), შეიპყრეს აგრეთვე მღვიმეს თავმჯდომარეული ძეგანი³.

"ანდერძის" ტექსტზე დაკვირვება, ვეფიქრობ, საქმეს სხვაგვარად წარმოაჩენს. როგორც დაეთი მეფე აღნიშნავს, მას "ძველთაგანე" ანუ არაბევე ლომბია ამ დიდებულთაგან წაიღო ზედაზნი და მუხრანი, მაგრამ მისი სურვილის მიუხედავად მამამისის უბოძებია მათთვის აღნიშნული ობიექტები იმის გამო, რომ სხვებისგანაც ჰქონებოდათო ("მით, რომელ სხვათაცა ჰქონებოდა მათთა გვართა"). სხვა ხელისუფალთა მიერ ნაბოძები სიგელების გარდა, ჩანს, რომ ძეგანის საგვარეულოს ბაგრატიონებისგანაც ჰქონებია (ალბათ, ჯერ კიდევ "აფხაზთა მეფეებისგანაც", რომელთა მემკვიდრეებად თავს თვლიდნენ ისინი, ბაგრატ III-ის შემდეგ) ზედაზნისა და მუხრანის ბოძებისა და განაზღვრების სიგელები და მიუხედავად ამისა: "არავის ოდეს ექმნა ჩუენი ერთგულობა".

ამრიგად, ირკვევა, რომ ძეგანი მუხრან-ზედაზნის მემკვიდრეობით ფლობდა და გიორგი II-მ მას ეს მფლობელობა განუხლება.

ჩემი აზრით, გიორგი II-ის ზემოაღნიშნული ბოძების ვადატანა დაეთის გამეფებამდე ბუნებრივი არ იქნება. დაეთი ისედაც ძალზე ახალგაზრდა გამეფდა. 13-14 წლის ასაკში არ შეძლო აშკარად ჰქონოდა დამოუკიდებელი პოლიტიკური თვალსაზრისი და მამისგან განსხვავებული ნება-სურვილი. ამასთან დაეთის სიტყვებიდან იკვლისმება, რომ ამ ბოძების დროს ის გიორგი II-ის თანამმართველი ვოფილა და მისგან განსხვავებული აზრი ჰქონია ამ საკითხში. სხვა შემთხვევაში მეფე ვერ იტყვია, რომ ზედაზნი და მუხრანი "ძველთაგანე ვეცადე მოგონებ ძებნითა". ეს სიტყვები, რომლებიც დაეთის არა მარტო სურვილს, არამედ მის მცდელობასაც გამოსატყვენ, მას შეძლო ეთქვა მხოლოდ გამეფების შემდეგ. აგოვლოდაც მართალია, როცა ძეგანისათვის ზემოხსენებული ადგილების ბოძება დაეთის გამეფების შემდგომ ვადატანდა, მაგრამ მამონ ისიც უნდა დაეუწყათ, რომ გიორგი II დაეთის გამეფებისთანავე არ ჩამოშორებია სახელმწიფოებრივი ასპარეზს და გარკვეულ დრომდე მანინ (თუ გარდაცვალებამდე არა) შვილის თანამმართველად რჩებოდა. ამ საკითხში ჩვენ ვინაირბობთ ი. ანთელავას მოსაზრებას.



მართლაც და, როგორც რუსი-ურბნისის კრების ძველისწერიდან ირკვევა, 1104 წელს თუ დათით მუგუთა-მუგუა ანუ პატრიოტ მასზე მადლა მდგომი (ასე იყო ზაგრატ III-ის მმართველობის დროსაც გურგენის გარდაცვალებამდე), მაგრამ რეალურად, ცხადია, ქვეყნის მმართველი იყო დავითი - "აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა თეიმურაზობელი" იმ დროს. გიორგი კი, ასე ვთქვათ, საპატიო მუგუა და ფორმალურად დავითის თანამმართველი. ამრიგად, "ანდერძის" მიხედვით კარგად ჩანს, რომ 1089 წლის შემდეგაც გიორგი II სასულიერო არ ყოფილა ჩამოცილებული სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. შეიძლება ვივარაუდო დავითში მამას ძაგანისთვის ზედახნისა და მუხრანის ბოძების საკითხში. ამით კიდევ ერთხელ გამაღვივანდა გიორგი II-ის ხელმწიფოებრივ თვისება, მისი "პერი-უსტენებლობა" და "ერთგულთა და ორგულთა დადარვა წყალობითა". ამ ბოძების მონაწილე უფრო დავითიც იყო, რის მიწმობადაც უნდა ჩაითვალოს "ანდერძის" ნათქვამი: ძაგანმა "პატრონთა თვისთა წყალობა მათ ზედა სასრულად აღმახუა" (ეს მომენტზე კარგად შეჩვენა იანონოვსკამ). მაგრამ მუგუთა ამ წყალობას, როგორც "ანდერძიდან" ჩანს, ძაგანი არ დაჯერდა და მცხეთის, წილჩისა და შიომღვიმის საქონებელთა მიტაცებასაც მამყო ხელი. როდის შეიძლება ეს მომხდარიყო? 1103 წლამდე, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, თუ ამის შემდეგ, როცა დავითმა კვირიც კახთა მეფის წარულო ზედახნი და მალე პერთ-კახეთი დაიპყრო შიომღვიმე? უფიქრობ, რომ ძაგანის მიერ გამოყენილ "წურბლისებრი ვერმადრისობა" მოხდა სწორედ ამის შემდეგ. ა. ანთელავა მართალია, როცა გიორგი II-ის ბოძებას ძაგანის მიმართ 1103 წლის ამბებს უკავშირებს, მაგრამ ფელოდფერი შემდეგ მომხდარი მხოლოდ ამავე წლის მანძილზე აქვს წარმოგვიენილი. ეს აღარც დამაჯერებელია და არც მართალი.

თუ ძაგანი კვირიკეს ყმობაში გიორგი II-ის ნაწყალობები მიწა-წყლით ნებაყოფლობით შეიდა, მისი დანაშაული სახელმწიფო დღალატითაც იქნებოდა დამძიმებული და "ანდერძში" ეს, ასე თუ ისე, უნდა ასახულიყო. დავით აღმაშენებელი ძაგანს ძირითადად მცხეთისა და შიომღვიმის საქონებელთა წარტყუნებასა და მითვისებას უყენებს ბრალად და თუ ის ამას, როგორც კახთა მეფის ყმა სწავლიდა, მაშინ ამ უკანასკნელის სახელიც უნდა გამოყენილიყო ძველში, რომელსაც ძაგანის ხელით თავისი საშფლობლო ქართველთა მეფის ზარეზე გაუყვაროთება. "ანდერძის" მიხედვით კი ძაგანი დამოუკიდებლად და სათავისოდ მოქმედებს მცხეთისა და შიომღვიმის ქონების სახაზინოდ, რაც მხოლოდ 1103 წლის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ერწუნის ომამდე ეს მიწა-წყალი ისედაც კახეთის მეფის ხელთ იყო პოლიტიკურად, ძაგანს ამის მერე მამა-პაპული ქონებასთან ერთად მიტაცებული მიწა-წყლითაც ხომ არ შეიწყალებდნენ. მაგრამ მხოლოდ ზოგადი მოსახრებების ამბარ რომ არ დაჯერეთ, უფრო მეტი სიხდასისათვის თვით დავითის ნათქვამი მოვიშველიოთ "ანდერძის" დასაწყისშივე. მეფე იქ ამბობს, რომ "ღმერთმან ჩემ უღირსსა ზედა აწუნა მიუწყამიანი ქველისმოქმედებანი, რომელთა ყვები რაიმე და ურცხუნთავან ერთი მიზნუად თხრობისად მიხედვით ხრობასა". მაგრამ მანამდე მეფე თავის მტრებს ორ ვჯუყად დაყოფილს წარმოგვიადგენს. ერთნი არიან მისი "ცხადნი წინააღმდეგობნი", რომელთაც ამის გამო ღმერთი "მისცემდა მოსახრველად". მეორენი კი, რომელთა რიცხვში შედილობენ ძაგანი და მდიდრტისი, ყოფილან "იღუმაღნი" ანუ ფარული მზაკვარნი, რომლისა გამო ორივემ "თვით მიიღეს ზაკუვისს მათისათვის საცთური".

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის III კონფერენციაზე დიდი დავა გაიმართა პარტიის პროგრამასთან დაკავშირებით, წინამძღოლთა ვაჟუნის ანარქისტთა მოსაზრებებს და მიიღეს სოციალისტ-ფედერალისტთა წარმოდგენილი პროგრამის პროექტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მამინ სხვა ქვეყნების ანარქისტები, მიუღო რიგ ძირითად საკითხებში ჭარბლთა თანამაზრებები და თანამებრძოლები, უარყოფდნენ პარტიის აუცილებლობას და მისი პროგრამის საჭიროებას. ქართველი ანარქისტები კი უკვე პარტიაში იყვნენ, ადვილდნენ პროგრამის პროექტს და ცდილობდნენ მის მიღებას. კონფერენციაზე ამ საკითხზე დავამ შევაჯ ხასიათი მიიღო. ანარქისტების პროექტს 28 ორგანიზაციიდან 11-მა დაუჭირა მხარი. ისინი იძულებული გახდნენ კონფერენცია მიტოვებინათ და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდანაც გასულიყვნენ. მანამდე კი მათი ერთად მუშაობა, მიუღო რიგ საკითხებში ერთხულეობა ნათლად მეტყველებს, რომ ანარქისტთა დიდ, მონაწილე ნაწილს კარგად ესმოდა პარტიის როლი და მნიშვნელობა თავისი ძირითად მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში. არც ის იყო შეშინებულნი, რომ ანარქისტთა რიგების დატოვების შემდეგ მისაკო წერეთელმა ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობის ლიდერთა რიგებში გადაინაცვლა, ხოლო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნიდან გახდა მისი ერთ-ერთი გამომჩენილი მღვაწე, ლიდერი და თვალსაჩინო როლი შეასრულა 1917 წელს ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის მოპოვებაში.

3.

ცნობილია, რომ მსოფლიო ანარქიზმის ერთ-ერთი ნიშანდობლივი პრინციპია პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკური ფორმის – პარლამენტარიზმის უარყოფა. ქართველ ანარქისტთა მოწინავე ვეჯუხ ამ საკითხშიც განსხვავებული პოზიცია ეკავა – პარლამენტარიზმის ტაქტიკას არაფო უარყოფდნენ, არამედ უაღრესად მნიშვნელოვან საშუალებად მიიჩნევდნენ ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებისათვის. ამ შხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ვარლად ჭრქეშიშვილის დამოკიდებულება რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსადმი, რომელიც პირველი სახალხო რევოლუციის შემდეგ შეიქმნა. მისი მოწვევის კანონი მეფის თვითმპყრობელობას პროგრესულმა ძალებმა ხელიდან გამოვლიდნენ. ეს იყო საკანონმდებლო ორგანო. მართალია, მეფის კონტროლში იმყოფებოდა და მისი საარჩევნო კანონიც გამაშულე-მგატარნებს, მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებოდა, მის მიერ მიღებული დოკუმენტები მეფის ხელმოწერის შემდეგ შედიოდა ძალაში, მაგრამ მაინც გარკვეულ ნაბიჯად ითვლებოდა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში. ამის მიუხედავად, რუსეთის მთელი რიგი რევოლუციური პარტიები და მიმდინარეობები უარყოფთ დამოკიდებულებას იჩენდნენ სახელმწიფო სათათბიროსადმი, განსაკუთრებით მისი საქმიანობის პირველ პერიოდში. ასეთი პოზიცია ეკავათ, მაგალითად, სოციალ-ფედერალისტებს, ბოლშევიკებს და სხვებს, მაგრამ მფლობარობა მალე შეიცვალა და ისინი მონაწილეობდნენ როგორც მის არჩევნებში, ისე მუშაობაში, სათათბიროს ტრიბუნას იყენებდნენ რევოლუციური იდეების პროპაგანდის ბაზისად.

სახელმწიფო სათათბიროსადმი, ე.ი. პარლამენტარიზმის საკითხისადმი ქართველი ანარქისტების მოწინავე ნაწილს განსხვავებული პოზიცია ჰქონდა, გამოიჩინებოდა არა მარტო სოციალისტ-ფედერალისტთა, არამედ საერთაშორისო ანარქიზმის ფუნქციონირების შესხედლებებისაგანაც ვარლად ჩრქეშიშვილი მეკარავდა აკრიტიკებდა სოციალისტ-ფედერალისტების სახელმწიფო სათათბიროსადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამო და დაიწყო უარჩვევად, ესარგებლათ მისი ტრიბუნით, გამოყენებინათ თავიანთი მიზნების პროპაგანდისათვის, მასების თვალის ასახელებად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანების გასაშუქებლად. ვარლად ჩრქეშიშვილის ასეთი პოზიციის გამო ვიორივე დასხიშვილი წერს:

„დებამათა სააგენტრომ გავაწნობა მეორე სახელმწიფოს გარკვევის ამავე... რვაქცია შეურყრებლი და მტკიცე ნასიყრბით მიდიდობა წინ... მთავრობა ახლა ისეთ სათათბიროს მიიღებდა, როგორიც მას უნდოდა... ამისთანა პირობებში გასაკვრი არ იყო, თუ ბოიკოტისტური ვანწყობილლება ვაიზრდებოდა. მართლაც, მესამე სათათბიროს არჩევნების წინ ეს ვანწყობილება მეტად თვალსაჩინო შეიქმნა. კერძოდ, ჩვენს პარტიაში ახლა დიდი უმრავლესობა ბოიკოტის მომხრე გახდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც დაფინებით და ცხარედ მოითხოვდნენ მონაწილეობის მიღებას. განსაკუთრებით იცავდა ამ აზრს კიტა აბაშიძე... მოულოდნელად მას ისეთმა ადამიანმა დაუჭირა მხარი, რომლისგანაც ამგვარი ბოიკოტის დასაწყის არავინ არ მოელოდა და საკვირველიც იყო. ეს გახლდათ ჩვენი მეგობარი, თანამებრძობი და გაზოთის თანამშრომელი, ანარქიზტი ვ. ჩრქეშიშვილი. ანარქისტები და რუსეთის მახინჯ პარლამენტში მონაწილეობის დამცველი – ეს რაღაც უნებური იყო. როცა ვაკვირდებულნი ამგვარი სიტყვებით შევეკითხეთ ვარლამ, თუ რაშა საქმე გვიქაშუნა: პარლამენტისთანა უხინდისო დაწესებულება სხვა არ შეუქმნია ბურჟუაზიას. ეს არის დიდი სავაჭრო ბიზესი, სადც ხალხს ჰყოლია, სადც თვალთმაქციობენ და ქვეყანას ატყუებენ... მაგრამ თქვენ, ფედერალისტები ასე ხომ არ უყრებთ პარლამენტს? თქვენ ხომ ვწამთ მისი პოლიტიკური სიძლიერე და თქვენს ადგილზე რომ ვიყო, თქვენს აზრს რომ ვიზარებდე, ბოიკოტის იდეა უაზროდ მომიქნებოდა. ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას რომ ითვალისწინებ, ყოველგვარ საშუალებას უნდა მიმართო, ახვიდე საპარლამენტო ტრიბუნაზე და იყვირო საქართველოს ისტორიულ უფლებებზე დეკრებამ და მოვლამ ქვეყანამ ვაკირო, რომ ქართველ ერს ისტორიული უფლება აქვს თავისუფალი და დამოუკიდებელი ასაბრუნოსათვის. ხომ იცით, რომ ჩვენი ქვეყნიდან წარმომადგენლებად წასვლას ისეც თქვენი მოწინააღმდეგენი – სოციალ-დემოკრატები აპირებენ, ხოლო ისინი ჩვენი ერის ისტორიულ უფლებებზე იქ კრინტსკი არ დასხიავენ.“¹⁴

უნდა ვივარაუდოთ, რომ სოციალისტ-ფედერალისტების პარტია ვაითივედისწინა ვარლად ჩრქეშიშვილის ეს დასაბუთებული მოსაზრება, რჩევა-დარიგება და თუ მანამდე თავს იკავებდა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობასა და მასში მუშაობისაგან, დავიანებით, მაგრამ მაინც უარყო თავისი წინანდელი პოზიცია, სათათბიროს დებუტატად შეტელო ვაკეყანა თავისი წარმომადგენელი ი. ბარათაშვილი.

ქართველ ანარქისტთა ეს ნიშანდობლივი თვისება – საბრძოლო არსენალში პარლამენტარიზმის გამოყენება,



მკვეთრად განასხვავებდა მათ რუსი თუ ევროპელი თანამოაზრეებისაგან, რომლებიც უარყოფდნენ პოლიტიკური ბრძოლას, პარლამენტარიზმის ტაქტიკას. ქართველი ანარქისტები კლასობრივი ბრძოლის ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფორმას უღებდნენ არა ერთხელ საყოველთაოდ აღიარებულ შეხედულებებისა და პრინციპების მიხედვით, არამედ კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე საჭიროების შესაბამისად.

* * *

ამრიგად, საქართველოში ანარქიზმი სასიათღებოდა მოვლი რიგი თავისებურებებით და ამით გამოირჩეოდა მსოფლიო ანარქიზმისაგან, რომლის განმტოვებასაც იგი წარმოადგენდა. ეს თავისებურებები განპირობებული იყო მე-19 საუკუნის დამლევსა და მე-20 საუკუნის დამდევს ქართველი ერისათვის ნიშნობილი ობიექტური და სუბიექტური ფაქტებით. ასეთი თვალსაზრისით თავისებურებები მთელი ძალით ცხადყოფს ქართველ ანარქისტთა დიდი ნაწილის ღრმა განსწავლულობას, ერუდიციას, რევოლუციურ შემართებას, პატრიოტიზმს. ფაქტებისა და მოვლენებისადმი არა დოგმატურ, როგორც ეს პრაქტიკაში ჰქონდათ მათ რუს და ევროპელ თანამებრძოლებს, არამედ შემოქმედებით მიდგომას.

იმაღლა კითხვა: მაშ, რამ განაპირობა საქართველოში ანარქიზმის ისტორიული არჩენიდან წასვლა, სხვა რევოლუციურ მამოძიარებებთან შედარებით (სოციალისტ-ფედერალისტები, ესერები) ბრძოლას ჩამოცილება? ეს მეცნიერული კვლევის სხვა, დიდი მნიშვნელობის საკითხია და ერთ სტატიაში შეუძლებელია მისი გაშუქება. სამისოდ საჭიროა დიდტანიანი მონოგრაფია თუ მონოგრაფიები, მაგრამ აქ მოკლედ მაინც აღვნიშნავთ: ეს აისხნება საერთოდ ანარქიზმის სოციალურ-ეკონომიკური ბაზის ძალზე მერყეობით, მისი მუდმივი და სერიოზული დეფორმაციულობით. იგი წერილობრუფუხიული ფენის ფსიქოლოგია, წერილმესაკუთრეთა სოციალისტური მიმართულება იყო, ხოლო მათი ბუნებრივი, ნიშნობილივი მხარე ხომ ის არის, რომ ამ ფენიდან გამოიყოფიან ერთეულები (უწინაშენლო ნაწილი), ვადაღიან მსხვილ მესაკუთრეთა რიგებში, უერთდებიან მსხვილ ბურჟუაზიას. აბსოლუტური უმეტესობა თანდათანობით დატყდება, პროლეტარდება და მუდმივ ადგილს მუშათა კლასში პოულობს, მაგრამ თან მიჰყვება წერილმესაკუთრული განწყობილება და სწორედ ეს ნაწილი იყო ანარქიზმის ძირითადი საყრდენი. ეს გარემოება განსაზღვრავდა ანარქისტთა შორის მიმართულებათა სიმრავლეს, შეხედულებათა სიჭრელეს, მწკავე უთანხმოებას სტრატეგიულ-ტაქტიკურ საკითხებსა და ბრძოლის მეთოდებში. სწორედ ამ ძირითადმა მიზეზმა განაპირობა მსოფლიო ანარქიზმის ჩამოშორება რევოლუციური მოძრაობის ისტორიული ასპარეზისაგან. რაც შეეხება საქართველოს ანარქიზმის მდგომარეობას, მას კიდევ უფრო ართულებდა რევოლუციური მოძრაობის მანაწილეობა, მათ შორის ანარქისტთა წინააღმდეგ განხორციელებული პარპაროსული რეპრესიები, რომლებსაც ამერკავებსაში, გერძოდ, საქართველოში, განსაკუთრებით მწკავე ხასიათი ჰქონდა და მიმართული იყო ყოველგვარი პროგრესული, მოწინავე აზროვნების ძირმდე ჩასახშობად.

ქართველ ანარქისტთა საქმიანობის ცნობილი თავისებურებები მიზნად ისახავდა მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვას, პოლიტიკურ გათვითცნობიერებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინებას და ისინი ღირსეულად შევიდნენ ჩვენი ერის ისტორიაში.

გაგომყენებული ლიტერატურა

1. **მისამო წრამთაში**. ერი და კაცობრიობა, თბ. 1990, გვ. 240-241.
2. იქვე, გვ. 143.
3. იქვე, გვ. 143.
4. სცხსა, ფონ. 314, აღწ. 118, საქ. 17, ფურ. 22.
5. **მისამო წრამთაში**. ერი და კაცობრიობა, თბ. 1990, გვ. 31.
6. იქვე, გვ. 19.
7. **ღმმტრმ მმამთა**, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, თბ. 1993, გვ. 232.
8. **ღმმტრმ მმამთა**. ეროვნული კონსოლიდაციისათვის ბრძოლის იტორიიდან. ვაზეთი "ერი", 1990, 13 დეკემბერი.
9. **ღმმა შამამამა**, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, თბ. 1951, გვ. 135.
10. სცხსა, ფონ. 116, აღწ. 18, საქ. 202, ფურ. 23.
11. **მმრმმ ლახმმმმ**. მემუარები, თბ. 1934, გვ. 107.
12. **შაღმა მმამთა**. კრიტიკა სოციალ-დემოკრატებისა, თბ. 1908, გვ. 143.
13. იქვე.
14. **მმრმმ ლახმმმმ**. მემუარები, თბ. 1934, გვ. 253-254.

*

განსხვავებული მიდგომა და პრინციპები

საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ცვლილებები 1918-1921 წლებში

ნათია შირაზიანი

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილების გამგე.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918 წლის 26 მაისი) მოვილი სიმწვაით დადგა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საზღვრების გამოჯენის საკითხი.

რა დებულებით უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს მთავრობას საზღვრების დადგენის საქმეში: რეალური მოსახლეობის პრინციპით, როგორც ამას მოითხოვდა სომხეთის მთავრობა, რელიგიის მიხედვით მუსულმანობის საფუძველზე, როგორც ამას ემხრობოდა აზერბაიჯანი, თუ ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სტრატეგიული საკითხების გათვალისწინებით? საქართველოს მთავრობამ ეს შესაძლებელი პრინციპი არჩია. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა განესაზღვრა საზღვრები სომხეთსა და აზერბაიჯანთან. მასში შედიოდნენ ირაკლი წერეთელი, დავით ონიანი, პავლე ინგოროვა და გენერალი ნიკოლოზ ოდიშელი. კომისიის გადაწყვეტილებით საზღვრები შემდგომად უნდა მოწყობილიყო: საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სამხრეთიდან გადის მცირე კავკასიის ქედზე, მიღის ბორჩალოს მახრის სამხრეთ საზღვართან, გადადის ვოგანის ტბის ჩრდილოეთ ნაპირამდე, უხვევს ჩრდილოეთით მდინარე აღსტავაზე, მიდის სადგურ ძეგამამდე, შეიცავს საინგილოს და თაველა სოფლის მიით. ესე იგი, ყველა ის მხარე, რომელიც მეზობლებმა თავიანთი საკუთრებად გამოაცხადეს, საქართველომ თავისად აღიარა.¹

ნოე რამიშვილი საქართველოს მთავრობის სახელით 1918 წლის 17 ივნისს აზერბაიჯანის მთავრობას სწერდა, რომ საინგილო და ბორჩალო მუდამაქვს საქართველოს ეკუთვნოდა და ეს სადავო არასოდეს ყოფილა, თუმცა შერეული მოსახლეობა ყოველთვის იყო.²

ამვე დროს, საქართველოს მთავრობამ საკითხი გადაიტანა სერთაშორისო ასპარეზზე, მიმართა ყველა სახელმწიფოსა და ერს განსაკუთრებული მუხრანდღმით, სადაც მოთხოვნილია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორია და აღნიშნულია მისი სახელმწიფოებრივი, ტერიტორიული შემადგენლობა შემდეგი სახით: საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია შედგება ამიერკავკასიის ყოფილი ადმინისტრაციული ერთეულებისაგან – თბილისის, ქუთაისის, ბათუმის გუბერნიებისა და სოხუმის, ზაქათალის ოლქებისაგან. ეს ტერიტორია შეიცავს დაახლოებით 80 000 ითხუთხედ კილომეტრს და მასზე ცხოვრობს 3 100 000 ხელი.³

პარიზის საზავო კონფერენციისათვის (რომელიც მიმდინარეობდა 1919 წლის 18 იანვრიდან 1920 წლის 21 იანვრამდე შესვენებებით) აზერბაიჯანმა წამოაყენა მოთხოვნები, რომელთა მიხედვით მის საზღვრებში უნდა მოქცეულიყო ზაქათალისა და ბათუმის ოლქები, ბორჩალოს და ახალციხის მახრები. ეს მოთხოვნები ემყარებოდა რელიგიურ პრინციპს, რადგან ცნობილია, რომ ითორავანიულად და ისტორიულად არც ერთ მხარეს არავითარი საერთო არ აქვს აზერბაიჯანულ მოღმდისთან.

პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს მხრიდან დელეგაციის წევრები იყვნენ კარლო ჩხვიძე (ხელმძღვანელი), ირაკლი წერეთელი, ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი და სხვები.

საქართველო-აზერბაიჯანის შორის საზღვრების გამოჯენის საკითხი, დაფიქსირებული სადავო ტერიტორიული პრობლემების მოუხდავად, დინამიკურად ვითარდებოდა. მართალია, საინგილოში დროებით ბაქოს მთავრობის ორინსტიცია ერეკდებოდა და იქ აზერბაიჯანის სამხედრო ნაწილები იყვნენ, მაგრამ საქართველოს მთავრობა იმელოვნებდა, რომ საკითხი შეიძლება, პოლიტიკური გზით მოგვარდებოდა. მით უმეტეს, რომ როგორც საქართველოს, ასე აზერბაიჯანს ჩრდილოეთიდან შემოსევის ემინდოდა: ეს ხელს უწყობდა ამ ორი რესპუბლიკის პოლიტიკურ დაახლოებას. გამოწყვეტილი იყო მრავალი საერთო მიზეზით, ინტერესითა და მისწრაფებით, ხოლო 1919 წელს მით უფრო ადვილი შესასრულებელი იყო ამ დაახლოების გაძლიერება: ოსმალეთის დატყობისა და აზერბაიჯანიდან წასვლის შემდეგ უკანასკნელი უზრუნდებოდა თავის კავკასიის წრეს.

1919 წლის 15 ივნისს ქ. თბილისში აზერბაიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს სამოკავშირეო ხელშეკრულებას. ხელს აწერდნენ საქართველოს მხრიდან: საჯარო საქმეთა მინისტრი – ქ. გვედჭკარი, სამხედრო და მინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, სამხედრო მინისტრის მოადგილე, გენერალი ი. გვედჭკანიშვილი, სამხედრო საბჭოს წევრი ნ. ოდიშელიძე, აზერბაიჯანის მხრიდან: საჯარო საქმეთა მინისტრი ჯაფაროვი, სამხედრო მინისტრი შესმანდაროვი და გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი სულკეიჩი.

ხელშეკრულებით მოიყვანო ჩვენთვის საინტერესო მუსულები: იმ სერიოზული საფრთხის გამო, რომელიც მოვილის ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას, დასდეს შეთანხმება ესე შემდეგ საფუძველზე:

1. ამ შეთანხმების დამდებთა სახელმწიფოები ვალდებული არიან ერთად გამოვიდნენ მოვილი თავიანთი შეიარაღებული ძალებით და სამხედრო საშუალებით ყოველგვარი თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთ რესპუბლიკის დამოუკიდებლობას ან ტერიტორიულ ხელშეუხებლობას.

შეფიქრება: პარაგრაფი ესე არ ვრცელდება კონფლიქტებზე, რომლებიც შესაძლებელია აღყდეს საზღვრებს გამო ამერკავასიის რესპუბლიკათა ტერიტორიის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი გადამიჯნის წინადაგზე.

2. უკეთუ რომელიმე მუხობელი სახელმწიფო უკვე დაწყებულ პირველ პარაგრაფში ნაგულისხმევი სამხედრო მოქმედების დროს თავს დაესხმის ერთ ან ორივე მოკავშირეს, საზღვრის გამო დავის იარაღით გადაჭრის მიზნით, ასეთი სახელმწიფო მეომარ მხარედ ჩაითვლება.

3. ამ შეთანხმებას აქვს მარკოლოვნ თვდაცვის ხასიათი და უკეთუ ერთი მხარეთაგანი თავისი ინიციატივით წინასწარ შეთანხმებულად ომს გამოაცხადებს ან სამხედრო მოქმედებას დაიწყებს, ამ შეთანხმების დამღები მეორე მხარე ვალდებული არ არის მონაწილეობა მიიღოს ან სამხედრო მოქმედებაში.

4. ამ შეთანხმების დამღები მხარეები ვალდებული არიან ყოველი შეთანხმება, რომელიც შესაძლოა ჩამოყარდეს მათ შორის საზღვრების გამო, შეთანხმებით ან არბიტრაჟის საშუალებით გადაწყვიტონ და ეს გადაწყვეტილება უნდა მიჩნეულ იქნეს საბოლოოდ და სავალდებულოდ ორივე მხარისათვის.

5. შეთანხმება ესე დადებულია სამი წლის ვადით. ერთი წლის წინ ამ ვადის გასვლამდე შეთანხმების დამღები თითო მხარეს უფლება ენიჭება განაცხადოს თავისი სურვილი შეთანხმების განგრძობისა ახალი ვადით ან შეთანხმებაზე უარის თქმისა. უკანასკნელ შემთხვევაში შეთანხმება ქაარგავს ძალას მხოლოდ დადებული ვადის გასვლისას...

უკეთუ მეხუთე პარაგრაფში აღნიშნული ვადის გასვლამდე დაარსდა ერთა ლიგა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მის მონაწილე სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას და საზღვრების ხელშეუხებლობას იმ მიმართიდან, როდესაც ამ შეთანხმების დამღები რესპუბლიკები შევლენ ერთა ლიგაში, ეს შეთანხმება ქაარგავს ძალას.⁴

ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდა საქართველოს დამოუკიდებელი კრების საკანგებო სხდომაზე 1919 წლის 22 ივნისს.

როგორც ვხედავთ, ამ დოკუმენტს უფრო თავდაცვითი ხასიათი ქონდა და არ ეხებოდა საზღვრების გამიჯნის საკითხს.

საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციამ პარიზის კონფერენციას აცნობა ხელშეკრულების ტექსტი და გამოთქვა იმედი, რომ ეს კონვენცია, რომელსაც დასასული აქვს წინადა თვდაცვითი მიზნები, იმ წაწილში, რომელიც შეეხება ომში შერთებულ მოქმედებას, არავის დასჭირდება და რომ ამერკავასიის რესპუბლიკათა ყოველზე თვდაცვისწინაგ უზრუნველყოფილი იქნება გენერალ დეჩიკოვის ოპერაციებზე მოკავშირეთა კონტროლის წყალობით.⁴⁵

ფუჭი იმედი, რომ პარიზის კონფერენცია ყველაფერს გაარჩევს, ყველაფერს გადაწყვეტს და რამეს გააკეთებს ამერკავასიის საზღვრების დასადგენად, ასუსტებდა ამერკავასიის რესპუბლიკების სტიმულს – საკუთარი საშუალებით გადაწყვეტილი ეს საკითხი, თუქც ვარკვეულ ცდებს მაინც ჰქონდა ადგილი. ამ მიზნით 1919 წლის მარტსა და 1920 წლის აპრილში მართლაც გაიმართა საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის წარმომადგენელთა კონფერენციები, დაიასა პრობლემების გადაჭრის გზები, განსაკუთრებით უკანასკნელ შეხვედრაზე, მაგრამ სანამ თბილისში დელეგაციები საზღვრებს საკითხს იხილავდნენ, აზერბაიჯანში 1920 წლის 27 აპრილს მე-11 წითელი არმია შევიდა და დაიყარა საბჭოთა ხელისუფლება.

აზერბაიჯანში შექმნილი პოლიტიკური ვითარება საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხეს უქმნიდა. მე-11 არმიის ნაწილები სწრაფი ტემპით მოიწვიდნენ მისი საზღვრებისაკენ.

1920 წლის 30 აპრილს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა რადიოტელეგრამა გაუგზავნა ბაქოს რევოლუციურ კომიტეტს, გამოუცხადა მზადყოფნა დაეწყო მშვიდობიანი მოლაპარაკება აზერბაიჯანთან და მშვიდობიანი გზით მოეწესრიგებინათ საზღვრების საკითხი. ამის მასუხად, აზერბაიჯანის ჯარის ნაწილები 2 მაისს თავს დაესხნენ საქართველოს სასაზღვრო ჯარებს წითელ ხედიან, მდინარე ზრაშზე, თბილისისა და ელიზავეტპოლის გუბერნიის საზღვარზე, დაიკავეს ხიდი და 5 ვერსი წაშოიწიეს წინ საქართველოს ტერიტორიაზე. ამის მიუხედავად, დემოკრატიული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა კვლავ მოუწოდა ბაქოს რევოლუციურ კომიტეტს მშვიდობიანი მოლაპარაკებისაკენ. 5 მაისს დილით აზერბაიჯანის გენერალი მატერალები მოადგნენ ფოილის ხილს მდინარე მტკვარს საზღვართან და საქართველოს საგუამგობოს ცეცხლი გაუხსნეს. ამასთან აზერბაიჯანელებმა დაიკავეს სოფელი მუდანლო პორანლოს მახრამში. დემოკრატიული მთავრობის მოწოდებას მშვიდობიანი მოლაპარაკების საკითხზე ბაქოს მთავრობა გამოეხმაურა აზერბაიჯანს 8 მაისს და საქართველოს შესთავაზა გაეგზავნა თავისი წარმომადგენლები ბაქოში. რადგან ამ დროისათვის მშვიდობიანი გზის ნაწილები კვლავ საქართველოს ტერიტორიაზე იდგნენ, დემოკრატიული მთავრობის ბაქოს რეკომის წინადადება შეიძლება მივიღო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაათავისუფლებდნენ მათ მიერ დაიკავეს საქართველოს ტერიტორიას, რაც ეცნობა კიდევ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰუსეინოვს, ახლი გაეგზავნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჩიჩერინს. საქართველოს პირობით არ იყო მიღებული და 9 მაისს აზერბაიჯანელთა შეჭრის წინაშეაღას მზიოდან სიღნაღის მახრამი და მაადგენ ქალაქ დაგაოღის, რის შედეგად დემოკრატიული მთავრობის არაფერი დარჩნოდა იმის გარდა, რომ გაეცა ბრძანება გაეთავისუფლებინათ საქართველოს ტერიტორია მტრისაგან, რაც იქნა კიდევ შეზრულებული. ამასთან აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანთან ერთად საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდნენ 287-ე და 288-ე საბჭოთა პოლკები, რაც ეცნობა კიდევ საბჭოთა რუსეთს 1920 წლის 13 მაისს.

გათავისუფლა რა საქართველოს ტერიტორია, დემოკრატიულმა მთავრობამ 12 მაისს კვლავ მოუწოდა აზერბაიჯანს მშვიდობიანი მოლაპარაკებისაკენ. ამაზე ჰუსეინოვმა თანხმობა განაცხადა 15 მაისს და ამავე დღეს საქართველოს მთავრობამ გამოცხადა ბრძანება – შეეწყვიტათ საომარი მოქმედება 1920 წლის 16 მაისს დილის 6 საათისათვის, მაგრამ აზერბაიჯანის ჯარის ნაწილები საბჭოთა რუსეთის ჯარებთან ერთად კვლავ გადმოიდნენ შტეტევაზე. ამის მიუხედავად,

საქართველოს შიარობის თავმჯდომარე კვლავ დაადასტურა თავის ბრძანება 16 მაისის 6 საათსა 40 წუთზე.⁶ ამ საომარი მოქმედების დროს, 1920 წლის 7 მაისს დაიღო ხელშეკრულება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის. ხელს აწერდნენ საქართველოს მხრიდან გრიგოლ ურატაძე და საბჭოთა რუსეთის მხრიდან – დევ კარასანი.

7 მაისს ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, საბჭოთა რუსეთმა ზაქათალის ოლქი საქართველოს ფარგლებში შეაჯღ ტერიტორიად აღიარა, მაგრამ საბჭოთა აზერბაიჯანის მესვეურებმა, ვაიგეს რა ეს ფაქტი, იმ დღესვე სასწრაფო დახმები აფრინეს მოსკოვში: უკმაყოფილებას გამოთქამდნენ საკითხის ამგვარად გადაჭრის გამო. მოსკოველმა მმართველებმა არ აწინვინეს ბაქოელ კოლეგებს. ამის შედეგად ის იყო, რომ 12 მაისს საქართველო-რუსეთის დამატებითი შეთანხმების ძალით, ზაქათალის ოლქის მიკუთვნების საკითხი უნდა გადაეჭრა შერეულ კომისიას თანამართლი რაოდენობის ქართველი და აზერბაიჯანელი წარმომადგენლების შემადგენლობით, კომისიის თავმჯდომარე კი რუსეთიდან იქნებოდა. არც საქართველოსა და არც აზერბაიჯანის კომისიის გადაწყვეტილებამდე უფლება არ ჰქონდათ შეეცვანათ ოლქის ტერიტორიაზე ჯარების ასალი კონტინგენტი, ესე იგი, იმაზე მეტი, რაც 12 მაისს იქ იმყოფებოდა.

დამატებითი შეთანხმების წაგებიაზრობა საქართველოსათვის აშკარა იყო. ზაქათალაში მხოლოდ XI არმიის ნაწილები იმყოფებოდნენ 12 მაისის მდგომარეობით და ჩვენ არ შეგვიძლია ქართული სამხედრო ძალების შეყვანა. თუ კომისია საკითხს განიხილავდა და კენჭისყრაზე მივიღოდა საქმე, რუსეთის წარმომადგენლის პრივილეგია გადაწყვეტი აღმოჩნდებოდა. იგი აზერბაიჯანელებს დაუჭერდა მხარს და საკითხი საქართველოს საზიანოდ გადაწყვეტილიყო.

რატომ დათანხმდა გრ. ურატაძე ასეთი ხელშეკრულების ხელმოწერაზე? უნდა ვივარაუდოთ, რომ მისთვის უმთავრესი მიზეზი იყო ჰქონდა საქართველოს თურქულად აღიარების ფაქტს. რაც შეეხება ტერიტორიულ პრობლემებს, იგი თვლიდა, რომ მათი გადაწყვეტა შეიძლებოდა მშვიდობიანი გზით. ყოველ შემთხვევაში, ამის თეორიული შანსი არსებობდა.

აი, რას სწერს ამ საკითხზე თვითონ გრ. ურატაძე: "არც "გადამიცა ოლქი" და არც "მოუღვევია" ის ვინმეს საქართველოსათვის. ოლქი აღნიშნულია ხელშეკრულებაში და დარჩა ისე, როგორც იყო შეტანილი. 12 მაისის ხელშეკრულება მოითხოვს მხოლოდ საზღვარზე თუ ოლქში რომელიმე ნაწილის (თუ იქნებოდა ასეთი ნაწილი) დავის გადაწყვეტას თვით დაინტერესებულ სახელმწიფოთა მიერ პირდაპირი მოლაპარაკებით, თუ არა და – არბიტრაჟით. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს არ არის ხელშეკრულება, არამედ შეთანხმება ჩემსა და კარახანს შორის და ასეთი სათაურითაც არის დაბეჭდილი ცალკე ფურცელზე ამ დროს აზერბაიჯანის საზღვარზე შექმნილი მდგომარეობის გამო ეს იყო საუკეთესო გამოსავალი: ოლქი საქართველოს საზღვრებში დარჩა. სადავო პრობლემის საკითხი კი უნდა მოგვარებულიყო მოლაპარაკებით და არა იარაღით. ახალ სახელმწიფოებს შორის ყველგან და ყოველთვის ყოფილა და იქნება დავა საზღვრებზე თუ რომელიმე ნაწილზე, მაგრამ მისი მოწესრიგება უნდა მოხდეს დაინტერესებული მხარეების მიერ. ამას ვუყავი მე და კიდევაც მივადებინე ასეთი შეთანხმება. იმ მომენტში სამხედრო მხრიდან დიდი მიღწევა იყო, თუ მივიღებთ შეგველბაში, რომ აზერბაიჯანი უკვე გასაბჭოებული იყო და იქ მრავალრიცხოვანი წითელი ჯარი იდგა ჰეკრისა და ორფონიების მეთაურობით, რომლებიც ყოველგვარ საბაბს იყენებდნენ, რომ ჩვენს საზღვრებში შემოეჭრილიყვნენ, ხოლო თუ როგორი იყო იმ დროს ჩვენი სამხედრო მდგომარეობა, ეს ყველასათვის ცნობილია.

ამრიგად, ზაქათალის ოლქი, 7 მაისის ხელშეკრულებით, იქნა აღიარებული საქართველოს უდავო ნაწილად. ამან დიდი როლი ითამაშა იმ მხრივაც, რომ ამ ხელშეკრულების შემდეგ მთელი ოლქის მინდობილობით თბილისში ჩამოვიდა საგანგებო დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ ა. კარდამუცი, პ. აბაგაროვი, ისმაილ მამეღოვი და ადვალა ახმეღოვი. რომელთაც მიმართეს ჩვენი მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას წერილობითი თხოვნით. სწერდნენ: 7 მაისის ხელშეკრულებით მთელი ზაქათალის ოლქი აღიარებულია საქართველოს განუყოფელ ნაწილად. ამით აღდგენილია უდიდესი ისტორიული მომენტი - შეერთება ჩვენი საერთო სამშობლოსი - საქართველოსთან, ხელოვნურად მოკლული მის ნაწილი ზაქათალის ოლქის. მოგმართავთ თქვენ, ბატონო თავმჯდომარე, დააჩქაროთ ქართული ჯარების შემოყვანა ოლქში მოძებ ხალხის უფლებების დასაცავად.¹⁷

1920 წლის 12 ივნისს სასაზღვრო ქაღალქ აღსტავაში დაიღო ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სამხედრო მინისტრმა - გრიგოლ ლორთქიფანიძემ, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილემ სიმონ მღვიანამ და ალექსანდრე ანდრონიკაშვილმა. საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდან - სავარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მირზა დათო ჰუსეინოვმა. აქვე მოგვყავს ჩვენთვის საინტერესო მუხლები:

I

აზერბაიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ისპობა ყოველივე საომარი მოქმედება და მხარეები იწყებენ შტკიცე სამშვიდობო და სამეგობრო ურთიერთობას. ომის დროს ტყვედ წამოყვანილებს ერთმანეთს დაუყოვნებლივ უბრუნებენ.

II

აზერბაიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის საზღვრად დაიდო: ბორჩალოსა და ყაზახის მაზრებს შორის გაღებული სადამინისტრაციო ხაზი, რომელიც იწყება სომხეთის ზონიდან, გადადის პოვერჩაშის მთაზე, შემდეგ გადაივლის ვარტიშის მთას, სადამინისტრაციო საზღვრის ხაზით ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმართულ წყაროებამდე. ეს წყაროები ორი ვერსის მანიბლუჯა ყიზილ-ჩაის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ექიდან საზღვარი მიდის პირობით ნაგულისხმევი ხაზით ტარსისა და ბაბა-ქიარის მთების ქედს გადადამა, მის აღმოსავლეთ ფერდობზე, წითელ ხიდს შუა გაუვლის, გასკვება ძველს საზღვარს, რომელიც ხრამსა და მტკვარს მისდევს, შემდეგ ფოილოს ხიდს გაუვლის შუაზე, ექიდან წაეა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, ძველ სადამინისტრაციო საზღვრით ალაღვიხის ქედამდე, შერამე სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაუხვევს ძველ სადამინისტრაციო საზღვრით პლან-ტუკუნის მთის სამხრეთ კალთის ბოლომდე, გაემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ სადამინისტრაციო ხაზით და ასე მიდის ზაქათალის ოლქის მიყენამდე, (რუკა დიუმ 5-ეერსიანი).

III

წითელი ხიდისა და ფოილოს ხიდის წინამდებარე ზონები, აგრეთვე მტკერის მარჯვენა ნაპირი აზერბაიჯანის მიწა-წყალზე ნეიტრალურ ადგილებად ცნობილი იქნება ერთი წლის განმავლობაში დღიდან ამ ხელშეკრულების დადებისა შემდეგ საზღვართა შორის: 1. ყაზახის მაზრაში ის მიწა-წყალი, რომელიც შემოზღუდულია ინჯა-სუს მდინარითა და ბორჩალოსა და ტუილისის მაზრების სადამინისტრაციო საზღვრით. 2. ყაზახის მაზრაში რაონი, რომელსაც საზღვრავს ხაზი სოფ. ყიზილ-პაჯალისა, ფეიქანლის, ხალფაისა სად. შაქარლი და მტკერის მოსახვევი იმ ქალბეთან, რომელიც პასან-სუს შესართავის დასავლეთით არის, ექიდან პირდაპირი ხაზი წაეა ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნოზან-დაღის ქედის დასავლეთ კიდურისაკენ ხილნაღის მაზრის სადამინისტრაციო საზღვრამდე. ყველა ჩამოთვლილი სანაპირო, დასახლებული ადგილი გამოკლებულია (იხ. რუკა დიუმ 5-ეერსიანი).

IV

მე-3 პუნქტში აღნიშნული ნეიტრალური ზონების ტერიტორიაზე არ შეიძლება არავითარი სიმაგრის აგება და არც ჯარის შეყენა, ადმინისტრაცია და მმართველობა კი აზერბაიჯანისა უნდა დარჩეს.

შეშინება 1: ამ მუხლის მტკიცედ აღსრულებისათვის თვალყურის სადევნებლად არსდება განსაკუთრებული შერეული კომისია, რომელშიც ოთხი კაცი უნდა იყოს, ორ-ორი თითო მხრიდან.

V

წითელ ხიდს საქართველოს მიწა-წყლის მხრიდან იცავს ქართველთა სადარაჯო, ხოლო აზერბაიჯანის მხრით - აზერბაიჯანის სადარაჯო, ხოლო საქართველოს უფლება აქვს ხიდით თავისუფლად ისარგებლოს ტარსისა და ბაბა-ქიარის მთაში მიმოსვლისათვის.

VI

საკითხი ზაქათალის ოლქისა უნდა გადაეცეს გადასაჭრელად საარბიტრაჟო კომისიას. ეს კომისია გათვალისწინებულია დამატებითი შეთანხმებით, რომელიც დაიდო რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის 12 მაისის თარიღით. ვიდრე ეს საქმე გადაწყდებოდეს საარბიტრაჟო კომისიაში, არც ერთ მონაწილედ მხარეს ნება არ აქვს ახალი ჯარი შეიყვანოს ზაქათალის ოლქში, თანახმად მოსკოვის დამატებითი შეთანხმების მეორე პუნქტით 1920 წლის 12 მაისის თარიღით.

შეშინება 1: ეს მუხლი ჩართულ იქნა ამ ხელშეკრულებაში იმიტომ, რომ ზაქათალის საქმის გამო სხვადასხვა აზრს დაადგინნ დელეგაციები აზერბაიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, როცა შეუდგნნ მოსკოვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მეათე მუხლისა და მის დამატება 1920 წლის 12 მაისის თარიღით დადებული შეთანხმების პირველი პუნქტის განმარტებას, აგრეთვე იმ მიზეზითაც, რომ არსებითად ამ სადავო საგნის გამო შეთანხმება ვერ მოხერხდა.

შეშინება 2: ამ მუხლის მტკიცედ აღსრულებისათვის თვალყურის სადევნებლად, რომ ოლქში ახალი ჯარი შეეყვანილი არ იქნეს, არსდება განსაკუთრებული საკონტროლო კომისია, რომელშიც ოთხი კაცი უნდა იყოს, ორ-ორი თითო მხრიდან...

XVI

ვიდრე განსაკუთრებულ შეთანხმებაზე დამყარებული დებულება შემუშავებულ იქნება აზერბაიჯანის მომთაბარე ელათის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნებას აძლევს ამ ელთ თავისუფლად და დაუბრკოლებლად სარგებლობდნ იალალ-სამოურებით იმავე პირობით, რაც არსებობს საქართველოს ქვეშევრდომ მომთაბარეთათვის

ხელშეკრულება ესე ძალაში შედის ხელის მოწერის დროიდან და რატიფიკაცია უნდა ექნეს. რატიფიკაციითა გაყვალა უნდა მოხდეს ტფილისში ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ სახაგო ხელშეკრულების ხელის მოწერისა. ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდა საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე 1920 წლის 25 ივნისს.

ამ ხელშეკრულებით, საზღვრები საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის გადის ძველი საადმინისტრაციო საზიო, ან უფრო კონკრეტულად რომ ეთქვათ, ამ საზიო, როგორც ვაღიდა საზღვრები თბილისისა და განჯის გუბერნიებს შუა. წითელი ხიდის გაღმა მდებარე ორი მთა: ტარხი და ბაბა-ქაირი უშუალოდ ჩვენს ტერიტორიაში. შეიქმნა ეწ. ნიტრალური ზონები. ეს ზონები იყო მარტო აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და პქონდა მხოლოდ დროებითი სასათა. ერთი წლის ვადით აზერბაიჯანს არ გააჩნდა ჯარის ყოლის უფლება წითელი ხიდისა და ფოილოს ხიდის ორგვლივ მდინარე მტკვრის გაღმა. აღნიშნული იყო მთელი რიგი პუნქტები, სადაც უნდა გაეცვლინა ნიტრალურ ზონას და რომელსაც არ უნდა გასცილებოდნენ აზერბაიჯანის ჯარები. იქ შეიძლებაყო ყოფილიყო მხოლოდ აზერბაიჯანის სამხატვრო ადმინისტრაცია. ამის გარდა, ყარაის ველი და სიღნაღის მახრამში ელდარის ველი საქართველოს ტერიტორიის უღაო ნაწილი გახდა. ზაქათაღის საკითხი ღიად დარჩა და სამომავლოდ გადაიდო.

იმ დროისათვის მთავარი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის შტარჩუნება. ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტას საქართველოს მთავრობა სამომავლოდ მშვილობიანი გზით ფიქრობდა, მაგრამ აღსტაფის ხელშეკრულებას რუსეთის ორიენტაციისკენ მივყავდით, მისი გავლენის ფარგლებში გააშწყვეტედა და რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკურ დაახლოებას უწყობდა ხელს. ყოველივე ამან საქართველოს სავალალო შედეგები მოუტანა.

საქართველოს გარშეშო თანდათანობით იკვრებოდა რკალი. 1920 წლის ბოლოსა და 1921 წლის დასაწყისში ზაქათაღს ოლქში დამატებითი განლაგდნენ რუსეთის მე-11 არმიის მე-16 ცხენოსანი დივიზია პეტრე კურიშკოს მეთაურობით, 58-ე და მე-20 მსროლელი დივიზიის ნაწილები. საქართველოს ბედი გადაწყვეტილი იყო: 1921 წლის 15 თებერვალს მე-11 არმიამ საბრძოლო მოქმედება დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ აღსტაფა-ფოილოს მხრიდან, ხოლო 17-18 თებერვალს გადმოილახა მდინარე მახიმ-ჩაი და შეშოჭრა ლავილეზში და საერთოდ სიღნაღის მახრამში. საქართველო ყველა მხრიდან აღყაში იყო მოქცეული ... 1921 წლის 25 თებერვალს ქვეყანა გასაბჭოვდა. შემდეგ კი დაქარგა თავისი ისტორიული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ვიქტორ ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ, 1989, გვ. 14.
2. იქვე.
3. იქვე. გვ. 35.
4. სცსსა, ფონ. 1833, აღწ. 1, საქ. 96, ფურ. 27.
5. ზურაბ ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა, თბ, 1929, გვ. 166.
6. სცსსა, ფონ. 1964, აღწ. 1, საქ. 100, ფურ. 38-39.
7. გრიგოლ ურატაძე, ნამდვილი და ყალბი ისტორია, პარიზი, 1958, გვ. 83-84.
8. სცსსა, ფონ. 1833, აღწ. 1, საქ. 239, ფურ. 17-19.

*

საქართველო-სომხეთის სასაზღვრო ცვლილებები 1921-1938 წლებში

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიული საკითხების მოგვარების მიზნით რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 2 მაისის პლენუმმა შექმნა სპეციალური კომისია, რომლის სხდომები იმავე წლის 25-27 ივნისს მიმდინარეობდა თბილისში.

კომისიის მუშაოებაში მონაწილეობდნენ: კიროვი (თავმჯდომარე), საქართველოს მხრიდან სვანიძე, სომხეთის მხრიდან ბეგზადიანი, აზერბაიჯანის მხრიდან ომარ ფაიკი, პუსეინოვი, გაეინსკი, რასულ-ზადე. ამ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სომხეთის წარმომადგენელი ბეგზადიანი, რომელმაც აღნიშნა: "მოსკოვის ხელშეკრულების დადების შემდეგ (იგულისხმება საბჭოთა რუსეთისა და თურქეთს შორის 1921 წლის მარტში დადებული ხელშეკრულება) სომხეთის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმედ უნდა მივიჩნიოთ, რადგან მან თავისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაქარგა ეკონომიკური რესურსებიანად. უმდიდრესი ქვანახშირისა და მარილის მადაროები, ყარსის, სარიაყამის, ოღლის და კაიხზანის ტყიანსაძიფრებიანი რაიონები. ამის გარდა, ამ ბოლო ომის წყალობით ლტოლვილთა რაოდენობა 410 ათასამდე

ავიდა. მათ ადვილი უნდა მიეზინათ. ახლა სომხეთს არც საკმარისი ტერიტორია აქვს და არც ტყისა და სხვა ფონდები – სახელმწიფო სახსრების უმთავრესი, ამიტომ იგი, როგორც პოლიტიკური დამოუკიდებელი ერთეული, ვერ შეძლებს არსებობას. ამ გარემოებათა გამო ამხ. ბეგზადიანს უარესად საჭიროდ მიაჩნია, რომ მეზობელ აზერბაიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკებს ჩამოეჭრათ ტერიტორია სომხეთის სასარგებლოდ... სომხეთის დელეგაცია სთხოვს ამხ. ქართველებსა და თათრებს გათავალისწინონ სომხეთის განსაკუთრებული მდგომარეობა და საერთო სოლიდარობის გულისათვის ერთხელ და სამუდამოდ გულწრფელად, მგებობრული ურთიერთობები შექმნა დასავლეთის რუსეთისათვის, დაკვირვებულნი ვარკვეული ტერიტორიების დათმობას, ამასთან კომპაქტური სომხური მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში“¹.

სომხეთის პრეტენზია საქართველოს მიმართ ასეთი იყო: ახალქალაქის მახრა სომხეთის შემადგენლობაში უნდა შევიდეს (მოსახლეობის 72% სომხობაა) ამასთან, ამ მახრაში უნდა ჩავრთოთ ორი სომხური სოფელი: მოლითი და ყიზილ-კილისი, რომლებიც მდებარეობენ ტაბაწყურის ტბის ჩრდილოეთით – არაუკვეინს ქედამდე. ამასთან აღნიშნულ რაიონს უნდა გამოაკლდეს ხიზაბაგების ქართულმოსახლეობიანი უბანი.²

საგულისხმოა, რომ საბჭოთა საქართველოს იმდროინდელმა შესვერებმა მთელხდა მიიჩნის ტერიტორიის ჩამოჭრა. ოქმში ჩაწერილია: “გამოყენის შემოთავაზებული ვარიანტი ამხანავი ქართველი დელეგატებისათვის მიუღებელია და ისინი პოლიტიკური მოსაზრებით აყენებენ იმ საკითხს, რომ არ დაიშვას რამე ტერიტორიის ჩამოჭრა“³.

25 ივნისის სხდომაზე გადაწყვედა, რომ ვერჯერობით პოლიტიკური მოსაზრების გამო ამ ტერიტორიების ჩამოჭრაზე ლაპარაკი არ უნდა ყოფილიყო.

კომისიის 25 ივნისის სხდომაზე საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლების მსჯელობა მჭიდროდ ღორეს ნეიტრალურ ზონაზე. სომხეთის წარმომადგენელი მითითხდა ამ ზონის მთლიანად სომხეთისათვის გადაცემას. ქართველები უარყოფდნენ ჩამოჭრის პრინციპს და სადაც ნეიტრალურ ზონას ყოფდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორებად, ნებაყოფლობით უარს ამბობდნენ მის აღმოსავლეთ სექტორზე და კატეგორიულად მოითხოვდნენ მეორე სექტორს. 25 ივნისის შეთანხმება არ იქნა მიღწეული.

მეორე სხდომა 26 ივნისს გაიმართა, სხდომას კომისიის წევრების გარდა, ესწრებოდნენ: ს. ორჯონიძე, მ. ორახელაშვილი და შ. ელიავა. ამ სხდომაზე ბეგზადიანი აყენებს კონკრეტულ წინადადებას – კომისიამ მუშაობა შეწყვიტოს და საზღვრების ცვლა საკითხი გატანილი იყოს ამერკავკასიის კონფერენციაზე. წინადადება არ მიიღეს. ქართველებმა ახალი წინადადება წამოაყენეს. სომხეთის აღმოსავლეთ სექტორი სომხებს დარჩეს, დასავლეთ სექტორში კი მოეწყოს რეფერენდუმი. სომხეთის დელეგაცია დათანხმდა ამ წინადადებას. თუმცა საბოლოო შეთანხმება მაინც ვერ მოხერხდა და 27 ივნისის სხდომა შეწყდა.

კომისიამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა რკ(ბ)-ის კავებუროს მიანდო.

1921 წლის 7 ივლისს რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავებურომ ი. სტალინის მონაწილეობით განიხილა საქართველოსა და სომხეთის შიდა საზღვრების საკითხი. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოსა და სომხეთის საგარეო საქმეთა კომისრები ა. სვანიძე და ა. მრავაიანი. კავებურომ დაადგინა, რომ ღორეს ყოფილი ნეიტრალური ზონა შეუერთდეს სომხეთის სს რესპუბლიკას. რაც შეეხება ახალქალაქისა და ხრამის რაიონების სომხეთისათვის გადაცემას საკითხს, იგი განსახილველად გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომლის დასკვნა შემდეგ ისევ კავებუროს პლენუმს უნდა განეხილა.

ამ საკითხზე იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლად შექმნილმა პოლიტიბურომ. 1921 წლის 16 ივლისის სხდომამ დაადასტურა კავებუროს დადგენილება ღორეს ნეიტრალური ზონის სომხეთისათვის გადაცემის საკითხთან დაკავშირებით, ზოლი იმის გამო, რომ ახალქალაქის რაიონი ეკონომიკურად თბილისთან იყო დაკავშირებული, სომხების წინადადება მიუღებლად ჩაითვალა.

1921 წლის 6 ნოემბრს საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარის - ბუღე მდივნისა და სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის – ალექსანდრე მანსიციკის მიერ ხელმოწერილი იქნა დოკუმენტი, რომლის მიხედვით დადგინდა საქართველოს და სომხეთის სს რესპუბლიკების სახელმწიფო საზღვარი. სომხეთს გადაეცა ღორეს ყოფილი ნეიტრალური ზონა, სოფლები: ორგინ-ჩაი, საათლი, ჯანდარი, ახტერკობი, ოფრეთი, ზოჯორნი, ბარდაძორი. სადახლო დარჩა საქართველოს ფარგლებში. სულ მალე ნათელი გახდა, რომ 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულება იყო უაღრესი. საზღვარი გადიოდა სოფლიდან სოფლამდე, რუკაზე ხაზისებურად. აღმოჩნდა, რომ სოფელ სადღორის, ბარდაძორის, გუულ-ბაგის, ზოჯორნის, ოფრეთის, ჩანახისა და ახტერკობის საწადლო მიწები იყო გაჭრილი, გაკეცილი. ზოგიერთ შემთხვევაში თვით სოფლებიც კი ნაწილებად იყოფოდა, რომ არაფერი ვთქვათ იმზე, რომ სრულიად არ იყო გათვალისწინებული რაიონის ცხოვრებისეული, ეკონომიკური და სამეურნეო ინტერესები.

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მოითხოვდა 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულების გადისინგვას, რასაც ასაბუთებდა შემდეგი მოსაზრებებით:

1. 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულება არის შაპაერო, არ ითვალისწინებს არც გეოგრაფიულ, არც ეკონომიკურ და ეთნოგრაფიულ მხარეს და წინადადებას იძლეოდა ლოკალიზერის ქედი ჩაეთვალი ბუნებრივ საზღვრად.
2. ამ ხელშეკრულებით სომხეთს გადაეცა ტყე, რომელსაც წყალდაცავი მნიშვნელობა მქონდა ბორჩლოს მახრის მდინარეებისათვის.
3. ჩაიახის ქარხნის ნორმატიული ფუნქციონირებისათვის აუცილებელი იყო ტყის მასალით უზრუნველყოფა.⁵

ეს საკითხი განიხილეს 1923 წლის 30 აპრილს ამერკავკასიის ცენტრალურ ადმინისტრაციულ კომიტეტთან არსებულ ადმინისტრაციული საზღვრების გამიჯნავი კომისიის სხდომაზე. მისი დადგენილებით შეიცვალა ადმინისტრაციული



საზღვრო საქართველოსა და სომხეთს შორის, დადგინდა ლოქ-ლიალურის ქვღზე, სოფლები ირვინ-ჩაი, საათლო, სადასრლო დარს ახლად დადგენილი სასაზღვრო ხაზის ჩრდილოეთით საქართველოს ფარგლებში თავისი საწადლო მიწებით და 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულებით დადგენილ სასაზღვრო ხაზს შორის მდებარე ტყე დარჩა ერთობლივ მფლობელობაში.⁶

ამ დადგენილებას არ დაეთანხმა სომხეთის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი აბაკიანი და მოითხოვა 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულების ძალაში დატოვება.

ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა არ დაამტკიცა 1923 წლის 30 აპრილის კომისიის დადგენილება. სასაზღვრო დავა სულ უფრო და უფრო მწვავედებოდა.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარია ა. გვეგეკორი ამიერკავკასიის ცაკისადმი 1926 წლის 5 ივნისს ვაგზავნილ თავის მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა: საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ შორის 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრები არის არაცხოვრებისეული, რის გამოც ამ საზღვრების საკითხი არაერთხელ გამზადარა ვადასინჯვის საგანი. სომხეთის წარმომადგენლები ამ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით ცდილობენ თავათი ტერიტორიის გაფართოებას და არ ითვალისწინებენ ამ ზონის ეკონომიკურ და გეოგრაფიულ ინტერესებს. რომ გაეთავალისწინოთ ბუნებრივ-გეოგრაფიული და სამეურნეო-ეკონომიკური ინტერესები, რეალურ საზღვრად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ლოქ-ლიალურის ქვეი. ამის დასადასტურებლად ა. გვეგეკორის მოპყავს გეოგრაფიულ-ეკონომიკური და სამეურნეო-ეკონომიკური მოსაზრებები:

1. ყველა ის მიწაზე და ნაკადული (კარა-სუ, მამავერა, ლოქ-ჩაი, ვიულ-მამედ-ჩაი, ახკერპ-ჩაი, პერპინჯან-ჩაი, მუღაერ-ჩაი და ბანუშუ), რომელთაც აქეთ ცხოვრებისეული მნიშვნელობა ამ რაიონისათვის და რომლებიც მდებარეობენ ბორჩლოს მახრის ტერიტორიაზე, სათავეს დებულობენ მთავარ წყალგამყოფ ლოქ-ლიალურის ქვღზე. ამით აიხსნება ამ რაიონში მდებარე ტყის უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა.

2. სადავო ზოლის საერთო ფართობი მოიცავს 21 000 დესეტინას. აქედან 1 500 დესეტინა არის საზავხულო საძვრები, რომლითაც უძველესი დროიდან სარგებლობდნენ ბორჩლოს მახრის სოფლები - დიდი კაპანახნი, სადახლო, ზღინის-ხარანი, დამია, ზოგორანი. ყველა ამ სოფელს აქვს ვანსაზღვრული ნაკვეთი ამ საძვრებზე, მაგარამ რადაც იხინი ამ სოფლებისათვის საკარისი არ არის, სარგებლობენ მთელი სადავო ტერიტორიის საძვრებით. ამ სოფლების მისახლება განუყოფლად არის დაკავშირებული ამ საძვრებთან და ამ სოფლების არსებობა მათ გარეშე შეუძლებელია.

3. სადავო ტერიტორიის სანადგრო მიწების სარგებლობა ბორჩლოს მახრის ზუთი სოფელი - ოფრეთი, აკერბი, ჩანახნი, ჯილიზი და ბარდაძორი, საერთო ფართობი 2 000 დესეტინა.

4. სადავო ტყის ფართობია 17 500 დესეტინა. ამ ტყით სარგებლობს 17 სოფელი - სადახლო, დამია, ბარდაძორი, ზოგორანი, ვიულბაგი, ჩანახნი, წყრაქვი, ახკერბი, ხახმელი, ოფრეთი, დიდი კაპანახნი, დიდი ხარანი, კომატალა, ჯარაგი, ლოქ-დასანდარი, მუდანლო, საათლო.

5. 1922 წელს ალდაჩ ჩათაბის სიღინჯისადნობი ქარხანა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოს რესპუბლიკა და ამიერკავკასიისათვის, არამედ მთელი კავშირისათვის, ამ ქარხნის ნორმალური ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხე-ტყის მასალას, აქედან გამოძიარება ვასახეთია, სადავო ტყის ტერიტორიის მნიშვნელობა საქართველოსათვის. ზემოთ მოვყვანილი მოსაზრების ვათავალისწინებით, საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს აუცილებლად მაინცა აღინიშნოს, რომ 1922 წლის 1 სექტემბრის შთანხმების საფუძველზე ტყის დეცა და ადგილობრივი მოსახლეობის დაკმაყოფილება ტყის მასალით დეცავა ახტალის მუტყყვეს, რომელსაც დაუშვა მთელი რიგი დარდვევები, რაც ხელს უწყობდა ტყის მასივის განადგურებას. ამას შეუძლია დიდი ზიანი მიყენოს ბორჩლოს მახრის მოსახლეობას და ჩათაბის ქარხანას, თუ არ იქნა მიღებული აუცილებელი ზომები.

თავის მოხსენების დასასრულს ა. გვეგეკორი აღნიშნავს, რომ ლოქ-ლიალურის ქვღზე საქართველო-სომხეთის საზღვრის დადგენის შემთხვევაში, სომხეთი მაინც იღებს ტყის უდიდეს მასივს, რომელიც საუკუნეების მანძილზე ეკუთვნოდა საქართველოს და შედიოდა ბორჩლოს მახრის ფარგლებში, როგორც არის მაგალითად, გვრქერის ავარაკი - 25 112 დესეტინა, აძორის ავარაკი - 3 901 დესეტინა, ხარეგეტის ავარაკი - 6 317 დესეტინა, ჩანახლის ავარაკი - 1 073 დესეტინა, შინიხის ავარაკი - 1 317 დესეტინა და ალავერდის ავარაკი - 9 279 დესეტინა, სულ 61 328 დესეტინა.

ამის ვათავალისწინებით საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მოითხოვს - საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვრად ჩაითვალოს ლოქ-ლიალურის ქვღ.

არ შეიძლება ვანიცვებებისა და აღშფოთების გარეშე წაყიეთხოთ საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვრების მომწესრიგებელი ერთ-ერთი ექსპერტის დასკვნა, რომელიც მან ვაუგზავნა ამიერკავკასიის ცაკს 1926 წლის 8 ივნისს: მისი დადგენის დროს (ივლისისხვება 1921 წლის 6 ნოემბრის შთანხმება) ალექსანდრე მასნიკოვი და ბუდუ მჭვირი შესანიშნავად ორიენტირებდნენ რუკაზე, არ იყო ვათავალისწინებული არც ერთი სიმაღლე, მით უფრო, უნდა დაყვანათ თოვლიანი ლოქ-ლიალურის ქვეი. ცხადია, იხინი ამყარებდნენ ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ-სამეურნეო საზღვარს მახრებს შორის და ამიტომ 1923 წლის 30 აპრილის საზღვარი არ არის 1921 წლის 6 ნოემბრის საზღვრის "ცხოვრებისეული ვარიანტი", არამედ ეს არის საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მერ შუქთავაზებული სრულად დამოუკიდებელი საზღვარი, თუმცა სახელმწიფოებს რომ დევეგანით სტრატეგიული საზღვარი, რომელიც ვანიცვავდა სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფოებს, უკეთ დაიცავდა საზღვარს ომის შემთხვევაში, უკეთეს საზღვარს ვერ მოძებნიდნენ, მაგარამ ამ შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა, თუ საზღვრად ჩაითვებოდა არა ლოქ-ლიალურის ქვეი, არამედ ქვეი, რომელზეც ვაღის სახელმწიფო საზღვარი თურქეთსა და სსრ შორის და მისი დასასრული არ შეიძლება იყოს სადავურ სადახლოზე, არამედ უნდა ვაგებლებულიყო აირუშუ, ყარაღლისზე და ა.შ. სანამ

ქედი არ დამოაზრდებოდა. ა. შაისნიკოვი და ბ. მდივანი ძალიან კარგად ერკვეოდნენ ეკონომიკურ საკითხებში, რაც ამყარებდნენ მოცემულ სახედავარს. ის მხოლოდ ტექნიკურად უნდა გასწორებულიყო და უსარგებლო დავა დიდი ხანი შეწყდებოდა.

„მოთანი ლორეს გლეხებს არახოდეს ჰქონდათ ტყე ტყე მათთვის არის აუცილებელი სასიცოცხლო პირობა!“ ამ ექსპერტის ერთადერთი არგუმენტი, რომ ლორე-ბამაჰის მახრას არ ჰქონდა ტყე, ამ არგუმენტსვე ეყრდნობა სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისიის მოადგილის განცხადება, რომ, როგორც ცნობილია, სომხეთი დარბობა ტყით და მისი ტყის მასივი არ აღემატება 5-6 % , მაშინ როცა საქართველოს ტყის მასივი აღწევს 27 % ყოველზე ეს მათ უფლებას აძლევთ მიიტყონ საქართველოს კუთვნილი მიწები.

1928 წლის 10 ავგუსტოს ქ. თბილისში ამიერკავკასიის ცაკის მცირე პრეზიდიუმის 16 ივლისის დადგენილებით შეკრიბა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მახრების გამმჯნავი კომისია იაკუბოვის ხელმძღვანელობით. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოსა და სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისიები - ს. ჯუფელი და ა. ერზინკიანი.

სხდომამ კვლავ განიხილა ლორე-ბამაჰისა და ბორჩალოს მახრებს შორის არსებული სადავო საკითხები. აზრთა ვაცვლის შემდეგ აუცილებლად ჩაითვალა დავა გადაწყვეტილიყო შემდეგი მთავარი საფუძვლების გათვალისწინებით:

1. ყველა სოფელი, რომელიც ესაზღვრება სადავო ზოლს (ხაზი დადგენილი 1921 წლის 6 ნოემბრის აქტით), თავისი მიმდებარე მიწებით უნდა გადაეცეს ერთ ან მეორე მხარეს სანადგრო მიწებთან ერთად.
2. ყველა ის სოფელი, რომელიც გადაეცა ამა თუ იმ მხარეს, აგრეთვე ისინი, რომლებიც მდებარეობენ ორვე მხარის უდავო ტერიტორიაზე, უფლებამოსილი არიან ისარგებლონ ორივე მხარის ტყით, დადგენილი წესის მიხედვით.
3. ბორჩალოს მახრის შესაქონლებმა უნდა ისარგებლონ იმ საძოვრებით, რომლებიც მდებარეობენ ლეკ-ლიაღურის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე და რომლითაც ამჟამად სარგებლობენ.
4. ჩაიახის თუჯის სადნობი ქარხნის საკურორებისათვის უნდა განმტკიცდეს ტყის ავარაკი, რომელიც მას გამოუყო საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა 1923 წლის 20 მაისს. საქართველოს გამოყოფა სომხეთის მფლობელობაში შეიფი სადავო ტყის ტერიტორიიდან 4 ათასი დესეტინა ტყის ფართობი.
5. რაც შეეხება ტყის მასივს, რომელიც გადაეცემა ამა თუ იმ რესპუბლიკას მფლობელობაში, რჩება ორივე მხარის საზღვრებში, შესაბამისი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

ამის შემდეგ კომისიამ მოხაზა ბორჩალოს და ლორე-ბამაჰის მახრებს შორის ადმინისტრაციულ-სამეურნეო სახედავარი, რის საფუძველზე სოფლები სადავოდ, ვიულ-ბაგი, ხოჯონი, სოხელი, ოფრეთი და ჯანდარი სადავლო მიწებით რჩებოდა ბორჩალოს მახრის ფარგლებში, ხოლო სოფლები: ბარდაძორი, ჩანანხი და ახეკრპი მიწებითურთ გადაეცა ლორე-ბამაჰის მახრას.

1934 წლის 13 თებერვალს ამიერკავკასიის ცაკის მცირე პრეზიდიუმის სხდომაზე კვლავ განიხილეს ბორჩალოსა და ალავერდის რაიონებს შორის სახეღვრების მოწყობის საკითხი და დაადგინეს:

- ა. აუცილებელია სოფლების ბარდაძორის, ჩანანხისა და ახეკრპის საქართველოსთვის გადაცემა არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სახეღვრებში.
- ბ. შეიცვალოს რესპუბლიკური სახედავარი, ბორჩალოსა და ალავერდის რაიონებს შორის „ა“ პუნქტის გათვალისწინებით.
- გ. დასახელებული სოფლების მცხრებლებს ნება მიეცეთ ხანგრძლივადიანი უფლებით ისარგებლონ მიმდებარე ტყის მასივით, რომელიც დარჩა სომხეთის მფლობელობაში.
- დ. დავალოს ამიერკავკასიის სსფ რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება.⁹

1934 წლის 2 მარტს, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ მოახდინა ამ გადაწყვეტილების რატიფიკაცია და მიიღო გადაწყვეტილება ამ სოფლების - ხოჯონისა და ოფრეთის სოფელსაჰეპოს შორის განაწილების საკითხზე. ჩანანხი და ახეკრპი გადაეცა ოფრეთის სოფელსაჰეპოს, ხოლო სოფელი ბარდაძორი - ხოჯონის სოფელსაჰეპოს.¹⁰

ამ დადგენილების მიხედვით, ჰუჯაბის მონასტერი რჩება სომხეთის ფარგლებში. ბორჩალოს რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე ითხოვდა მის გადაცემას ბორჩალოს მახრისათვის. ეს მოთხოვნა განიხილა ამიერკავკასიის ცაკის მცირე პრეზიდიუმის სხდომამ 1934 წლის 16 სექტემბერს.

სხდომამ დაავალა სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს განეხილა ახეკრპის რაიონში მდებარე მონასტრის საქართველოსთვის გადაცემის შესაძლებლობის საკითხი.¹¹ სომხეთმა, რატიფუნდა, უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო.

1935 წლის 29 დეკემბერს ბორჩალოს მახრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ემინოვი კვლავაც აყენებს ამიერკავკასიის ცაკის წინაშე მონასტრის დაბრუნების საკითხს.

ჰუჯაბის მონასტერი მდებარეობდა სოფელ ახეკრპთან ერთი კილომეტრის დაშორებით. როგორც ბორჩალოს რაიონული აღმასკომის ოქმში ვკითხულობთ, სტეფანანის რაიადმასკომმა მონასტერი გადასცა სოფელ პრივილიზიის და გააუქმა მონასტერი, იყენებდა მას, როგორც საღორეს, მაგრამ რადგან მონასტერი დაშორებული იყო რაიონიდან (20 კილომეტრი) და იქ არ იყო სახანაო მიწები, საღორის მოწყობას აუცილებლად მოჰყვებოდა ტყის გაჩენა და მიწების მიტაცება ახეკრპის კოლმეურნეობის ხარჯზე, ამიტომ ბორჩალოს აღმასრულებელ კომიტეტს მიზანშეწონილად მიანდა მონასტრის რაიონისთვის გადაცემა.¹²

1936 წლის 14 მარტს სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომამ მიიღო

ქუების მონასტრის ბორჩალოს რაიონისათვის გადაცემის მიზანშეუწონლობის დადგენილება, რადგან იგი გადაცემულია იყო სოფ. პრივილიზიისათვის და იქვე ორგანიზებული იყო მდორეობისა და მუფუტკარეობის ფერმები.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1936 წლის 25 მარტის სხდომაზე მიიღო დადგენილება "სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1936 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე ასკრების კომპლექსებისათვის მონასტრის გადაცემის საკითხი ჩაითვალოს ამოწურულად".¹³

1938 წლის 5 მარტს გაიმართა სარესპუბლიკათაშორისო თათბირი სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლების მონაწილეობით, რუკაზე რესპუბლიკებს შორის საზღვრების გრაფიკული მონახაზების დასახულებლად.

თათბირმა მიიღო შედეგი გადაწყვეტილება:

1. სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სომხეთთან და სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრის სოფელ სადაზლოსთან (ლუქსემბურგის რაიონი) მონახაზი მთლიანად ემთხვევა საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოდგენილ მონაცემებს.

2. საქართველოსა და სომხეთის საზღვარი უელტეხილ "შგლის კარიბჭისა" და სოფელ ხოხმელს შორის საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ სწორად არის წარმოდგენილი, ხოლო სომხეთის მიერ არ არის გათვალისწინებული სამი სოფელი – ახკერაბი, ჩანახნი, პარდაძორი (ალავერდის რ-ნი, სომხეთის სსრ და ბორჩალოს რ-ნი, საქართველოს სსრ), რომელიც საქართველოს გადაეცა 1934 წელს. საქართველოს ცაკის მიერ ამ მონაკვეთზე საზღვრები გრაფიკულად არ იყო ზუსტად გადატანილი...¹⁴

1938 წლის 23 მარტს, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა, განიხილა სარესპუბლიკათაშორისო თათბირის შედეგები და აღინიშნა, "რომ 1: 400 000 და 2. 500 000 მასშტაბის რუკებზე ამიერკავკასიის რესპუბლიკების საზღვრების გრაფიკული აღნიშვნის საკითხის გამო საქართველოს სსრ შინაგარეშო საზღვრებისა და კარტოგრაფიის სარესპუბლიკათაშორისო განყოფილებასთან აქვს 5-7 მარტს შემდგარი თათბირის მიხედვით მიღწეულია შეთანხმება რესპუბლიკის საზღვრების გაფორმებაში, სომხეთის სსრ მხრივ სოფლების – ატყრასი, ჩანახნისა და პარდაძორის ფარგლებში. იმასთან დაკავშირებით, რომ ეს სოფლები სომხეთის სსრ რესპუბლიკიდან 1934 წელს გადაეცა საქართველოს რესპუბლიკას და რომ დანარჩენ საზღვრებში სომხეთის სსრ რესპუბლიკის მხრიდან აღმოფხვრილი და გამოსწორებულია საზღვრების აღნიშვნის ყველა უმნიშვნელო არასიზუსტური, რომლებიც მოხდა რუკების ანბეჭდების დეფორმაციით და მათზე ტოპოგრაფიული მასალებიდან მონაცემების არაზუსტი აღნიშვნის შედეგად. შემოადინებულია გამო საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცდეს აღმინიშტრაციული საზღვარი სომხეთის რესპუბლიკის მხრიდან და თანდართული თათბირის მონაწილეობით მიღებული 1 : 500 000 მასშტაბის რუკის საზღვრების თანხმად, აღნიშვნის დროს დაშვებული გრაფიკული (ტექნიკური) არასიზუსტის აღმოფხვრის გათვალისწინებით.¹⁵

ასე დასრულდა საქართველო-სომხეთის შორის წლების მანძილზე მიმდინარე ბრძოლა. სომხეთს საქართველომ გადასცა თავისი მიწები – 3 812 კვადრატული კილომეტრი ფართობი. წლების მანძილზე მიმდინარე ბრძოლების შედეგად მან თავის სასარგებლოდ საზღვრების მხოლოდ ოდნავ შესწორებას მიაღწია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ლ. თოძიძე, 27 თებერვლის შემდეგ, მაცნე, საქართველოს ეთნოგრაფიის, ზელოვნებისა და ისტორიის სერია, 1990 №1, გვ. 23.
2. ლ. თოძიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 23.
3. იქვე გვ. 25.
4. ზუციას, ფონ. 607, "ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი", აღწ. 1, ფურ. 1.
5. ზუციას, ფონ. 607, აღწ. 1, საქ. 1135, გვ. 7.
6. ზუციას, ფონ. 285, საქართველოს სსრ შინაგარე საქმეთა სახალხო კომისარიატი, აღწ. 1, საქ. 819, ფურ. 4.
7. ზუციას, ფონ. 607, აღწ. 1, საქ. 551, ფურ. 91-102.
8. ზუციას, ფონ. 607, აღწ. 1, საქ. 551, ფურ. 94.
9. ზუციას, ფონ. 607, აღწ. 1, საქ. 3341, ფურ. 30.
10. ზუციას, ფონ. 607, აღწ. 1, საქ. 3341, ფურ. 31.
11. ზუციას, ფონ. 607, აღწ. 1, საქ. 3341, ფურ. 61.
12. იქვე გვ. 83.
13. იქვე გვ. 86.
14. ზუციას, "ამიერკავკასიის ტერიტორიული დაყოფის ინსპექცია", აღწ. 4, საქ. 4, ფურ. 1-3.
15. ზუციას, ფონ. 284, "საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი", აღწ. 1, საქ. 3226, ფურ. 394.



თვალსაზრისი არქივთმცოდნე და მეცნიერი

შალვა ჩხეტიას დაბადების 100 წლისთავი

ჟალიძის დანელია.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

გამორჩეული მეცნიერს, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საარქივო საქმის ერთ-ერთ ფუძემდებელს შალვა ჩხეტიას დაბადების 100 წელი შეუსრულდებოდა. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში. თითქმის 55 წელი უმსახურა ჩვენს მეცნიერებას და ამ ხნის მანძილზე შექმნა 100-ზე მეტი ნაშრომი, რომელთა ნაწილი გამოხულია ცალკე წიგნად, ხოლო ნაწილი დაბეჭდილია ქართულ, რუსულ, უკრაინულ და სომხურ ენებზე სხვადასხვა პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში.

პროფესორი შ. ჩხეტია მრავალი წლის მანძილზე უშუალოდ მონაწილეობდა იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომელთა მიზანი იყო საქართველოს ისტორიის დოკუმენტური წყაროების შერჩევა, დაცვა-შენახვა და გამოყენება. იგი აქტიურად მონაწილეობდა საარქივო საქმის რეორგანიზაციაში, საკანონმდებლო პროექტების, წიგნებისა და ინსტრუქციების შემუშავებაში, საარქივო დაწესებულებათა ქსელის შექმნა-გაფართოებაში, არქივებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებაში.²

შალვა ყარაშინის ძე ჩხეტია დაიბადა 1899 წლის 10 აგვისტოს ზუგდიდის მაზრის სოფელ კორცხელში, ხელმოკლე ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო კორცხელის ერთკლასიან, დარჩენილს ორკლასიან და ზუგდიდის ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებლებში. შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც თავი გამოიჩინა ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით. გიმნაზიის წარჩინებით ამთავრების შემდეგ, 1918 წელს ჩაირიცხა თბილისის ახლადგახსნილი უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების (ისტორია-ფილოლოგია) ფაკულტეტზე.

სამეცნიერო მუშაობა შ. ჩხეტიამ დაიწყო ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში. პროფესორ ივანე ჯავახიშვილის სემინარებში, შემდგომ თბილისის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში, ძირითადად საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში (1924 წლიდან), სადაც მუშაობდა უფროს მეცნიერ თანამშრომლად, სწავლობდა საქართველოს და რუსეთის ისტორიის ამსახველ დოკუმენტებს, ეყუდებოდა დიპლომატიკას, პალეოგრაფიას, არქეოგრაფიას.³

1923 წელს შ. ჩხეტიამ დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ისტორიკოსის სპეციალობით. მის სადიპლომო ნაშრომს "პოლიტიკური ვითარება საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და ერეკლე II" მაღალი შეფასება მიეცა მისმა ხელმძღვანელმა, პროფესორმა ივ. ჯავახიშვილმა.⁴

ამ დროიდან მოყოლებული საციცხლის უკანასკნელ დღემდე პროფესორი შ. ჩხეტია ერთვოდა და დაუღალავად უმსახურებდა ქართველი ხალხის წარსულის მეცნიერულად შესწავლის საქმეს, როგორც ისტორიკოსი, მკვლევარი, პედაგოგი, არქეოგრაფი. მისი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიურ-აღმზრდელი მუშაობის სარბიელი სხვადასხვა დროს იყო საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტი, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო.

1934 წელს განათლების სახალხო კომისარიატის საკვალიფიკაციო კომისიამ შ. ჩხეტიას დაუმტკიცა დოცენტის (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) წოდება, ხოლო 1940 წელს ქ. მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო შრომის ხარისხის მოსაპოვებლად. მომდევნო წელს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაუმტკიცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.⁶

55 წლის განმავლობაში იმუშავა შ. ჩხეტიამ საქართველოს საარქივო დაწესებულებებში. 1924-1936 წლებში იგი იყო საქართველოს საარქივო სამმართველოს ინსპექტორი, ხაინსპექტორი, სარეგანიზაციო, სამეცნიერო-მეთოდური, არქივმეცნიერების განყოფილების გამგე, ხოლო 1944-1978 წლებში საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-საგამომცემლო განყოფილების უფროსი, პერიოდული ორგანოების "საისტორიო მოამბისა" და "სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენის" თანარედაქტორი, სარედაქციო კოლეგიისა და სამეცნიერო საბჭოს წევრი.⁷

განსაკუთრებით გამორჩეულია მეცნიერის ღვაწლი წყაროთმცოდნეობის, არქეოგრაფიის, ქართული საისტორიო წყაროების კრიტიკულად შესწავლასა და მეცნიერულ პუბლიკაციაში. როგორც მკვლევარს, ახასიათებდა წყაროების ფაქტების ღრმა ანალიზი, მეცნიერული კრიოლისინისებრება და ობიექტური დასკვნები. მისი გამოკვლევები შესრულებულია მაღალ დონეზე და მნიშვნელოვანი წვლილია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

საქართველოს ისტორიის დოკუმენტური პუბლიკაცია - ეს უაღრესად შრომატევადი და დიდად საჭირო

საქმანა მ. ჩხეტიამ დაიწყო ვერ კიდევ თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისში, გამოაქვეყნა შრავალი პრელსარისზოვანი ისტორიული საბუთი სათანადო კომენტარებითა და სამეცნიერო აპარატით. 1925 წელს გამოსცა შუასაუკუნეთა ხანის მნიშვნელოვანი ძეგლი "წილკნელის სარგოს ვარიეების წიგნი 1669 წლისა", 1927 წელს "შეის რუსეთის დიდმხრობილური პოლიტიკის ნიმუში განათლების დარგში", ხოლო 1930 წელს პროფესორ მ. პოლივერტოვან ერიად - დოკუმენტების კრებული "1917 წლის რუსეთის რევოლუცია". 1936 წელს მ. ჩხეტისა რეაქტობითა და მონაწილეობით გამოვიდა დოკუმენტური კრებული "მასალები სათამაშნი მრეწველობის ისტორიისათვის საქართველოში", ხოლო 1950 წლიდან მისივე რედაქტორობითა და მონაწილეობით დაიწყო გამოცემა სერიალური კრებულის "დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის" (გამოვიდა ორი ტომი) და მრავალი სხვა.⁸

პროფესორ მ. ჩხეტისა ნაშრომები ეძღვნება საქართველოს ისტორიის ისეთ აქტუალურ პრობლემებს, როგორც არის გვიანფიდალური საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, თბილისის ისტორია, კლასიზმი ბრძოლა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია, კაპიტალიზმის გენეზისი, საქართველოში ბურჟუაზიული რევოლუციის წინამძღვრები, განსაკუთრებით საგლეხო რევოლუციის მომზადება, ბრძოლა მის განსახორციელებლად, საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან და ა.შ.

საქართველოში ბურჟუაზიული კულტურის გენეზისის შესწავლა იყო ამ ფართო საკვლევ-საბუთო მუშაობის ნაწილი, რომელიც განახორციელა მ. ჩხეტამ, საზოგადოდ, კაპიტალიზმურ ურთიერთობათა ჩასახვის, აღმოცენება-განვითარებისა და დამკვიდრების შესასწავლად. საერთოდ, ძველ ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა რღვევისა და მის ნაცვლად ახალ, ბურჟუაზიულ-კაპიტალიზმურ ურთიერთობათა გაჩენის ამ მტვლ მნიშვნელოვან, გარდამავალ პერიოდს მეცნიერმა დაუთმო ძალიანად ყურადღება თავის საბუთით მოღვაწეობაში და მრავალი საგლისხმოდ გამოკვლევა მოუძღვნა. ამ ნაშრომებში, რომელთა შორის საჭიროა გამოიყოს "გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1863 წელს", "ბრძოლა საგლეხო რევოლუციის ირგვლივ აღმოსავლეთ საქართველოში", "საგლეხო რევოლუციის ისტორიისათვის საქართველოში", "დიმიტრი ყიფიანის და საგლეხო რევოლუცია", "გლეხთა მოძრაობა გურიაში 1862 წელს", "საქართველო ბურჟუაზიული რევოლუციის ხანაში", ავტორი ეხება XIX საუკუნის 50-70-ანი წლების საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ბურჟუაზიული რევოლუციის მომზადება-განხორციელებას და სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. ავტორი ფართოდ იყენებს მდიდარ საარქივო მასალას, რაც შესაძლებლობას აძლევს წარმატებით გადაჭრას მის წინაშე მდგარი ამოცანა - ყოველმხრივ გააშუქოს საკითხები, წამოაყენოს საყურადღებო დებულებები, გააკეთოს სწორი დასკვნები.⁹

თავის ნაშრომებში მეცნიერმა დიდი ყურადღება დაუთმო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესწავლას. თვის გაშუქებისას მკვლევარი ყოველმხრივ განიხილავს საქართველოს რუსეთთან შერტობის პოლიტიკურ აქტს და ამ ორ ქვეყანას შორის შუამდევ ნამოყვალბული ურთიერთობის ისტორიას, ობიექტურად აფასებს მოვლენებს, განსაკუთრებით ამხვილვს ყურადღებას მუფის რუსეთის კოლინიური და რუსიფიკატორული პოლიტიკის, ხალხის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესებისა და უსუფლებო მდგომარეობის, ამ პოლიტიკის წინააღმდეგ ქართველი ხალხის შუუპიარნი ბრძოლის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების წყენებაზე.

ამ ნაშრომებიდან აღსანიშნავია "აღმინისტრაციული რევოლუცია საქართველოში 1840 წელს" (1945), "რუსული მმართველობის ისტესტ საქართველოში (1801-1864)" ორ ნაწილიად (1940-1944), "საქართველოს რუსეთთან შერტობის ისტორიული წინამძღვრები" (1955) და სხვები.¹⁰

მეცნიერმა დიდადლი საარქივო მასალების გამოყენებით ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა XIX საუკუნის თბილისის ისტორია, მისი ტერიტორია, მოსახლეობა, საფარბიყო-საქარხნო და ხელოსნური წარმოება, მეურნეობა, ეკურობა, კეთილმოწყობა, ამქრების მდგომარეობა, აღმინისტრაციული, სახელმწიფო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, ძველი ყოფა, მოსახლეობის ადით-წესები, ხე-ჩეუელებანი და ა.შ. თავის ფუნდამენტურ გამოკვლევებში "თბილისის ისტორიისათვის" (1937), "თბილისი XIX საუკუნეში" (რუსულ ენაზე, 1942), "თბილისი თავისი ისტორიის გარეგანგებ" ავტორმა დაბევეითებით დაასაბუთა თავისი მოსაზრება, რომ თბილისი, მისი ეკონომიკისა და კულტურის სფეროში ვერ კიდევ შემორჩენილი ფეოდალური გაღმონაშობის მოუხდავად, გასული საუკუნის 50-60-იანი წლებიდან თანდათანობით იქცეოდა ბურჟუაზიულ ქალაქად და, რაც მთავარია, ეს პროცესი განუხრელად ვითარდებოდა მომდევნო წლებშიც.¹¹

ამ ბუბლიკაციებმა გაამდიდრეს ქართული საისტორიო მეცნიერება. ისინი ფართოდ შევიდა სამეცნიერო ბრუნვაში და ღიდ დახმარებას უწყვენ მკვლევარებს.

პროფესორ მ. ჩხეტისა ნაყოფიერი საქმიანობა ისტორიული წყაროების ბუბლიკაციის დარგში უშუალოდ დაკავშირებულია მის ხანგრძლივ პრაქტიკულ მოღვაწეობასთან სახელმწიფო არქივებში. იგი საარქივო დარგის ერთ-ერთ თვალსაჩინო ორგანიზატორად და სპეციალისტად ითვლებოდა არა მარტო საქართველოში, არამედ სსრ კავშირშიც.¹²

როგორც თვითონ მ. ჩხეტია აღნიშნავს, დიდი ინტერესი საარქივო საქმისადმი მას ალუბრა ივანე ჯავახიშვილის ლექციებმა, სემინარებმა და რჩევა-ღარციებებმა.¹³

სწორედ ამიტომ დაიწყო მუშაობა ცენტრარქივებში, რომ ვაღრმავებინა თავისი ცოდნა ქართულ წყაროთმცოდნეობაში, პლეოგრაფიასა და დიპლომატიკაში მას შუამდევ, რაც ეს დისციპლინები შეისწავლა უნივერსიტეტში ივ. ჯავახიშვილის ლექციების მოსმენისა და მისივე სემინარული მუვადინების ღროს.¹⁴

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდი დევალი, რომელიც მეცნიერმა გასწია საარქივო დარგის განვითარებაში, ადვილებზე საარქივო ორგანიზების ქსელის შექმნაში, არქივთმცოდნეობისა და არქივრეალების პრონციკების შემუშავებაში, საისტორიო-საარქივო კურსების, წრეების და სხვათა მოწყობასა და ორგანიზაციაში, რუსეთში გადატანილი ქართული

დოკუმენტების სამშობლოში დაბრუნებაში, საარქივო მასალების მოწესრიგება-სისტემატიზაციაში, აღრიცხვაში, საიმედო დაცვაში და გამოყენებაში.¹⁵

მეცნიერის თაოსნობითა და ძალისხმევით საარქივო მშენებლობის პირველ პერიოდში დაღუპვას გადარა არაერთი საარქივო ფონდი და კოლექცია. კერძოდ, მისი თაოსნობით 1925 წელს მოსკოვისა და ლენინგრადის სიბეჭდოსაკაცებთან საქართველოში ჩამოიტანეს მრავალი ძველი ქართული საბუთი და ხელნაწერი. მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა შ. ჩხეტიას ამ ძეგლად რთული და პასუხსაგები დაავლების შესასრულებლად, მაგრამ მისმა ენერგიამ და ძალისხმევამ, თავდადება და სიყვარულმა ქართველი ხალხის ისტორიული წარსულისადმი თავისი გაიტანა: შუბლ-დაურწმუნების ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, აკადემიკოსი ნიკო მარი და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი, აკადემიკოსი სერგეი ოლდენბურგი ქართულ სიბეჭდეთა სამშობლოში დაბრუნების აუცილებლობაში. კერძოდ, შ. ჩხეტიამ მათთან საუბრისას ყურადღება გაამახვილა ორ არსებით ვარემოებაზე: პირველი – ქართული სიბეჭდური საქართველოდან წაღებულია და რუსეთის საგანძურებში შესულია არა იმ ზეობა და წესებით, რომლებიც მიღებულია ცივილიზებულ ქვეყნებში, მეორე მოხელეები, რომლებიც ცარიზმის დროს საქართველოში მასხრობდნენ ან დროებით აქ იმყოფებოდნენ, საქართველოს თვლიდნენ რუსეთის კოლონიად, ბოროტად იყენებდნენ თავიანთ უფლებებს. იმედგანე ისტორიული მნიშვნელობის ნივთებს, მათ შორის ძველ ხელნაწერებსა და საბუთებს, ვამოქონდით ასინდ ეკლესია-მონასტრებიდან თუ კერძო ოჯახებიდან, ყოველგვარი წესის დაუცველად, მუქთად ან ჩალის ფასად ავზაინდნენ მატროპოლიაში ანგარებისა თუ სახელის მოხვეჭის მიზნით. ფაქტობრივად ეს ნივთები საქართველოდან წაღებულია ძალმომრეების გზით.

მეორე ვარემოება ის არის, რომ ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთის იმპერიაში შემავალი და ცარიზმის მიერ დანაგრეული ხალხები, მათ შორის ქართველი ერიც, გაათავისუფლა, აღუთქვა ყოველგვარი დახმარება და ხელის შეწყობის ეროვნული კულტურის აღორძინება-განვითარებაში. ქართველებსაც სურთ ისარგებლონ ოქტომბრის რევოლუციის მონაბოგრობით, – განუცხადა ახალგაზრდა მეცნიერმა შ. ჩხეტიამ მსოფლიო ავტორიტეტის ქართველებს, აკადემიკოსებს ნ. მარსა და ს. ოლდენბურგს.¹⁶

ეტყობოდა ეს მოსაზრებები ნ. მარსა ანგარიშგასაწევად მიიჩნია და ქართველ არქივისტს კითხვა: აკაკი შინისა და კორნელი კეკელიძის პირი ვიცი, იგანე ჯავახიშვილი რა აზრის არის ამ საკითხზე? შ. ჩხეტიამ მოასწენა, რომ იგანე ჯავახიშვილი დიდად არის დაინტერესებული მეცნიერული მუშაობის უკეთ დაწყებითა და წარმართებით, რომ იგანე მასხალა, რომელიც კი საქართველოს ისტორიას შეეხება, უფრო ადეკვატად ხელმისაწვდომი იყოს და ამ მიზნით თბილისში ინახებოდეს.¹⁷

ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან და საახლო მუზეუმებიდან შ. ჩხეტიამ წამოიღო ქართული ხელნაწერები, მათ შორის ვახუშტი ბაგრატიონის შრომები-საქართველოს ისტორია და გეოგრაფია რუკებით (ატლასითურთ).¹⁸

ლენინგრადის სიბეჭდოსაკაცებიდან მიღებული ქართული ხელნაწერებით შ. ჩხეტიამ ჩაივდა მოსკოვს, შეურთა მათ იქ ქართველი ხელნაწერები და გამოქვეყნა თბილისში.

ქართული საზოგადოებრიობა კაცყოფილებით შეხვდა ეროვნული საგანძურის სამშობლოში დაბრუნებას. “მამათყვეცი იგანე ჯავახიშვილის ჩამოიტანილი მასალების შესახებ, – იგონებდა შ. ჩხეტიამ. – მან მოისურვა პირადად ენახოს მასალები და მეორე დღეს მობრძანდა ცენტრარქივში. იგი, ჯავახიშვილმა გულდასმით გადაათვალიერა ყველა ხელნაწერი და საბუთი, განსაკუთრებით შეჩერდა ვახუშტის ავტოგრაფზე და თქვა: “გაოცრებას იწვევს არა მარტო ის, რომ ვახუშტი იმ დროისათვის გასაოცარ ცოდნას იჩენდა საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში, არამედ ისიც, რომ ის ავტოდობის წლებში, ფრიად არახელსაყრელ პირობებში, პოულობდა დროსა და ენერჯიას თავდადებული შრომისათვის, რათა პირველი წყაროები შეეკრიბა და მათ საფუძველზე მოეცა ჩვენი ქვეყნის წარსულის შესახებ მეცნიერულ აღწერილობა. არსად და არავის მანამდე არ მოუცია ჩვენი ქვეყნის ბუნების, მოსახლეობისა და ეკონომიური მდგომარეობის ისეთი სიერცე-სიღრმის ვარაუდი და დახასიათება, როგორც ეს არის ვახუშტის შრომებში. დაუკვირდით, როგორ წერილი და იმავე დროს განკველილი ხელისათვის იტანდა არის ეს შრომები დაწერილი. არც ერთი გამოხატული სიტყვა (გამონაკლისის გარდა) თქვენ იქ ვერ შეხვდებით. რაოდენი ნებისყოფა და მოთმინება იყო საკირო ამისათვის. სრულიად აუცილებელია უმოკლეს დროში განხორციელდეს ვახუშტის ყველა შრომის მთლიანი მეცნიერული გამოცემა.”¹⁸

ამის იგი, ჯავახიშვილი, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო. ეს დიდი, საშვილიშვილო საქმე გაკეთა მისმა მოწაფემ, აკადემიკოსმა სავუხიშვილმა, რომელმაც 1973 წელს გამოსცა ვახუშტის ყველა შრომა ვრცელი საბეჭდო აპარატით (წინასიტყვა, შესავალი, ტექსტოლოგიური გამოკლევა, ლექსიკონი და საძიებლები).¹⁹

თვალსაჩინო ამავე დანსლი შ. ჩხეტიამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განხეული სივლე-გუგერებისა და სხვა ძვირფასი მასალების საბოლოო განადგურებისაგან დაცვას, შეკრებს, სისტემატიზაციას და არქივოსაკაცებში მოათავსებას. მან სხვა სახელოვან მამულიშვილებთან ერთად საქართველოს ბევრი კუთხე (იმერეთი, გურია, სამეგრელო, აჭარა და ა.შ.) შემოიარა ისტორიული დოკუმენტების – ე.წ. “საარქივო ნაშთების” შესავაროებლად და სახელმწიფო არქივებში ჩასაბარებლად.

შ. ჩხეტიამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია აჭარაში საარქივო საქმის განვითარებისა და აჭარის განათლების სახალხო კომისარიატთან სიბეჭდეთა დაცვის სექციის შესაქმნელად. ამ მიზნით იგი 1924 წლის დეკემბერში მივიღებულ იყო აჭარაში. 1924 წლის 19 დეკემბერს შ. ჩხეტიამ მოთმინად წერდა ცენტრარქივის გამგეს სარგის კაკაბაძეს აჭარაში არქივების საუკლავო მდგომარეობის შესახებ: “არქივების დოკუმენტები სხვადასხვა დაწესებულების მიერ, განათლების კომისარიატის ნებადართოვლად იყიდებოდა და იყიებდა ახლაც, როგორც გასახვევი მასალა ფულით. ასე, მაგალითად, სპარსეთში ახლობელ წარსულში გაუყვიდიათ რამდენიმე ათასი ფული არქივი. ხშირად შეხვდებოდა ადამიანი ძველ საქმებს, რომლებსაც პარკებად ხმარობენ გაჭრები.”²⁰

აფილტვებზე ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა შ. ჩხეტიამ არქივების მფლობარობა, განახორციელა პრაქტიკული ღონისძიებები მათ წესრიგში მოსაყვანად, სათანადო კადრების შესარჩევად, მონაწილეობა მიიღო აჭარის განაოლების სახლხო კომისარიატის კოლეჯის მუშაობაში, რომლის გადაწყვეტილებით კომისარიატთან პრაქტიკულად შეიქმნა სიხლეუა დაცვის სექცია, დაინიშნა არქივის აფილტვი.²¹

შ. ჩხეტია აქტიურად მონაწილეობდა მოსკოვში, ხარკოვში, ბაქოში, თბილისსა და სხვა ქალაქებში გამართულ ისტორიკოს-არქეოსტია ცრილობებში, თათბირებსა და კონფერენციების მუშაობაში. თავის მოხსენებსა და გამოხვლებში პართული ისტორიკოს-არქეოსტია შეეცნო რუსულენოვანი ისტორიული ხილდმით იმპეტრუობით განიხილავდა საარქივო საქმის აქტუალურ თორულ და პრაქტიკულ საკითხებს.

1925 წელს საქართველის ცენტრარქივმა შ. ჩხეტია მიაკვლინა მოსკოვში რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ისტორიკოს-არქეოსტია პირველ ცრილობაზე, სადაც გამოვიდა მოხსენებით თმაზე "სარქივო საქმე საქართველოში"; დაესწრო მოკავშირე რესპუბლიკათა არქივების წარმომადგენელთა თათბირს (1925 წლის 14-20 მარტი), როგორც საქართველოს დელეგატი, მონაწილეობა მიიღო საკავშირო საარქივო ორგანოს შექმნის პროცესის განხილვაში.²²

1926 წელს შ. ჩხეტია მიწვეული იყო ხარკოვში უკრაინის ისტორიკოს-არქეოსტია პირველ ცრილობაზე, წაითხა მოხსენება - "სარქივო მშენებლობა საქართველოში". 1929 წელს დაესწრო რუსეთის ფედერაციის ისტორიკოს-არქეოსტია მორე ცრილობას მოსკოვში და ამირკაკასის მოკავშირე რესპუბლიკის საარქივო სამმართველოს წარმომადგენელთა თათბირს ბაქოში. 1932 წელს მონაწილეობდა ქ. მოსკოვში გამართულ ვარნიტოს (სსრ კავშირის სოციალისტური მშენებლობისათვის ხელშესაწობად შექმნილი მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაობა საკავშირო ასოციაცია) II ცრილობის მუშაობაში.

1969 წელს თბილისში, ხელნაწერთა ინსტიტუტის ინიციატებით ჩატარდა საკავშირო არქეოგრაფიული კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, სომხეთისა და აზრბაიჯანის არქეოგრაფები. კონფერენციასზე პროფ. შ. ჩხეტიამ წარადგინა მოხსენება-საქართველოში არქეოგრაფიის განვითარების მართად ეტაპებზე.²³

შ. ჩხეტიას არის არქეომცოდნეობის დარგში ქართულ ენაზე გამოქვეყნებული პირველი შრომების ავტორი. მის კლამს ეკუთვნის მრავალი საყურადღებო გამოკვლევა ქართულ, რუსულ, უკრაინულ და სომხურ ენებზე, მიღწეული საარქივო საქმის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემებისამებ.

ჯერ კიდევ 1926 წელს ჟურნალ "საქართველოს არქივში" გამოქვეყნდა მისი სტატია "სარქივო მშენებლობის მართად საკითხები უკრაინაში", ხოლო მომდევნო წელს კი თორიული ხასიათის ნაშრომი "არქეომცოდნეობის შესავალი", რომელშიც გაშუქებულია საარქივო საქმის თეორიისა და პრაქტიკის შემდეგი აქტუალური საკითხები: 1. არქივის განვითარების ეტაპები. 2. ცნება არქივი და მისი ევოლუცია. 3. არქეომცოდნეობა და მისი განვითარება. 4. საარქივო სწავლა-განვითარება. 5. საარქივო ტერმინოლოგია. 6. საარქივო ლიტერატურა და კანონმდებლობა.

1928 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა შ. ჩხეტიას ნარკვევი "არქივები და საარქივო საქმე ძველ აღმოსავლეთში, ძველ კლასიკურ ქვეყნებში, მუსლიმანურ აღმოსავლეთსა და დასავლეთ ევროპაში". ამ ნაშრომების სახით საქართველოს საარქივო დაწესებულებათა კარგება მიიღეს მშობლიურ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოები, რითაც დადურ შეწყწო ხელი შესაგრობო კადრების მომზადებასა და ეკავილიკაციის ამაღლებას. მართლაც, ორივე ეს წიგნი დღესაც გამოიყენება სახელმძღვანელოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე და საარქივო კურსებზე საარქივო საქმის თეორიისა და პრაქტიკის შესასწავლად.²⁴

მშობლიურ ენაზე საარქივო ლიტერატურის შექმნის საქმე, რომელიც ჩვენში ერთ-ერთმა პირველმა შ. ჩხეტიამ ნაწიწყო, შემდეგში განაგრძო ჟურნალმა "სარქივო საქმე". მასში მეცნიერმა სხვადასხვა დროს გამოქვეყნა ნაშრომები: "საისტორიო მასალების აღწერილობათა სისტემები", "საქართველოს დოკუმენტური სიმდიდრის გამოყენება სოციალისტურ მშენებლობაში", "თანამდროვე არქეომცოდნეობის მართადი პრინციპები და მეთოდები", "სარქივო მშენებლობა და საარქივო ფორმტი საქართველოში", "საქართველოს საარქივო კოდექსი" და ა.შ.²⁵

1958-1989 წლებში გამოდიოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს (ახლა საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი) პერიოდული ორგანო - "საქეონირო-საინფორმაციო ბიულეტენი", რომელშიც შუქვებულია საარქივო საქმის თეორიისა და მეთოდის საკითხები. ამ ორგანოში გამოქვეყნდა შ. ჩხეტიას მიედი რიგი ნაშრომები, მათ შორის "არქეომცოდნეობა, მისი საგანი, ამოცანები და მიზნები" (რუსულ ენაზე) და "დოკუმენტაცია და დოკუმენტთა ბრუნვა" (რუსულ ენაზე). ესენი ავტორის მიერ გათვალისწინებული სახელმძღვანელოს "საბჭოთა არქეომცოდნეობის საფუძვლების" თავებია, რომელიც ნაწილი დაიბეჭდა მოსკოვში სამეცნიერო ჟურნალში "უპრობის არხივივედენია"²⁶ და სომხეთის მთავარი საარქივო სამმართველოს "ბიულეტენში". ამ ნაშრომმა სსრ კავშირის ცნობილი ისტორიკოსებისა და არქეოსტების დიდი ინტერესი გამოიწვია.

1959 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მთავარმა საარქივო სამმართველომ მოსკოვში მაწყო ამ ნაშრომის საჯარო განხილვა, რომელშიც მონაწილეობდნენ მთავარი საარქივო სამმართველოსა და მოკავშირე რესპუბლიკების საარქივო დარგის თვალსაწირო სპეციალისტები, მოსკოვის საისტორიო-სარქივო სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები. ცნობილი ისტორიკოსებმა და არქეოსტებმა ი. ნაზიმმა, ე. ბუკატინმა, ე. ევლოხოვეცკამ, ა. კუზნეცოვამ და ვცაპლინმა მართადად დადებითი შეფასება მისცეს ქართველი მეცნიერის ნაშრომს, აღნიშნეს, რომ იგი სარგებლობას მოუტანს საარქივო დარგის სპეციალისტებს, სტუდენტებს. ამასთან ავტორს მოითითეს ხარგებებზე, უხუტობაზე და ა.შ. მათი აზრით, ნაშრომს სასტირობოდა სარედაქციო დახვეწა და ზოგიერთი კორექტივის შეტანა.²⁷

თუ რამდენად დიდად ავტორიტეტული იყო პროფესორ შ. ჩხეტიას სახელი ყოფილი სსრ კავშირის მეცნიერული საზოგადოებრიობის წრეებში, ჩანს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს სამეცნიერო ფუნქციონარულმა "კოპროსი არხივოვლებმა" (1961 წლის № 4) დაბეჭდილი სარედაქციო წერილიდან, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: "თავის ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე პროფესორმა შ. ჩხეტამ გაამდიდრა საისტორიო მეცნიერება და არქეოთმოცოდნობა ძვირფასი ნაშრომებით, რომლებსაც მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვთ. მისი თეორიული შრომები არქეოთმოცოდნობის, კერძოდ, არქეოგრაფიის დარგში, ქართულ ენაზე გამოქვეყნებული პირველი გამოკვლევებია".²⁸

შ. ჩხეტამ დიდი როლი შეასრულა საარქივო სამსახურის ჩაზით სამეცნიერო-საენობარო ხასიათის მეგზურების მოშაადებასა და გამოცემაში.

1947 წელს მისი მონაწილეობით (ა. იოვიტსთან ერთად) გამოიცა "საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მეგზური" რუსულ ენაზე, რომელშიც შეტანილია საისტორიო არქივში დაცული 704 ფონდი და 7 კოლექცია – ქართული, თურული, სპარსული, თურქული და სომხური საბუთები. მეგზურში მოცემულია არქივის ისტორია, მასში დაცული თითოეული ფონდისა და კოლექციის დახასიათება, გახსნილია მათი შინაარსი და ნაწევრები ფონდების მოცულობა. მეგზურის მეორე შეცვლები და დაზუსტებული გამოცემა დაისტამბა 1976 წელს. მეგზურის მოშაადებაში შ. ჩხეტიასთან ერთად მონაწილეობდნენ დ. მანგალაძე, ს. ლევიშვილი და სხვები.

1948 წელს შ. ჩხეტიას მონაწილეობით (ს. მაღალკელიძისთან ერთად) გამოიცა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის (დღეს საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი) ასეთივე მეგზური, რომელშიც შეტანილია 456 ფონდის დახასიათება. მასაც დართული აქვს სათანადო აპარატი – შესავალი და საძიებლები. 1953 წელს მისივე მონაწილეობით (ა. იოვიტსთან ერთად) გამოიცა "ქართველი შრომის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის აღწერა", რომელშიც მოცემულია საზოგადოების ისტორია, ფონდის მასალების აღწერა და ვრცელი მიბლიოგრაფია.

შ. ჩხეტიას მიმუშევრებელი შრომა აქვს გაწეული ქართველი მწერლების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაში. კერძოდ, ჰეციალური ნაშრომები მიუძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილის, დიმიტრი ყოფიანის, ირაიდონ ევლოშვილის, ივანე ჯავახიშვილის, ნიკოლოზ ბერძენიშვილისა და სხვათა ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლას.

1945 წელს გამოცემულ სექლტანთან წიგნში "ნიკოლოზ ბარათაშვილი" (რედაქტორი აკად. გ. ლეონიძე) შ. ჩხეტია აპოეტის მრავალი მანამდე უცნობი ავტორებისა და ლოკუტრტი გამოაქვეყნა და მასზე დაამყარებინა ახალი შუკი მოპოვინა დიდი პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. წიგნში მოთავსებულია ავტორის გამოკვლევა "ადმინისტრაციული რეფორმა საქართველოში 5. ბარათაშვილის დროს".

გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეურის დიმიტრი ყოფიანის ცხოვრებისა და შემოქმედების გაშუქებაში შ. ჩხეტია მიუძღვნა მთელი რიგი ნაშრომები: "დიმიტრი ყოფიანი" (რუსულ ენაზე), 1949, "მასალები დიმიტრი ყოფიანის მკვლელობაზე" (1947), "დიმიტრი ყოფიანი და საგლეხო რეფორმა" (1950), "ფეხაზეთის სამთავროს გაუქმების საკითხი და დეფიანია" (1963). მათში გამოქმეულია დიდი ეროვნული მოღვაწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი მომენტები, შეფასებულია მისი როლი და მნიშვნელობა XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ქართული კულტურის დაცვასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, საგლეხო რეფორმის მოშაადებაში. ნაშრომი "მასალები დიმიტრი ყოფიანის მკვლელობაზე" ამოწურავს წარმოადგენას გეაბლეს ამ დიდი ეროვნული მოღვაწის ცხოვრება – საქმიანობის უკანასკნელ პერიოდსა და მის ვერაგულ მკვლელობაზე.²⁹

1939 წელს გამოვიდა შ. ჩხეტიას წიგნი "ისტორიული საბუთები ირაიდონ ევლოშვილის შესახებ", რომელშიც ლოკუტრტებზე დაფრდნობით გამოქმეულია მრავალი ნაკლებად ცნობილი ან სრულიად უცნობი ფაქტი ირ. ევლოშვილის ცხოვრება-მოღვაწეობიდან.

პროფესორი შ. ჩხეტია, როგორც აღინაშნა, დიდი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მოწაფე იყო. მისი ხელმძღვანელობით და მზრუნველობით ჩამოყალიბდა როგორც მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. ამიტომ გასაგებია ის ღრმა პატივისცემა და სიყვარული, რომელსაც შ. ჩხეტია ატარებდა სახელოვანი მასწავლებლისადმი.

აკად. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შ. ჩხეტიას ნარკვევები "ივანე ჯავახიშვილი – დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე", "ივანე ჯავახიშვილი – თბილისის უნივერსიტეტის ბურჯი", "სამშობლოს დიდი მოამბე", "მეცნიერი და მოქალაქე" და ა.შ. მათში მოცემულია ივ. ჯავახიშვილის, როგორც მეცნიერის, პედაგოგის, საზოგადო მოღვაწისა და მოქალაქის პორტრეტი.³⁰

მრავალმხრივ ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად გამოჩენილი ისტორიკოს-არქივისტი ეწეოდა ფრიად სასარგებლო სასწავლო-აღმზრდელობით მოღვაწეობას. 1932 წლიდან გარდაცვალებამდე კითხულობდა ლექციებს პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტში.

1940 წლიდან შ. ჩხეტია მუშაობდა თბილისის ა.უ.შეინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც განაგებდა სსრ კავშირის ხალხის ისტორიის კათედრას და კითხულობდა საქართველოს ისტორიის კურსს, ეყო სამეცნიერო საბჭოსა და ინსტიტუტის პერიოდული ანგარიშის – "შრომები" სარედაქციო კოლეგიის წევრი. თავის მსწავლებლს უწერდა საშობლოს წარსულისა და აწმყოს სიყვარულს. მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდა ახალგაზრდა ისტორიკოს-პედაგოგების აღზრდის საქმეს, ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სამეცნიერო კულუბებს,

15. თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის "შრომები", ტ. 16, თბ., 1962, გვ. 111.
16. **შ. ჩხეტიანი**, სამშობლოს დიდი მოამაგე (მოგონება), "საისტორიო მოამბე" № 31-32, თბ., 1975, გვ. 10.
17. იქვე გვ. 11.
18. იქვე გვ. 13.
19. იქვე.
20. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონ. 335, აღწ. 1, საქ. 11, ფურ. 139.
21. იქვე, ფურ. 137-139.
22. **შ. ჩხეტიანი**, სრულიად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა პირველი ყრილობა მოსკოვში, "საისტორიო მოამბე" № 1, თბ., 1925.
23. **ზ. შვანიძე**, დასახელებული შრომა, გვ. 109.
24. **ბ. ბანდოშინიშვილი, ბ. ბარბაქაძე, ი. ბუთრაშვილი, ი. სიხარულიძე**, დასახელებული შრომა, გვ. 491.
25. იქვე.
26. "Вопросы Архивоведения" (научно-информационный бюллетень), М., 1959, №3, стр. 57-66.
27. იქვე გვ. 60-66.
28. "Вопросы Архивоведения" (научно-информационный бюллетень), М., 1961, №4, стр. 101.
29. **ბ. ბანდოშინიშვილი, ბ. ბარბაქაძე, ი. ბუთრაშვილი, ი. სიხარულიძე**, დასახელებული შრომა, გვ. 488.
30. მკვლევარი, პედაგოგი, არქეოგრაფი (პროფესორ შ. ჩხეტიანს დაბადების 70 წლისთავის გამო), "სამეცნიერო-საინფორმაციო ბულეტენი" № 19-20, თბ., 1970, გვ. 119.
31. თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის "შრომები", ტ. 16, თბ., 1962, გვ. 112-113.
32. **ლ. ლომიძე**, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები, "საისტორიო მოამბე" № 63, 64, თბ. 1992, გვ. 155.
33. **ზ. შვანიძე**, დასახელებული შრომა, გვ. 111.

*

ქართული ენათმეცნიერების დაუღალავი მოღვაწე ილია მაისურაძის დაბადების 90 წლისთავი

ბარიონ სხივლაძე.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების
ცენტრალური სახელმწიფო არქივის მეცნიერი თანამშრომელი.

ცნობილ ქართველ ენათმეცნიერს, მკვლევარსა და საზოგადო მოღვაწეს ილია მაისურაძეს შეუსრულდა დაბადების 90 წელი.

"ჭაბუკობიდანვე მაინტერესებდა საზოგადოებრივ-კულტურული და საგანმანათლებლო საქმიანობა, - შინაშეადა იგი ავტობიოგრაფიაში. - ამიტომ სადაც კი მიხდებოდა ცხოვრება ან დროებით ყოფნა, ყველგან ვითხოვლობდი ლექციებს, მოხსენებებს, ვიანამშრომლობდი პრესაში, ვხელმძღვანელობდი ლიტერატურულ წრეებს, ვეხმარებოდი მუზეუმებს, ვაწვდი მწერალ-მოღვაწეთა საიუბილეო საღამოებს (მრავალთა შორის აღსანიშნავია აღ. ფრონელის, გ. ახალციხელის, ი. გვარამაძის, შ. თამარაშვილის, ქ. დათიკაშვილის საღამოები)"¹.

ილია მაისურაძემ თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. ერთხანს მუშაობდა საჯარო ბიბლიოთეკაში, შემდეგ კი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ახალციხეში, ბათუმში, მცხეთასა და გორში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და მოღვაწეობა ჯერ სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძო, შემდეგ თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, იყო კათედრის დოცენტი, კითხულობდა ლექციებს ქართული ენის მორფოლოგიაში, სინტაქსში, სტილისტიკაში და დიალექტოლოგიაში. შესაბამისად მისი სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის შრომები ეხებოდა ქართული ენის ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიის, ეტიმოლოგიისა და სტილისტიკის საკითხებს. მრავალრიცხოვან საგანზეთ თუ საფურნალო სტატიებშიც ამავე თემებისათვის, განსაკუთრებით კი ენის სინქნონის დაცვისა და შეტყველების კულტურის საკითხებისათვის აქვს შეთხვევითი ყურადღება მიქცეული.

წერილში "გაუფრთხილდით დედანას" მოსწავლე ახალგაზრდაობას საფუძვლიანად უხსნის ქართული ენის სიწმინდის დაცვის, სწორმეტყველების მნიშვნელობასა და აუცილებლობას.

"კარგი ჩაცმულობა, ძვირფასი სამკაული, მოძრაობა-მოქმედების მოზღვნილი მანერები მხოლოდ თვალს ახარებს, მაგრამ წარმოთქმული სწორი, ზრდილობიანი და აზრიანი სატყვეა კი ადამიანის მთელი არსების დამამშვენებელია. სწორმეტყველება ადამიანის კულტურულობის ერთი ძირითადი ნიშანია, პიროვნების ძვირფასი სამკაულია.

... პირველი, რაც კულტურულად შეტყვევდ ადამიანს მეთხოვება, ეს არის ენის სწორმინდის დაცვა, დაცვა იმ წინადადებათა ნორმებისა და ეროვნული ლექსიკური მარაგისა, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულია და ყველასათვის ესაყვება...

ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი, მდიდარი და განვითარებული ენაა მსოფლიოში...

ქართულ ხალხში ყოველთვის ძვირად ფასობდა გამართული და წესიერი სიტყვა-პასუხი. გავისხვით, რა დიდი სტრუქტურა და მოწინებით ეცხრობოდა ჩვენი ხალხი გამოჩინულ მთხრობლებს, "ენაწყლიან" ადამიანებს, მასწავლებლებს, მწიგნობრებს. საჯარო ყრილობა-შეკრებებსა და გართობა-დღეობებში პირველი ადგილი ყოველთვის იმ დარბაისელ ადამიანს ეთმობოდათ, რომელთაც სახონად შევებით ვაღმოვცით დამსწრეთა საერთო გულისთვის, წარმოუწყობთ მოხდელი სადღეგრძელოები, ელაპარაკათ თავადქურლად, ბრძნულად და გარემოების შესაბამისად. მათ უთუოდ არცაე ქორდად შეგებულნი უდროოდ წაიშოცდნოდათ, შეუსაბამო სიტყვების დიდი ზიანი ... ყველასათვის ცნადა, მართლაც, რა განუზომელი ქმნილია ძალა აქვს ცოცხალ, სწორ ზეპირმეტყველებას ...

რამდენადაც ძლიერია, სწორი და გამართული სიტყვის ზემოქმედებით ძალა, იმდენადვე პირდაპირ აუტანელი და მამხრნა ცუდმეტყველება, რომელსაც ზოგიერთი უცოდნარი და უსახულისმგებელი ადამიანი ამჟღავნებს. იგი ლაპარაკობს ასწულად, გაუგებრად, უღამაზოდ და უაზრად. სწორედ ამგვარ ჩლუნგ და უხეირო ლაპარაკზე აქვს ნათქმა ილია ჭავჭავაძეს:

"უხეირო გამოთქმა კაცს გულსა და ნაღველს გაუხუტავს, უწყალოდ დატანჯავს, ისეთ ფრეოლას დამართებს, რომ გამოიწვევს ციებისა".

უსწორი მტყვევლება სამართლიანად არის მიჩნეული უცილობისა და უკულტურობის ნიშანად.

"... ენების ცოდნა დიდი საგანძურია, მაგრამ რამდენი ენაც არ უნდა იცოდეს, მათ თავისდროულად და მისწრაფად უნდა იყენებდეს. ენების აღრევით კი არ უნდა გააკვირო მსმენელი, არამედ მათი ზუსტი ცოდნით და დანიშნულებისამებრ წესიერი მოხმარებით". ილია მაისურაძე გულისხმობს იგონებს: "ერთხელ, მოგზაურობისას ამირლურში, მცირე მაღაზიაში შევედი, ასანთი დამჭირდა. ახალგაზრდა ქალი დამხვდა. ვერ გამიგო - რა გნებავთ? - განმობრბით შეუკითხა, - ასანთი - მეთქი, ასანთი, - ნაწყენად უკასუსხე. ქალი წაივდა და სათელი მომტანა.

- მე ასანთი მინდა და არა სათელი! - უკვე შეუტუბო.
- ვერ გაგიგე, რა გნებავთ. - მითხრა გულხაღილად.
- სიჩქა, - შევძახე.
- ვერ გაგიგე, თორემ რუსული ქვე არ ვიცი მე- გაღიშებით მიმასუსხა და ასანთი მომასწავდა.

... ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რომ მართლედ სიწმინდის დაცვა როდია საკმარისი მტყვევლების მაღალი კულტურის მისაღწევად ... დედანა შემოქმედებითად, მთელი შესაძლებლობით უნდა გამოვიყენოთ.

საშტყველო სტილს აესებს და ასრულებს წარმოთქმა, რომლის მეშვეობით სათქმელი აზრი ხორცს იხსნამს, წარმოქმნა ვაგონებისა და ვაგების ძირითადი ფაქტორია. რამდენადაც ნათელია და მკაფიოა წარმოთქმა, იმდენად ადვილად ესაგონი და გასაგებია სიტყვაში ჩაქოვილი აზრი.

ენობლია, რომ მხატვრული ნაწარმოების შინაგანი იდეის გახსნა, მისი ესთეტიკური ძალის შერბნება კამბტყვევლების კითხვის, ე.ი. წარმოთქმის გზით მიიღწევა".

ამ აზრს ადასტურებს ილია ჭავჭავაძის ექსპოზიტი, რომელიც მას ცნობილი დეკლამატორის კოტე ერისთავისათვის მიძღვნილ თავისი წიგნის თავფურცელზე წაუწერია:

"სხვისი ლექსი, შტგან თქმული,

კთობება და უფრო შერის!"

აქვე ილია მაისურაძე ყრადღებას ამახვილებს დღემდე არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე:

"ჩვენი, სამწუხაროდ, ნაკლებ ყრადღება ექცევა წარმოთქმის კულტურას ... ამის გამო სერიოზულ ნაკლოვანებასა და ზოგჯერ კურიოზულ შემთხვევებსაც ვაწყვებით. არავითხელ ვართ იმის მოწმე, რომ მოსწავლე ყველი ხმით, ყვირილით მოუთხრობს მასწავლებლებს გაკეთილს. მის ხმას ახასიათებს არაუბუნებრივი, ერთგვარად ამღვრული, მონოტონური ინტონაცია, სიმშრალე და უგრძობლობა, ზოგჯერ ყალბი პაიოსი და სხვა.

საკუროა, რაც შეიძლება მალე სამზოვო გამოვიდეს ქართული სწორმეტყველების და, კერძოდ, სწორწარმოთქმის (ორუბის) საკითხი".

ამ თემას ილია მაისურაძე მოუძღვნა საციალური ნაშრომი: "წარმოთქმის დეფექტები მოსწავლეთა მტყვევლებაში". მისი აზრით, "მოსწავლეთა ზეპირმეტყველების ნაკლოვანებათა გამოსწორება და სკოლაში მშობლიური ენის მაღალი კულტურის დანერგვა მთელი სასკოლო-პედაგოგიური მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. საგნის მასწავლებლის როლი ამ ამოცანის განხორციელების გზაზე უაღრესად დიდია, ვინაიდან მასწავლებლის ნიმუშის საფუძველზე მოსწავლეები სწავლობენ მოზღვნილი თხრობის წესებს, ექვევან მოსმენილი, წაკითხული, ნახული ან გავაონილი ამის დღავებით გაღობა".

ამიტომ ილია მაისურაძე, პირველ ყოვლისა, ყრადღებას უთმობს თვით პედაგოგთა მტყვევლების ზოგიერთ

საკითხს, მაშინა, რომ სკოლაში ენის მაღალი კულტურის მისაღწევად აუცილებელია ლექსიკაზე მუშაობა. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ "სიტყვათა შექმნიერია დასწავლა აქ ვერ გვიშველის ... ერთი შეხედვით სავესთი უზრაოდ და თითქოს მარტივი აგებულების ქართული სიტყვებიც კი ყურადღებას იპყრობენ ეტიმოლოგიით თვალსაზრისით. ზოგი მათგანი მიიღო წინადადების შემოკლება-შეკვეთი არის მიღებული. მაგალითად, დემტომანი - დემტომანი იცის, ნუგუმი - ნუ გემინია, მსგავსი - მას გავს, თითქოს - თუ თითქოს, დიად - დია, დემტომი! ესე იგი - ესე იგი არს ...

ზოგჯერ სიტყვათა ძირეული ნაწილების სემანტიკურ ნოვანსებში ჩახედვაც მოგვცემს ჩვენთვის სასურველ შედეგს. სიტყვა - დაუფლებუმი ძირეულია უფალი (ბეული გაგებით ბატონი). ამის მიხედვით გამოითქმა - საგანს დაუფლად - პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს - საგნის ბატონი ვადა. მსგავსი მნიშვნელობის არის - ათვისება, რომლის ძირა თვისი (თავისი), ათვისა - თავისად გაიხადა"³

ილია მასისურაძე მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, სტატიისა თუ ნარკვევის ავტორია. ჩაწერილი აქვს მრავალი საინტერესო დიალექტოლოგიური ტექსტი.

დიდი ინტერესით მუშაობდა ქართული გვარების წარმომადგომლის რთულ და შეტად საინტერესო პრობლემებზე: "რამდენიმე ათეული წელიწადი მოგანდომე ქართული გვარ-სახელების შეკრება-შესწავლას. დავამთავრე ქართული გვარების ლექსიკონის შედგენა, რომლის ნაწილი ცალკე წიგნად გამოიცა ...

ჩემს ხელნაწერებში, გვარ-სახელთა ლექსიკონის გარდა იმხანა სხვა გამოუქვეყნებული შრომებიც - მესხური ლექსიკონი, ნარკვევები ქართულ მოღვაწეებზე, სიტყვათა ეტიმოლოგია - "ქართულ სიტყვა-თქმათა სათავეებთან", მასალები "კვებისტეაონის" ლექსიკონიდან, "უსწორო მეტყველების ნიმუშები" და სხვა"⁴ - წერდა მეცნიერი ავტობიოგრაფიული ხასიათის წერილში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი შრომა "თანამედროვე ქართული გვარ-სახელები - სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია" სამეცნიერო-მეთოდური ნარკვევია. მასში მოცემულია თანამედროვე ქართული გვარების სემანტიკური და გარამატეკური ანალიზი, განსიხულია ფონეტიკური ვარიაციები, დადგენილია ლექსიკური მოდელები და ეტიმოლოგია. ვის არ იზიდავდა ძველი ამქრულ-ხელისხური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი და საქვეყნოდ განთქმული თბილისური ვართობა-დროსტარება.

"ტბილია ტივზე ჯდობა და ხიარული მტკერის გზითა", - გვაუწყებდა პლატონ იოსელიანი.

მტკერის პირას ჩარიცხვულად დაბოული ან მის ჩქერებში მოცურავე ტივები ძველი თბილისის განუწყრელი ატრიბუტი იყო.

ილია მასისურაძე სტატიამ "მტკერის გვლიათები" იფარება: "იმისათვის, რომ ზედმიწევნით ვაგვევო, სად და როგორ იხადებოდა ტივი, როგორ ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ მტკიეები, ბორჯომის ზეობისა და ძველი თბილისის წეს დარღმინადი და შრომული გვლიათები, ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ შევეცით მტკერას. ვეწვიეთ ზე-ტვის დაცურების მთავარ ადგილებს, მივიჩინებულეთ ჯერ კიდევ ჭარმაგად მყოფი უკანასკნელი მტკიეები და შეკრბიეთ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გარდასული პროფესიის შესასწავლად საჭირო მასალები"⁵.

ამ მასალების საფუძველზე შეიქმნა ილია მასისურაძის ნაშრომი "მტკიეების ლექსიკა".

სავულისძეძია პროფესორ ალ. ლლორტის მოსაზრება ამ წიგნზე: "დოცენტ ილ. მასისურაძის სამეცნიერო ნაშრომი "მტკიეების ლექსიკა" პროფესიული ნარკვევია. აქ განსიხულია, კრბოვ, მტკერაზე ზე-ტვის ტივით დაცურების მოსაგება - მტკიეების შრომა-საქმიანობათთან დაკავშირებული ლექსიკა. მეტრეეთა სიტყვა-ტერმინები ავტორს გამოიწვლი და ახსნილ-განმარტებული აქვს თვით შრომითი პროცესების აღწერის დროს. ამის მიხედვით ნარკვევი დაყოფილია ქვეთავებად: ზეობული მტკიე, ტივი, ტივის მართვა და მეტრეეთა ყოფა-ცხოვრება. ამ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილია სპეციალური ხალხური ტერმინებიდან უდავოდ საყურადღებოა მთელი რივი ლექსიკური ერთეულები, მაგ. ამოცხვირვა (მორისა), დაბაგვა, დაკრეფილი წყალი, იზავრბა (წყლის), ხაქარი, სათარი სვანი, ხალიბი, ტარმუტი, ტოლმეტი, "წყლის ანგელოზი" და ა.შ.

ავტორი სარგებლობს სპეციალური ლიტერატურით, მაგრამ შრომის მთავარი დირსება ის არის, რომ იგი ვერდნობა იმ ფაქტობრე მასალებს, რომლებიც მასვე უშუალოდ მოქმელებისაგან - ბორჯომის ზეობის სოფლებში მტკიეების ყოფილი მეტრეებისაგან ჩაუწერია"⁶.

ილია მასისურაძის გამოკვლევებში მრავალი მნიშვნელოვანი საკითხია წარმოჩენილი და გაშუქებული. მასვე ეკუთვნის საინტერესო შრომები ლიტერატურათმცოდნეობის სხვადასხვა დარგში. არაერთი შრომა უძღვნა ქართული ფოლკლორის პრობლემატკას. ყოველთვის ენსაზრებოდა მნიშვნელოვან მოვლენებს ჩვენი კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

სახალხო განათლების დარგში ზანგრბლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსაზრებელი მასწავლებლის წოდება.

1983 წელს, 75 წლის ასაკში ილია მასისურაძე ავტობიოგრაფიამში წერდა: "წოგან შეგროვილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და სხვა ხასიათის ზოგიერთი მასალა სხვადასხვა დროს ჩამარებული მატკს ბორჯომის, გორის, ახალციხის, თბილისის განათლების, გ. ლლორტის სახელობის ლიტერატურული მუზეუმებისა და საარქივო სამმართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივისათვის. ამავე დროს ვარ ამავე არქივისა და ლიტერატურული მუზეუმის სამეცნიერო საბჭოების, საისტორიო საზოგადოების გამგეობის, საზოგადოება "ციდნის" ლექტორთა დახელოვნების სამეცნიერო მეთოდური საბჭოს წევრი.

... მიგაღწევი რა უზუცივ ასაკს - 75 წელს, განზრახული მატკს პენსიამი ვასხვლა. შევეცდები სიცოცხლის დარჩენილი წლები მოვანმარო საკვლევამბოვო საქმეს"⁷.



ღია მისურბემ პირნათლად შეასრულა თავისი მისია. ჩვენც, ჩვენი მხრივ, შევეცადო ლიტერატურულ-საქმიანო ცენტრალური სახელმწიფო არქივისათვის მის მიერ ჩაბარებული მასალების საფუძველზე კიდევ ერთხელ წარმოვებინა და საზოგადოებისათვის შევვესხვებინა მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ზოგიერთი მხარე.

გაქვეყნებული წყაროები

1. ლესკა, ფინ. 69, აღწ. 1, ნაქ. 104.
2. იქვე, აღწ. 2, ნაქ. 11.
3. იქვე, აღწ. 1, ნაქ. 63.
4. იქვე, ნაქ. 104, ფურ. 4.
5. იქვე, ნაქ. 25, ფურ. 3.
6. იქვე, ნაქ. 155.
7. იქვე, ნაქ. 104.



ტექნიკური აზრის განმარტებების გზით

საქართველოს საბჭოთაო-ტექნიკური დოკუმენტაციის
ცენტრალური სახელმწიფო არქივის 25 წლისთავი

ვაჟა ზურაბიძე.

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორი.

რამდენიმე ათეული წლის წინათ მძლავრი ტემპით დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობდა საქართველოში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სპეციალური საკონსტრუქტორო და საპროექტო ბიუროები თუ სხვა ტექნიკურ-ტექნოლოგიური დაწესებულებები, რომლებმაც განაპირობეს მრეწველობის სხვადასხვა დარგების აღმავლობა.

გრძოდ, წარმატებით ვითარდებოდა მანქანათმშენებლობა, საშობო მრეწველობა, ელექტროფიკაცია, მსუბუქი და კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, ირეგაცია და მელორაცია, ზე-ტყის დამუშავება, რკინიგზის, გვირაბების, გზების სატრანსპორტო მშენებლობა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგები.

უნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვთ ქართველ მეცნიერებს ბიოლოგიაში, გეოლოგიაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, აგრარიაში, მედიცინაში და მეცნიერების სხვა დარგებში. მსოფლიო აღიარება მოიპოვეს ი. ბერიტაშვილმა, ა. რანაშაძემ, ნ. მუსხელიშვილმა, შ. ცინცაძემ, ვ. ნიკოლაძემ, ი. ვეკუამ, გ. მუსაბემ, ე. ანდრონიკაშვილმა, ვ. კუპრაძემ, რ. დავაშამ, ე. ფიფიამ, ნ. ანთელავამ, ი. დუღუშაურმა, ვ. პარკაძემ, გ. ციციშვილმა, ნ. ლანდამ, ნ. ხომიზურაშვილმა, ხ. ჩოლოყაშვილმა და მრავალმა სხვამ. ბევრმა მათგანმა შექმნა საკუთარი სკოლა და მიმდინარეობა. მათი ხელდებულია მძლავრი საწარმოები, პლურალისტრისადგურები, საბაგრო გზები, საწარმოო სისტემები, საკონსტრუქტორო ბიუროები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ა.შ.

ქართველი მეცნიერები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მექანიკოსები წარმატებით მოღვაწეობდნენ როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

ყოველივე ამან განაპირობა საქართველოში სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის – პროექტების, კონსტრუქციების, ნახაზების და სხვა მასალების წარმოქმნა მეცნიერული თუ პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში. მათი უნიშვნელოვანი ნაწილი დაცულია საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.

არქივი დაარსდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 14 აპრილის დადგენილებით. 1974-1978 წლებში არქივის დირექტორად მუშაობდა იური გენუაშვილი. 1978-1983 წლებში – ვეჟაშვილი.

არქივის სტრუქტურა: დოკუმენტების, საქმის წარმოებისა და საუწყებო არქივების, ეროვნული ხარქივო ფონდების დაცვისა და სამეცნიერო-საგნობარო დოკუმენტების სამეცნიერო ბუბლიკაციისა და გამოცემების განყოფილებები. 1976-1991 წლებში არქივში მოქმედებდა ორგანიზაცია-დაწესებულებათა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების ვეგუი. შექმნილია დოკუმენტების სამეცნიერო-საგნობარო აპარატი-აღწერები, თემატური ნუსხები და კატალოგები. ამ საარქივო დაწესებულებაში თავმოყრილია და გრძელდება იმ სპეციფიკური ხასიათის დოკუმენტური მასალების კონცენტრაცია, რომლებიც წარმოიქმნა ტექნიკური დარგის სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროებისა და სხვა პროფილურ საწარმო-დაწესებულებათა მოღვაწეობის პროცესში.

ამჟამად არქივში ინახება 109 ფონდის 140 000 დოკუმენტი. მათ შორის ისეთი ფონდშეკმენდებისა, როგორც



არის თბილისპროექტი, საქალაქმშენისპროექტი, ორგენერგომშენი, ქერგოქსკლმშენი, საქვეპმპროექტისპროექტი, ანალიზორაწყო, საქსპროექტი, საქსაწყოპროექტი, საქსოფლმშენპროექტი, საქკვებმპროექტი, თბილისქალაქპროექტი და სხვა ორგანიზაციები.

არქივში დაცულია გამოჩენილი მეცნიერებისა და სპეციალისტების პირადი ფონდები. მათ შორის არის აკადემიკოსების ვახტანგ გულგინშვილის, სილოვან ჩილიფაშვილის და ვახტანგ პარკაძის, მეცნიერებათა დოქტორების, პროფესორების გიორგი ნიკოლაძის, ალექსანდრე კაკუშაძის, გიორგი ქარცივაძის, გიორგი ვანნაძის, სტეფანე ყირქესაძის, ნიკოლო ასტარვიის, ვასილ ბალაძის, დიმიტრი ტბაძის, გიორგი თვალჭოჭოლის, კონსტანტინე ჩარკიანის, ნიკოლოზ ზინმაიშვილის, თვალსაზრისით სპეციალისტების, საქართველოს დამსახურებული ინჟინერების პეტრე მამარაძისა და შალვა დობორჯინის, ალექსანდრე ვაშლიშვილის, ოთარ კვიციანიძისა და სხვათა პირადი ფონდები. მათში დაცულია ის დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ მეცნიერებისა და სპეციალისტების მრავალმხრივ ნაყოფიერ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ურთიერთობას აკადემიკოსებთან ნიკოლოზ მუსხელიშვილიან, ვიქტორ კუპრაძესთან, კირიაკ ზაფრადთან, ილია ვეჯაძესთან, სხვა მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებთან.

არქივში ინახება მრავალრიცხოვანი ფოტოდოკუმენტები, რომლებზეც ქართველი მეცნიერები და სპეციალისტები აღბეჭდილი არიან უცხოეთის ქვეყნების სახელმწიფო სწავლებლებთან ერთად. აქვეა დასვენები, რეცენზიები და გამოხმაურებები სალიტერატორ დისტრუქციების დაცვასთან დაკავშირებით, საგაზეთო და საყურნალო სტატეები მათ ავტორობით გამოცემულ ნაშრომებზე, სხვა საყურადღებო მასალები.

ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ საქართველოს განონის მიღებამ გარკვეულად შეცვალა სახელმწიფო არქივის ფუნქცია. ამიერიდან იგი არის მაკორდინირებელი დაწესებულება, რომელიც შეიღობურ და პრაქტიკულ დანართებს უწევს თავისი დამოკიდებულებული წყარო-ორგანიზაციების არქივებს, სათანადო შეფასებას აძლევს საუწყებო არქივებში დაცვნილი წესების მოთხოვნათა შესრულებას, შეღმდგანელობს არსებული დოკუმენტური მასის ტექნიკურ წესრიგში მოყვანასა და შემდეგ ადგილზე შენახვის ვადგასული დოკუმენტების სახელმწიფო დაცვაზე მიღების საკითხს.

ჩვენს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დოკუმენტების მიღებასა და აღრიცხვას აწარმოებს ეროვნული საარქივო ფონდის დაცვისა და აღრიცხვის განყოფილება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს არქივსაცავებში შენახვის ოპტიმალური რეჟიმის შექმნა, საქმეთა (შესახანხა ერთეულების) მოძრაობის უზუსტი აღრიცხვა.

არქივის თანამშრომლები ეწყვიან შრომატევად სამუშაოს სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შესაქმნელად, რაც აუცილებელია საკმარის დოკუმენტების ობერატულად მოსაძებნად. ამის გარდა, დოკუმენტების გამოცენების, პუბლიკაციისა და საცნობარო აპარატის განყოფილების მუშაკები ამუშავენ საინტერესო სამეცნიერო თემებს, ამზადებენ საგაზეთო და საყურნალო სტატეებს, სატელევიზიო და რადიოვადგენებს.

მოზიადებულია გამოსცემად საარქივო დარგის ღვაწლმოსილი სპეციალისტის, აწ ვარდაცვლილი ელენე ვაჯიცი საყურადღებო პუბლიკაცია "მელორაციის განვითარების ისტორიისათვის საქართველოში" (1922-1965). მამდნარაობს ინტენსიური მუშაობა არქივის მტვზურის შედგენისათვის.

წლითი წლიობით იზრდება მკვლევართა, ორგანიზაცია-დაწესებულებათა რაოდენობა და დანტერესება არქივში დაცული დოკუმენტებისადმი. ისინი მუშაობენ საყურადღებო პრობლემებზე, რომლებიც ენება სამრწევლო და სამშრელო ობიექტების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საძიებო ინსტიტუტების, სხვა დაწესებულებების საქმიანობას.

ამ ბოლო წლებში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა გარკვეულად გაართულა ჩვენი მუშაობა. შეპირდა თანამშრომელთა რაოდენობა. სიმბოლურია მათი ხელფასები. გაძნელდა საქმიანი კონტაქტები საუწყებო არქივებთან სახაზრო გეონომიკის რელსებზე ვადგასვლასთან დაკავშირებით ბევრი დაწესებულება გარდაიქმნა სააქციო და შრზულული პასუხისმგებლობის საზოგადოებად. ზოგიერთმა შეწყვიტა კიდევ არსებობა. ამან მათი დოკუმენტური მასალების უპატრონობა სახელმწიფოში არ არის დაზუსტებული ამ დაწესებულებათა რაოდენობა და სტატუსი, შემაღვენლობა და მისამართი. საგრძობლად შეუერსებელია საუწყებო არქივებთან ურთიერთობა, მაგრამ ჩვენი თანამშრომლები ცდილობენ არ გაიწყვიტონ მათთან საქმიანი კავშირი. ზოგიერთი მათგანი თვითონ იჩენს დანტერესებას და აძარებს თავის დოკუმენტებს სახელმწიფო შენახვაზე, რაც ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ეროვნული საგანძურის გამძღირებას. ასე იქცევიან საკვებმრწეპროექტი და ტაქსომეტრიის სპეციალური ბიურო. მათი დოკუმენტების საერთო რაოდენობა 50 000-ზე მეტია. ისინი მოითხოვენ საარქივო წესრიგში მოყვანას, რაზეც ბევრი დრო იტნება დახარჯული. ვულსატკერია, რომ საკეპრომოსატის 1932 წლად შექმნილი დოკუმენტები მთლიანად განადგურდა თბილისში სამოქალაქო არეულობის დროს. ეს ასე არ მოხდებოდა, რომ ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელობას სახელმწიფო შენახვაზე დროზე ვადმოცვა თავისი საარქივო მასალები.

უასახრობის გამო შეერსებელია არქივების მშენებლობა და ეს დოკუმენტების დაცვის უმთავრესი პრობლემაა.

უაყოფილებას მოითხოვს მატერიალურ-ტექნიკური მახის დონე. აწ აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტმა შებოლო ცენტრალური სახელმწიფო არქივებისათვის უცხოეთი წარმოების კომპიუტერული დანადგარებისა და ასლების ვადამდები აპარატურის მიღება. მაგრამ რაქი ჩვენს არქივში არსებული დოკუმენტების უმეტესი ნაწილი დიდი ფორმატის არის და მათი ვერონად გამოყენება შეუძლებელი ხდება.

საკუთარი ძალებით ვახერხებთ კომპიუტერზე მუშაობის შესწავლას, მაგრამ მათ დაპროგრამებაში უდავოდ საფუძვლები დახმარება გვესაჭიროება.

დასასრულად, არქივის თანამშრომლები გამოითქვიან რწმენასა და ამღეს, რომ საზოგადოება გაითვალისწინებს ჩვენს პრობლემებს, უფრო ეფექტურად დავეცხმარება დოკუმენტების შევსებასა და ჩვენს წინაშე არსებული პრობლემების ვადწინგებაში.

*

**დოკუმენტები
მეგობრობის შესახებ**

საქართველოს ისტორიის ახალი დოკუმენტური წყაროები

მიღებულია დოკუმენტური წყაროები საარქივო მასალები ახმანის
შეკრებიდან შტატბანდის შექმნის შემდეგ და
და თურქეთიდან

შურაბა შურაბაძე,

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის დირექტორი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

უკანასკნელი სამი-ოთხი წლის მანძილზე საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივს შესანახად გადაეცა საზღვარგარეთიდან მიღებული რამდენიმე ათასი დოკუმენტის პირი. ეს საბუთები საქართველოს გამოუგზავნეს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურმა არქივმა (1995 წელი), თურქეთის გროუნულმა არქივმა (1998 წლის იტემბერი და 1999 წლის ივლისი) და ამერიკის შეერთებული შტატების სტენფორდის უნივერსიტეტის ჰუკერის ინსტიტუტის არქივმა (1999 წლის ივლისი).

გერმანიიდან და თურქეთიდან მიღებული დოკუმენტების დიდი ნაწილი საქმიანი ქაღალდებია, რომლებიც შექმნა სხვადასხვა რანგის სახელმწიფო სტრუქტურებში და ძირითადად თფიციალური მიმოწერა, თუმცა გვხვდება კრძო ხასიათის წერილებიც. ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებული დოკუმენტური მასალა კი არის პირადი ფონდი - ცნობილი პოლიტიკოსის, რუსეთისა და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის თვალსაჩინო მღვაწის ირაკლი წერეთლის არქივი. იგი, როგორც ჩანს, რუსი სოციალ-დემოკრატის (მენშევიკი) ბორის ნიკოლაევიკის კოლექციის ნაწილია, რომელიც დატულია ჰუკერის ინსტიტუტის არქივში.

გერმანიიდან მიღებული დოკუმენტები ამჟამად დამუშავების პროცესშია, რომელიც ძალე დამთავრდება და მათზე შედგა სათანადო სამეცნიერო-საგნობარო აპარატი, ხოლო შემდეგ დაიწვევა მუშაობა თურქულ საბუთებზე. მანამდე კი მისაწერილია მიგვაჩნია დაინტერესებულ მკვლევარებსა და ფართო საზოგადოებას მიეწოდოთ ზოგადი ინფორმაცია ამ დოკუმენტებზე მათი მთავრე მიმოხილვის ხასიათი.

*

2. წესებში გამოყენებულია შესაბამისი სახელმწიფო სტანდარტები და დაცვილია და "საარქივო ტერმინოლოგიური ლექსიკონი" (თბილისი, 1967) გათვალისწინებული ტერმინოლოგია.

პუნქტი 4.

ტექსტში გამოყენებული მითითებები "არქივი" და "დაწესებულება", რომელიც მუდმივად ინახავს დოკუმენტებს, ქოთი ცნებაა.

პუნქტი 5.

წესები სავალდებულოა საქართველოს რესპუბლიკის იმ უწყებებისა და დაწესებულებების არქივებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ეროვნული ხაარქივო ფონდის შესაბამისი დოკუმენტების მუდმივ შენახვას.

თავი II

დოკუმენტების დაცვის ოპტიმალური პირობები

პუნქტი 6.

დოკუმენტების დაცვის ოპტიმალურ პირობებს უზრუნველყოფს:

- ა) არქივების შენობათა მშენებლობა, რეკონსტრუქცია და რემონტი;
- ბ) საცავების აღჭურვა ხანძრის ჩასაქრობი საშუალებებით, დასაცავი და ხანძარსაწინააღმდეგო ხიგნალიზაციით;
- გ) ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება დოკუმენტების შენახვის ტემპერატურისა და ტენიანობის ოპტიმალური რეჟიმის შექმნისათვის, საცავის შენობებში სანიტარულ-ჰიგიენურ დონისმიხედვით განხორციელება;
- დ) დოკუმენტების შენახვის სპეციალურ საშუალებათა (სტელაჟები, კარადები, სეიფები, კოლოფები, საქაღალდეები და ა.შ.) გამოყენება.

პუნქტი 7.

შენიშვნებისა და საინფორმაციო წყაროებისადმი ვაყენებულები მოთხოვნები

1. ეროვნული ხაარქივო ფონდის დოკუმენტების მუდმივად შენახვის უფლების მქონე დაწესებულებების არქივებისათვის უნდა აშენდეს სპეციალური შენობა, ან მოხდეს არქივისათვის გამოყოფილი სხვა შენობის შესაბამისი რეკონსტრუქცია. არქივის შენობა, როგორც წესი, შენდება ტიპობრივი პროექტით. საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროსთან შეთანხმებით, შეიძლება ინდივიდუალური პროექტით მშენებლობაც. შენობისა და მისი ხანძრობის სისტემის ექსპლუატაცია ხორციელდება საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

2. არქივის შენობა დაშორებული უნდა იყოს:

- ა) სამრეწველო საწარმოებისაგან, რომლებიც პერს აქუჭვიანებენ მტვრითა და აგრესიული გაზებით /ქლორი, გოგირდიოვანი გაზი, აზოტის ფანგეულები/, სანიტარული ნორმებით დადგენილი მანძილით;
- ბ) სახანძრო თვალსაზრისით საშიში ობიექტებისა და ნაგებობებისაგან სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა შესაბამისად.
- გ) არქივის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე პერს მათე შენარევის საშუალო სადღეამისო შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს უკიდურესად დასაშვებ კონცენტრაციებს.
- დ) არქივის შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის, აგრეთვე არქივისათვის გამოყოფილი შენობისა და მისი მიმდებარე ფართობის ვარგისიანობის განსაზღვრებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ადგილობრივი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის დასკვნა.

პუნქტი 8.

1. არქივების ახალ შენობათა მშენებლობისა და არსებულის რეკონსტრუქციის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი სათავეების მოწყობა:

- ა) დოკუმენტების მიღებისა და გაუმტვერიანებისათვის;
- ბ) დოკუმენტების შენახვისათვის /საცავები/;
- გ) სამეცნიერო-საცნობარო აპარატისა და საადრცხვო დოკუმენტების განლაგებისათვის;

დ) დოკუმენტების მიკროფილმიერების, რესტავრაციის, დეზინფექციისა და ყლაში ჩასმის
ლაბორატორიებისათვის;

- ვ) გასამრავლებელი ტექნიკის განლაგებისათვის;
- ვ) თანამშრომელთა მუშაობისათვის /სამუშაო კაბინეტები/;
- ზ) მკვლევართა მუშაობისათვის /სამკითხველო დარბაზი/;
- თ) საგამოყვანი დარბაზისათვის;
- ი) დამხმარე დანიშნულებისათვის /ვარდერობი, მისაღები და ა.შ./.

2. საცავეების სიმაღლე განისაზღვრება დოკუმენტების შენახვისათვის გათვალისწინებული ტექნოლოგიური მოწყობილობის შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ 2.25 მეტრისა. არქივის მრავალსართულიანი შენობა აღჭურვილი უნდა იყოს სამგზავრო-სატივროთი ლიფტებით.

3. დოკუმენტების დატვირთვისაგ დაცევის მიზნით სარდაფის სათავსოთა და ცოკოლის სართულის ფანჯრებზე იდგმება გადასასხნელი ლითონის ცხაურები.

მუხლი 9.

ელექტროაღჭურვილობა, განათების რეჟიმი

1. არქივის ძირითად შენობაში უნდა იყოს ფარული ელექტროგაყვანილობა. საცავეებში შეიძლება დამონტაჟდეს ლითონის შილდებში მოთავსებული ელექტროგაყვანილობა. განათების არმატურა ნახევრად პერმეტული უნდა იყოს.

2. არქივის ძირითად სათავსოებში სანათები, ელექტროდაფები და გამანაწილებელი მოწყობილობა დახურული უნდა იყოს. საცავეები უნდა აღიჭურვოს საერთო და სართულების გამოძიებული ჩარჩოებით. გამანაწილებელი ელექტროდაფები, მკვლევები და გამომრთველი ჩარჩოები იდგმება საცავეის ვარკო.

3. სანათები დოკუმენტებიდან დაშორებული უნდა იყოს სულ ცოტა 50 სანტიმეტრი. საცავეებში უზუბოებსა გამოყენებული იქნეს ვარვარის ნათურები, დასაშვებია გარკვეული მარკების ღუმინესცენციური ნათურების გამოყენება საექტრის დამოკლებული, ულტრათიხვერი მონაკვეთით. როზეტები, მტვერსასრუტებისა და გადასატანი სანათების ელექტროხიზინარი იდება რეზინის შლანგში. გადასატანი სანათების ნათურები დაცული უნდა იყოს მინის საფარითა და ბაღურით.

4. ბუნებრივი სინათლე მაქსიმალურად უნდა იქნეს შენობის იმ ნაწილში, რომელსაც ფანჯრები ჩრდილოეთის მხარეზე აქვთ. საცავეების ბუნებრივი განათება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტები დაცული იქნება შხის პირდაპირი სხივებისაგან. დოკუმენტებზე შხის სხივების პირდაპირი მოქმედების შემცირების მიზნით ხდება მინების შეღებვა თეთრი საღებავით ან გამოიყენება შუქგაუმტარი ფარდები. ამავე მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნეს მინის ბლოკი, რაც ხელს უწყობს შენობაში ტემპერატურის რეჟიმის შენარჩუნებას. დოკუმენტების დაცვას სინათლის მოქმედებისა და მტერისაგან უზრუნველყოფის მათი შენახვა დახურული ტიპის სტელაჟებზე, კარაღებში, ავრთვე კოლოფებსა და საქაღალდეებში.

5. ბუნებრივი სინათლის მაგერ მოქმედებისაგან დოკუმენტების დაცვის ღონისძიებები გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველგან, სადაც დოკუმენტებთან მუშაობა წარმოებს.

მუხლი 10.

ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა

1. არქივის საცავეები განლაგებული უნდა იყოს ცვეხლმდებლობის სულ ცოტა მეორე ხარისხის შენობაში და აღიჭურვოს ძირითადი ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობით: უახლესი კონსტრუქციის ერთი ნახმარამყავიანი ცვეხლსაქობით ყოველ 50 მ² ფართობზე, მაგრამ არანაკლებ ორისა ყოველ ცალკე სათავსოში. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მიზნით მიღებული ელექტროგაყვანილობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჩამოსვებით.

2. საცავეები და დოკუმენტებთან სამუშაო სათავსოები აღჭურვილი უნდა იყოს სახანძრო სიგნალიზაციით.

3. არქივის შენობას უნდა აქონდეს დოკუმენტების სავეაკუაციო გზები.

4. საცავეებში აკრძალულია თამბაქოს მოწევა, გამთბობი ელექტრომოწყობილობის გამოყენება, უცხო საგნებისა და სურსათის შენახვა.

5. ყველა საკითხი, რაც დაკავშირებულია არქივის სახანძრო უსაფრთხოებასთან, შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო ზედამხედველობის შესაბამის ორგანიზაციასთან.

პუნქტი 11.

დოკუმენტების შენახვის ტექნიკური და ტენიანობის რეჟიმი

1. ქაღალდის ფუძიანი დოკუმენტების ხანგრძლივი დროით შენახვის უზრუნველსაყოფად საჭიროა საცავებში დაცული იქნეს ოპტიმალური ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმი. ოპტიმალურ ტემპერატურად მიღებულია ცელსიუსის 17-19 გრადუსი, შედარებით ტენიანობად 50-55%. ამ რეჟიმის დასაცავად იყენებენ სპერის კონდიციერების სისტემებს.
2. საცავებში, როგორც წესი, გამოყენებული უნდა იქნეს მოშვოვი ვენტილაციასთან შეთანხვებული საპაერო გათბობის სისტემა, დანარჩენ სათავსოებში – წყლის გათბობის ცენტრალური სისტემები.
 - ა) საპაერო გათბობასთან შეთანხვებული მოშვოვი ვენტილაციის სისტემებით ხდება სპერის დატენიანება და რეციკულაცია – მყარდება ტემპერატურა ცელსიუსით 17 ± 3 გრადუსით, შედარებითი ტენიანობა – 50 ± 10%.
 - ბ) წყლით გათბობის სისტემებიან საცავებში შენახვის რეჟიმის ოპტიმიზაცია ხორციელდება საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების მანევრებლების საფუძველზე სათავსოების რაციონალური განიავებისა და გათბობის გზით.
3. დოკუმენტების შენახვის რეჟიმის კონტროლი ხდება სპერის კლიმატური პარამეტრების / სპერის ტემპერატურა და შედარებითი ტენიანობა / რეგულარული გაზომვის გზით:
 - ა) კონდიციონერულ სათავსოებში – სულ ცოტა კვირაში ერთხელ;
 - ბ) საპაერო და წყლით გათბობის სისტემებიან სათავსოებში – კვირაში ორჯერ ტემპერატურისა და ტენიანობის განსაზღვრისათვის რეკომენდებულია გამოყენებული იქნეს ასპირაციული ფსიქრომეტრი და სხვადასხვა ტიპის გიგრომეტრი.
4. საკონტროლო საზომი ხელსაწყო იდგმება მთავარ გასასვლელში დამონტაჟებულ სტელაჟზე გასათბობი და სვეტილაციო სისტემებისაგან მოშორებით. ხელსაწყო დამაგრდება საკონტროლო დაფაზე. საკონტროლო საზომი ხელსაწყო იდგმება თითოეულ საცავში; თითაზეიანი სისტემის დროს – თითაზე ერთი, იარუსებიანი სისტემის დროს – იარუსზე ერთი. პერიოდულად, კვარტალში ერთხელ უნდა მოხდეს ხელსაწყოების ჩვენებების სისწორის შემოწმება.
5. საკონტროლო საზომი ხელსაწყოების მანევრებლები უნდა დაფიქსირდეს სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში. სარეგისტრაციო ჟურნალში უნდა აისახოს აგრეთვე ხელსაწყოების ჩვენებების შემოწმების, საცავებში ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმში გამოვლენილი დარღვევების ნორმალზაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების მონაცემები.

პუნქტი 12

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

1. საცავების სათავსოებში უნდა იყოს სანიტუმო წესრიგი და სისუფთავე, რაც გამოირჩევა ობის, მწერების, მღრღნელების გაქნასა და მტერის დაგროვებას. მტერისაგან დოკუმენტების დასაცავად აუცილებელია:
 - ა) საცავების სათავსოთა მაქსიმალურად შესაძლებელი სერმეტულობის უზრუნველყოფა და სვეტილაციო სისტემის აღჭურვა მტვერსაწინააღმდეგო ფილტრებით;
 - ბ) დოკუმენტების კოლონიების, შნაკრავების, სტელაჟების და საცავების პერიოდულად მტერისაგან გაწმენდა;
 - გ) ფიჭვის იატაკის მდგომარეობის შემოწმება, რომ იატაკში და პლინტუსების ქვეშ არ განიწეს ღრიჭოები და მღრღნელები.
2. სტელაჟებისა და დოკუმენტების განმტკიცებინება ხდება მტვერსასრუტისა და სველი ტილის საშუალებით. წელიწადში ერთხელ, სტელაჟების ზედაპირი, იატაკი, ფანჯრის რაფები უნდა გაიწმინდოს წყალში გაზავებული 2% ფორმალინის ხსნარით. საცავების განიავების დროს გამოღებული ფანჯრების ჩარჩოებზე გადაჭიმული უნდა იქნეს გლიცერინში დასველებული დოლბანიდი ან 0.5 დიამეტრის უჯრედების მქონე ზაფხ, საცავებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებული უნდა იქნეს სანიტარული დღეების გვემოთ ჩატარება.
3. ობის სოკოვანებით, მწერებისა და მღრღნელების მიერ დაზიანებული საქმეები გამოცალკევებული უნდა იქნეს. ასეთი ფაქტის გამოვლენის შესახებ არქივზე პასუხისმგებელმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სისტემის ხელმძღვანელსა და ზემდგომ სამსახურს ორგანოს.

მუხლი 13.

საცავების აღჭურვა შენახვის საშუალებებით

1. საცავები, როგორც წესი, აღიჭურვება ლითონის სტაციონარული სტელაჟებით. გამოჩატვის შემთხვევებში შეიძლება დაშვებული იქნეს ხის სტელაჟების დამონტაჟებაც. სტელაჟები შეიძლება იყოს ცალმხრივი და ორმხრივი. ორმხრივი სტელაჟის სიგანე უნდა იყოს 75 სმ., ცალმხრივისა - 40. ხის სტელაჟები მზადდება არა უმეტეს 18% სინესტის შერეული ხისაგან და ხდება ზანძარსაწინააღმდეგო ხსნარში მისი გაფლანოვა.
2. სტელაჟების დამონტაჟების დროს დაცული უნდა იქნეს არქივებში მათი განლაგების დადგენილი ნორმატივები:
 - ა) სტელაჟები იდგმება ფანჯრებიანი კედლის პერპენდიკულარულად, რომ დაცული იქნეს დოკუმენტების შიხის სხივების მოქმედებისაგან;
 - ბ) მთავარი გასასვლელის სიგანე (სტელაჟების რიგებს შორის) - 120 სმ.;
 - გ) სტელაჟებს შორის გასასვლელების სიგანე - 75 სმ.;
 - დ) მანძილი თაროებს შორის სიმაღლეში - ცვალებადი, მაგრამ სულ ცოტა - 40 სმ.;
 - ე) მანძილი კედელსა და კედლის პარალელურად განლაგებულ სტელაჟებს შორის - 75 სმ.;
 - ვ) მანძილი კედელსა და სტელაჟის ტორს შორის - 45 სმ.;
 - ზ) მანძილი იატაკიდან სტელაჟის კვედა თარიღზე სულ ცოტა 20 სმ.
3. არქივისათვის გამოყენებულ შენობებში სტელაჟების სიმაღლეს განსაზღვრავს სათავის სიმაღლე და გადახურვის სიმაღლე. თუ სათავსების სიმაღლე ოთხ მეტრს აღემატება და სტელაჟები ორიარუსიანია, გაითვალისწინება იარუსებსშორისი და სტელაჟებსშორისი გადახურვები.
4. სტელაჟების კონსტრუქციას და ზომას, განსაკუთრებული ფორმატის დოკუმენტების (ვახუტები, რუკები, გეგმები, მიკროფილმებიანი კოლოფები და სხვა) კარაგების კონსტრუქციასა და ზომას განსაზღვრავს ამ დოკუმენტების ზომა. ნახაზების შერჩევა შეიძლება გამოსაწვევედრან კარადებში გაშლილი სახით, მიკროფილმების შერჩევა შეიძლება "ნაძვის ხის" ტიპის სტელაჟებზე, რუკების შერჩევა რეკომენდებულია მოძიებულ შტანგებზე დაკიდებულ მდგომარეობაში, განსაკუთრებულ კატეგორიის დოკუმენტების შესანახად იყენებენ სტაციონარულ ნაკეთურ-სეიფებსა და საეციალურ კარდა-სეიფებს.

მუხლი 14.

საცავებში დაშვების და საცავების დალუქვის წესები

1. არქივსაცავებში შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ არქივის თანამშრომლებს. მათი საცავებში შესვლის წესს ადგენს არქივის დირექტორი (გამგე). საცავებში უცხო პირთა შემტევა შეიძლება მხოლოდ არქივის დირექტორის (გამგის) ნებართვითა და საცავზე პასუხისმგებელი პირის თანდასწრებით.
2. სამუშაო დროს საცავი, თუ იქ არაიქნება არ მუშაობს, გასაღებით დაკეტილი უნდა იყოს. ასეთ შემთხვევებში გასაღები ინახება საცავზე პასუხისმგებელ პირთან. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ საცავების ძირითადი და სათანადოვო კარები იკეტება, ილუქება ბეჭდით ან პლომით. დალუქვამდე საცავზე პასუხისმგებელი პირი ამოწმებს საცავის მდგომარეობას. გამორთავს ელექტრომოწყობილობას, ჩართავს ზანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციას. დალუქული საცავების გასაღები, ბეჭედი და პლომი ინახება არქივის ზეღმძღვანელობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი III დოკუმენტების განლაგება საცავებში. ტოპოგრაფიკა

მუხლი 15.

დოკუმენტების განლაგება საცავებში

1. უწყების, დაწესებულების არქივში შესანახად მიღებული მასალები იყოფა საერთო შერჩევის, გამოცალკევებული შერჩევისა და პირადი შემადგენლობის ხასიათის საქმედ, რომლებიც განთავსდებიან ცალ-ცალკე საცავებში. მათი განთავსებისათვის საჭირო ფართობის მოცულობას განსაზღვრავს არქივის მუშაობაზე პასუხისმგებელი მუშაკები, აღნიშნული

ლოკუმენტით დაკომპლექტების რეალური პერსპექტივის გათვალისწინებით.

2. საცავებში დოკუმენტები, როგორც წესი, განლაგდება ფონდების ნომრების მიხედვით, ფონდის ფარგლებში აღწერების, აღწერებში კი საქმეთა ნომრების მიხედვით.
3. საქმეების საცავებში შეტანა და განლაგება განხორციელდება საცავების, სტელაჟების, კარალებისა და მათი ოპოების გადართობისა და საქმეების ძუფასი ყუთებში ან შენაკრავებში მოთავსების შემდეგ.
4. სტელაჟები და კარალები ინარჩუნებს დამოუკიდებლად, თითოეული საცავის მიხედვით. შესასვლელიდან მარცხნიდან მარჯვნივ, სტელაჟებზე ოპოები ინარჩუნებს კარალების (მანძილს სტელაჟის საყრდენი გამოყოფიდან გამოყოფამდე პირობითად წოდება კარადა) მიხედვით ზემოდან ქვევით, მარცხნიდან მარჯვნივ.
5. ყუთებსა და შენაკრავებში საქმეები თავსდება ფონდის, აღწერის მიხედვით მიკუთვნებული რიგითი ნომრის მიხედვით. ყუთებისა და შენაკრავების დანომრვა ხდება ფონდის ფარგლებში. თითოეულ ყუთს, შენაკრავს უკეთდება არსიყი. იარაღივე მეთითება ფონდის სახელწოდება, ფონდის, აღწერისა და საქმეების, აგრეთვე თვით ყუთის (შენაკრავის) ნომერი. ყუთები (შენაკრავები) საქმეებით სტელაჟებზე განლაგდება მარცხნიდან მარჯვნივ, მაღლიდან დაბლა მათი ნუმერაციის შესაბამისად.
6. დოკუმენტების სტელაჟებზე განლაგების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს თითოეული ფონდის დოკუმენტებით არქივის დაკომპლექტების პერსპექტივა. სტელაჟებზე განლაგებული ყველა მოქმედი ორგანიზაციის ფონდებთან დატოვებული უნდა იქნეს სარეზერვო ადგილი ახალი მიღებისათვის.

მუხლი 16.

ტოპოგრაფირება

შენახვის ადგილის დამკვიდრების და დოკუმენტების შეუფერხებლად მოძიების მიზნით ადგენენ ტოპოგრაფიულ საძიებლებს ფონდებისა და სტელაჟების მიხედვით. ტოპოგრაფიულ საძიებლებს ადგენენ ბარათებზე (დანართი 1.2).

ა) ფონდობრივი ტოპოგრაფიული საძიებლების თითოეულ ფონდზე ადგენენ ერთ ბარათს. საჭიროების შემთხვევაში, როცა მონაცემები არ თავსდება ერთ ბარათზე, შეიძლება შედგეს ბარათი "გაგრძელება". ტოპოგრაფიული საძიებლის ბარათები დგება ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება დოკუმენტების ცენტრალიზებულ აღრიცხვაზე პასუხისმგებელ პირთან, მეორე – შესაბამის საცავში. ფონდების მიხედვით შედგენილი ტოპოგრაფიული საძიებლის ბარათები განლაგდება ფონდების ნომრების მიხედვით.

ბ) სასტელაჟო ტოპოგრაფიული საძიებლის ბარათს ადგენენ თითოეული სტელაჟისათვის და განლაგებენ სტელაჟების ნომრების მიხედვით ცალკეული საცავების ფარგლებში.

თავი IV

საცავებიდან საქმეთა გაცემისა და დაბრუნების წესები

მუხლი 17.

1. არქივის საცავიდან საქმეები გაცემა მოთხოვნათა სათანადო გაფორმების შემდეგ:

- ა) მკვლევარებზე – არქივის სამკითხველო დარბაზში სამუშაოდ;
- ბ) თანამშრომლებზე – სამუშაო სთავსებში სამუშაოთა საწარმოებლად;
- გ) არქივის ან სხვა დაწესებულებების ლაბორატორიებზე – დოკუმენტებზე სადაზღვევო ფონდის შექმნის, დოკუმენტების პირების გადაღების, რესტავრაციისა და მათი დაცვის სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად;
- დ) ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე – დროებით სარგებლობისათვის (იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულება რაიმე მიზეზის გამო ვერ ახერხებს დოკუმენტების ადგილზე შესწავლას).

2. საცავებიდან გაცემა მხოლოდ კარგ ფიზიკურ მდგომარეობაში არსებული საქმეები. ფიზიკურად დაზიანებული, შლადი, ადვილად მტვრევადი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტები საცავებიდან არ გიცემა, მათ ნაცვლად გიცემა მათი პირები.

3. საცავებიდან საქმეების გაცემას და მათ უკან მიღებას აწარმოებს ფონდების მკველი.

4. საქმეები (დოკუმენტის ორიგინალი ან პირები) მკვლევარებსა და ორგანიზაცია-დაწესებულებებზე გაცემა არქივის ხელმძღვანელობის წერილობითი ნებართვით.

5. საცავებიდან საქმეების – დროებით სარგებლობისათვის – გაცემს ხდება მკვლევარებზე ერთი თვის, თანამშრომლებზე, დოკუმენტებზე მუშაობისათვის – 10 დღის, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე 3 თვის ვადით.

6. დოკუმენტების დაცვის მიზნით სადაზღვევო პირების გადაღების, რესტავრაციის, აკრძებისა და სხვა სპეციალური სამუშაოებისათვის საქმეთა გაცემის ვადა განისაზღვრება არქივისა და ლაბორატორიის ხელმძღვანელ მუშაკთა ურთიერთშეთანხმებით.

მუხლი 18.

1. საცემებიდან საქმეთა გაცემა ფორმდება შემდეგი დოკუმენტებით:
 - ა) საქმეთა გაცემის შეცვებით (მოთხოვნებით) – მკვლევარებზე, რომლებიც სამკითხველო დარბაზში მუშაობენ და დაწესებულებებისა და არქივის თანამშრომლებზე (დანართი 3);
 - ბ) დროებით სარგებლობაში საქმეთა გაცემის აქტით (დანართი 4);
2. საცემებიდან საქმეთა გაცემის რეგისტრაცია წარმოებს დაეთრებში (დანართი 5).
 - ა) თანამშრომლებზე, მკვლევარებზე, ლაბორატორიებზე და ორგანიზაციებზე დროებით სარგებლობაში გაცემული საქმეების რეგისტრაცია წარმოებს ცალკე-ცალკე დამოუკიდებელ დაეთრებში (დანართი 5).
 - ბ) მკვლევართა შესრულებული შეცვეთები (მოთხოვნები) საცემიდან გაცემულ საქმეებთან ერთად იგზავნება სამკითხველო დარბაზში და ინახება მკვლევართა პირად საქმეებში.
 - გ) ყველა სხვა შესრულებული შეცვეთა (მოთხოვნა) ინახება ფონდების მცველთან სპეციალურ საქალაქო მათი შენახვის ვადის ამოწურვამდე.
3. თითოეული გაცემული საქმის ადგილზე იდება მონაცვლე ბარათი (დანართი 6); რომელშიც იწერება ფონდის, აღწერის, შესანახი ერთეულის ნომერი, როდის და ვის სახელზე გაიცა საქმე თითოეული საქმის გაცემა და ადგილზე დაბრუნება მონაცვლე ბარათზე დამოწმებული უნდა იქნეს ფონდების მცველის ხელმოწერით.
4. საქმეთა გაცემა დროებით სარგებლობისათვის ფორმდება აქტით (დანართი 4), რომელსაც ადგენენ ორ ეგზემპლარად – ერთი რჩება არქივში, მეორე ეტლვა საქმეთა მიმღებ დაწესებულებას. აქტს ხელს აწერენ, ერთის მხრივ, არქივის ხელმძღვანელი და ფონდის მცველი, მეორეს მხრივ, დაწესებულების ხელმძღვანელი. ხელმოწერები დამოწმდება ბეჭდით.
5. საქმეების დაბრუნების შემდეგ დროებით სარგებლობაში საქმეთა გაცემის აქტსა და დაეთრებში შეიტანება მონაცემები საქმეთა დაბრუნების შესახებ.
6. საქმეების საცემში დაბრუნების დროს ხდება მათი ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება. საქმე იდება ადგილზე მონაცვლე ბარათში კეთდება აღნიშვნა საქმის დაბრუნების შესახებ და თავსდება საქმეში.
 - ა) საქმეების დაზიანების შემთხვევაში დაწესებულების წარმომადგენლის თანდასწრებით დგება აქტი.
 - ბ) საქმის დაკარგვის შემთხვევაში ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ კანონის შესაბამისად მიღებული უნდა იქნეს ზომები დამნაშავე პირის პასუხისმგებლობაში მიღების შესახებ.

მუხლი 19.

დოკუმენტების ტრანსპორტირება და გადაადგილება

ნებისმიერ მანძილზე დოკუმენტების ტრანსპორტირებისას ზორციელდება მათი დაცულობისა და გარემოს მკვე ავტორებისაგან დაცვის ღონისძიებები. ამ მიზნით გამოიყენება შეფუთვის სპეციალური სახეობა, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტების დაცვას ნალექებისაგან, სინათლისა და მექანიკური დაზიანებისაგან. ქალაქის ფარგლებში დოკუმენტების გადატანა უნდა განხორციელდეს დასურული ავტომანქანებით და არქივის თანამშრომლის სავალდებულო თანხლებით; შორ მანძილზე დოკუმენტების ტრანსპორტირება ხდება კონტინერებით.

თავი V საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შეეწმება

მუხლი 20.

საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება სამუშაოთა კომპლექსია, რომლის მიზანია შესანახი ერთეულების რაოდენობის რეალური შესაფუთვლის დადგენა არქივის საადრიცხო დოკუმენტებში არსებულ ჩანაწერებთან, აგრეთვე იმ საქმეთა და დოკუმენტთა გამოვლენა (ეიზუალური გასინჯვის გზით), რომლებიც საჭიროებენ რესტავრაციასა და ვლამ ჩანსას ან ჩაკერებას, ღებნიფიკაციას.

მუხლი 21

1. საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება წარმოადგენს არქივის მუდმივ სამუშაოს. შემოწმებას ექვემდებარება არქივში დაცული ყველა ფონდი, შემდეგი პერიოდულობის გათვალისწინებით:

- ა) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტების შემცველი ფონდებისა - 5 წელიწადში ერთხელ;

- ბ) დანარჩენი ფონდებისა – არქივის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების შესაბამისად, მაგრამ არაუგვირავს 40 წლისა.
- 2. სტიქიური უბედურების, ხანძრის, არქივის შენობის შეკვლის, კაბიტალური შეკეთების, შენობაში ბიოლოგიური მავნებლების გავრცელების შემთხვევაშიან დაკავშირებულ საქმეთა მასობრივი გადაადგილების, აგრეთვე საქმეთა დაკარგვის ან მძარცვის ფაქტების გამოვლენის შემდგომ ეწყობა არქივში დაკული ყველა ფონდის, ან ფონდების ნაწილის საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის რიგგარეშე ერთდროული შემოწმება.
- 3. საქმეთა არსებობისა და მდგომარეობას ამოწმებს არქივის ორი თანამშრომელი.

მუხლი 22.

- 1. საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმების დაწყებამდე მოწმდება ფონდის სააღრიცხვო დოკუმენტაციის (აღწერების, ფონდის ფურცლების, ფონდის საქმის) სისრულე და შემაჯამებელი ჩანაწერების სისწორე. აღწერის შემაჯამებელი ჩანაწერის შემოწმების მიზნით ზუსტდება საქმეთა ნუმერაცია აღწერათა მიხედვით, რომლის პროცესშიც ფონდის განმეორებული და გამოტოვებული ნომრები, ხდება აღწერის შემაჯამებელი ჩანაწერის, ფონდის ფურცლისა და სხვა სააღრიცხვო დოკუმენტების მონაცემების შეჯერება; ზუსტდება ფონდშემქმნელი დაწესებულების სახელწოდება, დაჭერადგარება, ადგილმდებარეობა და მისი მოღვაწეობის კიდური თარიღები. სააღრიცხვო დოკუმენტაციების მონაცემების ურთიერთშესაბამისობის გამოვლენის შემთხვევაში შესაძლებელი ფონდის მოცულობის საფუძველად მიიჩნევა აღწერის შემაჯამებელი ჩანაწერის მონაცემი. აღწერაში აღურიცხავი, სალიტერო ან თავისუფალი, აგრეთვე განგრძობილი რიგითი ნომრების აღმოჩენის შემთხვევაში გაფორმდება ახალი შემაჯამებელი ჩანაწერი.
- 2. საქმეთა არსებობის შემოწმება ხდება აღწერის სააღწერო სტატისტიკისა და საქმეთა გარეგანზე მოცემული აღწერილობითი მონაცემების (შიფრის, საქმისწარმოებითი ნომრის, სათაურის, კიდური თარიღების, ფურცლების რაოდენობა) შედარების გზით.
- 3. შემოწმების პროცესში საქმეთა აღწერებში, ან სხვა სააღრიცხვო დოკუმენტებში რაიმე შენიშვნების ან ჩანაწერების შეტანა კატეგორიულად არის აკრძალული.
- 4. თანამშრომლებსა და მკვლევარებზე, აგრეთვე დროებით სარგებლობაში გაცემული საქმეები, რომელთა გაცემაც გაფორმებულია მოქმედი წესების შესაბამისად, ითვლება არსებულ საქმეებად.

მუხლი 23.

- 1. საქმეთა ფიზიკური მდგომარეობა განისაზღვრება მათი ვიზუალური შემოწმებით. საქმეთა ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება მიზნად ისახავს დოკუმენტების ბიოლოგიური დამაშლელი ფაქტორებისაგან – ობის ხოკოს, მწერებისა და სხვა მავნებლებისაგან დაცვასა და საქმეთა გაფორმებაში დაშტეული ნაკლოვანების გამოსწორებას.
- 2. შემოწმების პროცესში გამოვლენილი ყველა ნაკლი აღინიშნება შემოწმების ფურცელსა და შემოწმების აქტში.
- 3. საქმეებში ობის ან მწერების აღმოჩენის შემთხვევაში დაუფრებელი ზორციელება მათი მოსპობისათვის საჭირო ღონისძიებები. დაიბებული დოკუმენტები უნდა გამოცალკედეს და გაუკეთდეს დეზინფექცია. ის სტელაყები, სადაც დაიბებული საქმეები ელავა და მათი მომხრანვე ადგილები უნდა გაიწმინდოს ფორმალინის 1-5% ხსნარით. დეზინფექცია უკეთდება აგრეთვე კოლოფებს, საქაღალდეებსა და სხვა შესაფუთ საშუალებას. საქმეები, რომლებსაც მწერები გაურნდა, ასევე უნდა გამოცალკედეს. მწერების მოსასპობად შეიძლება გამოყენებული იქნას ბრომიანი მჭითილი, ქლოროფოსი (3%-იანი წყალხსნარი) და ინსექტიციდები აეროზოლის ბალონებში, რომლებსაც ყოველდღიურობაში ვხმარობთ მწერების გასანადგურებლად.
- 4. დაზიანებული (დაძველებული, დახუცილი) საფუძლის მქონე დოკუმენტებს უტარდება რესტავრაცია, რაც ითვლისწინების დოკუმენტის პირველდაწყებით ან მიახლოებითი ფორმისა და გარეგნული ნიშნების აღდგენას.
- 5. ქრობად ან სუსტი ხილვადობის დოკუმენტები უნდა გადაიბეჭდოს, შედარდეს და შედარების ჩამტარებული მუშაის მიერ მისი დამოწმებით ჩაიკეროს მოცემული დოკუმენტის შემდეგ.
- 6. გამოსწორებული უნდა იქნეს საქმის გაფორმებაში დაშტეული ყველა შეცდომა: ვდამო ჩაისვას და ჩაიკეროს ჩაუკერავი საქმეები, დაინომრის საქმის დაუნომრავი ფურცლები. და გაუკეთდეს დამამოწმებელი წარწერები, შევისოს საქმის გარეგანის გაფორმების გამოტოვებული ელემენტები (ფონდშემქმნელისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელწოდება, საქმის სათაური, კიდური თარიღები, ფურცლების რაოდენობა, საარქივო შიფრი).
- 7. საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმების დროს შესაძლებელი ფონდიდან ამოღებული უნდა იქნეს შეცდომით ჩაღებული სხვა ფონდის საქმე და მითავსდეს თავის ფონდში. საქმეები, რომლებიც არ არის აღწერაში შეტანილი, იღება ფონდის ბოლოს, მისი შემდგომი დამუშავებისათვის. აღურიცხავი საქმეების აღწერაში შეტანა შემოწმების პროცესში აკრძალულია.
- 8. ფონდში საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმების დროს, როგორც წესი, თითოეულ აღწერაზე დგება შემოწმების ფურცელი (დანართი 8). მოცულობითი მცირე ფონდების შემოწმებისას შეიძლება ერთი შემოწმების ფურცლის შედგენა ყველა აღწერისათვის. შემოწმების ფურცლის საფუძველზე დგება საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის



შემოსულების აქტი (დანართი 9). საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმების აქტს ხელს აწერს სამუშაოს შემსრულებელი.

9. საქმეებზე, რომლებიც შემოსულების დროს ადგილზე არ აღმოჩნდა, დებუა ბარათი, სადაც აღინიშნება ფონდის სახელწოდება, ფონდის, აღწერის, საქმის ნომერი, საქმის სათაური.

10. საქმეთა ფიზიკურ მდგომარეობასა და გაფორმებაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა შემოსულების ფურცელსა და აქტში შეტანილი მონაცემები (მათი შემოსულების პროცესში გამოუსწორებლობის შემთხვევაში) ვადატანილ უნდა იქნას სპეციალურ საადრიცხვო-საკონტროლო ბარათებში (დანართი 7) სამუშაოთა სახეობების მიხედვით.

11. ბარათებზე შეტანილ სამუშაოთა შესრულება გათვალისწინებული უნდა იქნეს შემოსულების მომდევნო წლის სამუშაო გეგმით.

პუნქტი 24.

ლოკუმენტების ფიზიკური მდგომარეობის აღრიცხვა

1. ლოკუმენტების მდგომარეობის შემოწმება და აღრიცხვა წარმოებს ლოკუმენტების არსებობის და მდგომარეობის შემოწმების, ექსპერტიზის, აგრეთვე აღწერების ვადაშუამავების, გაუმჯობესებისა და ლოკუმენტების გადათავალიერებასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოთა პროცესში.

2. ლოკუმენტები დაზიანებული ფუძით, საქმეები, რომლებიც საჭიროებენ ჩაკერებას, აკინძვას, ცდის შეცვლასა და გაფორმებას, დამოფრვას, ფურცლების დანაშრვას, აღრიცხვებთან საქმეთა მდგომარეობის საადრიცხვო ბარათების საშუალებით (დანართი 7). ბარათების სისტემატიზაცია წარმოებს ფონდების ნომრების მიხედვით.

3. კარტოთეკის მონაცემები გამოიყენება ლოკუმენტების ფიზიკური მდგომარეობის სამუშაოთა მოცულობის განსაზღვრისა და ამ სამუშაოთა შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით. აღრიცხვაზე აყვანილ ლოკუმენტებზე მუშაობის რეგიონობა განისაზღვრება ლოკუმენტების მნიშვნელობის, მათი გამოყენების ინტენსიურობისა და დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით.

4. საქმეთა გაფორმებისა და ლოკუმენტების ფიზიკურ მდგომარეობაში გამოვლინილი ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით ჩატარებულ სამუშაოთა კარტოთეკაში კეთდება სათანადო ჩანაწერები.

პუნქტი 25.

აღმოუჩინებელ საქმეთა დაკმატვა

1. საქმეთა არსებობის შემოწმების დროს შეიძლება საქმეები არ აღმოჩნდეს. აღმოუჩინებელ საქმეებზე შედგება ბარათები (დანართი 10) და იწყება მათი დაძებნა, რომელიც უნდა დამთავრდეს ფონდის შემოსულების დამთავრებიდან ერთი წლის განმავლობაში.

3. აღმოუჩინებელ საქმეთა დაძებნის დროს საჭიროა:

- ა) შედარებული იქნეს ფონდის ვადაშუამავებამდე არსებული ძველი აღწერა ახალ აღწერასთან დაშვებული შეცდომების გამოვლენის მიზნით;
- ბ) გაანალიზდეს აღმოუჩინებელი საქმეების სათაურები, მისი ლოკუმენტების კიდური თარიღები, ფურცლების რაოდენობა, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვაგლინოთ საქმეები, რომლებიც აღწერაში ორჯერ არის შეტანილი, ან შეტანილია ამ ფონდის სხვა აღწერაში.
- გ) შემოწმდეს აღწერაში შეუტანიელი საქმეები, რომელთა შორისაც შესაძლოა იყოს აღმოუჩინებელი საქმეები;
- დ) შესწავლილ იქნეს ფონდის საქმე, უწინარეს ყოვლისა, მასში არსებული ადრეულ წლებში შედგენილი საქმეების მოსასიძობად გამოფიფის, დროებით სარგებლობაში გაცემის, არსებობისა და მდგომარეობის შემოწმების აქტების მონაცემები;
- ე) გამოვლინილ და შესწავლილ იქნეს აღმოუჩინებელი საქმეების ანალოგიური საქმეები, რომლებიც დაექვემდებარებნ ჩაკერებას ან ვადაშუამავებას, რამდენადაც შესაძლოა ამ სამუშაოთა შესრულების დროს დაშვებული იყო შეცდომები საქმეთა ფორმირებაში, სისტემატიზაციაში ან აღწერაში;
- ვ) შემოსულებს შემოსულებელი ფონდის გვერდით განლაგებული ფონდების საქმეები, შევლევარებასა და თანამშრომლებზე გაცემული საქმეების საადრიცხვო ლოკუმენტები.
- ზ) ორგანიზაცია გაეწიოს საქმეების დაძებნას იმ ორგანიზაციებში, რომლებმაც ჩააბარეს არქივს ფონდის ლოკუმენტები მიღება-ჩაბარების პროცესში დაშვებული შესაძლო შეცდომის გამოვლენის მიზნით.

მხსლო 26.

შეიქმედების შედეგების გაფორმება

1. დაბენის პროცესში აღმოჩენილი საქმეები მოთავსდება ადგილზე. შემოსუბების ფურცლის გრაფაში "შენიშვნა" და აღმოუჩენელი საქმეების ბარათის გრაფაში "დაბენის შედეგები" კვლავ აღნიშნა საქმის დაბრუნების შესახებ.
2. საქმეები, რომელთა არარსებობის მიზეზიც დოკუმენტურად დადასტურდა (აქტები საქმეთა გასანადგურებლად გამოყოფის, გაცემის შესახებ და სხვა) იხსნება ადრეცხვიდან.
3. იმ აღმოუჩენელი საქმეებზე, რომელთა დაბენის გზები ამოიწურა, დგება საქმეთა აღმოუჩენლობის აქტი (დანართი II) და დაბენის სამუშაოების ჩატარების ცნობა. ცნობაში მითითება ფონდის ნომერი და ხანგრძლივობა. მასში დაცული ერთეულების რაოდენობა საადრეცხვი დოკუმენტებით, ფონდის მოკლე ისტორია (არქივში მიღების წელი, დოკუმენტების მდგომარეობა მიღების დროს - აღწერები, აღუწერავი, ფონდის დოკუმენტებზე შესრულებულ სამუშაოთა სახეობები და ა.შ.), მითითება საქმეთა დაბენის მიზნით განსაზღვრებული ღირებულებები, საქმეთა აღმოუჩენლობის დადგენილი ან საკარაული მიზეზები.
4. აქტი საქმეთა აღმოუჩენლობის შესახებ და ცნობა დაბენის შედეგებზე საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმების აქტსა და ფურცელთან ერთად წარედგინება ზემდგომ ორგანოს განსახილველად, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას აღმოუჩენელი საქმეების ადრეცხვიდან მოხსნის, ან მისი დაბენის პერიოდის ვაგრძელდება საკითხზე. აღმოუჩენელი საქმეების ადრეცხვიდან მოხსნის შესახებ ზემდგომ ორგანოს წერილობითი ნებართვის საფუძველზე არქივის დირექტორი გამოსცემს აღმოუჩენელი საქმეების ადრეცხვიდან მოხსნის ბრძანებას და შეადგენს აქტს (დანართი II) საქმეთა ძირის დამთავრებასთან დაკავშირებით.
5. საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება და დაკარგულ საქმეთა დაბენა დამთავრებულად ჩაითვლება არქივის ყველა საადრეცხვი დოკუმენტში სათანადო ცვლილების შეტანის შემდეგ.
6. საქმეთა შემოწმებისა და ძებნის შედეგებზე შედგენილი დოკუმენტები ინახება ფონდის საქმეში.

თახო VI

განსაკუთრებულად ღირებულ დოკუმენტების სადარღვევო ფონდისა და ხარგმობლობის ფონდის შექმნა

მხსლო 27.

1. განსაკუთრებულად ღირებულ დოკუმენტებს განეკუთვნებიან დოკუმენტები, რომელთაც შეუცვლელი მნიშვნელობა აქვთ სახელმწიფოებრივი მმართველობისა და თავდაცვისათვის, საერთაშორისო ურთიერთობაში, სამეცნიერო-კვლევით დარგში და დაკარგვის შემთხვევაში აღუდგენელია თუ არა საზოგადოებრივი თვალსაზრისით, ავტორგრაფიულობითა და გარეგნული ნიშნებით.
2. სადაზღვევო ფონდი ეროვნული საარქივო ფონდის განსაკუთრებულად ღირებულ დოკუმენტების სადაზღვევო პირების ერთობლიობაა.
3. წერილობითი დოკუმენტების სადაზღვევო პირა პირველი თაობის ნეგატური მიკროფილმი, რომელიც შესაბამისი ტიპის შეერთი ფოტოფირზე მზადდება დოკუმენტის უშუალო ფოტორეაფირების გზით და შემდგომში მას "სადაზღვევო ფონდის მიკროფილმი" ეწოდება.
4. სადაზღვევო ფონდი იქმნება დოკუმენტთა ორიგინალების დაკარგვის თუ დაზიანების შემთხვევაში მნიშვნელოვანი დოკუმენტური ინფორმაციის შესანარჩუნებლად.
5. სადაზღვევო ფონდი ზელმუხუბეგელია და ინახება სპეციალურ საცავში, ტერიტორიულად იმ დოკუმენტების ორიგინალებისაგან განცალკევებით, რომლებისგანაც გადაღებულია სადაზღვევო პირები.

მხსლო 28.

1. ეროვნული საარქივო ფონდის განსაკუთრებულად ღირებულ დოკუმენტების სადაზღვევო ფონდის შექმნის პარალელურად მზადდება გამოყენების ფონდის სახელმწიფო კომპლექტი, რომელშიც შედის პირველადი ნეგატური მიკროფილმებისაგან დამზადებული მუდრიანი მიკროფილმების ერთი პოზიტივი და პოზიტივიდან დამზადებული მესამე საფეხურის ერთი მიკროფილმი.
2. გამოყენების ფონდი იქმნება დოკუმენტების ორიგინალების დაცვის უზრუნველსაყოფად. მათი პირების გამოყენების მიზნით.

პუნქტი 29.

1. დოკუმენტთა სადაზღვევო პირების გადაღების რიგითობას განსაზღვრავს დოკუმენტების ინფორმაციულ მნიშვნელობა. მნიშვნელობით ტოლფასოვანი ფონდებიდან პირის პირველ რიგში გადაღებას ექვემდებარება იმ ფონდების დოკუმენტები, რომლებიც ხასიათდება მძიმე ფიზიკური მდგომარეობით, ან ინტენსიურად გამოიყენებან.

2. სადაზღვევო და გამოყენების პირების გადასაღებად დოკუმენტების მომზადებისათვის საჭიროა:

- ა) საქმეების ამოღება;
- ბ) საქმეთა საძიებო მონაცემებისა და სათაურის შეჯერება აღწერასთან;
- გ) საქმის ფურცლების ჩაკერებისა და ნუმერაციის სისწორის, აგრეთვე ნუმერაციისა და დამამოწმებელი წარწერის შესაბამისობის შემოწმება;
- დ) დოკუმენტების ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება;
- ე) საქმეთა მიკროფილმირებისათვის ვადაცემის გაფორმება.

3. სადაზღვევო ფონდის ვადაღებისათვის საქმეთა მომზადების პროცესში უნდა შემოწმდეს დოკუმენტების ფიზიკური მდგომარეობა, ნაკლებად კონტრასტული და ქრობადი ტექსტების მქონე დოკუმენტებისა და აგრეთვე იმ დოკუმენტების გამოვლენის მიზნით, რომლებსაც სჭირდებათ ფიზიკურ-ქიმიური რესტავრაცია და საკონსერვაციო-პროფილაქტიკური ღამუშაებები.

4. საქმის საძიებო მონაცემების აღწერასთან შეჯერება გულისხმობს აღწერის მონაცემებისა და საქმის გარკვევის გაფორმების მონაცემების (ფინდშეკქმენლისა და სტრუქტურული დანაყოფების სახელწოდება, სათაური, კიდური თარიღები, ფურცელთა რაოდენობა, საარქივო შიფრი) ურთიერთშესაბამისობის შემოწმებას.

5. ფურცლების სწორად ჩაკერებისა და ნუმერაციის შემოწმება ითვალისწინებს საქმის თითოეული დოკუმენტის ფურცლების თანმიმდევრულად, სწორად ჩაკერებისა და ნუმერაციის სიზუსტის გაკონტროლებასა და დამამოწმებელი წარწერის მონაცემებთან შეჯერებას.

6. საქმეთა დამამოწმებელი წარწერისა და ფურცელთა ნუმერაციის მონაცემების შეუსაბამის შემთხვევაში შედგება ახალი დამამოწმებელი წარწერა.

პუნქტი 30.

1. საქმეთა ვადაცემისას სადაზღვევო პირის გადასაღებად ფორმდება შეკვეთა.

2. შეკვეთაში, რომელსაც არქივი აფორმებს მიკროფილმირებისათვის ვადასაცემ საქმეებზე, მოცემული უნდა იქნეს საქმეთა ჩამონათვალი. საქმეთა ჩამონათვალი აღნიშნული უნდა იქნეს ფონდის ნომერი და სახელწოდება, აღწერისა და საქმეების ნომრები, თითოეული საქმის ფურცლებისა და გვერდების რაოდენობა, მათი საერთო ჯამი როგორც თითოეული საქმის, ისე მოცემული შეკვეთის მიხედვით.

3. მიკროფილმირებისათვის ვადასაცემ საქმეებში თუ ჩაკრულია ისეთი დოკუმენტი, რომელიც გაფორმებულია ფურცლის ორივე მხარეზე, მთორე გვერდი ინომრება იმავე ნომრით, რომელსაც მიეწერება მთორე გვერდი "მ.გ." აქ მაგალითად: 10 მ.გ. 23 მ.გ. და ა.შ.

4. სადაზღვევო პირის ვადაღება წარმოებს ფონდების მიხედვით, ფონდებში აღწერებისა და საქმეთა ვადაღების თანმიმდევრობის დაცვით.

5. მიკროფილმირების დროს საქმეები, როგორც წესი, არ უნდა დაიშალოს, საქმე შეიძლება დაიშალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ვადაში ჩასმული საქმის მიკროფილმირება. საქმის დაშლის საკითხი შეთანხმებული უნდა იქნეს არქივის ხელმძღვანელობასთან. დოკუმენტების მიკროფილმირების დათაერების შემდეგ საქმე ხელახლა უნდა ჩაისვას ვადაში.

6. მიკროპირების ვადასაღებად შეკვეთით ვადაცემულ საქმეთა დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შეკვეთის შესრულებულ დაწესებულებას (პირს) მათი მიღების მომენტთან არქივისათვის შესრულებულ სამუშაოსთან ერთად საქმეთა დაბრუნებამდე.

7. დამზადებული პირებისა და საქმეების არქივის მიერ მიღება წარმოებს მიკროპირების მასალების შეკვეთის საფუძველზე, რომელზეც პირების დამამზადებელ დაწესებულებას თითოეული საქმის გასწვრივ შეაქვს დამზადებული პირების რაოდენობის, სახეობისა და კატეგორიების მონაცემები.

8. საქმეებისა და დამზადებული პირების მიღების დროს უნდა შემოწმდეს დაბრუნებულ საქმეთა დამაღების შესაბამისობა შეკვეთის მონაცემებთან, დოკუმენტების ფიზიკური მდგომარეობა, შეკვეთის შესრულების სისწორე და დამზადებული პირების ხარისხი.

9. სადაზღვევო ფონდისა და გამოყენების ფონდის დაცვის, აღწერისა და აღრიცხვის წესები განსაზღვრულია შესაბამისი ნორმატიულ-მეთოდიკური დოკუმენტებით.





 არქვის სახელწოდება

ფონდის ტოპოგრაფიული
 საძიებლის ბარათი

ფონდის სახელწოდება -----

ფონდის № -----
 ხართული -----
 საცავი -----

აღწერა №№	საქმეები/შეს. ერთ/ № ----- დან № ----- ჩათვლ.	სტელატი №	კარადა	თარო	შენიშვნები
1	2	3	4	5	6

ფონდების ტოპოგრაფიული საძიებლის ბარათის ფორმა
 /წინა მხარე/

1	2	3	4	5	6

ფონდების ტოპოგრაფიული საძიებლის ბარათის ფორმა
 /უკანა მხარე/

ფორმატი ა 6 /148X105/

 არქივის სახელწოდება

ფონდის ტოპოგრაფიული
 საძიებლის ბარათი

სტელაჟი № -----

სართული -----
 საცავი -----

თარი №	ფონდი №	აღწერა №	საქმეები /შეს. ერთ/ № -----დან №-----მდე ჩათვლით	შენიშვნები
1	2	3	4	5

სტელაჟების ტოპოგრაფიული საძიებლის ბარათის ფორმა
 /წინა მხარე/

1	2	3	4	5

სტელაჟების ტოპოგრაფიული საძიებლის ბარათის ფორმა
 /უკანა მხარე/

არქივის სახელწოდება

ნებას ვრთავ საქმის გაცემაზე
 თანამდებობა
 ხელმოწერა, ხელმოწერის გაშიფერა
 00.00.00.

შეკვეთა საქმეთა
 გაცემაზე

/დამკვეთის გვარი, ინიციალები/

/საკვლევი თემა ან სამუშაოს სახეობა/

ფონდი	აღწერა	საქმე	საქმის სათაური	ფურც-თა რაოდ-ბა	ხელმოწერა საქმის მიღებაზე
1	2	3	4	5	6

შეკვეთის ფორმა საქმის გაცემაზე
 /წინა მხარე/

1	2	3	4	5	6

დამკვეთის ხელმოწერა
 00.00.00.

შეკვეთის ფორმა საქმის გაცემაზე
 /უკანა მხარე/

ფორმატი ა5 /148 X 210/

არქივის სახელწოდება -----



/საფოსტო ინდექსი, მისამართი/ -----

ა ქ ტ ი №

საქმეთა დროებით სარგებლობაში
გაცემის შესახებ

/ორგანიზაციის დასახელება/ -----

/საფოსტო ინდექსი, მისამართი/ -----

/ფონდის სახელწოდება და ნომერი/ -----

ფონდიდან

გაიცა შემდეგი საქმეები:

აღწერა №	საქმე №	საქმის სათაური	ფურცლების რაოდენობა	შენიშვნა
1	2	3	4	5

სულ გაიცა ----- საქმე -----ვალით

საქმეები გაიცა მოწესრიგებულ მდგომარეობაში, ჩაკერებული, დანომრილი ფურცლებით და დასამონტაჟო წარწერებით.

მიმღები ვალდებულია დროებით სარგებლობაში მიღებული საქმეები არ გადასცეს უცხო პირს, არ გასაშუალოს მათი პირები, ამონაწერები და ცნობები, არ გამოაქვეყნოს დოკუმენტები არქივის ნებართვის გარეშე.



მიმღები ვალდებულია საქმეები არქივში დააბრუნოს აქტში მითითებულ ვადაში. მიმღები გაფრთხილებულია ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობაზე მიღებულ საქმეთა დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში.

არქივის ხელმძღვანელის
ხელის მოწერა
00.00.00.
არქივის ბეჭედი

/ხელმოწერის გამოფერა/

მიიღო -
დაწესებულების ხელმძღვანელის
ხელის მოწერა
00.00.00.
ბეჭედი

/ხელმოწერის გამოფერა/

საქმეები დაბრუნებულია
ჩააბარა

/თანამდებობა/

/ხელმოწერა/

/ხელმოწერის გამოფერა/

მიიღო

/თანამდებობა/

/ხელმოწერა/

/ხელმოწერის გამოფერა/

00.00.00.

აქტის ფორმა საქმეთა დროებით სარგებლობაში გაცემის შესახებ.

ფორმა ა. 4. /210X297/



რი გი თი №	გაცე მის თარი ღი	ფონ დი №	აღწე რა №	საქმ ე №	ვისზე გაიცა / გვარი, ინიციალ ები	ხელის მოწერა		შენიშვნა
						მიღებაზე	დაბრუნებაზე	
1	2	3	4	5	6	7	8	9

საცაიდან საქმეების გაცემის
 დაკვეთის ფორმა

ფორმა ა 4 /210X297/

მონაცემი ბარათი

ფონდის №	აღწერის №	საქმის №	ვისზე გაიცა /გვარი, ინიციალები/	გაცემის თარიღი	ხელმოწერა	
					გაცემის შესახებ	დამბეჭდველი
1	2	3	4	5	6	7

მონაცემი ბარათის ფორმა

ფორმა ა 4 /2002

მოკვნიტებისა და სანქციების მდგომარეობის
საარჩევნო ბარათი



ფონდი №.....

აღწერა №.....

/ფონდების სახელწოდება/

აღწერის თარიღი	საქმეთა ნომრები, რომლებიც საჭიროებენ:						
	საქმეთა აღწერას	რესტრუქციას	ჩაკრების ან აკონტებს	ქრის კაფორმებს ან შეცვლას	ფურცელთა დანომრებს	საქმის შემამოწმებელი წარწერის შედეგებს	XXXXXX დოკუმენტების გადამეჭვდას
1	2	3	4	5	6	7	8

საქმეთა მდგომარეობის საადრისებო
ბარათის ფორმა

ფორმა ა 6 /146X216/
დანართი 8

არქვის შტამი



სამხმრეო არსებობისა და მფლობელობის
N 02800009 9090840000

ფონდი №
(დამსახურის და კატეგორია)

საქმეთა არსებობა								საქმეთა მფლობელობა				
აქტის №	აქტის აღივსება საქმეთა შესახებ რეგისტრის ნომრით	აღივსება საქმეთა №№	დროებით სარეგისტრაციო საქმეთა №№	ფინანსური საქმეთა აქტის ნომრით	აქტის საქმეთა რეგისტრაციის ნომრით			საქმეთა №, რომლებსაც ესაქმობა:				
								რეგისტრაციის ნომრით	ფაქტობრივი ან რეგისტრაციის	გამოუსწორებელი დაზარალებული საქმეები		შეინიშნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13

სულ: საქმე
(კატეგორია და სატყვეობა)

თანამდებობები, ხელმოწერა, ხელმოწერის გამოფრა
00.00.00.

საქმეთა არსებობისა და მფლობელობის შემოწმების
ფურცლის ფორმა.



არქვის სახელწოდება -----

აქტი № -----

საქმეთა არსებობისა და მფლობელების
შეზღვევის შესახებ

00.00.0.

პროცენტები

არქვის დირექტორი
ხელმოწერა
00.00.00.
ხელმოწერის გამოწერა

ფონდის № და სახელწოდება -----

შეზღვევა ჩატარდა ----- დან ----- ჩაიღო

შეზღვევით დაფინანსდა:

- 1. აღწერების მიხედვით არსებობს ----- საქმე
ჩაფარვის
- 2. არ აღმოჩნდა ----- საქმე
ჩაფარვის
- 3. მოცემული ფონდის მიხედვით ----- საქმე
არსებობს /აღწერაში შეტანილი/ ჩაფარვის

მათგან საპროცენტო:

- ა/ დეზინფექციის ----- საქმე
- ბ/ რესტავრაციის /რემონტის/ ----- საქმე
ჩაფარვის
- გ/ ყლში ჩასმის ან ჩაყვრების ----- საქმე
ჩაფარვის



- მ/ ტრობადი ტექსტების აღდგენას ----- საქმე
 ჩაღწევის
- მ/ ფურცლების ნუშტრაციას ----- საქმე
 ჩაღწევის
- მ/ საქმის გარეკანის გაფორმებას ----- საქმე
 ჩაღწევის
4. აღწერაში არ არის შეტანილი ----- საქმე
 ჩაღწევის
5. სულ მოცემულ ფონდში არსებობს ----- საქმე
 /აღწერაში შეტანილი და შეუტანილი/ ჩაღწევის
6. მათი შენახვის პირობების დახასიათება.
 უაქციფოთი მოვლენები შენახვის მდგომარეობისა და პირობებში.

- შემოწმების აწარმოებლენ -----
 00.00.0. /თანამდებობები, ხელმოწერა, ხელმოწერის გამოცემა/
- საქმელა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმების აქტის ფორმა

არქივის სახელწოდება

აქტი № -----

იმ საქმეთა აღმოუჩენლობის
 შესახებ, რომელთა ძებნის
 ვზები ამოიწურა

ჰამტკიცება

არქივის ღირებულება -----

ხელმოწერა ხელმოწერის გაშიფერა

00.00.00.

ფონდი № -----

კატეგორია -----

----- შედეგად დადგინდა ფონდში ქვე
 ჩამოთვლილი საქმეების არარსებობა. არქივის მიერ ძებნისათვის მიღებულია ზომებმა არ მოგვცა დღის
 შედეგები, რის გამოც შესაძლებლად მიგვჩანია აღრიცხვიდან მოიხსნას:

აღწერა №	საქმე №	საქმის სათაური	კიდური თარიღები	ფურცლების რაოდენობა	არარსებობის საგარაუდო მიზეზი
1	2	3	4	5	6

სულ ----- საქმე
 /ციფრებით და სიტყვებით/

არქვის სახელწოდება

ა ძ ტ ი №

ვამტკიცებ

საქმთა ძებნის
დამთავრების შესახებ

არქვის დირექტორი

ხელმოწერა -----

00.00.00.

ხელმოწერის გაშიფვრა
00.00.00.

კომისიის მიერ -----
/თანამდებობები, ვეარები, ინიციალები/

----- შემადგენლობით 19- წ. ----- დან ----- ჩათვლით

ჩატარებული იქნა ფონდის № ----- საქმეებისა

/ფონდის დასახელება/
და სხვა დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება.

შემოწმებით დადგინდა:

1. არსებობს ----- საქმე,

/ციფრებით და სიტყვებით/

2. არ აღმოჩნდა ----- საქმე

/ციფრებით და სიტყვებით/

ჩატარებული ძებნის შედეგად:

1. მოიძებნა ----- საქმე

/ციფრებით და სიტყვებით/

2. დოკუმენტურად დასაბუთებულია -----

/საქმთა ნომერი და ჯამი/

საქმის დანაკლისი.

3. შედგა აქტი საქმეების აღრიცხვიდან მოხსნის შესახებ, რომელთა ძებნის ვადებიც ამოიწურა -----

----- საქმეზე

/ციფრებით და სიტყვებით/

ფონდების მკველის
ხელმოწერა -----

ხელმოწერის გაშიფვრა

აქტის ფორმა საქმეთა ძებნის დამთავრების შესახებ

ფორმატი ა 4 /210X297/

საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი

ბრძანება

№ 40

08.12.98. თბილისი

203845349
საქართველოს იუსტიციის სამინისტროში შეტანილი ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი № 210012003257 7 მაისი, 1998 წ.

“ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტები ცენტრალიზებული აღრიცხვის შესახებ” დამტკიცების შესახებ

“ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ” კანონმა საარქივო დეპარტამენტის ახალი სტატუსის შესაბამისად, დღის წესრიგში დააყენა იმ დაწესებულება-ორგანიზაციების დოკუმენტების აღრიცხვის საკითხი, რომელთაც მინიჭებული აქვთ დოკუმენტების ადგილზე მუდმივად შენახვის უფლება და რომელთა დოკუმენტებიც ემეზღებარება ცენტრალიზებულ აღრიცხვას.

როგორც სახელმწიფო არქივებში, ისევე ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების მუდმივად შენახვის უფლების მქონე დაწესებულებებში დოკუმენტების აღრიცხვის სამუშაოთა სწორი ორგანიზაციის მიზნით საქართველოს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტმა კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით შეიმუშავა “ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ცენტრალიზებული აღრიცხვის წესები”.

წინამდებარე ნორმატიულ-მეთოდური დოკუმენტი მიზნად ისახავს დოკუმენტების აღრიცხვის წესისა და მეთოდის სრულყოფის გზით დოკუმენტების დაცვისა და კლასიფიკაციის გაუმჯობესებას, დოკუმენტური ინფორმაციის ავტომატიზებულ საინფორმაციო ქსელში შესატანად მომზადებას, დოკუმენტური ისტორიული მემკვიდრეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების უზრუნველყოფას.

წესების პროექტი განიხილა და მოიწონა საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის სამეცნიერო ბუღალტრის საბჭომ.

“ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნათა და “საქართველოში საარქივო დარგის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის № 382 (18. 06. 97.) განკარგულების შესრულების მიზნით

ბრძანება:

1. დამტკიცდეს “ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ცენტრალიზებული აღრიცხვის წესები”.
2. საქართველოს სახელმწიფო არქივებსა, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების მუდმივად შენახვის უფლების მქონე უწყებებსა უზრუნველყონ წესების პრაქტიკაში დანერგვა.

სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე

ზ. მახარაძე

საქართველოს საარქივო
სახელმწიფო
დეპარტამენტის
№ 40 (08.12.98.)
ბრძანების დანართი

ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ცენტრალიზებული აღრიცხვის წესები

მოწონებულია
საქართველოს საარქივო
სახელმწიფო
დეპარტამენტის
სამეცნიერო-მეთოდური
საბჭოს მიერ
ოქმი № 2 (11.11.98.)

ეროვნული საარჩევო ფონდის ორგანიზაციის პრინციპების შესაბამისი წინამდებარე ნორმატიულ-მეთოდური დოკუმენტი მიზნად ისახავს ეროვნული საარჩევო ფონდის დოკუმენტების აღრიცხვის წესისა და მეთოდის სრულყოფის გზით დოკუმენტების დაცვისა და კლასიფიკაციის გაუმჯობესებას, დოკუმენტური ინფორმაციის ავტომატიზებულ საინფორმაციო ქსელში შესატანად მომზადებას, დოკუმენტური ინფორმაციის მუდმივად შესახებ საზოგადოების ინფორმირების უზრუნველყოფას.

ცენტრალიზებული აღრიცხვის წესები შემუშავებულია "ეროვნული საარჩევო ფონდის შესახებ" (02.05.95), მასში ცვლილებების შეტანის თაობაზე (11.11.97), ნორმატიული აქტების შესახებ (19.11.96), მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე (27.06.97) საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, მოწინავე პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით.

წინამდებარე წესები შედგება სამი კარისაგან:

1. პირველ კარში - "ზოგადი დებულებანი" წარმოდგენილია ეროვნული საარჩევო ფონდის დოკუმენტების ცენტრალიზებული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები.

2. მეორე კარში - "ეროვნული საარჩევო ფონდის დოკუმენტების აღრიცხვა სახელმწიფო არქივებში" განხილულია ეროვნული საარჩევო ფონდის დოკუმენტების ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტები და მათი არქივში შენახვისა და გასვლის აღრიცხვის წესი. ამ თავის მოთხოვნები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო არქივისთვის და ვრცელდება დოკუმენტების მუდმივად შენახვის უფლების მქონე დაწესებულებებზე (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთავარი არქივი და ხელნაწერთა ინსტიტუტი, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და მეცნიერებათა აკადემიის მუზეუმები, საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის გეოლოგიური ფონდი, საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის კარტოგრაფიულ-გეოდეზიური ფონდი, საქართველოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პილოტური პროექტების მონაცემების სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ფონდი, საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის საინფორმაციო ფონდი).

3. მესამე კარში - "ეროვნული საარჩევო ფონდის დოკუმენტების ცენტრალიზებული აღრიცხვა" მიეკუთვნება ეროვნული საარჩევო ფონდის დოკუმენტების ცენტრალიზებული აღრიცხვის ფორმები ურთიანი და სავალდებულო ყველა სახელმწიფო არქივისთვის და ვრცელდება მუდმივად შენახვის უფლების მქონე დაწესებულებებზე.

წესებს თან ერთვის სააღრიცხვო დოკუმენტაციის აუცილებელი ფორმები.

პარა I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეროვნული საარჩევო ფონდის დოკუმენტები, შენახვის ადგილის განურჩევლად, აღრიცხება ცენტრალიზებულად.

2. დოკუმენტების ცენტრალიზებულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს საარჩევო სახელმწიფო დეპარტამენტი. სახელმწიფო არქივი და ეროვნული საარჩევო ფონდის მუდმივად შენახვის უფლების მქონე დაწესებულებები ვალდებული არიან წარადგინონ დეპარტამენტში მონაცემები დადგენილი ფორმების მიხედვით.

3. დოკუმენტების ცენტრალიზებული აღრიცხვის წესს, აღრიცხვის საჭირო ფორმებს ადგენს საქართველოს საარჩევო სახელმწიფო დეპარტამენტი.

მუხლი 2

1. ეროვნული საარჩევო ფონდის დოკუმენტების აღრიცხვა არის მათი რაოდენობის განსაზღვრა დადგენილ სააღრიცხვო ერთეულებში და ამ რაოდენობის ასახვა სააღრიცხვო დოკუმენტებში.

2. ეროვნული საარჩევო ფონდის დოკუმენტების აღრიცხვა მათი დაცვისა და არსებობის კონტროლის უზრუნველყოფის საშუალებაა. განამტკიცებს დოკუმენტების ორგანიზაციას გარკვეულ საკლასიფიკაციო კომპლექსებად, უზრუნველყოფს საქმეთა მოძიების საშუალებას.

3. აღრიცხვას ექვემდებარება ეროვნული საარჩევო ფონდის ყველა დოკუმენტი ქაღალდის ფურცელზე, ეტრატზე, კინოფოტოფონო დოკუმენტები, მათი საუწყებო კუთვნილებისა და წარმოქმნის დროის გაზომვით, შექმნილი სამეცნიერო, შერეობითი და დაწესებულებების მმართველობითი საქმიანობის შედეგად.

4. აღრიცხვის ძირითადი ერთეულებია: საარჩევო ფონდი, საარჩევო კოლექცია, საარჩევო ერთეული.

5. აღრიცხვას არ ექვემდებარება სახელმწიფო არქივიდან ან სხვა დაწესებულებებიდან გაცემი წიხით მიღებული დოკუმენტების პირები, აგრეთვე მუზეუმების მიერ ექსპონირებისთვის მომზადებული პირები, დროებით სარეგლობაში მიღებული დოკუმენტები.

მუხლი 3

ადრეცხვის სისტემის მეცნიერული საფუძველია შემდეგი პრინციპები:

1. ცენტრალიზაცია – ქვეყნის მასშტაბით საარჩევო საქმის მართვის ორგანიზაციაში საარჩევო ფონდების და შესანახი ერთეულების რაოდენობასა და შემადგენლობაზე ცნობების თავმოყრა.
2. ერთიანობა- სააღრიცხვო მონაცემებისადმი ერთიანი მოთხოვნები, ადრეცხვის ერთიანი მეოლიცა, სააღრიცხვო ლეკუმენტების ერთიანი ფორმები.
3. დინამიკობა- ლეკუმენტების მოცულობასა და შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების სააღრიცხვო ლეკუმენტებში ოპერატიულად ასახვა.

მუხლი 4

1. ეროვნული საარჩევო ფონდის ლეკუმენტების ცენტრალიზებული ადრეცხვის ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესი პირობა ლეკუმენტების დროული და ზუსტი ადრეცხვა.
